

ACCA

წიგნი F3 (INT)

ფინანსური
აღრიცხვა

სრული ტექსტი



KAPLAN
PUBLISHING

ეს წიგნი შეტანილია ბრიტანეთის ბიბლიოთეკის კატალოგში.
კატალოგის ჩანაწერების გაცნობა ამ წიგნის შესახებ შეგიძლიათ
ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში.

Published by:

Kaplan Publishing

Unit 2 The Business Centre

Molly Millars Lane

Wokingham

Berkshire

RG41 2QZ

ISBN 978 1 84710 234 8 ინგლისური გამოცემისათვის

© FTC Kaplan Limited, 2007

ინგლისური გამოცემა დაიბეჭდა ღიდ ბრიტანეთში,

William Clowes Ltd, Beccles, Suffolk-ის მიერ

მადლობა

გამოეხატათ ჩვენს მადლიერებას ინგლისისა და უელსის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის და მმართველობითი აღრიცხვის სპეციალისტების ბუღალტერთა საზოგადოებრივი ინსტიტუტის მიმართ განვლილი საგამოცდო კითხვების გამრავლების უფლებისათვის. პასუხები მოამზადა Kaplan Publishing-მა.

ყველა საავტორო უფლება დაცულია. Kaplan Publishing-ის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე არ შეიძლება ამ გამოცემის არც ერთი ნაწილის გამრავლება, რომელიმე საინფორმაციო მატარებლის სისტემაში შენახვა, ან გადაცემა რაიმე ფორმით, ელექტრონული, მექანიკური, ფოტოკოპირების, ჩანაწერების გამოყენებით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით.

„ამ წიგნის გამოცემა განხორციელდა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მხარდაჭერით შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) სახსრებიდან“.

წიგნი თარგმნილი და გამოცემულია საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) მიერ Kaplan Limited-ის ნებართვით.

წიგნი გათვალისწინებულია ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიული სერტიფიცირებისათვის. იგი ასევე გამოადგება ეკონომიკური პროფილის სტუდენტებს, მაგისტრებს, ასპირანტებსა და პრაქტიკოს სპეციალისტებს.

წიგნის თარგმნასა და გამოცემაზე მუშაობდნენ:

| | |
|-----------------------|---|
| პროექტის ხელმძღვანელი | ლავერენტი ჭუმბურიძე |
| პროექტის კოორდინატორი | კოტე დათიაშვილი |
| მთარგმნელი | მარინა რევაზიშვილი |
| რედაქტორები | ნადეჟდა კვატაშიძე, ანჟელი ზორავა, მანანა გველესიანი |
| ექსპერტთა საბჭო | თამუნა ცუხიშვილი, თამარ ქარჩავა, ლია გოგსაძე, ირაკლი შავიშვილი, ელგუჯა აფრიღონიძე |
| სტილისტი | მანანა გველესიანი |
| კორექტორი | ალექსანდრე კვერნაძე |
| დამკაბადონებელი | ნინო ყაველამშვილი |



ევრაზიის
თანამშრომლობის
ფონდი

სარჩევი

| | |
|---|-----------|
| როგორ გამოვიყენოთ სახელმძღვანელო მასალა | გვ. VI |
| შესავალი | VIII |
| პროგრამის მიზნები | IX |
| გამოცდა | XX |
| ეფექტიანი სწავლის პროცესი | XXI |
| | |
| თავი 1. ბუღალტრული აღრიცხვის შესავალი | 1 |
| თავი 2. ბალანსი და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება | 9 |
| თავი 3. ბუღალტრული წიგნების წარმოების პრინციპები | 27 |
| თავი 4. მარაგი | 47 |
| თავი 5. ბრუნვის გადასახადი | 71 |
| თავი 6. დარიცხვები და წინასწარგადახდები | 79 |
| თავი 7. დაუბრუნებადი ვალები და დებიტორული დავალიანების ანარიცხვები | 91 |
| თავი 8. გრძელვადიანი აქტივები | 107 |
| თავი 9. საცდელი ბალანსიდან ფინანსურ ანგარიშგებამდე | 135 |
| თავი 10. პირველადი გატარების ჟურნალები და მაკონტროლებელი ანგარიშები | 149 |
| თავი 11. მაკონტროლებელი ანგარიშების შეჯერება | 173 |
| თავი 12. ბანკის ამონაწერების შეჯერება | 183 |
| თავი 13. შეცდომების კორექტირება და დამხმარე ანგარიშები | 193 |
| თავი 14. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება | 205 |
| თავი 15. არასრული ჩანაწერები | 219 |
| თავი 16. ამხანაგობის ანგარიშები | 239 |
| თავი 17. კომპანიის ანგარიშები | 261 |
| თავი 18. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები | 289 |
| თავი 19. ფულადი ნაკადების ანგარიშგება | 311 |
| თავი 20. მარეგულირებელი და სტრუქტურული საფუძვლები | 337 |
| კითხვები | 357 |
| პასუხები | 401 |
| გამოყენებული ტერმინების ქართულ-ინგლისური ლექსიკონი | 421 |
| აბრევიატურათა განმარტება | 432 |

როგორ გამოვიყენოთ სახელმძღვანელო მასალა

Kaplan Publishing-მა საგულდაგულოდ მოამზადა ეს სასწავლო მასალა, რათა მაქსიმალურად გაემარტივებინა თქვენთვის სწავლის პროცესი და საუკეთესო პირობები შეექმნა წარმატებული შედეგის მისაღწევად.

სასწავლო მასალა ბევრ ისეთ ელემენტს მოიცავს, რომელიც ხელს უწყობს სწავლის პროცესის გამარტივებას. ესენია:

1. სასწავლო პროგრამის მიზნები;
2. გამოცდის აღწერა;
3. მეცადინეობის უნარ-ჩვევები და გამოცდის ინსტრუქციები;
4. სრული ანუ აუცილებელი ტექსტი;
5. სავარჯიშო კითხვები.

სანამ სწავლას შეუდგებით, უნდა გაეცნოთ სასწავლო სახელმძღვანელოს, პროგრამის მიზანს, საგამოცდო წესებსა და სწავლის ხერხებს. ეს განყოფილებები იმისთვისაა შექმნილი, რომ კარგად გაიგოთ გამოცდის შინაარსი და მისი თავისებურებები, რაც ასევე დაგეხმარებათ სწავლის საუკეთესო მეთოდის შერჩევაშიც.

სრული ანუ აუცილებელი ტექსტი მოიცავს მთავარ სასწავლო მასალას, რომელიც მიგვითითებს მნიშვნელოვან საკითხებზე და გვეხმარება სხვა წყაროების მოძიებაში.

თითოეულ თავში მოცემულია:

- **სასწავლო მიზნები**, რომლებიც ემთხვევა საგამოცდო ორგანოს სასწავლო მიზნებსა და შედეგებს. უნდა გამოვიყენოთ იმის შესამოწმებლად, კარგად გაიგეთ თუ არა ის თემები, რომლებიც შესაძლოა შეტანილი იყოს საგამოცდო მასალაში;
- **დიაგრამა**, რომლითაც თავი იწყება, გვიჩვენებს მთელი თავის მოკლე ეიზუალურ მონახაზს, სადაც შესულია ყველა თემის მნიშვნელოვანი ნაწილი და გაგვიადვილებს ამ ნაწილების ურთიერთკავშირის დანახვას;
- **თითოეული თემა იწყება მოკლე განმარტებით**, ხოლო შემდეგ, თემის საკითხები უფრო ვრცლად არის განხილული. თემის შესასწავლად სასარგებლოა ილუსტრაციების გამოყენება. საილუსტრაციო მაგალითები დაგეხმარებათ თემის შინაარსის უკეთ გააზრებაში კონკრეტული სიტუაციის განხილვით;
- **განყოფილება „შეამოწმე შენი ცოდნა“** თქვენი ცოდნის შემოწმების საუკეთესო საშუალებაა. კერძოდ, მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემით შეძლებთ იმის შეფასებას, როგორ გაიგეთ მნიშვნელოვანი თემები. სწორი პასუხები მოცემულია თითოეული თავის ბოლოს;
- **ყველა თავი მთავრდება შემაჯამებელი დიაგრამით**, რომელიც გვიჩვენებს თემებს შორის მნიშვნელოვან კავშირებს და საგნის მთლიან შინაარსს. სანამ ახალ თავზე გადახვალთ, დიაგრამების მეშვეობით უნდა შეამოწმოთ, სრული შემოსავლის ანგარიშგებალად გაეცანით და გაიგეთ თუ არა ყველა მნიშვნელოვანი საკითხი;
- **წიგნის ბოლოს მოცემულია სავარჯიშო კითხვები.**

სახელმძღვანელოში მასალის უკეთ ათვისებაში დაგეხმარებათ შემდეგი აღნიშვნები:

| | | |
|---------------------------------|--|--|
| განმარტება | | ძირითადი განმარტებები, რომლებიც აუცილებლად უნდა ისწავლოთ მთავარი თემიდან. |
| მნიშვნელოვანი საგამოცდო საკითხი | | ეს ნიშანი მიგვითითებს საკითხზე, რომელიც წარმატების გასაღებია და ხშირად არის შეტანილი საგამოცდო მასალაში. |
| „ცბიერი“ თემა | | განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ მსგავსი ადგილების განხილვას; გაეცანით ყველა საილუსტრაციო მაგალითს და ამოხსენით „შეამოწმე შენი ცოდნა“ განყოფილებაში მოცემული ყველა სავარჯიშო – ეს აუცილებელია თემის სრულყოფილად აღსაქმელად. |
| განვრცობილი ტექსტი | | განვრცობილი ტექსტი დამატებით ინფორმაციას გაწვდით კონკრეტული საკითხის შესახებ და დაგეხმარებათ მთავარი თემის უკეთ გაგებაში: წაიკითხეთ, თუ საკითხის გასაგებად დამატებითი ახსნა გჭირდებათ, ან გამოტოვეთ, თუ თვლით, რომ აუცილებელი ტექსტი საკმარისია. |
| საილუსტრაციო მაგალითი | | კონკრეტული მაგალითები დაგეხმარებათ საკითხის არსის უკეთ გააზრებაში. |
| შეამოწმე შენი ცოდნა | | სავარჯიშოებზე დამოუკიდებლად მუშაობით შეძლებთ იმის შემოწმებას, კარგად გაიგეთ თუ არა ნასწავლი თემა. |

შესავალი

ACCA-ის წიგნი „ფინანსური აღრიცხვა“ შეიქმნა იმ მიზნით, რომ გაეიგოთ, როგორ უნდა მომზადდეს და დამუშავდეს საბაზო რაოდენობრივი ინფორმაცია, რომელიც ხელმძღვანელობას ესაჭიროება ბიზნესის სხვადასხვა სფეროს დასაგეგმად და გადაწყვეტილებების დასასაბუთებლად.

სასწავლო პროგრამის მიზნები

- ახსნას ფინანსური ანგარიშგების არსი და დანიშნულება;
- განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული ბუღალტრული კონცეფციები და თვისებრივი მახასიათებლები და თვისებრივი მახასიათებლები;
- პრაქტიკაში აჩვენოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ორადი გატარების სისტემის გამოყენება;
- აღრიცხოს ოპერაციები და მოვლენები;
- მოამზადოს საცდელი ბალანსი (შეცდომების კორექტირების ჩათვლით);
- მოამზადოს ძირითადი ფინანსური ანგარიშგების ფორმები საწარმოს ყველა ტიპისათვის.

პროგრამის ძირითადი სფეროები

- ფინანსური აღრიცხვის არსი და დანიშნულება.
- ბუღალტრული აღრიცხვის ფუნდამენტური საფუძვლები და თვისებრივი მახასიათებლები.
- ბუღალტრული აღრიცხვისა და ორადი გატარების სისტემა.
- ოპერაციებისა და მოვლენების აღრიცხვა.
- საცდელი ბალანსის მომზადება.
- ძირითადი ფინანსური ანგარიშგების ფორმების მომზადება.

პროგრამის მიზნები

ქვემოთ წარმოდგენილი დეტალური სასწავლო პროგრამა გვიჩვენებს, თუ სად არის მოცემული ესა თუ ის თემა წიგნში. თითოეულ თავში შეტანილია პროგრამის ვრცელი და ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია ადვილად აღსაქმელი განყოფილებების სახით, რომლებიც შეესაბამება თავის დასაწყისში მოცემულ მიზნებს.

თავი

ა) ფინანსური ანგარიშგების შინაარსი და მიზანი

1. ფინანსური ანგარიშგების მიზეზები და მიზნები
 - ა) განმარტოთ 1
 - ბ) განსაზღვროთ საწარმოთა სხვადასხვა ფორმები: 1
ინდემწარმე, ამხანაგობა, კომპანია
 - გ) განსაზღვროთ იურიდიული განსხვავება ინდემწარმეს, 1
ამხანაგობასა და კომპანიას შორის;
 - დ) განსაზღვროთ ბუღალტრული აღრიცხვის შინაარსი, 16&17
პრინციპები და მოქმედების სფერო;
 - ე) განსაზღვროთ უპირატესობა და ნაკლი ინდემწარმეს, 1
ამხანაგობასა და კომპანიას შორის.
 - ვ) განმარტოთ 1
2. მომხმარებლები და აქციონერები
 - ა) განსაზღვროთ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები 1
და რა ინფორმაცია სჭირდებათ მათ.
3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი კომპონენტები
 - ა) ახსნათ თითოეული ანგარიშგების მიზანი 2
 - ბ) ახსნათ და განსაზღვროთ აქტივები, ვალდებულებები, 2
ამონაგები და ხარჯები.
4. მარეგულირებელი საფუძვლები
 - ა) ახსნათ მარეგულირებელი სისტემა: 20
 - ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი (ბასსკ);
 - ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (ბასსს);
 - სტანდარტების საკონსულტაციო საბჭო (სსს); და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციების კომიტეტი (ფასსიკ);
 - ბ) ახსნათ, როგორ გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესზე 20

**ბ) ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი
მახასიათებლები და აღრიცხვის ფუნდამენტური
საფუძვლები**

1. ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები
- ა) ახსნათ ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებ- 20
ლებისა და სააღრიცხვო კონცეფციების მნიშვნელობა და გან-
მარტოთ და გამოიყენოთ თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი:
 - შესაბამისობა;
 - არსებითობა;
 - საიმედოობა;
 - სამართლიანი წარდგენა;
 - შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა;
 - ნეიტრალობა;
 - წინდახედულობა;
 - სისრულე;
 - შესადარისობა;
 - აღქმადობა;
 - ფუნქციონირებადი საწარმო;
 - დარიცხვები;
 - თანმიმდევრულობა;
 - არსებითობა;
 - ბ) მაგალითზე აჩვენოთ ხარისხობრივ მახასიათებლებს 20
შორის შესაბამისობის მიღწევის პრობლემა
2. ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული
ალტერნატიული საფუძვლები
- ა) ახსნათ პირვანდელი ღირებულების ალტერნატიული 20
პრინციპები, მაგალითად, ჩანაცვლების ღირებულება, ნეტო
სარეალიზაციო ღირებულება, ეკონომიკური ღირებულება
 - ბ) ახსნათ პირვანდელი ღირებულების (პლ) უპირატესობა და 20
ნაკლოვანება ფასების ცვალებადობის დროს
 - გ) ახსნათ, რა იგულისხმება სააღრიცხვო პოლიტიკაში და 18
ბასს 8-ის პირობები სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლი-
ლებებთან მიმართებაში
 - დ) დაადგინოთ სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი ცვლილე- 18
ბის სათანადო სააღრიცხვო მეთოდი ბასს 8-ის მიხედვით.
- გ) ორადი გატარებისა და სააღრიცხვო
სისტემების გამოყენება**
1. ორადი გატარების პრინციპების დაცვა ბუღალტრული
ჩანაწერების გაკეთებისა და პირველადი დოკუმენტების
დამუშავების დროს
- ა) განმარტოთ საბუღალტრო სისტემაში არსებული მონაცემ- 10
თა ძირითადი წყაროები და ჩანაწერები;

- ბ) აღწეროთ სხვადასხვა ტიპის ბიზნესდოკუმენტების მიზანი და შინაარსი, მაგალითად, გაყიდვებისა და შესყიდვების ბრძანება, საქონლის მიტანისა და მიღების ჩანაწერები, საკრედიტო და სადებეტო აკიზო, ფულის მიღების ამონაწერი; 10
 - გ) ახსნათ ბუღალტრული წიგნების წარმოებისა და ორადი ჩაწერის პრინციპები 3
 - დ) ახსნათ საბუღალტრო ტოლობა 3
 - ე) განსაზღვროთ, როგორ უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვა სასურველი ინფორმაციის მოპოვებას და როგორ შეესაბამება იგი საწარმოს პოლიტიკასა და ანგარიშგების წარდგენის საბოლოო ვადებს 1
 - ვ) დაასახელოთ სამეურნეო ოპერაციების ძირითადი ტიპები, მაგალითად, გაყიდვები, შესყიდვები, გადახდები, მიღება. 2
2. ბუღალტრული ანგარიშები, პირველადი გატარების წიგნები და ჟურნალები
- ა) ახსნათ ბუღალტრული წიგნების წარმოებისა და ორადი ჩაწერის პრინციპები; 3
 - ბ) გამოიყვანოთ ნაშთები ბუღალტრულ წიგნებში და ნაშთები გადაიტანოთ ბუღალტრული წიგნებიდან საცდელ ბალანსში 3
 - გ) მოამზადოთ საცდელი ბალანსიდან მოგებისა და ზარალის და ბალანსის მარტივი ანგარიშგება 3
 - დ) ახსნათ და აჩვენოთ ბუღალტრული წიგნების დახურვის პროცესი, როცა ფინანსური ანგარიშგება მომზადდება 3
3. სააღრიცხვო სისტემა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გაყვანა ფინანსურ ანგარიშგებაზე
- ა) დაახასიათოთ სააღრიცხვო ჩანაწერების ფორმები ტიპურ კომპიუტერიზებულ სისტემაში 14
 - ბ) შეადაროთ ხელით აღრიცხვისა და კომპიუტერიზებული აღრიცხვის სისტემები 14
 - გ) განსაზღვროთ კომპიუტერიზებული სისტემების უპირატესობანი და ნაკლოვანებანი 14
 - დ) ახსნათ მიკროკომპიუტერების ბუნება და გამოყენების სფეროები 14
 - ე) აღწეროთ აღრიცხვის კომპიუტერული სისტემის ძირითადი ელემენტები 14
 - ვ) აღწეროთ, კიდევ რა საქმიანობაში შეიძლება კომპიუტერების გამოყენება 14
 - ზ) აღწეროთ ელექტრონული ცხრილების ბუნება და დანიშნულება 14
 - თ) აღწეროთ მონაცემთა ბაზების ბუნება და დანიშნულება 14

დ) ოპერაციებისა და მოვლენების აღრიცხვა

1. გაყიდვები და შესყიდვები

- ა) ბუღალტრულ წიგნებსა და პირველადი აღრიცხვის ჟურნალებში გაყიდვებისა და შესყიდვების აღრიცხვა 10
- ბ) ახსნათ შესყიდვებისა და გაყიდვების უკანდაბრუნება და მათი ჩაწერა ბუღალტრულ წიგნებში 3
- გ) გამოთვალეთ და ჩაწერეთ ფასდათმობები 5
- დ) სწორად გამოთვალეთ ბრუნვის გადასახადი სამეურნეო ოპერაციების მიხედვით 5
- ე) აწარმოეთ შესყიდვებისა და გაყიდვების ბრუნვის გადასახადის ჩანაწერები ბუღალტრული ანგარიშებში. 3

2. სალარო

- ა) ჩაწერეთ ფულადი ოპერაციები ბუღალტრულ წიგნში 3
- ბ) განმარტოთ მცირე სალაროს წიგნში ნაღდი ანგარიშსწორების ჩანაწერების გაკეთების საჭიროება 10
- გ) მაგალითებზე აჩვენეთ მცირე სალაროს სისტემის ტიპური ფორმატი 10
- დ) განმარტოთ სალაროს მაკონტროლებელი საქვეანგარიშო სისტემის მნიშვნელობა მცირე სალაროს მაკონტროლებისას 10
- ე) ჩამოთვალეთ მცირე სალაროსათვის აუცილებელი მაკონტროლებელი და დამცავი მექანიზმები, რომლებიც ჩვეულებრივ საწარმოში უნდა არსებობდეს 10

3. მარაგი

- ა) ახსნათ მარაგის რაოდენობის დადგენის აუცილებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის 4
- ბ) ახსნათ და აჩვენეთ, როგორ აისახება საწყისი და საბოლოო მარაგი ბუღალტრულ ანგარიშში 4
- გ) ახსნათ ბასს 2-ის – „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები“ – მოთხოვნები მარაგის საბოლოო ნაშთის შეფასებისას 4
- დ) განსაზღვროთ მარაგის საბოლოო ნაშთის თვითღირებულება და ნეტო სარეალიზაციო ღირებულება 4
- ე) ახსნათ და აჩვენეთ, როგორ გამოითვლება მარაგის საბოლოო ნაშთის ღირებულება მისი მოძრაობის სხვადასხვა დონეზე, ფიფო-სა და საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდების გამოყენებით 4
- ვ) შეაფასოთ აქტივის ღირებულებასა და მოგებაზე ფიფო-სა და საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდების გამოყენების გავლენა 4
- ზ) ახსნათ მარაგის მიმართ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები 4
- თ) ახსნათ მარაგის უწყვეტი და პერიოდის ბოლოს აღრიცხვის ჩანაწერები 4

| | | |
|-----------|---|--------|
| ი) | ახსნათ მარაგის შეფასების გავლენა მოგებასა და აქტივებზე | 4 |
| 4. | მატერიალური გრძელვადიანი აქტივები | |
| ა) | განსაზღვრით გრძელვადიანი აქტივები | 2&8 |
| ბ) | ერთმანეთისაგან განასხვაოთ კაპიტალური და ამონაგების დანახარჯები | 2 8 |
| გ) | ახსნათ აქტივების რეესტრის დანიშნულება და მიზანი | 8 |
| დ) | ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ გრძელვადიანი აქტივების შეძენის გატარებები საწარმოს საბუღალტრო წიგნებში | 8 |
| ე) | ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ ნაღდი ანგარიშსწორებით გრძელვადიანი აქტივების გაყიდვის/გასვლის გატარებები | 8 |
| ვ) | ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ ნაწილობრივი გაცვლის გზით გრძელვადიანი აქტივების გაყიდვის/გასვლის გატარებები | 8 |
| ზ) | ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ, როგორ ჩნდება გრძელვადიანი აქტივების გაყიდვის დროს წარმოქმნილი მოგება ან ზარალი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში | 8 |
| თ) | ახსნათ და ჩაწეროთ გრძელვადიანი აქტივების გადაფასება ბუღალტრული ანგარიშებსა და ბალანსში | 8 |
| ი) | ახსნათ გადაფასების გავლენა ცვეთის აღრიცხვასა და გრძელვადიანი აქტივების გასვლაზე | 8 |
| კ) | ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ, თუ როგორ ბალანსდება გრძელვადიანი აქტივები და როგორ აისახება მათი მოძრაობა ფინანსურ ანგარიშგებებში | 8 |
| 5. | ცვეთა | |
| ა) | განსაზღვრით და ახსნათ ცვეთის მიზანი | 8 |
| ბ) | ახსნათ ცვეთის წრფივი და ნაშთის შემცირებადი მეთოდები და გააკეთოთ აუცილებელი გამოთვლები | 8 |
| გ) | ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ, როგორ უნდა აღრიცხოთ ცვეთის ხარჯი და დაგროვილი ცვეთა ბუღალტრული ანგარიშებში | 8 |
| დ) | ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ, როგორ აისახება ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და ბალანსში | 8 |
| ე) | ახსნათ ცვეთის აღრიცხვის დროს თანმიმდევრობისა და სუბიექტურობის შესაბამისობა | 8 |
| ვ) | გააკეთოთ სათანადო კორექტირება, თუ გრძელვადიანი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა/ ნარჩენი ღირებულება იცვლება | 8 |
| ზ) | აეხსნათ ცვეთის ხარჯი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებასა და ბალანსში | 8 |

| | |
|--|----|
| 6. არამატერიალური გრძელვადიანი აქტივები | |
| ა) გაიგოთ განსხვავება მატერიალურ და არამატერიალურ გრძელვადიან აქტივებს შორის | 18 |
| ბ) დაადგინოთ არამატერიალური გრძელვადიანი აქტივების ტიპები | 18 |
| გ) ახსნათ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები | 18 |
| დ) გამოთვალეთ მოცემული ინფორმაციიდან საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ბალანსში და ხარჯად ასაღიარებელი რაოდენობა | 18 |
| ე) ახსნათ ამორტიზაციის მიზანი | 18 |
| ვ) გამოთვალეთ ამორტიზაციის ხარჯი და სწორად აღრიცხვით იგი | 18 |
| 7. დარიცხვები და წინასწარგადახდები | |
| ა) ახსნათ, როგორ შეესაბამება შესაბამისობის კონცეფცია დარიცხვებსა და წინასწარგადახდებს | 6 |
| ბ) ახსნათ დარიცხვისა და წინასწარგადახდილი ხარჯების კორექტირების აუცილებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის | 6 |
| გ) პრაქტიკულად განახორციელოთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის აუცილებელი დარიცხვისა და წინასწარგადახდილი ხარჯების კორექტირების პროცესი | 6 |
| დ) მოამზადოთ დარიცხვისა და წინასწარგადახდების ჟურნალური ჩანაწერები | 6 |
| ე) ახსნათ დარიცხვისა და წინასწარგადახდების გავლენა მოგებასა და ნეტო აქტივებზე. | 6 |
| 8. დებიტორული და კრედიტორული დავალიანება | |
| ა) განმარტოთ მყიდველებისათვის კრედიტით მიყიდვის პირობების უპირატესობა და ნაკლი | 2 |
| ბ) ჩაატაროთ ვადაგასული დებიტორული დავალიანების ანალიზი | 7 |
| გ) დაადგინოთ კრედიტის ლიმიტის მიზეზები | 7 |
| დ) ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ კრედიტორული და დებიტორული დავალიანების მაგალითები | 7 |
| ე) ასახოთ დაუბრუნებადი ვალების ჩამოწერა საბუღალტრო ჩანაწერებში | 7 |
| ვ) გააკეთოთ დაუბრუნებადი ვალების დაბრუნების ჩანაწერები | 7 |
| ზ) განმარტოთ, რა გავლენას ახდენს დაუბრუნებადი ვალები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებასა და ბალანსზე | 7 |
| თ) მოამზადოთ საბუღალტრო ჩანაწერები დებიტორული დავალიანების ანარიცხვების შესაქმნელად და მისი კორექტირებისათვის | 7 |

| | |
|---|----|
| ი) აჩვენოთ, როგორ უნდა ასახოთ დებიტორული დავალიანების ანარიცხების ანგარიშის ნაშთების სხვაობა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სად გამოჩნდება დებიტორული დავალიანების ანარიცხების საბოლოო ნაშთი ბალანსში | 10 |
| კ) გააკეთოთ კონტრალური გატარებები დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების წიგნების ანგარიშების ურთიერთჩათვლისას | 10 |
| ლ) დააჯგუფოთ მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები ბალანსში | 2 |
| 9. ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულება | |
| ა) განმარტოთ ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულება | 18 |
| ბ) დააჯგუფოთ მოცემული ინფორმაცია ანარიცხების, პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების მუხლების მიხედვით | 18 |
| გ) სწორად აღრიცხოთ ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები | 18 |
| დ) ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულების გამოთვლის სხვადასხვა მეთოდები | 18 |
| ე) გამოთვალოთ ანარიცხები და მისი სხვაობა და სწორად აღრიცხოთ ეს სხვაობა | 18 |
| ვ) წარადგინოთ ანარიცხები საბოლოო ანგარიშებში | 18 |
| 10. კაპიტალის სტრუქტურა და საპროცენტო ხარჯები | |
| ა) ახსნათ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა: (i) ჩვეულებრივი აქციები; (ii) პრივილეგიური აქციები; (iii) სასესხო თამასუქები. | 17 |
| ბ) ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ საემისიო კაპიტალის ანგარიში | 17 |
| გ) განმარტოთ აქციების გამოშვების უფლება და მისი უპირატესობა და ნაკლოვანება | 17 |
| დ) ასახოთ აქციების გამოშვებითი უფლება საბუღალტრო წიგნებში და აჩვენოთ მათი გავლენა ბალანსზე | 17 |
| ე) ახსნათ ბონუსური აქციის (კაპიტალიზაცია) გამოშვება და მისი უპირატესობა და ნაკლოვანება | 17 |
| ვ) აღრიცხოთ ბონუსური აქციების გამოშვება საბუღალტრო წიგნებში და აჩვენოთ მათი გავლენა ბალანსზე | 17 |
| ზ) განმარტოთ და მაგალითებზე აჩვენოთ რეზერვის სხვა სახეები, რომლებიც შეიძლება კომპანიის ბალანსის შემადგენელი იყოს | 17 |

| | | |
|--|--|----|
| თ) | ახსნათ, რატომ აქვს სესხის აღებით დაფინანსების მოპოვებას უპირატესობა აქციების გამოშვებასთან შედარებით | 17 |
| ი) | ახსნათ მოგების გადასახადის გავლენა კომპანიის მოგებასა და მაგალითებზე აჩვენოთ მათი აღრიცხვა | 17 |
| კ) | ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ დივიდენდების აღრიცხვა | 17 |
| ე) საცდელი ბალანსის მომზადება | | |
| 1. საცდელი ბალანსი | | |
| ა) | ახსნათ საცდელი ბალანსის მიზანი | 3 |
| ბ) | ნაშთები გადაიტანოთ საცდელ ბალანსში | 3 |
| გ) | ახსნათ ის შეცდომები, რომელთა გამოვლენა საცდელ ბალანსში შეუძლებელია | 3 |
| დ) | მომზადოთ საცდელი ბალანსის ნიმუში | 13 |
| 2. შეცდომების კორექტირება | | |
| ა) | განსაზღვროთ შეცდომის ტიპები, რომლებიც შეიძლება შეგვხედეს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში | 13 |
| ბ) | გამოავლინოთ შეცდომები, რომლებიც საცდელი ბალანსის შედგენისას შეუძნეველია | 13 |
| გ) | განსაზღვროთ შეცდომები, რომლებიც დამხმარე ანგარიშის შედგენას იწვევს | 18 |
| დ) | მომზადოთ ჟურნალური ჩანაწერები დაშვებული შეცდომების გასასწორებლად და დამხმარე ანგარიშის გასანულებლად | 13 |
| ე) | მომზადოთ კორექტირებული მოგების ანგარიში | 13 |
| 3. მაკონტროლებელი ანგარიშები და მათი შეჯერება ინდივიდუალურ ანგარიშებთან | | |
| ა) | ახსნათ, რა შინაარსისაა და რა მიზნებს ემსახურება მაკონტროლებელი ანგარიშები დებიტორული და კრედიტორული დავალიანების საბუღალტრო წიგნებისათვის | 10 |
| ბ) | ახსნათ, არის თუ არა მაკონტროლებელი ანგარიშები ორადი ჩაწერის სისტემის ნაწილი | 10 |
| გ) | მომზადოთ მაკონტროლებელი ანგარიშები მოცემული ინფორმაციიდან | 10 |
| დ) | მომზადოთ, შეაჯეროთ და განსაზღვროთ მომწოდებლის ანგარიშების მიზანი | 11 |
| ე) | დაადგინოთ ის შეცდომები, რომლებიც უნდა გასწორდეს მაკონტროლებელი ანგარიშების შეჯერებით | 11 |
| ვ) | აწარმოოთ ძირითადი მაკონტროლებელი ანგარიშების შეჯერება დებიტორულ და კრედიტორულ ანგარიშებთან, დაადგინოთ და გაასწოროთ შეცდომები მაკონტროლებელ და ინდივიდუალურ ანგარიშებში | 11 |

4. ბანკის ამონაწერის შეჯერება

- ა) დაასახელოთ ბანკის ამონაწერის შეჯერების მიზანი 12
- ბ) განსაზღვროთ ბანკის ამონაწერსა და სალაროს წიგნს შორის არსებული ძირითადი განსხვავება 12
- გ) დაადგინოთ ბანკის ნაშთი ფინანსურ ანგარიშგებაში ასასახად 12
- დ) გაასწოროთ სალაროს წიგნში დაშვებული შეცდომები და ჩანაწერის გამოტოვების შემთხვევები 12
- ე) მოამზადოთ ბანკის ამონაწერთან შეჯერების უწყისი 12
- ვ) მოცემული ინფორმაციიდან გამოიყვანოთ ბანკის ანგარიშისა და სალაროს წიგნის ნაშთები 12

5. დამხმარე ანგარიში

- ა) განსაზღვროთ შეცდომები, რომლებიც დამხმარე ანგარიშის შედგენას იწვევს 13
- ბ) განსაზღვროთ დამხმარე ანგარიშის გამოყენების მიზანი 13
- გ) მოამზადოთ ჟურნალური ჩანაწერები დაშვებული შეცდომების გასასწორებლად და დამხმარე ანგარიშის გასანულებლად 13
- დ) მოამზადოთ შესწორებული შეცდომებით კორექტირებული მოგების ანგარიში 13

ვ) ფინანსური ანგარიშგების მომზადება

1. ბალანსი

- ა) ახსნათ, როგორ ეფუძნება ბალანსი ბუღალტრულ ტოლობასა და საწარმოს ავტონომიურობის კონცეფციას 3
- ბ) გესმოდეთ რეზერვების შინაარსი 17
- გ) ახსნათ და რეზერვები ასახოთ კომპანიის ბალანსში 17
- დ) მოამზადოთ ბალანსი მოცემული ინფორმაციიდან 3
- ე) გესმოდეთ მუხლი „დაგროვილი მოგება“, რატომ აისახება კომპანიის ბალანსში 17

2. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

- ა) მოამზადოთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგება მოცემული ინფორმაციიდან 3
- ბ) ახსნათ, როგორ აისახება ბუღალტრული ტოლობა ამონაგებსა და ზარაჯებზე 3
- გ) გამოთვალოთ ამონაგები, გაყიდული საქონლის თვითღირებულება, საერთო მოგება და წმინდა მოგება მოცემული ინფორმაციიდან 3
- დ) შემოსავალი და ზარაჯები ასახოთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში 3
- ე) მოგების გადასახადი ასახოთ კომპანიის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში 17

| | | |
|---|---|----|
| ვ) | აღიქვით ბალანსსა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას შორის ურთიერთობა | 2 |
| ზ) | ახსნათ მუხლები, რომლებიც მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ცალკე გაყოფას საჭიროებს | 17 |
| 3. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგი მოვლენები | | |
| ა) | ახსნათ ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგეი მოვლენები | 18 |
| ბ) | სწორად აღრიცხვით ფინანსურ ანგარიშგებებში ორივე – მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები | 18 |
| გ) | დააჯგუფოთ მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები | 18 |
| 4. ამხანაგობის ანგარიშები | | |
| ა) | ახსნათ ამხანაგობის ხელშეკრულების ტიპური შინაარსი, მოგების განაწილების პირობების ჩათვლით | 16 |
| ბ) | ახსნათ ამხანაგობისა და ინდმეწარმის საბუღალტრო ჩანაწერებს შორის განსხვავება: - კაპიტალის ანგარიში; - კაპიტალის მიმდინარე ანგარიში; - მოგების განაწილება | 16 |
| გ) | ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ, როგორ უნდა აღირიცხოს მოგების/ზარალის წილების განაწილება და ამოღება ბუღალტრულ ანგარიშებსა და ფინანსურ ანგარიშგებებში | 16 |
| დ) | ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ, როგორ უნდა აღირიცხოს მოგების წილის გარანტირებული მინიმუმი | 16 |
| ე) | ახსნათ, როგორ უნდა აღირიცხოს პარტნიორის მიერ სესხის გაცემა | 16 |
| ვ) | გამოთვალეთ და აღრიცხვით ამოღება და ამოღებაზე დარიცხული პროცენტი | 16 |
| ზ) | გამოთვალეთ და აღრიცხვით ჩადებულ კაპიტალზე დაწესებული პროცენტი | 16 |
| თ) | გამოთვალეთ და აღრიცხვით ამხანაგობის წვერის ხელფასი | 16 |
| ი) | მოამზადოთ მიმდინარე და ფიქსირებული კაპიტალის ანგარიშები | 16 |
| კ) | განმარტოთ გუდვილი, ამხანაგობის წვერების ანგარიშებთან მიმართებაში | 16 |
| ლ) | დაადგინოთ ფაქტორები, რომლებიც გუდვილის წარმოქმნას იწვევს ამხანაგობის წვერების ანგარიშებში | 16 |
| მ) | გამოთვალეთ გუდვილის ღირებულება მოცემული ინფორმაციიდან | 16 |
| ნ) | ახსნათ ახალი პარტნიორის მიღების ეფექტი | 16 |
| ო) | ამოცანა შეიძლება შეიცავდეს ახალი პარტნიორის შემოსვლის ელემენტს | 16 |

შენიშვნა: საგამოცდო კითხვა შეიძლება შეიცავდეს ახალი პარტნიორის მიღების პირობებს

5. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

| | | |
|----|--|----|
| ა) | ანხნათ, რა განსხვავებაა მოგებასა და ფულად სახსრებს შორის | 19 |
| ბ) | ანხნათ რა მნიშვნელობა აქვს მართვისათვის ფულადი სახსრების მოძრაობის კონტროლს | 19 |
| გ) | ანხნათ, რა მნიშვნელობა აქვს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის | 19 |
| დ) | ანხნათ და მაგალითზე აჩვენოთ ფულადი ნაკადების შესვლა და გასვლა ტიპური კომპანიის მაგალითზე | 19 |
| ე) | გამოთვალეთ საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი ნაკადების რაოდენობა არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით | 19 |
| ვ) | გამოთვალეთ საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული და გასული ფულადი ნაკადების რაოდენობა | 19 |
| ზ) | ზ) გამოთვალეთ საფინანსო საქმიანობიდან შემოსული და გასული ფულადი ნაკადების რაოდენობა | 19 |
| თ) | მოამზადოთ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, მოცემული ინფორმაციის საფუძველზე | 19 |

6. არასრული ჩანაწერები

| | | |
|----|--|----|
| ა) | ანხნათ არასრული ჩანაწერების შემთხვევაში გამოყენებული ტექნიკის მეთოდები: | 15 |
| | - საწყისი კაპიტალის გამოთვლა; | |
| | - საბუღალტრო წიგნების გამოყენება გამოტოვებული ციფრის გამოსათვლელად; | |
| | - სალაროსა და ბანკის ჩანაწერების გამოყენება; | |
| | - საერთო მოგების პროცენტის გამოყენება გამოტოვებული ციფრის გამოსათვლელად. | |

წიგნი F3-ის ადგილი სასწავლო პროგრამის სტრუქტურაში

წიგნი F3-ის ათვისების დასაწყისში არ მოითხოვება საწყისი საბაზისო ცოდნა.

ფინანსურ აღრიცხვაში ცოდნის გაღრმავება გრძელდება II და III ეტაპის წიგნებში.

გამოცლა

გამოცლის აღწერა

სასწავლო პროგრამის ცოდნის შეფასება სამსაათიანი გამოცდის მეშვეობით ხდება. საგამოცლო კითხვები მოიცავს სასწავლო პროგრამის ყველა ნაწილს და როგორც გამოსათვლელ, ასევე თეორიულ მასალას.

ორმოცდაათი ორქულიანი კითხვა

ქულების
რაოდენობა
100

100

გამოცდის ხანგრძლივობა: 2.15 სთ

საგამოცლო რჩევები

საგამოცლო დრო გაანაწილეთ ქულების პროპორციულად. ამ საგნის გამოცდის ჩაბარების ერთ-ერთი გზა არის, თითოეულ ქულას დაუთმოდ 1 და 1/3წთ, ანუ ორქულიან კითხვაზე პასუხის გაცემა 2წთ-სა და 40 წმ-ში უნდა დაასრულოთ.

თუ რომელიმე კითხვაზე საერთოდ არ გაქვთ პასუხი, დატოვეთ ადგილი პასუხისთვის, შემდეგ კითხვაზე გადადით და მოგვიანებით დაუბრუნდით მას.

მრავალვარიანტული კითხვები: ყურადღებით წაიკითხეთ კითხვები და ჩაატარეთ საჭირო გამოთვლები. თუ პასუხი არ იცით, გამორიცხეთ ის ვარიანტები, რომლებიც ნამდვილად სწორი გგონიათ და ნახეთ, იქნებ პასუხი უფრო ნათელი გახდეს. უმჯობესია ინტუიციასზე დაყრდნობით განსაზღვროთ საბოლოო პასუხი, ვიდრე საერთოდ არ უპასუხოთ.

მეტადინეობის უნარ-ჩვევები და გამეორების ინსტრუქციები

ამ განყოფილების მიზანია, მოგაწოდოთ რჩევები იმის შესახებ, როგორ უნდა მოემზადოთ ACCA-ის გამოცდებისთვის და როგორ უნდა გააუმჯობესოთ თქვენთვის ცნობილი მეტადინეობის ხერხები.

სწავლისთვის მომზადება

დასახეთ მიზნები

სანამ მეცადინეობას შეუდგებით, კარგი იქნება, თუ ზუსტად გადაწყვეტთ, რისი მიღწევა გასურთ – მარტო სერტიფიცირებული ბუღალტერი გახდეთ ან ჩააბაროთ რომელიმე კონკრეტული წიგნი, თუ თან დაეუფლოთ გამოცდების ჩაბარების ხელოვნებას. რა გადაწყვეტილებასაც მიიღებთ, იმაზე იქნება დამოკიდებული თქვენი ვალდებულების დონე და დრო, რომელიც სწავლას უნდა დაუთმოთ.

მეცადინეობის გეგმის შედგენა

განსაზღვრეთ კვირის ყველა დრო, როდესაც შეძლებთ მეცადინეობას.

შემდეგ ეს დრო უნდა დაყოთ სესიებად – თითოეული ახალი მასალის შესასწავლად სულ მცირე, ერთი საათი მაინც უნდა გამოყოთ. შედარებით მცირე დრო შეგიძლიათ დაუთმოთ გამეორებას ან სავარჯიშოებს.

მეცადინეობის გეგმაში სწავლისათვის განკუთვნილი დრო გაანაწილეთ დღეგანდელი დღიდან გამოცდამდე დარჩენილი კვირების მიხედვით. მეცადინეობის თითოეული პერიოდისათვის თავად ჩამოაყალიბეთ მიზნები – თქვენმა სესიებმა უნდა მოიცვას მთელი სასწავლო კურსი, შესაბამისი დავალებები (სავარჯიშოები) და გამეორება.

თუ ერთდროულად ერთზე მეტი წიგნის (საგნის) სწავლას აპირებთ, ეცადეთ გამოიჯნოთ ეს საგნები. ეს დაგეხმარებათ იმის გაგებაში, რომ თქვენი საგამოცდო საგნები იმაზე გაცილებით მეტ ცოდნას მოგცემთ, ვიდრე გჭირდებათ, როგორც ბუღალტერს.

მუშაობის პროცესში თქვენი მიღწევები შეუდარეთ მეცადინეობის გეგმას და, თუ აუცილებელია, ხელახლა დაგეგმეთ სამუშაო (შეიძლება დაუმატოთ სესიები) ან, თუ ხელავეთ, რომ გეგმას გაასწარიოთ, დამატებით დაგეგმეთ საკითხების გამეორება, ან დამატებით ივარჯიშეთ სავარჯიშოების წიგნში მოცემულ კითხვებზე.

ეფექტიანი სწავლის პროცესი

აქტიური კითხვის პროცესი

თქვენ არ გევალებათ ტექსტის დაზეპირება, მაგრამ კარგად უნდა გაიგოთ ის, რასაც კითხულობთ, გამოიყენოთ გამოცდის ჩასაბარებლად და საუკეთესო პრაქტიკული ცოდნის შესაძენად. სწავლის საუკეთესო ტექნიკა მოიცავს შემდეგ ეტაპებს – გამოკვლევას, კითხვების მოფიქრებას, წაკითხვას, გახსენებას, მიმოხილვას.

1. თავის გამოკვლევა – გადახედეთ სათაურებს და წაკითხეთ შესავალი, რეზიუმე და მიზნები ისე, რომ წარმოადგენა შეიქმნათ, რას ეხება მოცემული თავი.
2. კითხვების მოფიქრება – როდესაც დაამთავრებთ თავის გამოკვლევას, საკუთარ თავს დაუსვით კითხვები, რომლის პასუხებსაც იმედოვნებთ, რომ იპოვით ამ თავში.
3. წაკითხვა – გულმოდგინეთ წაკითხეთ მთელი თავი, უპასუხეთ კითხვებს და დარწმუნდით, რომ მიაღწიეთ მიზანს. გარკვეული დრო უნდა დაუთმოთ სავარჯიშოებსაც, სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებსაც და იმუშაოთ ყველა მაგალითზე.
4. გახსენება – თითოეული პარაგრაფისა და თავის წაკითხვის დამთავრების შემდეგ, სახელმძღვანელოში ჩაუხედავად ჩამოწერეთ მოცემული პარაგრაფის/თავის ძირითადი ცნებები. უმჯობესია, თუ წაკითხვის დამთავრების შემდეგ, ორიოდე წუთით შეისვენებთ და შემდეგ გადახვალთ გახსენების სტადიაზე.
5. მიმოხილვა – შეამოწმეთ, სწორია თუ არა თქვენ მიერ ჩამოწერილი გასახსენებელი შენიშვნები.

შეიძლება სასარგებლოდ მიიჩნიოთ თავის ხელახლა გადაკითხვა და განხილული საკითხების მთლიანობაში წარმოდგენა.

ჩანაწერების გაკეთება

მოკლე ჩანაწერების გაკეთება, შენიშვნების სახით, შეიძლება მასალის ათვისების სასარგებლო ხერხი იყოს. მაგრამ, შენიშვნები პირდაპირ არ უნდა გადაიწეროთ ტექსტიდან. ჩანაწერები უნდა:

- იყოს თქვენი სიტყვებით გადმოცემული;
- იყოს მოკლე;
- მოიცავდეს ძირითად საკითხებს;
- იყოს კარგად ჩამოყალიბებული;

- მოდიფიცირებული ისეთნაირად, როგორც სწავლობთ შემდეგ თავებს ამ სახელმძღვანელოში ან სხვა საგანში.

სცადეთ კონსპექტის გაკეთება სახელმძღვანელოში ჩაუხედავად – ეს საუკეთესო გზაა იმის დასადგენად, რა იცით და რა არ იცით.

ჩანაწერების გაკეთების სამი გზა:

შეჯამეთ თავის ძირითადი საკითხები.

ჩამოწერეთ გრძელი შენიშვნები – სათაურების ჩამონათვალი, რომელიც დაყოფილი იქნება ქვესათაურების ქვეშ ჩამოწერილ ძირითად თეზებად. თუ ამგვარ შენიშვნებს გამოიყენებთ, განსხვავებული ფერებით გამოყავით ძირითადი თეზები და თემატიკის მიხედვით შეინახეთ ერთად. დიდი ადგილი დაუთმეთ ჩანაწერებს, რათა გაგიაღვივებთ გამოყენება.

გამოიყენეთ ჩანაწერების მესამე მეთოდი, სქემატური ფორმის – რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია მეხსიერების რუკა. მეხსიერების რუკის მოსამზადებლად ძირითადი სათაური მოათავსეთ ფურცლის ცენტრში და შემოაღვლეთ წრეხაზი. შემდეგ გაავლეთ მოკლე ხაზები ამ წრეხაზიდან ძირითად ქვესათაურებამდე, რომლებიც ასევე წრეხაზში უნდა მოათავსოთ. ქვესათაურებიდან პროცესი გააგრძელეთ კიდევ უფრო ღრუბლივით საკითხებამდე, უპირატესობებისაკენ, ნაკლოვანებებისაკენ და ა.შ.

ფერებით გამოყოფა ან გახაზვა

თქვენ შეიძლება გერჩიოს, სახელმძღვანელოში სხვადასხვა ფერით გახაზოთ ან უბრალოდ გაუსვით ხაზი ძირითად საკითხებს – რას აირჩევთ, ეს თქვენი გადასაწყვეტია. ასევე შეგიძლიათ მონიშნოთ საკითხები ფურცლის მინდორზე, რაც დაგეხმარებათ მასალის შესწავლასა და გამეორებაში.

გამეორება

გამეორების საუკეთესო საშუალებაა ისევე გაიმეოროთ პროგრამა, როგორც მუშაობდით. გარდა ამისა, ოთხი-ექვსი კვირა უნდა მოიტოვოთ გამოცდამდე – საბოლოო გამეორებისათვის. დარწმუნდით, რომ გაიარეთ მთელი პროგრამა. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ იმ ადგილებს, რომლებიც სუსტად იცოდით. ვთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას ნაყოფიერი გამეორებისთვის:

ხელახლა წაიკითხეთ მთელი ტექსტი, თქვენი ჩანაწერები და კიდევ უფრო მოკლედ ჩამოაყალიბეთ შენიშვნები (ჩანაწერები) ძირითად ფრაზებში. შეიძლება გამოგადგეთ ძირითადი გასამეორებელი პუნქტების ჩამოწერა ინდექსირებულ ბარათებში, რათა უცებ გადაავლოთ თვალი, როდესაც გასამეორებლად რამდენიმე წუთი გექნებათ თავისუფალი.

მიმოიხილეთ ყველა დავალება, რომელიც შეასრულეთ და შეხედეთ, სად დაგაკლდათ ქულები – მეტი დრო დაუთმეთ იმ სფეროებს, რომლებიც სუსტად იცით.

სტანდარტულ საგამოცდო კითხვებზე ვარჯიშისას დაინიშნეთ დრო.

თუ რომელიმე საკითხი ვერ გაიგეთ, ვინმეს (პედაგოგს) სთხოვეთ მისი ახსნა.

წაიკითხეთ გაზეთები და პროფესიული ჟურნალები – ეს დაგეხმარებათ, ყოველთვის უახლესი მოვლენების საქმის კურსში იყოთ და უპირატესობა გექნებათ გამოცდაზე.

დარწმუნდით, რომ იცით გამოცდის სტრუქტურა – რამდენ კითხვასა და რა ტიპის კითხვებზე იმედოვნებთ პასუხის გაცემას. გამეორებისას სცადეთ განსხვავებული ტიპის ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა.




ბუღალტრული აღრიცხვის შესავალი

თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- განმარტოთ, რა არის ბუღალტრული აღრიცხვა;
- განსაზღვროთ საწარმოთა სხვადასხვა ფორმები:
 - ინდმეწარმე
 - ამხანაგობა
 - კომპანია
- განსაზღვროთ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები და რა ინფორმაცია სჭირდებათ მათ;
- განსაზღვროთ ბუღალტრული აღრიცხვის შინაარსი, პრინციპები და მოქმედების სფერო;
- განსაზღვროთ, როგორ უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვა სასურველი ინფორმაციის მოპოვებას და როგორ შეესაბამება იგი საწარმოს პოლიტიკასა და ანგარიშგების წარდგენის საბოლოო ვადებს.



1. ბულალტრული აღრიცხვის განმარტება

ბულალტრული აღრიცხვა შედგება ორი ელემენტისაგან:

ჩაწერა
წარმოებაში განხორციელებული ოპერაციების რეგისტრაცია უნდა მოხდეს განხორციელებისთანავე, ყოველდღიური მართვისათვის ინფორმაციის მოსაშაბლელად მენეჯერებისათვის განახლებული ინფორმაციის მისაწოდებლად

განზოგადება
გარკვეული პერიოდის ოპერაციები განზოგადდება დაინტერესებულ პირთათვის, საწარმოს საქმიანობის შედეგებისა და მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით

ფინანსური ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება
გვიჩვენებს ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებს ერთი წლის განმავლობაში

ბალანსი
გვიჩვენებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას იმ წლის ბოლოსათვის, რომელსაც მოიცავს მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

2. საწარმოთა სხვადასხვა ფორმები

საწარმო შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა გზით:

- ინდემწარმე – ეკუთვნის ერთ პირს და იმართება მის მიერ.
- ამხანაგობა – ეკუთვნის რამდენიმე პირს და იმართება მათ მიერ.
- კომპანია – ეკუთვნის მრავალ ადამიანს და მართავს მრავალი ადამიანი (თუმცა, აუცილებელი არ არის მმართველობაში იყვნენ იგივე პირები).



განვრცობილი ტექსტი

ინდემწარმე

საწარმოს ყველაზე მარტივი ფორმაა ინდემწარმე. იგი ეკუთვნის ერთ პირს და იმართება მის მიერ, თუმცა, შესაძლებელია, მას ჰყავდეს თანამშრომელთა გარკვეული რაოდენობა. ინდემწარმე პერსონალურად და მთელი თავისი ქონებით პასუხისმგებელია კრედიტორების წინაშე, საწარმოს ნებისმიერი ზარალის გამო.

ამხანაგობა

ამხანაგობა საწარმოს ფორმაა, როცა რამდენიმე პირი ერთობლივად ფლობს და მართავს ბიზნესს. ამხანაგობის წევრები ერთობლივად და ცალ-ცალკე არიან პასუხისმგებელნი კრედიტორების წინაშე, საწარმოს ნებისმიერი ზარალის გამო. ტრადიციულად, ბუღალტრული დიდი ფირმები ირჩევენ ამხანაგობის ფორმას, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა შეცვალა თავისი ფორმა კომპანიებით.

კომპანია


კომპანია ეკუთვნის აქციონერებს. იგი შეიძლება შექმნას ერთმა ან ათასობით აქციონერმა. აქციონერებს კომპანიის წევრებს უწოდებენ. თითოეული აქციონერი ფლობს კომპანიის ნაწილს. აქციონერები ერთობლივად ირჩევენ დირექტორებს, რომლებიც მართავენ საწარმოს. დირექტორებს ხშირად აქვთ ამ კომპანიის აქციები, თუმცა ყველა აქციონერი არ არის დირექტორი.

კომპანიები თითქმის ყოველთვის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიები არიან. ეს ნიშნავს იმას, რომ აქციონერები პერსონალურად არ არიან პასუხისმგებელნი კომპანიის მევალეების წინაშე. მათი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება იმ აქციების ნომინალური ღირებულებით, რომელიც თავის წილად ჩადეს ამ ბიზნესში. მათი აქციები შეიძლება გაუფასურდეს, მაგრამ მათ ვერ აიძულებენ ვალების დაფარვას.

შეზღუდული პასუხისმგებლობა მიიღწევა იმით, რომ კომპანია მიჩნეულია მთლიანად ცალკე იურიდიულ პირად.

სამივე ფორმის სამეურნეო სუბიექტის შემთხვევაში, ინდემწარმის, პარტნიორების ან აქციონერების მიერ ჩადებულ თანხას ეწოდება საწარმოს კაპიტალი. კომპანიის შემთხვევაში, ეს კაპიტალი დაყოფილია აქციებად/წილებად.

3. ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები



შეამოწმე შენი ცოდნა 1

თქვენი აზრით, რამდენად საჭიროა ფინანსური ანგარიშგება – ბალანსი და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება მომხმარებლის თითოეული ეგზოფისისთვის?

- ხელმძღვანელები
- ინვესტორები და პოტენციური ინვესტორები

- დაქირავებული მომუშავეები და პროფკავშირების წარმომადგენლები
- სესხის გამცემები
- სამთავრობო უწყებები
- მომწოდებლები
- მყიდველები
- კონკურენტები
- საზოგადოება

4. აღრიცხვის ფორმები

აღრიცხვა

ფინანსური აღრიცხვა

- ფინანსური ანგარიშგება მზადდება გარე მომხმარებლებისათვის.
- მზადდება ყოველწლიურად (ზოგიერთ ქვეყანაში ყოველ 6 თვეში ან კვარტალში ერთხელ).
- ჩვეულებრივ მოითხოვება კანონით.
- წარმოადგენს წარსულში მომხდარი და მიმდინარე მოვლენების ჩანაწერს.
- ინფორმაცია მუშავდება კანონმდებლობის და ბუნებრივი აღრიცხვის მკაცრი მოთხოვნების შესაბამისად.

მმართველობითი აღრიცხვა

- მმართველი იყენებს აღრიცხვის დეტალურ საწარმოს კონტროლისა და მისი შემდგომი საქმიანობის დაგეგმვისათვის.
- მზადდება თვეში ერთხელ (მონაცვლელობით).
- არ მოითხოვება კანონით.
- მოიცავს ბიუჯეტს და მომავალი საქმიანობის პროგნოზს და, ამავე დროს, წარმოადგენს წარსულში მომხდარი მოვლენების ჩანაწერს.
- მზადდება მართვისათვის შესაფერისი ინფორმაცია.



განვრცობილი ტექსტი

ფინანსური აღრიცხვა

ფინანსური აღრიცხვა, უმთავრესად, ეხება ფინანსური ანგარიშგების მომზადებას გარე მომხმარებლებისათვის. ეს ანგარიშგება გვიჩვენებს, თუ როგორ გამოიყენა ღირებულებები საბჭომ აქციონერების მიერ მათდამი მინდობილი თანხები.

ინვესტორებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აირჩიონ, რომელ კომპანიაში დააბანდონ თავისი კაპიტალი და შეადარონ თავიანთი ინვესტიციები. ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს აღიარებული სააღრიცხვო კონცეფციებისა და სტანდარტების გამოყენებით, რათა ინვესტორებს ჰქონდეთ შედარების შესაძლებლობა.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IASs) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRSs) გვეხმარება, შევამციროთ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადების გზებს შორის განსხვავება.

ფინანსური ანგარიშგება საჯარო დოკუმენტია და იგი არ გვიჩვენებს დეტალებს, მაგალითად როგორცაა, თითოეული პროდუქტის მომგებიანობა.

მმართველობითი აღრიცხვა

მმართველობითი აღრიცხვა მოითხოვს გაცილებით მეტ დეტალურ და ახალ ინფორმაციას საწარმოს კონტროლისა და შემდგომი საქმიანობის დაგეგმვისათვის. მათ სჭირდებათ მონაცემები წარმოების მეთოდებისა და საწარმოო პროცესების ღირებულების შესახებ მომგებიანობის შესაფასებლად და ა.შ. ამიტომ მმართველობითი აღრიცხვა ისეთ ინფორმაციას ამზადებს, რომელიც მენეჯერებს სჭირდებათ, მაგალითად, რესურსების გამოყენებისას, ან სერიული წარმოებისათვის.

მმართველობითი აღრიცხვა მმართველობითი საქმიანობის შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანია იდენტიფიკაცია, წარდგენა და ინტერპრეტირება იმ ინფორმაციისა, რომელიც გამოიყენება:

- სტრატეგიის შემუშავებისათვის;
- საქმიანობების დაგეგმვისა და კონტროლისათვის;
- გადაწყვეტილებების მისაღებად;

რესურსების ოპტიმალურად გამოყენებისათვის.


5. როგორ ეხმარება სააღრიცხვო სისტემა საჭირო ინფორმაციის წარდგენას

სააღრიცხვო სისტემის ძირითადი თვისებები და როგორ ეხმარება იგი საწარმოს ინფორმაციის მიწოდებაში:

- საწარმოს მიერ განხორციელებული ყველა ოპერაცია სწრაფად ხელმისაწვდომი შეიძლება გახდეს კომპიუტერული სისტემის საშუალებით, რითაც იოლდება ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება;
- ის ასახავს ინფორმაციას სათანადო ბუღალტრულ ანგარიშში საწარმოს მიერ განხორციელებული ოპერაციის დეტალების შესახებ;
- ბუღალტრული ანგარიშების დახურვის შემდეგ ღებინდება საბოლოო ნაშთები. ასე ხდება საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების დადგენა;
- იგი გვაწვდის საბოლოო ნაშთების ჯამს;
- ეს ნაშთები გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

ჩვეულებრივ, ფინანსური ანგარიშგება მზადდება დადგენილი ინტერვალთ. სააღრიცხვო სისტემა საწარმოს საშუალებას აძლევს მოიპოვოს მონაცემები და, აგრეთვე, მოამზადოს მისი ფინანსური ანგარიშგება მომგებიანობის, ლიკვიდურობის, რისკის ფაქტორისა და სხვათა დასადგენად, მითითებული პერიოდის განმავლობაში. შიდა მოხმარებისათვის ეს ინფორმაცია შეიძლება მომზადდეს ყოველთვიურად. გარე მოხმარებისათვის ანგარიშგება, ჩვეულებრივ, მზადდება ყოველწლიურად.

თავის რეზიუმე



შეამოწმე შენი პასუხი

შეამოწმე შენი ცოდნა 1

- ხელმძღვანელობას აინტერესებს დეტალური ინფორმაცია საწარმოს გასაკონტროლებლად და გეგმების შესამუშავებლად. საწარმოს ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, ბუღალტერს შეუძლია მოამზადოს ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ციფრები, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს საბიუჯეტო მონაცემებთან შესადარებლად. ხელმძღვანელობამ საჭიროა ასევე იცოდეს თითოეული განყოფილებისა და პროდუქტის მოგებიანობა. მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაცია უნდა მოიცავდეს განახლებულ ინფორმაციას და მზადდებოდეს ყოველთვიურად.
- ინვესტორებს და პოტენციურ ინვესტორებს აინტერესებთ თავიანთი პოტენციური მოგება და ჩადებული კაპიტალის უსაფრთხოება. მომავალი მოგების გათვლა შესაძლებელია კომპანიის წარსული საქმიანობიდან, რომელიც მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაშია ნაჩვენები. ინვესტიციის უსაფრთხოება შეიძლება დადგინდეს კომპანიის ბალანსში. ინვესტორების ყველაზე დიდი და რთული ჯგუფებია ინსტიტუციური ინვესტორები, როგორებიცაა საპენსიო და საინვესტიციო სატრასტო ფონდები.
- დაქირავებულ მუშაკებსა და პროფკავშირების წარმომადგენლებს აინტერესებთ, შეუძლია თუ არა კომპანიას უზრუნველყოს ისინი სტაბილური სამსახურით ან სამსახურებრივი წინსვლით, დროთა განმავლობაში კომპანიის ზრდის შედეგად. ასევე მათ აინტერესებთ ხელფასებისა და იმ სარგებლის მიღების შესაძლებლობა, რომელიც ხელმძღვანელობამ შეიძლება გასცეს. მათ ასევე დააინტერესებთ, საწარმოს ნაწილობრივი დახურვის საშიშროების შემთხვევაში, მოგების წილის მიღების შესაძლებლობაც.
- სესხის გამცემებს სურთ იცოდნენ, დაიბრუნებენ თუ არა გაცემულ სესხებს. ისინი შეისწავლიან ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებას, რათა დარწმუნდნენ, რომ კომპანია შეძლებს განსაზღვრულ ვადაში დააბრუნოს სესხი და გადაიხადოს მოთხოვნილი პროცენტები ამ ვადის დადგომამდე. მომხმარებელთა ამ ჯგუფისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იცოდეს კომპანიის ფულადი სახსრების ოდენობა და აქტივების ღირებულება, რაც სესხის გადახდის გარანტიას წარმოადგენს. ამ აქტივების ღირებულება მითითებულია ბალანსში.
- სამთავრობო უწყებებს ფინანსური ინფორმაცია სჭირდებათ ეკონომიკაზე მონიტორინგისა და გადასახადების მოკრების მიზნით. ისინი სააღრიცხვო ინფორმაციას იყენებენ სტატისტიკური ინფორმაციის შეკრებისას, რათა განსაზღვრონ მთლიანად ეკონომიკის განვითარების ტენდენციები, ხოლო საგადასახადო სამსახურები სააღრიცხვო ინფორმაციას მოგების შესაფასებლად იყენებენ, რომლის მიხედვითაც ანგარიშობენ კომპანიების საგადასახადო ვალდებულებას.

- მომწოდებლებს აინტერესებთ კომპანია გადაუხდისუნარიანია თუ არა. ახალი მომწოდებლები შესაძლებელია დაინტერესდნენ კომპანიის ფინანსური მდგომარეობით პროდუქციით მომარაგებაზე დათანხმებამდე.
- მყიდველებს აინტერესებთ, შეძლებს თუ არა კომპანია მომავალშიც მათ მომარაგებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი დამოკიდებულია განსაკუთრებულ საქონელზე, რომელსაც კომპანია აწვდის.
- კონკურენტებს სურთ შეადარონ თავიანთი საქმიანობა სხვა კომპანიების საქმიანობას და იცოდნენ რაც შეიძლება მეტი მათი კონკურენტის შესახებ, რათა შეძლონ სტრატეგიული გეგმის შემუშავება.
- საზოგადოება შესაძლოა დაინტერესდეს, როგორ გავლენას ახდენს კომპანია ეკონომიკაზე, ეკოლოგიასა და ადგილობრივი საზოგადოებრიობის წევრებზე. კომპანიას შეუძლია დაეხმაროს ადგილობრივი საზოგადოების ჯგუფებს დასაქმებაში და მფარველობა გაუწიოს მათ. ზოგიერთი კომპანია ჩართულია კორპორაციული პასუხისმგებლობის პროგრამებში, რომლის დანიშნულებაცაა ეკოლოგიაზე, ეკონომიკასა და საზოგადოებებზე ზრუნვა და მხარდაჭერა. მაგ., ნარჩენების გადამუშავების პროგრამა.




ბალანსი და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- ახსნათ ფინანსური ანგარიშგების ძირითადი კომპონენტები:
 - ბალანსი;
 - მოგებისა და ზარალის ანგარიშგება;
- ახსნათ თითოეული ანგარიშგების მიზანი;
- დაასახელოთ სამეურნეო ოპერაციების ძირითადი ტიპები;
- ახსნათ, ბალანსი როგორ ეფუძნება საბალანსო ტოლობისა და საწარმოს აკტონომიურობის პრინციპებს;
- განსაზღვროთ აქტივები და ვალდებულებები;
- განასხვავოთ დებიტორული და კრედიტორული დავალიანების მგაღლითები;
- ახსნათ, როგორ და რატომ არიან აქტივები და ვალდებულებები ბალანსის ელემენტები;
- შეადგინოთ ბალანსის მარტივი ვერტიკალური ფორმატი;
- ახსნათ შესაბამისობის კონცეფცია და როგორ მიმართებაშია ის ამონაგებთან და ხარჯებთან;
- ახსნათ როგორ და რატომ არის ამონაგები და ხარჯები მოგებისა და ზარალის ელემენტები;
- წარმოიდგინოთ, როგორი ურთიერთკავშირი არსებობს ბალანსსა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებებს შორის;
- შეადგინოთ მოგებისა და ზარალის მარტივი ვერტიკალური ფორმატი;
- განასხვავოთ თითოეული გატარების ორი მხარე (ორადი გატარების კონცეფცია);
- დაადგინოთ თითოეული ოპერაციის საბალანსო ტოლობა.



1. ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგება შედგება ორი ძირითადი კომპონენტისაგან:

- ბალანსი, რომელიც გვიჩვენებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას დროის მოცემულ მომენტში; და
- მოგებისა და ზარალის ანგარიშგება, რომელიც გვიჩვენებს საწარმოს ფინანსური საქმიანობის შედეგს მოცემული დროის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგება გვიჩვენებს სამეურნეო ოპერაციების ეფექტს. ოპერაციების ძირითადი ტიპებია:

- საქონლის გაყიდვა (ნაღდი ანგარიშსწორებით ან კრედიტით);
- მარაგის შესყიდვა გაყიდვის მიზნით (ნაღდი ანგარიშსწორებით ან კრედიტით);
- გრძელვადიანი აქტივების შექმნა;
- ზარჯების გადახდა, მაგალითად, კომუნალური მომსახურებისათვის;
- ახალი კაპიტალის ჩადება საწარმოში;
- საწარმოს მესაკუთრის მიერ თანხის ამოღება.



საწარმოს ავტონომიურობის პრინციპი

- საწარმოს ავტონომიურობის კონცეფცია გულისხმობს, რომ ფინანსური სააღრიცხვო ინფორმაცია ასახავს მხოლოდ სამეურნეო ერთეულის საქმიანობას და არა მისი მფლობელის საქმიანობას.
- სამეურნეო ერთეული განიხილება ცალკე, მისი მფლობელებისაგან დამოუკიდებლად.



განვრცობილი ტექსტი

საწარმოს ავტონომიურობის პრინციპი

განმარტება: საწარმოს ავტონომიურობის კონცეფცია გულისხმობს, რომ ფინანსური სააღრიცხვო ინფორმაცია მიეკუთვნება მხოლოდ სამეურნეო ერთეულის საქმიანობას და არა მისი მფლობელის საქმიანობას.

საწარმო განიხილება ცალკე, მისი მფლობელებისაგან დამოუკიდებლად, მისი იურიდიული სტატუსის მიუხედავად. ამგვარად, კომპანია არის იურიდიული და სააღრიცხვო მიზნებიდან გამომდინარე, მისი მფლობელებისაგან – აქტიონერებისაგან განცალკევებული ერთეული. მეორე მხრივ, ერთი პირის საწარმო არ წარმოადგენს მისი მფლობელისაგან განცალკევებულ იურიდიულ პირს; თუმცა, სააღრიცხვო მიზნებისათვის, საწარმო განიხილება ცალკე ერთეულად და მისი ანგარიშები იწარმოება ინდივიდუალური მეწარმის პირადი საფინანსო საქმიანობიდან განცალკევებულად.

ავტონომიურობის კონცეფცია აუცილებელია იმისათვის, რომ შევძლოთ საწარმოს, როგორც განცალკევებული ეკონომიკური ერთეულის, ფინანსური საქმიანობის აღრიცხვა. ფულის მოძრაობა საწარმოსა და მფლობელს შორის, აგრეთვე, განიხილება სხვა ფულადი ნაკადებისაგან განცალკევებულად.

ფულადი ნაკადების მოძრაობის გამომხატველი ზუსტი ტერმინებია:

| | | |
|--|---|----------------------------------|
| ფულადი ნაკადების მოძრაობა საწარმოსაკენ ან საწარმოდან | ინდივიდუალური მეწარმე აშხანაგობა | კომპანია |
| საწარმოსაკენ | „სესხი მფლობელისაგან“ ან „კაპიტალის ზრდა“ | შემოსავალი აქციების გამოშეებიდან |
| საწარმოდან | „თანხების ამოღება“ ან „კაპიტალის შემცირება“ | დივიდენდები |

მფლობელსა და საწარმოს შორის ძირითად კავშირს წარმოადგენს თანხა, რომელიც კაპიტალის სახით აისახება. ეს ის თანხაა, რომელიც საწარმოს მართებს მფლობელის.

2. ბალანსი

ქვემოთ მოცემულია ბალანსის ვერტიკალური ფორმატი:

ვ. ჰანგ

ბალანსი 20X6 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | | |
|-----------------------------|----------------|--------------|
| გრძელვადიანი აქტივები: | \$ | \$ |
| ფურგონი | | 2,400 |
| მოკლევადიანი აქტივები: | | |
| მარაგი | 2,390 | |
| დებიტორული დავალიანებები | 1,840 | |
| ფული ბანკში | 1,704 | |
| ფული სალაროში | <u>56</u> | |
| | | <u>5,990</u> |
| კაპიტალი | | <u>8,390</u> |
| ნაშთი 20X6 წლის 1 იანვარს | 4,200 | |
| პლუს: წლიური წმინდა მოგება | 3,450 | |
| კაპიტალის ზრდა | <u>1,000</u> | |
| | 8,650 | |
| მინუს: ამოღებული თანხები | <u>(2,960)</u> | |
| | | 5,690 |
| მოკლევადიანი ვალდებულებები: | | |
| კრედიტორული დავალიანებები | | 1,700 |
| გრძელვადიანი ვალდებულება | | <u>1,000</u> |
| | | <u>8,390</u> |



- ბალანსის ზედა პირველ ნახევარში მოცემულია საწარმოს აქტივები.
- ბალანსის ქვედა ნახევარში მოცემულია საწარმოს კაპიტალი და ვალდებულებები.

2.1 საბალანსო ტოლობა

ზემოთ მოცემული ბალანსი ასახავს ვ. ჰანგ-ის საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას დროის მოცემულ მომენტში – ამ შემთხვევაში, საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლო დღეს, 20X6 წლის 31 დეკემბერს. ბალანსმა ასევე ყოველთვის უნდა დააკმაყოფილოს საბალანსო ან ბუღალტრული ტოლობა:



აქტივები = მფლობელის კაპიტალი + ვალდებულებები

2.2 აქტივები და ვალდებულებები

აქტივი არის ის, რასაც საწარმო ფლობს ან აკონტროლებს, როგორცაა:

- მარაგი, მაგალითად, წარმოებული პროდუქცია ან გასაყიდად შესყიდული საქონელი;
- დებიტორული დავალიანება, მაგალითად, კრედიტით მყიდველებისაგან მისაღები თანხა, წინასწარ გადახდილი ხარჯები;
- ფული;
- გრძელვადიანი აქტივები.


და სხვა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია საწარმოში.


ვალდებულება არის ის, რაც საწარმოს მართებს სხვა პირის მიმართ, როგორცაა:

- კრედიტორული დავალიანება, მაგალითად, კრედიტით შესყიდული საქონლისათვის გადასახდელი თანხა, დარიცხული ხარჯი;
- სესხი.

კაპიტალი არის ვალდებულების სახეობა. ეს ის თანხაა, რომელიც საწარმოს თავისი მფლობელის მართებს. ყოველ წელს იგი გაიზრდება ახალი კაპიტალის ჩადებითა და საწარმოში მოგების მიღებით. ის შემცირდება მესაკუთრის მიერ საწარმოდან თანხის ამოღებით.

2.3 აქტივებისა და ვალდებულებების ასახვა ბალანსში





შეამოწმე შენი ცოდნა 1

დააჯგუფეთ შემდეგი გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივები და ვალდებულებები:

- მიწა და შენობები;
- დებიტორული დავალიანება;
- ფული;
- სესხი, რომელიც 2 წლის განმავლობაში უნდა გადაიხადონ;
- კრედიტორული დავალიანება;
- ავტომანქანა.



შეამოწმე შენი ცოდნა 2

დაალაგეთ შემდეგი აქტივები, მათი ლიკვიდურობის ზრდის მიხედვით:

- ფული საღაროში;
- მზა პროდუქციის მარაგი;
- ფული ბანკში;
- დებიტორული დავალიანება;
- ნედლეული და მასალა.

3. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ფორმატი მოცემულია ქვემოთ:

ბ-ნი ვ. ჰანგ

მოგებისა და ზარალის წლიური ანგარიშგება 20X6 წლის 31 დეკემბრისათვის

| | \$ | \$ |
|-------------------------------------|----------------|-----------------|
| ამონაგები გაყიდვებიდან | | 33,700 |
| მარაგი პერიოდის დასაწყისში | 3,200 | |
| შესყიდვები | <u>24,490</u> | |
| | 27,690 | |
| მინუს: მარაგი პერიოდის ბოლოს | <u>(2,390)</u> | |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | | <u>(25,300)</u> |
| საერთო მოგება | | 8,400 |
| ხელფასები | 3,385 | |
| იჯარა | 1,200 | |
| სხვა ხარჯები | <u>365</u> | |
| | | <u>(4,950)</u> |
| წმინდა მოგება | | <u>3,450</u> |

- მოგებისა და ზარალის ანგარიშგება გვიჩვენებს საწარმოს საქმიანობას დროის მოცემული პერიოდის მანძილზე, ამ შემთხვევაში, ერთი წლის განმავლობაში.
- მოგებისა და ზარალის ანგარიშგება მზადდება დარიცხვის კონცეფციის შესაბამისად. ეს კონცეფცია ნიშნავს იმას, რომ შემოსავალი და ხარჯები აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში წარმოშობისთანავე, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ფული მიღებული, ან გადახდილი.
- გაყიდვებიდან ამონაგები გვიჩვენებს წლის განმავლობაში საქონლის გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავალს, მიუხედავად იმისა, მოხდა ფულის გადახდა თუ არა.
- რეალიზაციიდან ამონაგებს უნდა გამოაკლდეს შესყიდული საქონლის თვითღირებულება. მნიშვნელოვანია, რომ გაუყიდავად დარჩენილი შესყიდული საქონლის თვითღირებულება არ შევიდეს იმ შესყიდული საქონლის თვითღირებულებაში, რომელიც აკლდება რეალიზაციიდან ამონაგებს.
- მიმდინარე წლის გაყიდვები უნდა შეიცავდეს წინა წელს შექენილ საქონელს, ამიტომ ამ მარაგის საწყისი ნაშთი უნდა დაემატოს მიმდინარე წლის შესყიდვებს.
- მიმდინარე წელს შესყიდული ზოგიერთი საქონელი გაუყიდავი დარჩება 20X6 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ მარაგის საბოლოო ნაშთი უნდა გამოაკლდეს შესყიდვებს, რადგან ის დაუპირისპირდება მომავალი წლის გაყიდვებიდან ამონაგებს.
- მოგებისა და ზარალის ანგარიშგება გაყოფილია ორ ნაწილად, პირველი ნაწილი გვიჩვენებს საერთო მოგების გაანგარიშებას და მეორე ნაწილი –

წმინდა მოგებას.

- საერთო მოგების შეფარდებით რეალიზაციიდან ამონავებთან ვიღებთ საერთო მოგების მარჯას, რომელიც გვიჩვენებს საწარმოს მომგებიანობას ვაჭრობის ამ ეტაპზე.




განვრცობილი ტექსტი

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ხელფასები და ამოღებული თანხა

ჩვენ უნდა განვასხვაოთ ხელფასები და ამოღებული თანხები. ხელფასები ეძლევათ მესამე პირებს (დაქირავებით მომუშავეებს) და წმინდა მოგების გაანგარიშებისას ხდება მათი გამოკლება, ანუ – წარმოადგენს ხარჯს. მფლობელზე გატეხული თანხები (თუნდაც მას მფლობელი „ხელფასს“ უწოდებდეს) უნდა აღირიცხოს როგორც ამოღებული თანხები. არასწორი იქნება ამოღებული თანხების აღრიცხვა საწარმოს ხარჯად, რადგან ამოღებული თანხები არ გამოიყენება რეალიზაციის ხელშესაწყობად. მოგება მთლიანად ეკუთვნის მფლობელს, ხოლო ამოღებული თანხები წარმოადგენს მოგების ნაწილს, რომელიც მფლობელის გადაწყვეტილებით იქნა გატანილი.

4. ბალანსისა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ურთიერთკავშირი

ბალანსისა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ურთიერთკავშირი წარმოდგენილია ქვემოთ:



- ბალანსი არ არის იზოლირებული ანგარიშგება; ის პერიოდულად უკავშირება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას.

- საწარმო მოგებას აჩვენებს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ეს მოგება ემატება ბალანსს, კაპიტალის ნაწილს, სხვა ჩადებულ კაპიტალთან ერთად. მფლობელის მიერ საწარმოდან ამოღებული თანხა, რომელსაც ამოღება ეწოდება, აკლდება კაპიტალს.

5. ბუღალტრული ტოლობა

$$\text{აქტივები} = \text{მფლობელის კაპიტალს} + \text{ვალდებულებები}$$

$$\text{აქტივებს} - \text{ვალდებულებები} = \text{მფლობელის კაპიტალს}$$

- ბუღალტრული ტოლობა არის მარტივი ფაქტი, რომლის თანახმად, დროის ნებისმიერ მომენტში, საწარმოს აქტივები ტოლია საწარმოს ვალდებულებებს პლუს საწარმოს კაპიტალი.
- აქედან გამომდინარე, საწარმოს აქტივებს მინუს ვალდებულებები საწარმოს კაპიტალის ტოლია. აქტივებს მინუს ვალდებულებებს ასევე უწოდებენ ნეტო აქტივებს.
- თითოეულ სამეურნეო ოპერაციას, რომელსაც საწარმო ატარებს ან აღრიცხავს, ორი მხარე აქვს და ორად გაუღენას ახდენს საწარმოსა და ბუღალტრულ ტოლობაზე. ამას ორადი გატარების კონცეფციას უწოდებენ.



მაგ.

საილუსტრაციო ბუღალტრული ტოლობა

ქვემოთ მოყვანილი საილუსტრაციო მაგალითი გვიჩვენებს სამეურნეო ოპერაციებს და ამ ოპერაციების ორად ეფექტს. შემდგომში, ფინანსური ანგარიშგების შედგენისათვის გამოყენებულია ბუღალტრული ტოლობა.

1-ლი დღე ეკონ საქმიანობას იწყებს \$1,000 ნაღდი ფულის საწყისი კაპიტალით.

მე-2 დღე ნაღდი ანგარიშსწორებით ყიდულობს ავტომანქანას \$400-ად.

მე-3 დღე ნაღდი ანგარიშსწორებით ყიდულობს საქონელს \$200-ად.

მე-4 დღე ყიდის მე-3 დღეს შეძენილ ყველა საქონელს \$300-ად.

მე-5 დღე კრედიტით ყიდულობს \$400 ღირებულების საქონელს.

ბუღალტრული ტოლობის მეშვეობით შევადგინოთ ყოველი დღის ბოლოს სამეურნეო ოპერაციების ბალანსი.

ამოხსნა

დღე 1: ევონ-მა დაიწყო ბიზნესი და ნაღდი ფული \$1,000 შეიტანა საწყის კაპიტალში

ამ ოპერაციის ორმაგი ეფექტია:

- ა) საწარმოს აქვს \$1,000 ოდენობის ფულადი სახსრები;
- ბ) საწარმოს კაპიტალის სახით მფლობელის მართებს \$1,000.

ბალანსი 1-ლი დღე

| | \$ | | \$ |
|----------|--------------|-------------------------|--------------|
| აქტივები | | კაპიტალი და ვალდებულება | |
| ფული | 1,000 | კაპიტალი | 1,000 |
| | <u>1,000</u> | | <u>1,000</u> |

მე-2 დღე: გრძელვადიანი აქტივის შეძენა \$400 ნაღდი ანგარიშსწორებით

ამ ოპერაციის ორმაგი ეფექტია:

- საწარმოს აქვს \$400 ღირებულების აქტივი;
- საწარმომ დახარჯა \$400 ნაღდი ფული.

ეს ოპერაცია ცვლის აქტივების ფორმას.

ბალანსი მე-2 დღე

| | \$ | | \$ |
|----------------------|--------------|-------------------------|--------------|
| აქტივები | | კაპიტალი და ვალდებულება | |
| მანქანა | 400 | კაპიტალი | 1,000 |
| ფული (\$1,000-\$400) | 600 | | |
| | <u>1,000</u> | | <u>1,000</u> |

შენიშვნა:

აქტივის გაზრდამ (ანუ შეძენამ) შეიძლება გამოიწვიოს:

- სხვა აქტივის შესაბამისი თანხით შემცირება (როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითში);
- შესაბამისი ვალდებულების წარმოქმნა (მე-5 დღე);
- მფლობელის მიერ ჩადებული კაპიტალის გაზრდა (1-ლი დღე).

მე-3 დღე: საქონლის შეძენა \$200 ნაღდი ანგარიშსწორებით

ამ ოპერაციის ორმაგი ეფექტია:

- ა) საწარმოს აქვს \$200 ღირებულების მარაგი;
- ბ) საწარმომ დახარჯა \$200 ნაღდი ფული.

ეს არის უბრალოდ აქტივების ფორმის შეცვლა. ხდება \$200 გატანა და ინვესტირება მარაგში.

ბალანსი მე-3 დღე

| | \$ | | \$ |
|--------------------|--------------|-------------------------|--------------|
| აქტივები | | კაპიტალი და ვალდებულება | |
| მანქანა | 400 | კაპიტალი | 1,000 |
| მარაგი | 200 | | |
| ფული (\$600-\$200) | 400 | | |
| | <u>1,000</u> | | <u>1,000</u> |

მე-4 დღე: მე-3 დღეს ნაყიდ ყველა საქონელს ყიდის მოგებით \$300 ნაღდი ანგარიშსწორებით

ეს არის მნიშვნელოვანი სიახლე. მართალია, ერთი აქტივი (მარაგი) შეიცვალა მეორე აქტივით (ფულით), მაგრამ თანხები არ შეესაბამება ერთმანეთს.

| | |
|---|------------|
| | \$ |
| მიღებული თანხა (შემოსავალი რეალიზაციიდან) | 300 |
| გაყიდული აქტივი (მარაგი) | <u>200</u> |
| სხვაობა (= მოგება) | <u>100</u> |

მთლიანი აქტივები გაიზარდა \$100-ით. ვინაიდან ადგილი არა აქვს ვალდებულებების წარმოქმნას, ძირითადი ბუღალტრული ტოლობის შესანარჩუნებლად, ფირმის კაპიტალი უნდა გაიზარდოს \$100-ით.

მოგება არის სხვაობა შესყიდვის ფასსა და საქონლის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს შორის და იგი ეკუთვნის საწარმოს მფლობელს (მფლობელებს). იგი წარმოადგენს საწარმოს კაპიტალის ზრდას.

ამ ოპერაციის ორმაგი ეფექტია:

- ა) საწარმომ მიიღო \$300 ნაღდი ფული;
- ბ) საწარმომ შეამცირა მარაგი \$200-ით და მიიღო მოგება \$100 ნაღდი ფული.

ბალანსი მე-4 დღე

| | \$ | | \$ |
|----------------------|--------------|-------------------------|--------------|
| აქტივები | | კაპიტალი და ვალდებულება | |
| მანქანა | 400 | კაპიტალი | 1,000 |
| ფული (\$400 + \$300) | 700 | პლუს: მოგება | 100 |
| | <u>1,100</u> | | <u>1,100</u> |

მე-5 დღე: \$400-ის ღირებულების საქონლის შექმნა კრედიტით.

ამ ოპერაციის ორმაგი ეფექტია:

- ა) საწარმომ მიიღო \$400 მარაგი;
- ბ) საწარმოს აქვს \$400 ვალდებულება მომწოდებლის მიმართ.

აქტივების გაზრდა შესაძლებელია, თუ შესაბამისად გაიზრდება ვალდებულებებიც. ეს შეიძლება დაეინახოს შემდეგი ოპერაციის მაგალითზე:

ბალანსი მე-5 დღე

| | \$ | | \$ |
|----------|--------------|-------------------------|--------------|
| აქტივები | | კაპიტალი და ვალდებულება | |
| მანქანა | 400 | კაპიტალი | 1,000 |
| მარაგი | 400 | პლუს: მოგება | 100 |
| ფული | 700 | კრედიტორული დავალიანება | 400 |
| | <u>1,500</u> | | <u>1,500</u> |

შენიშვნა: კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს ბიზნესის ფინანსურ წყაროს.



შეამოწმე შენი ცოდნა 3


გააგრძელეთ საილუსტრაციო მაგალითი, თითოეული დღის ბოლოსათვის მოამზადეთ ბალანსი და აჩვენეთ ქვემოთ მოცემული ყოველი ოპერაციის ორმაგი ეფექტი:

- მე-6 დღე შემდგომი ანგარიშსწორებით ყიდის მე-5 დღეს შეძენილი საქონლის ნახევარს \$250-ად;
- მე-7 დღე მომწოდებელს უხდის \$200;
- მე-8 დღე მყიდველისაგან იღებს \$100;
- მე-9 დღე მფლობელს გააქვს \$75 ნაღდი ფულით;
- მე-10 დღე იჯარას იხდის \$40 ნაღდი ანგარიშსწორებით;
- მე-11 დღე სესხს იღებს \$600-ის ოდენობით, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს 2 წლის განმავლობაში;
- მე-12 დღე ნაღდი ანგარიშსწორებით დაზღვევისათვის იხდის \$30.

საწყის ნაშთებად გამოიყენეთ საილუსტრაციო მაგალითის მე-5 დღის ბოლოს დარჩენილი ნაშთები.

თითოეული დღის ბოლოსათვის, ბალანსის მომზადების შემდეგ, მოამზადეთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგება და ბალანსი 12-დღიანი პერიოდისათვის.

თავის რეზიუმე



შეამოწმე შენი პასუხები

შეამოწმე შენი ცოდნა 1

- მიწა და შენობები – გრძელვადიანი აქტივი.
- დებიტორული დავალიანება – მოკლევადიანი აქტივი.
- ფული – მოკლევადიანი აქტივი.
- სესხი, რომელიც 2 წლის განმავლობაში უნდა გადაიხადონ – გრძელვადიანი ვალდებულება.
- კრედიტორული დავალიანება – მოკლევადიანი ვალდებულება.
- ავტომანქანა – გრძელვადიანი აქტივი.

შეამოწმე შენი ცოდნა 2

სწორი თანმიმდევრობაა:

- ნედლეული მასალის მარაგი
- შზა პროდუქციის მარაგი
- დებიტორული დავალიანება
- ფული ბანკში
- ფული სალაროში

შეამოწმე შენი ცოდნა 3

მე-ნ დღე: მე-5 დღეს შესყიდული მარაგის ნახვერის გაყიდვა \$250 შემდგომი ანგარიშსწორებით

ამ ოპერაციას შემოაქვს ორი ახალი ცნება:

- კრედიტით გაყიდვა. არსებითად, ეს იგივეა, რაც ნაღდი ანგარიშსწორებით გაყიდვა, იმ განსხვავებით, რომ აქტივის ზრდა გამოიხატა არა ფულად სახსრებში, არამედ გაიზარდა დებიტორული დავალიანება.
- მარაგის ნაწილის გაყიდვა. პრაქტიკაში ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა. მნიშვნელოვანი ბუღალტრული მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ ერთმანეთისაგან განვასხვაოთ:
 - მარაგი, რომელსაც ფირმა ჯერ კიდევ ფლობს აქტივის სახით; და
 - გაყიდული მარაგის თვითღირებულება.

ბალანსი მე-ნ დღე

| | \$ | | \$ |
|------------------------|-------|-------------------------|-------|
| აქტივები | | კაპიტალი და ვალდებულება | |
| მანქანა | 400 | კაპიტალი | 1,000 |
| მარაგი | 200 | პლუს: მოგება | |
| დებიტორული დავალიანება | 250 | (\$100+\$50) | 150 |
| ფული | 700 | | |
| | | | 1,150 |
| | | კრედიტორული დავალიანება | 400 |
| | 1,550 | | 1,550 |

მე-7 დღე: \$200 გადახდა მოშროდებლისათვის

ამ ოპერაციის ორმაგი ეფექტია:

- ა) საწარმომ გადაიხდა \$200 ნაღდი ანგარიშსწორებით;
- ბ) საწარმომ შეამცირა კრედიტორული დავალიანება (ვალდებულება) \$200-ით.

ეს არის ერთი ვალდებულების (კრედიტორული დავალიანების) და ერთი აქტივის (სალარო) შემცირება ერთი და იმავე თანხით (\$200).

ბალანსი მე-7 დღე

| \$ | | \$ | |
|------------------------|--------------|---------------------------------------|--------------|
| აქტივები | | კაპიტალი და ვალდებულება | |
| მანქანა | 400 | კაპიტალი | 1,000 |
| მარაგი | 200 | პლუს: მოგება (\$100+\$50) | 150 |
| დებიტორული დავალიანება | 250 | | |
| ფული (\$700-\$200) | 500 | | |
| | <u>1,350</u> | | <u>1,150</u> |
| | | კრედიტორული დავალიანება (\$400-\$200) | <u>200</u> |
| | | | <u>1,350</u> |

მე-8 დღე: ნაღდი ფულის \$100 შემოსვლა მყიდველისაგან დებიტორული დავალიანების ანგარიშზე

ამ ოპერაციის ორმაგი ეფექტია:

- ა) საწარმომ მიიღო \$100 ნაღდი ანგარიშსწორებით;
- ბ) შემცირდა საწარმოს დებიტორული დავალიანება \$100-ით.

ბალანსი მე-8 დღე

| \$ | | \$ | |
|--------------------------------------|--------------|---------------------------|--------------|
| აქტივები | | კაპიტალი და ვალდებულება | |
| მანქანა | 400 | კაპიტალი | 1,000 |
| მარაგი | 200 | პლუს: მოგება (\$100+\$50) | 150 |
| დებიტორული დავალიანება (\$250-\$100) | 150 | | |
| ფული (\$500+\$100) | 600 | | |
| | <u>1,350</u> | კრედიტორული დავალიანება | <u>200</u> |
| | | | <u>1,350</u> |

მე-9 დღე: ფირმის მფლობელის მიერ ანგარიშიდან \$75 ნაღდი ფულის ამოღება

ეს ის შემთხვევაა, როდესაც მფლობელს სურს საწარმიდან ამოიღოს თავისი წილის ნაწილი, ანუ მისი კაპიტალის ნაწილი, რომელიც გაიზარდა მოგებით. ბალანსში ეს აისახება, როგორც კაპიტალისა და ფულის შემცირება.

მფლობელის მიერ გატანილ ფულად სახსრებს ან სხვა აქტივებს ეწოდება „ამოღებული თანხები“ ანუ „ამოღება“.

ამ ოპერაციის ორმაგი ეფექტია:

- ა) საწარმოს ფული სალაროში შეუმცირდა \$75-ით;
- ბ) მფლობელის მიერ ამოღებული თანხა კაპიტალს ამცირებს \$75-ით.

ბალანსი მე-9 დღე

| | \$ | | \$ |
|------------------------|--------------|--------------------------------|--------------|
| აქტივები | | კაპიტალი და ვალდებულება | |
| მანქანა | 400 | კაპიტალი | 1,000 |
| მარაგი | 200 | პლუს: მოგება (\$100+\$50) | 150 |
| დებიტორული დავალიანება | 150 | | |
| ფული (\$600-\$75) | 525 | | <u>1,150</u> |
| | | მინუს: ამოღება | (75) |
| | | | <u>1,075</u> |
| | | კრედიტორული დავალიანება | 200 |
| | <u>1,275</u> | | <u>1,275</u> |

მე-10 დღე: იჯარის \$40 გადახდა

ეს არის საწარმოს ხარჯის მაგალითი. გადახდა ამცირებს მოგებას და ამცირებს ფულს.

ამ ოპერაციის ორმაგი ეფექტია:

- ა) საწარმო იხდის \$40 ნაღდი ანგარიშსწორებით;
- ბ) საწარმოს აქვს ქირის ხარჯი \$40, რომელიც ამცირებს მოგებას.

ბალანსი მე-10 დღე

| | \$ | | \$ |
|------------------------|--------------|--------------------------------|--------------|
| აქტივები | | კაპიტალი და ვალდებულება | |
| მანქანა | 400 | კაპიტალი | 1,000 |
| მარაგი | 200 | პლუს: მოგება | |
| დებიტორული დავალიანება | 150 | (\$150-\$40) | 110 |
| ფული (\$525-\$40) | 485 | | <u>1,110</u> |
| | | მინუს: ამოღება | (75) |
| | | | <u>1,035</u> |
| | | კრედიტორული დავალიანება | 200 |
| | <u>1,235</u> | | <u>1,235</u> |

მე-11 დღე: სესხის მიღება \$600-ის ოდენობით, რომელიც უნდა დაიფაროს 2 წლის განმავლობაში.

ამ ოპერაციის ორმაგი ეფექტია:

- ა) საწარმო იღებს \$600 ნაღდი ანგარიშსწორებით;
- ბ) საწარმოს აქვს ვალდებულება \$600-ის ოდენობით.

ბალანსი მე-11 დღე

| | \$ | | \$ |
|------------------------|--------------|-------------------------|--------------|
| აქტივები | | კაპიტალი და ვალდებულება | |
| მანქანა | 400 | კაპიტალი | 1,000 |
| მარაგი | 200 | პლუს: მოგება | 110 |
| დებიტორული დავალიანება | 150 | | |
| ფული (\$485+\$600) | 1,085 | | |
| | | | <u>1,110</u> |
| | | მინუს: ამოღება | (75) |
| | | | <u>1,035</u> |
| | | სესხი | 600 |
| | | კრედიტორული დავალიანება | 200 |
| | <u>1,835</u> | | <u>1,835</u> |

მე-12 დღე: დაზღვევის \$30 გადახდა ნაღდი ანგარიშსწორებით
ამ ოპერაციის ორმაგი ეფექტია:

- საწარმო იხდის \$30 ნაღდი ანგარიშსწორებით;
- საწარმოს აქვს დაზღვევის ხარჯი \$30, რაც ამცირებს მოგებას.

ბალანსი მე-12 დღე

| | \$ | | \$ |
|------------------------|--------------|-------------------------|--------------|
| აქტივები | | კაპიტალი და ვალდებულება | |
| მანქანა | 400 | კაპიტალი | 1,000 |
| მარაგი | 200 | პლუს: მოგება | |
| დებიტორული დავალიანება | 150 | (\$110-\$30) | 80 |
| ფული (\$1,085-\$30) | 1,055 | | <u>1,080</u> |
| | <u>1,805</u> | | |
| | | მინუს: ამოღება | (75) |
| | | | <u>1,005</u> |
| | | სესხი | 600 |
| | | კრედიტორული დავალიანება | 200 |
| | <u>1,805</u> | | <u>1,805</u> |

ამით მთავრდება ყველა ოპერაცია. ახლა შეგვიძლია განვიხილოთ თორმეტ-დღიანი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შედეგა.

| ევონ-ის 12 დღის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება | | | |
|---|-------------------------|-----------------|--------------|
| | | \$ | \$ |
| ამონაგები | ნაღდი | | |
| რეალიზაციიდან: | ანგარიშსწორებით | | 300 |
| | კრედიტით | | <u>250</u> |
| | | | 550 |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება: | შესყიდვები: | ნაღდი | |
| | | ანგარიშსწორებით | 200 |
| | | კრედიტით | <u>400</u> |
| | | | 600 |
| მინუს: მარაგი პერიოდის ბოლოს | | | <u>(200)</u> |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | | | (400) |
| საერთო მოგება | | | 150 |
| იჯარა | | | 40 |
| დაზღვევა | | | <u>30</u> |
| | | | (70) |
| წმინდა მოგება | | | <u>80</u> |
| ევონ-ის ბალანსი მე-12 დღის ბოლოს | | | |
| | | \$ | \$ |
| გრძელვადიანი აქტივები: | ავტომობილი | | |
| | (თვითღირებულებით) | | 400 |
| მოკლევადიანი აქტივები: | მარაგი | 200 | |
| | დებიტორული დავალიანება | 150 | |
| | ფული | <u>1,055</u> | |
| | | | <u>1,405</u> |
| | | | <u>1,805</u> |
| კაპიტალის ანგარიში | საწყისი კაპიტალი | 1,000 | |
| | წმინდა მოგება | <u>80</u> | |
| | | 1,080 | |
| | მინუს: ამონაღები თანხა | <u>(75)</u> | |
| | | | 1,005 |
| გრძელვადიანი ვალდებულება: | სესხი | | 600 |
| მოკლევადიანი ვალდებულება: | კრედიტორული დავალიანება | | 200 |
| | | | <u>1,805</u> |




ბულალტრული წიგნების წარმოების პრინციპები

თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- ახსნათ ბულალტრული წიგნების წარმოებისა და ორადი ჩაწერის პრინციპები;
- ახსნათ დებეტისა და კრედიტის არსი;
- ახსნათ ნაშთის მნიშვნელობა ყოველი სახის ბულალტრულ წიგნში;
- ჩაწერით ფულადი ოპერაციები ბულალტრულ წიგნში;
- ბულალტრულ წიგნებში ჩაწერით კრედიტით შესყიდვები და გაყიდვები;
- გამოთვალეთ და ჩაწერეთ ფასდათმობები;
- ახსნათ შესყიდვებისა და გაყიდვების უკანდაბრუნება და მათი ჩაწერა ბულალტრულ წიგნებში;
- გამოიყვანეთ ნაშთები ბულალტრულ წიგნებში;
- გადაიტანეთ ნაშთები ბულალტრული წიგნებიდან საცდელ ბალანსში;
- მოამზადოთ საცდელი ბალანსიდან მოგებისა და ზარალის და ბალანსის მარტივი ანგარიშგება;
- ახსნათ და აჩვენოთ ბულალტრული წიგნების დახურვის პროცესი, როცა ფინანსური ანგარიშგება მომზადდება.



1. ბუღალტრული წიგნები და ორადი ჩაწერა

- ყოველი ოპერაცია, რომელსაც საწარმო ახორციელებს, ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენას ახდენს ორი გზით, მაგალითად:
საწარმო ყიდულობს გრძელვადიან აქტივს ნაღდი ანგარიშსწორებით; ორი ასპექტი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება, არის:
 1. გრძელვადიანი აქტივის გაზრდა;
 2. ფულის შემცირება.
- ორადი ჩაწერის პრინციპის მიხედვით ოპერაციის ჩაწერისას ორივე ასპექტი უნდა იქნეს გათვალისწინებული.
- ეს ორი ასპექტი ერთმანეთის ტოლია და საპირისპირო, რის გამოც ბუღალტრული ტოლობა ყოველთვის ადასტურებს:

აქტივებს – ვალდებულებები = მფლობელის კაპიტალს

- ტრადიციულად, ერთ ასპექტს უწოდებენ სადებეტო გატარებას (Dr დე-ბეტი), ხოლო მეორე ასპექტს – საკრედიტო გატარებას (Cr კრედიტი).

2. ბუღალტრული წიგნები, დებეტი და კრედიტი

- თითოეული ასპექტი აისახება შესაფერის ბუღალტრულ წიგნებში. ყოველ აქტივს, ვალდებულებას, ამონაგებს და ზარჯებს აქვს ბუღალტრული ანგარიში.
- თითოეულ ანგარიშს ორი მხარე აქვს – დებეტი და კრედიტი:

ბუღალტრული ანგარიშის დასახელება, მაგალითად: სალარო, გაყიდვებიდან ამონაგები.

| დებეტი | | კრედიტი | |
|---|----------|--|----------|
| თარიღი | შინაარსი | თარიღი | შინაარსი |
| | \$ | | \$ |
| <ul style="list-style-type: none"> • ორადი გატარების კონცეფცია ნიშნავს იმას, რომ თითოეული გატარებისათვის უნდა გაიხსნას ორი ბუღალტრული ანგარიში. • ერთ ანგარიშში უნდა მოხდეს სადებეტო გატარება, მეორეში – საკრედიტო გატარება. ტრადიციულად, დებეტი იწერება მარცხენა მხარეს, ხოლო კრედიტი მარჯვენა მხარეს. • თითოეული ოპერაციისთვის უნდა მოხდეს არა მარტო ორი ეფექტის, ეი ორი ბუღალტრული ანგარიშის განსაზღვრა, არამედ იმის განსაზღვრა, თუ რომელ ანგარიშში უნდა განხორციელდეს სადებეტო გატარება და რომელში – საკრედიტო გატარება: | | | |
| დებეტის მხარის გატარებები | | კრედიტის მხარის გატარებები | |
| იზრდება: | | იზრდება: | |
| დანახარჯები (მოგებისა და ზარალის ანგარიშგება) | | შემოსავალი (მოგებისა და ზარალის ანგარიშგება) | |
| აქტივები (ბალანსი) | | ვალდებულებები (ბალანსი) | |
| ამოღება (ბალანსი) | | კაპიტალი (ბალანსი) | |



2.1 ოპერაციების ჩაწერის საფეხურების შეჯამება

1. განსაზღვრეთ ორი ასპექტი.
2. გადაწყვიტეთ, ისინი გაიზარდა, თუ შემცირდა.
3. გადაწყვიტეთ, თითოეული სადებეტო თუ საკრედიტო ჩანაწერია.
4. შეამოწმეთ, გაკეთდა თუ არა ორივე, სადებეტო და საკრედიტო გატარება და ერთი და იგივე ციფრი ჩაიწერა.

2.2 ნაღდი ანგარიშსწორების ჩანაწერის გაკეთება

ნაღდი ანგარიშსწორების დროს ხდება ნაღდი ფულის იმავდროული გადახდა ან მიღება და ნაღდი ანგარიშსწორება აისახება როგორც სალაროს ოპერაცია.

ჩვეთ გადახდა ან მიღება კლასიფიცირდება როგორც იმავდროული. ფულის გადახდა ან მიღება გულისხმობს ფულადი სახსრების ანგარიშში შემდეგ გატარებას:

- სადებეტო გატარება ნიშნავს თანხის მიღებას;
- საკრედიტო გატარება ნიშნავს თანხის გადახდას.



შეამოწმე შენი ცოდნა 1

ფულის გადახდისა და მიღების ოპერაციების ჩაწერა აჩვენეთ შემდეგი ოპერაციები ბუღალტრულ ანგარიშებში: (ინფორმაცია: საჭიროა ფულადი სახსრების, იჯარის, ამოღებისა და გაყიდვებიდან ამონაგების ანგარიშების გახსნა)

- 1 კარმანი ყიდის საქონელს \$230 ნაღდი ანგარიშსწორებით და თანხა შეაქვს სალაროში.
- 2 კარმანი იჯარის ქირას \$80 ნაღდი ფულით იხდის.
- 3 ის იღებს საწარმოდან \$70 ნაღდ ფულს პირადი ხარჯებისათვის.
- 4 კარმანი კვლავ ყიდის საქონელს ნაღდი ანგარიშსწორებით, რომელშიც იღებს \$3,400.



შეამოწმე შენი ცოდნა 2

Y ვაჭრობის პირველ თვეს ნაღდი ანგარიშსწორებით ახორციელებს შემდეგ ოპერაციებს:

1. ყიდულობს საქონელს \$380 ნაღდი ანგარიშსწორებით;
2. იხდის \$20 წერილმან ხარჯებში;
3. იღებს \$1,000 გაყიდვებიდან;
- 5 იღებს \$5,000 ბანკის სესხს;
- 6 იხდის \$2,600 ინვენტარში.

რა იქნება ფულადი სახსრების ანგარიშის საკრედიტო გატარებების ჯამი?

- ა \$6,000
- ბ \$6,380
- გ \$3,000
- დ \$2,620.

2.3 კრედიტით გაყიდვებისა და შესყიდვების

ჩანაწერების გაკეთება

კრედიტით გაყიდვები და შესყიდვები ისეთი ოპერაციებია, როცა საქონელი ან მომსახურება გადაეცემა სხვა მფლობელს იმავდროულად, ხოლო გადახდა ან ფულის მიღება ხდება მომავალში, გარკვეული დროის შემდეგ.

ფულადი სახსრები, რომელიც საწარმომ უნდა მიიღოს, იწერება დებიტორული დავალიანების ანგარიშში.

ფულადი სახსრები, რომელიც საწარმომ უნდა გადაიხადოს, იწერება კრედიტორული დავალიანების ანგარიშში.

შეამოწმე შენი ცოდნა 3

ნორისი ატარებს ივნისის თვეში განხორციელებულ შემდეგ ოპერაციებს:

1. \$60 ღირებულების საქონლის გაყიდვას ნაღდი ანგარიშსწორებით;
2. დაზღვევის გადასახადის \$400 გადახდას სალაროდან;
3. საქონლის გაყიდვას \$250-ად – მყიდველი გადაიხდის საფასურს ერთ თვეში;
4. მანქანის საწვავში \$50 გადახდას სალაროდან;
5. \$170 ღირებულების საქონლის კრედიტით შესყიდვას, მისი შემდგომი გაყიდვის მიზნით;
6. სალაროდან \$57 ამოღებას პირადი ხარჯებისათვის;
7. \$40 ღირებულების საქონლის შესყიდვას ნაღდი ანგარიშსწორებით, მისი შემდგომი გაყიდვის მიზნით;
8. საწარმოსათვის \$800 ღირებულების ახალი კომპიუტერის შესყიდვას ნაღდი ანგარიშსწორებით.

გააკეთეთ განხორციელებული ოპერაციების ჩანაწერები ბუღალტრულ ანგარიშებში.

შეამოწმე შენი ცოდნა 4

ქვემოთ მოცემული თითოეული ოპერაციისათვის გახსენით ორი ბუღალტრული ანგარიში და განსაზღვრეთ სადებეტოა თუ საკრედიტო გატარება:

1. ოლი ყიდულობს \$5,000 ღირებულების საქონელს და იხდის სალაროდან;
2. ოლი მყიდველს მიჰყიდის \$500 ღირებულების საქონელს. მყიდველი გადაიხდის 30 დღეში;
3. ოლი იხდის ტელეფონის გადასახადს \$40 სალაროდან;
4. ოლი იღებს ბანკის პროცენტს \$150;
5. ოლი ყიდულობს \$12 ღირებულების საკანცელარიო საქონელს ნაღდი ანგარიშსწორებით;
6. ოლიმ მიჰყიდა მყიდველს \$400 ღირებულების საქონელი. მყიდველი იხდის სალაროდან.

3. გაყიდული და შესყიდული საქონლის უკან დაბრუნების ჩანაწერების გაკეთება

- ჩვეულებრივ, დასაშვებია მყიდველის მიერ დაწუნებული საქონლის უკან დაბრუნება. ასევე დასაშვებია დაწუნებული შესყიდული საქონლის უკან დაბრუნება მომწოდებლისათვის.

- საქონლის დაბრუნებისას ორადი გატარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იყო საქონელი შესყიდული, კრედიტით, თუ ნაღდი ანგარიშ-სწორებით:

| | თავდაპირველად კრედიტით განხორციელებული ოპერაციები | თავდაპირველად ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებული ოპერაციები |
|---|---|---|
| გაყიდვების უკან დაბრუნება (გაყიდული საქონლის დაბრუნება) | დებეტი - გაყიდვების დაბრუნება კრედიტი - დებიტორული დავალიანება | დებეტი - გაყიდვების დაბრუნება კრედიტი - ფულადი სახსრების ანგარიში |
| შესყიდვების უკან დაბრუნება (დაბრუნებული შენაძენი) | დებეტი - კრედიტორული დავალიანება კრედიტი - შესყიდვების დაბრუნება | დებეტი - ფულადი სახსრების ანგარიში კრედიტი - შესყიდვების დაბრუნება |



შეამოწმე შენი ცოდნა 5

განსაზღვრეთ ორადი გატარება ქვემოთ მოცემული თითოეული ოპერაციისათვის და აწარმოეთ ბუღალტრული გატარებები:

1. AI აბანდებს \$10,000 ბანკში საწარმოს ანგარიშზე;
2. შემდეგ იგი მომწოდებელ Izabel-ისაგან ყიდულობს \$1,000 ღირებულების საქონელს საბანკო ანგარიშიდან;
3. აწარმოებს \$400 ღირებულების გაყიდვებს - თანხა ჩარიცხულია საბანკო ანგარიშზე;
4. ალი აწარმოებს \$600 ღირებულების გაყიდვებს - მყიდველი იძლევა პირობას, რომ ახლო მომავალში გადაიხდის;
5. ალი K მომწოდებლისაგან ყიდულობს \$500 ღირებულების საქონელს კრედიტით;
6. ალი ტელეფონის გადასახადს \$150 იხდის საბანკო ანგარიშიდან;
7. დებიტორმა საბანკო ანგარიშზე ჩარიცხა დავალიანება \$600;
8. ალი საბანკო ანგარიშიდან K -ს უხდის \$340;
9. იღებს ბანკის პროცენტს \$30;
10. ალი მყიდველს უბრუნებს \$20, საქონლის უკან დაბრუნების გამო;
11. ალი K-ს უკან უბრუნებს კრედიტით ნაყიდ \$100 ღირებულების საქონელს.

4. ფასდათმობების აღრიცხვა

ანგარიშის განაღდებისას მიღებული, ან გაცემული ფასდათმობა არის ფასდათმობა:

- რომელსაც საწარმო იღებს მომწოდებლისგან, ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული თანხის ვადაზე ადრე გადახდის შემთხვევაში;

- მომწოდებლისგან მიღებული ფასდათმობა ცნობილია როგორც მიღებული ფასდათმობა;
- რომელსაც საწარმო მყიდველზე გასცემს ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული თანხის ვადაზე ადრე გადახდისას. მყიდველზე გაცემული ფასდათმობა ცნობილია როგორც გაცემული ფასდათმობა.

სწორი ორადი გატარებებია:

გაცემული ფასდათმობა

დებეტი – გაცემული ფასდათმობა (ხარჯი) X

კრედიტი – დებიტორული დავალიანება X

გაცემული ფასდათმობა თავსდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, საერთო მოგების ქვემოთ საწარმოს სხვა ხარჯებთან ერთად.

მიღებული ფასდათმობა

დებეტი – კრედიტორული დავალიანება X

კრედიტი – მიღებული ფასდათმობა (შემოსავალი) X

მიღებული ფასდათმობით მიღებული შემოსავალი ემატება საერთო მოგებას მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.



შეამოწმე შენი ცოდნა 6

ჯორჯს აქვს H მომწოდებლის \$2,000 კრედიტორული დავალიანება, ხოლო H-ს აქვს George-ს \$3,400 დებიტორული დავალიანება. ჯორჯი სთავაზობს 2.5% ფასდათმობას თავის მყიდველს- H-ს, თუ ის 14 დღეში გადაუხდის ვალს, ხოლო H-მა ჯორჯს შესთავაზა 3% ფასდათმობა, თუ ის 10 დღეში გადაიხდის.

ჯორჯიმ 10 დღეში გადაიხადა და H-მა მიიღო შეთავაზებული ფასდათმობა. რა ბუღალტრული გატარებებია საჭირო ამ ფასდათმობების გასატარებლად?

| | | | |
|----------------------------------|----|--------------------------------|-----|
| ა დებეტი-კრედიტორული დავალიანება | 60 | დებეტი-გაცემული ფასდათმობა | 85 |
| კრედიტი-მიღებული ფასდათმობა | 60 | კრედიტი-დებიტორული დავალიანება | 85 |
| ბ დებეტი-გაცემული ფასდათმობა | 60 | დებეტი-კრედიტორული დავალიანება | 85 |
| კრედიტი-დებიტორული დავალიანება | 60 | კრედიტი-მიღებული ფასდათმობა | 85 |
| გ დებეტი-კრედიტორული დავალიანება | 50 | დებეტი-გაცემული ფასდათმობა | 102 |
| კრედიტი-მიღებული ფასდათმობა | 50 | კრედიტი-დებიტორული დავალიანება | 102 |
| დ დებეტი-გაცემული ფასდათმობა | 50 | დებეტი-კრედიტორული დავალიანება | 102 |
| კრედიტი-დებიტორული დავალიანება | 50 | კრედიტი-მიღებული ფასდათმობა | 102 |

5. ბალანსის ბუღალტრული ანგარიშების დაბალანსება

საანგარიშგებო პერიოდის ყველა სამეურნეო ოპერაციის გატარების შემდეგ აუცილებელია ბუღალტრულ ანგარიშებში საბოლოო ნაშთების გამოყვანა:

1. შეაჯამეთ დებეტები და კრედიტები და ჩაინიშნეთ ჯამები;
2. უდიდესი ჯამი ჩაწერეთ დებეტისა და კრედიტის ბოლოს და დატოვეთ ადგილი პერიოდის ბოლოს ნაშთის (პ/ბ ნაშთი) ჩასაწერად. ზემოთ აღნიშნული ჯამების თანხები ერთმანეთის გასწვრივ უნდა ჩაიწეროს და ამასთან ხაზი უნდა გაესვას;
3. უმცირესი ჯამის მხარეს ჩაწერეთ დამაბალანსებელი ციფრი პ/ბ ნაშთი და მიუწერეთ თანხა, რომელიც მე-2 პუნქტში მოცემული უდიდესი ჯამის ტოლს გახდის უმცირეს ჯამს;
4. იგივე თანხა ჩაიწერება ბუღალტრული ანგარიშის მეორე მხარეს დიაგონალურად, საერთო ჯამის ქვეშ. ეს გახლავთ პ/დ (პერიოდის დასაწყისის) ნაშთი. პ/ბ ნაშთს უწოდებენ საბოლოო ნაშთს, ხოლო პ/დ ნაშთს – საწყის ნაშთს.



შეამოწმე შენი ცოდნა 7

დააბალანსეთ შემდეგი ბუღალტრული ანგარიში:

| ფული ბანკში | | | |
|------------------------|--------|----------------|-----|
| | \$ | | \$ |
| კაპიტალი | 10,000 | შესყიდვები | 200 |
| გაყიდვებიდან ამონაგები | 250 | ქირა | 150 |
| | | ელექტროენერგია | 75 |



შეამოწმე შენი ცოდნა 8

დააბალანსეთ შემდეგი ბუღალტრული ანგარიში:

| ფული ბანკში | | | |
|------------------------|--------|----------------|--------|
| | \$ | | \$ |
| კაპიტალი | 10,000 | შესყიდვები | 1,000 |
| გაყიდვებიდან ამონაგები | 300 | ქირა | 2,500 |
| | | ელექტროენერგია | 750 |
| | | ახალი მანქანა | 15,000 |

6. საცდელი ბალანსი

- ბუღალტრული ანგარიშების დაბალანსების შემდეგ უნდა მოხდეს საცდელი ბალანსის მომზადება.
- საცდელი ბალანსი არის მემორანდი (სია), რომელშიც მოცემულია ყველა ბუღალტრული ანგარიშის დებეტისა და კრედიტის საბოლოო ნაშთები. საცდელი ბალანსი არ არის ორადი ჩაწერის ნაწილი. იგი გვიჩვენებს ერთმანეთის ტოლია თუ არა დებეტებისა და კრედიტების ნაშთების ჯამი.

საცდელი ბალანსი 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| ანგარიშის დასახელება | დებეტი \$ | კრედიტი \$ |
|-------------------------|--------------|---------------|
| გაყიდვებიდან ამონაგები | | X |
| შესყიდვები | X | |
| დებიტორული დავალიანება | X | |
| კრედიტორული დავალიანება | | X |
| კაპიტალი | | X |
| | X | X |

6.1 რაში მდგომარეობს საცდელი ბალანსის არსი

საცდელი ბალანსი დაბალანსდება, თუ ყოველი სადებეტო გატარების დროს გაკეთდა მისი ტოლი საკრედიტო გატარება და ნაშთები სწორად დააჯამეს (მიამატეს) და გამოიყვანეს.

საცდელი ბალანსის მიზანია:

- შეამოწმოს, ყოველი სადებეტო გატარების დროს გაკეთდა თუ არა მისი ტოლი საკრედიტო გატარება;
- მომზადდეს იგი ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე როგორც მისი პირველი ნაბიჯი.

შენიშვნა: გაითვალისწინეთ, რომ საცდელი ბალანსის მთელი რიგი შესწორებები/ცვლილებები ხდება მისი მომზადების შემდეგ. ეს ცვლილებები არ აისახება საცდელ ბალანსში.

7. ბუღალტრული ანგარიშების დახურვა

წლის ბოლოს ბუღალტრული ანგარიშები უნდა დაიხუროს და მომზადდეს ისინი სამეურნეო ოპერაციების ჩასაწერად მომდევნო საანგარიშო პერიოდში.

7.1 ბალანსის ბუღალტრული ანგარიშები

- აქტივების/ვალდებულებების საბოლოო ნაშთები საანგარიშო პერიოდის ბოლოს = აქტივების/ვალდებულებების საწყის ნაშთებს მომაჯალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში. მაგალითად, ფულადი სახსრების ანგარიშის საბოლოო ნაშთი ერთი დღის ბოლოს იქნება მომდევნო დღის საწყისი ნაშთი.

- ბუღალტრული ანგარიშების დაბალანსება გვაძლევს:
 - პერიოდის ბოლოს ნაშთს (პ/ბ ნაშთი) (აქტივების/ვალდებულებების ანგარიშებში საანგარიშო წლის ბოლოს);
 - პერიოდის დასაწყისის ნაშთს (პ/დ ნაშთი) (აქტივების /ვალდებულებების ანგარიშებში მომავალი წლის საანგარიშო პერიოდის დასაწყისში).

7.2 მოგებისა და ზარალის ბუღალტრული ანგარიშები

- პერიოდის ბოლოს ნებისმიერი თანხა, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ იმ პერიოდს, როცა სამეურნეო ოპერაციები განხორციელდა, გადადის შემოსავლებისა და ზარჯების ანგარიშებიდან იმ ანგარიშში, რომელსაც მოგებისა და ზარალის ანგარიშება ეწოდება.
- ეს შესაძლებელია ამ ბუღალტრული ანგარიშების დახურვით.
- არ ჩაწერთ პ/ბ ნაშთი ამ ანგარიშებში. დამაბალანსებელი ციფრის შინაარსი იმ მხარეს, სადაც ჩანაწერი არაა გაკეთებული, იქნება „მოგებისა და ზარალის ანგარიში“.

7.3 კაპიტალის ანგარიში

- მომავალი წლის დასაწყისში კაპიტალის ანგარიში დაიწყება საწყისი ნაშთით, ე.ი. პ/დ ნაშთი იგივე თანხაა, რაც მფლობელმა საქმიანობის დასაწყისში საწარმოში დააბანდა.
- ეს თანხა ტოლია იმისა, რაც საწარმოს მართებდა მფლობელის წინა პერიოდის დასაწყისში, პლუს მიმდინარე პერიოდში მფლობელის მიერ დამატებით ჩადებული კაპიტალი, პლუს საანგარიშო წლის გამოშუშავებული მოგება, მინუს საანგარიშო წლის ამოღება.
- ამიტომ, გადაგვაქვს მოგებისა და ზარალის ანგარიშისა და ამოღების ანგარიშის ნაშთები კაპიტალის ანგარიშში საანგარიშო პერიოდის ბოლოს, სწორი საწყისი ნაშთი რომ მივიღოთ მომავალი წლის დასაწყისში.

კაპიტალის ანგარიში

| | \$ | | \$ |
|-------------------|----|-------------------|----|
| წლის ბოლოს ზარალი | X | პ/დ ნაშთი | X |
| ამოღება | X | წლის ბოლოს მოგება | X |
| პ/ბ ნაშთი | X | ჩადებული კაპიტალი | X |
| | X | | X |
| | | პ/დ ნაშთი | X |

შეამოწმე შენი ცოდნა 9

წლის დასაწყისში ოდინმა დააბანდა \$7,800 კაპიტალი თავის ბიზნესში. წლის განმავლობაში მან საწარმოდან ამოიღო \$3,100 და აგრეთვე გადაუხადა \$500 თავის ცოლს, რომელიც მისთვის მდივნის სამუშაოს ასრულებდა. საწარმოს მოგება საანგარიშო წლის ბოლოს იყო \$8,900.

ოდინმა საანგარიშო წლის განმავლობაში შეიძინა ახალი პიჯაკი და კვლავ საწარმოს ჩეკით გადაიხდა \$350.

რა იქნება ნაშთი კაპიტალის ანგარიშში წლის ბოლოს?

- ა \$12,750
- ბ \$13,250
- გ \$13,600
- დ \$13,100

8. პერიოდის დასაწყისის ნაშთები ბუღალტრულ ანგარიშებში

- თუ საწარმო რამდენიმე წელია ფუნქციონირებს, მაშინ ყოველი სააღრიცხვო პერიოდის დასაწყისში მას ექნება აქტივები და ვალდებულებები, როგორცაა, მაგალითად, გასული პერიოდის დასრულების შემდეგ დარჩენილი ფულადი სახსრები, დებიტორული დავალიანება, გრძელვადიანი აქტივები და კრედიტორული დავალიანება.
- მსგავსი თანხები ბუღალტრულ ანგარიშებში აისახება როგორც საწყისი ნაშთები.
- აქტივების ანგარიშში საწყისი ნაშთი იწერება დებეტის მხარეს.
- ვალდებულებების ანგარიშში საწყისი ნაშთი იწერება კრედიტის მხარეს.
- მიმდინარე წლის სამეურნეო ოპერაციები, ჩვეულებრივ, იწერება ბუღალტრულ ანგარიშებში, წლის ბოლოს ზდება მათი დაბალანსება, პერიოდის საწყისი ნაშთის ჩათვლით.

შენიშვნა: მოგებისა და ზარალის ანგარიშებს არა აქვს საწყისი ნაშთები.


შეამოწმე შენი ცოდნა 10

20X5 წლის დასაწყისში ჯონს აქვს \$4,500 დებიტორული დავალიანება. 20X5 წლის განმავლობაში მან კრედიტით გაყიდა \$45,000 ღირებულების საქონელი და დებიტორული დავალიანების დასაფარაველ მიიღო \$46,500. რა ნაშთი იქნება დებიტორული დავალიანების ანგარიშში 20X5 წლის 31 დეკემბრის ბოლოს?

- ა \$6,000 დებეტი
- ბ \$6,000 კრედიტი
- გ \$3,000 დებეტი
- დ \$3,000 კრედიტი

9. ფინანსური ანგარიშგების მომზადება

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი წარმოდგენილია შემდეგი თანმიმდევრობით:



საგამოცლო კითხვები ამ პროცესის ნებისმიერ საფეხურზე შეიძლება მომზადდეს.



შეამოწმე შენი ცოდნა 11

მატვეიმ დაარსა საწარმო და პირველი 9 დღის განმავლობაში განახორციელა შემდეგი ქვემოთ მოყვანილი საეკონომიკური ოპერაციები:

- 1 იანვარი მატვეი საქმიანობას იწყებს \$10,000 ნაღდი ფულით და იხდის ჩეკით;
- 2 იანვარი მატვეი ნაღდი ანგარიშსწორებით ყიდულობს \$4,000 ღირებულების საქონელს;
- 3 იანვარი მატვეი ნაღდი ანგარიშსწორებით ყიდულობს \$2,000 ღირებულების მანქანას;
- 4 იანვარი იგი კრედიტით ყიდულობს \$1,000 ღირებულების საქონელს;
- 5 იანვარი მატვეი ყიდის საქონელს \$1,500-ად და იღებს ამ თანხის ჩეკს;
- 6 იანვარი მატვეი კრედიტით ყიდის ყველა დარჩენილ საქონელს \$5,000-ად;
- 7 იანვარი მატვეი უხდის მომწოდებელს \$800 ნაღდი ანგარიშსწორებით;
- 8 იანვარი იგი იხდის \$200 იჯარას ნაღდი ანგარიშსწორებით;
- 9 იანვარი იგი იღებს \$100 პირადი ხარჯებისათვის სალაროდან.

მოგეთხოვებათ:

- ა) შეადგინოთ სათანადო ბულალტრული ანგარიშგები;
- ბ) შეადგინოთ საცდელი ბალანსი;
- გ) მოამზადოთ პირველი ცხრა დღის მოგებისა და ზარალის ანგარიში;
- დ) მოამზადოთ ბალანსი 9 იანვრის ბოლოსათვის.

თავის რეზიუმე

სამშურნო ოპერაციები განხორციელდა

ბუნალტრული ანგარიშებში ჩაიყარა ორი ბატარეა

დებეტი = კრედიტს

| | | | |
|----------|---|-----------|--|
| დებეტი = | იზრდება ხარჯები აქტივები ამოღება | კრედიტი = | იზრდება ვალდებულებები შემოსავალი კაპიტალი |
|----------|---|-----------|--|

ბუნალტრული ანგარიშების დაგეგმვა

- დაჯამეთ ორივე მხარე
- უდიდესი ჯამი ჩაწერეთ ორივე მხარის ბოლოს
- უმცირესი ჯამის მხარეს ჩაწერეთ ა/ბ ნაშთი ბალანსის ანგარიშებში. მოგებისა და ხარჯების ანგარიშის საბოლოო ნაშთები ჩაწერეთ მოგებისა და ზარალის T ანგარიშში
- ბალანსის ანგარიშებში გადაიტანეთ ა/ბ ნაშთი დიაგონალურად და უწოდეთ ა/დ ნაშთი

საცდელი ბალანსი

მზადდება, თუ ორმაგი გატარება სწორადაა ჩაწერილი

დებეტების ჯამი = კრედიტების ჯამს

წლის ბოლოს კორმქტირებაში და ბუნალტრული ანგარიშების დახურვა

- ბალანსის ანგარიშების ა/ბ ნაშთები იწერება ბალანსში
- მოგებისა და ზარალის ანგარიშები იხსურება მოგებისა და ზარალის ანგარიშებში
- მოგებისა და ზარალის და ამოღების ნაშთები იწერება კაპიტალის ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგება

შეამოწმე შენი პასუხები



| შეამოწმე შენი ცოდნა 1 | | | |
|----------------------------|-------|-------------------|-------|
| ფული სალაროში | | | |
| | \$ | | \$ |
| გაყიდვებიდან ამონაგები (1) | 230 | საიჯარო ქირა (2) | 80 |
| გაყიდვებიდან ამონაგები (4) | 3,400 | ამოღება (3) | 70 |
| გაყიდვებიდან ამონაგები | | | |
| | \$ | | \$ |
| | | ფული სალაროში (1) | 230 |
| | | ფული სალაროში (4) | 3,400 |
| საიჯარო ქირა | | | |
| | \$ | | \$ |
| ფული სალაროში (2) | 80 | | |
| ამოღება | | | |
| | \$ | | \$ |
| ფული სალაროში (3) | 70 | | |



| შეამოწმე შენი ცოდნა 2 | | | |
|----------------------------|-------|-----------------------------|-------|
| სწორი პასუხია გ | | | |
| ფული სალაროში | | | |
| | \$ | | \$ |
| გაყიდვებიდან ამონაგები (3) | 1,000 | შესყიდვები (1) | 380 |
| სესხი (5) | 5,000 | წერილმანი ხარჯები (2) | 20 |
| | | სათავსოები და ინვენტარი (6) | 2,600 |



| შეამოწმე შენი ცოდნა 3 | | | |
|----------------------------|----|---------------------------|-----|
| ფული სალაროში | | | |
| | \$ | | \$ |
| გაყიდვებიდან ამონაგები (1) | 60 | დაზღვევა (2) | 400 |
| | | მანქანის ხარჯები (4) | 50 |
| | | ამოღება (6) | 57 |
| | | შესყიდვები (7) | 40 |
| | | გრძელვადიანი აქტივები (8) | 800 |

| | |
|---|----------------|
| გაყიდვებიდან ამონაგები | |
| \$ | \$ |
| ფული სალაროში (1) | 60 |
| დებიტორული დავალიანება (3) | 250 |
| დაზღვევა | |
| \$ | \$ |
| ფული სალაროში (2) | 400 |
| დებიტორული დავალიანება | |
| \$ | \$ |
| გაყიდვებიდან ამონაგები (3) | 250 |
| მანქანის ხარჯები | |
| \$ | \$ |
| ფული სალაროში (4) | 50 |
| შესყიდვები | |
| \$ | \$ |
| კრედიტორული დავალიანება (5) | 170 |
| ფული სალაროში (7) | 40 |
| კრედიტორული დავალიანება | |
| \$ | \$ |
| | შესყიდვები (5) |
| | 170 |
| ამოღება | |
| \$ | \$ |
| ფული სალაროში (6) | 57 |
| გრძელვადიანი აქტივი (კომპიუტერი) | |
| \$ | \$ |
| ფული სალაროში (8) | 800 |

შეამოწმე. შენი ცოდნა 4

| | | დებიტი \$ | კრედიტი \$ |
|---|--------------------------------|-----------|------------|
| 1 | დებიტი შესყიდვები | 5,000 | |
| | კრედიტი ფული სალაროში | | 5,000 |
| 2 | დებიტი დებიტორული დავალიანება | 500 | |
| | კრედიტი გაყიდვებიდან ამონაგები | | 500 |
| 3 | დებიტი ტელეფონის ხარჯები | 40 | |
| | კრედიტი ფული სალაროში | | 40 |

| | | | | |
|---|---------|------------------------|-----|-----|
| 4 | დებეტი | ფული სალაროში | 150 | |
| | კრედიტი | საპროცენტო შემოსავალი | | 150 |
| 5 | დებეტი | საკანცელარიო ხარჯები | 12 | |
| | კრედიტი | ფული სალაროში | | 12 |
| 6 | დებეტი | ფული სალაროში | 400 | |
| | კრედიტი | გაყიდვებიდან ამონაგები | | 400 |



შეამოწმე შენი ცოდნა 5

| | | დებეტი \$ | კრედიტი \$ |
|----|---------|----------------------------|------------|
| 1 | დებეტი | ფული ბანკში | 10,000 |
| | კრედიტი | კაპიტალი | 10,000 |
| 2 | დებეტი | შესყიდვები | 1,000 |
| | კრედიტი | ფული ბანკში | 1,000 |
| 3 | დებეტი | ფული ბანკში | 400 |
| | კრედიტი | გაყიდვებიდან ამონაგები | 400 |
| 4 | დებეტი | დებიტორული დავალიანება | 600 |
| | კრედიტი | გაყიდვებიდან ამონაგები | 600 |
| 5 | დებეტი | შესყიდვები | 500 |
| | კრედიტი | კრედიტორული დავალიანება | 500 |
| 6 | დებეტი | ტელეფონის ხარჯები | 150 |
| | კრედიტი | ფული ბანკში | 150 |
| 7 | დებეტი | ფული ბანკში | 600 |
| | კრედიტი | დებიტორული დავალიანება | 600 |
| 8 | დებეტი | კრედიტორული დავალიანება | 340 |
| | კრედიტი | ფული ბანკში | 340 |
| 9 | დებეტი | ფული ბანკში | 30 |
| | კრედიტი | საპროცენტო შემოსავალი | 30 |
| 10 | დებეტი | გაყიდვების უკან დაბრუნება | 20 |
| | კრედიტი | ფული ბანკში | 20 |
| 11 | დებეტი | კრედიტორული დავალიანება | 100 |
| | კრედიტი | შესყიდვების უკან დაბრუნება | 100 |



შეამოწმე შენი ცოდნა 6

| სწორი პასუხია ა | კრედიტორული დავალიანება | |
|-----------------------------|-------------------------|--------------|
| | \$ | \$ |
| ფული სალაროში (97% x 2,000) | 1,940 | 2,000 |
| მიღებული ფასდათმობა | 60 | |
| | <u>2,000</u> | <u>2,000</u> |

| დებიტორული დავალიანება | | | |
|------------------------|--------------|-------------------------------|--------------|
| | \$ | | \$ |
| პ/დ ნაშთი | 3,400 | ფული სალაროში (97,5% x 3,400) | 3,315 |
| | | გაცემული ფასდათმობა | 85 |
| | <u>3,400</u> | | <u>3,400</u> |
| მიღებული ფასდათმობა | | | |
| | \$ | კრედიტორული დავალიანება | \$ 60 |
| გაცემული ფასდათმობა | | | |
| დებიტორული დავალიანება | \$ 85 | | \$ |

შეამოწმე შენი ცოდნა 7

| ფული ბანკში | | | |
|------------------------|---------------|----------------|---------------|
| | \$ | | \$ |
| კაპიტალი | 10,000 | შესყიდვები | 200 |
| გაყიდვებიდან ამონაგები | 250 | იჯარა | 150 |
| | | ელექტროენერგია | 75 |
| | | პ/ბ ნაშთი | 9,825 |
| | <u>10,250</u> | | <u>10,250</u> |
| პ/დ ნაშთი | 9,825 | | |

შეამოწმე შენი ცოდნა 8

| ფული ბანკში | | | |
|------------------------|---------------|----------------|---------------|
| | \$ | | \$ |
| კაპიტალი | 10,000 | შესყიდვები | 1,000 |
| გაყიდვებიდან ამონაგები | 300 | იჯარა | 2,500 |
| | | ელექტროენერგია | 750 |
| | | ახალი მანქანა | 15,000 |
| პ/ბ ნაშთი | 8,950 | | |
| | <u>19,250</u> | | <u>19,250</u> |
| | | პ/დ ნაშთი | 8,925 |

შენიშვნა: ანგარიშში ფული ბანკში, კრედიტის მხარეს მიღებული პ/დ ნაშთი \$8,950 გეიჩენებს ოვერდრაფტს.



| შემოწმე შენი ცოდნა 9 | | | |
|----------------------|---------------|-------------------|---------------|
| სწორი პასუხია ბ | | | |
| კაპიტალი | | | |
| ამოღება | 3,100 | პ/დ ნაშთი | 7,800 |
| ამოღება (პიჯაკი) | 350 | მოგება წლის ბოლოს | 8,900 |
| პ/ბ ნაშთი | 13,250 | | |
| | <u>16,700</u> | | <u>16,700</u> |
| | | პ/დ ნაშთი | <u>13,250</u> |



| შემოწმე შენი ცოდნა 10 | | | |
|------------------------|---------------|---------------|---------------|
| სწორი პასუხია გ | | | |
| დებიტორული დავალიანება | | | |
| \$ | | \$ | |
| პ/დ ნაშთი | 4,500 | მიღებული ფული | 46,500 |
| გაყიდვებიდან ამონაგები | 45,000 | პ/ბ ნაშთი | 3,000 |
| | <u>49,500</u> | | <u>49,500</u> |
| პ/დ ნაშთი | 3,000 | | |



| შემოწმე შენი ცოდნა 11 | | | |
|-----------------------------|---------------|------------------------------|---------------|
| ა) ფული სალაროში | | | |
| \$ | | \$ | |
| 1/1 კაპიტალი | 10,000 | 2/1 შესყიდვები | 4,000 |
| 5/1 გაყიდვებიდან ამონაგები | 1,500 | 3/1 მანქანა | 2,000 |
| | | 7/1 კრედიტორული დავალიანება | 800 |
| | | 8/1 იჯარა | 200 |
| | | 9/1 ამოღება | 100 |
| | | პ/ბ ნაშთი | <u>4,400</u> |
| | <u>11,500</u> | | <u>11,500</u> |
| პ/დ ნაშთი | 4,400 | | |
| კაპიტალი | | | |
| პ/ბ ნაშთი | 10,000 | 1/1 ფული სალაროში | 10,000 |
| | <u>10,000</u> | | <u>10,000</u> |
| | | პ/დ ნაშთი | 10,000 |
| შესყიდვები | | | |
| \$ | | \$ | |
| 2/1 ფული სალაროში | 4,000 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 5,000 |
| 4/1 კრედიტორული დავალიანება | 1,000 | | |
| | <u>5,000</u> | | <u>5,000</u> |

| მანქანა | | | |
|---------------------------------|--------------|---------------------------------|--------------|
| | \$ | | \$ |
| 3/1 ფული სალაროში | 2,000 | პ/ბ ნაშთი | 2,000 |
| | <u>2,000</u> | | <u>2,000</u> |
| პ/დ ნაშთი | 2,000 | | |
| კრედიტორული დავალიანება | | | |
| | \$ | | \$ |
| 7/1 ფული სალაროში | 800 | 4/1 შესყიდვები | 1,000 |
| პ/ბ ნაშთი | 200 | | <u>1,000</u> |
| | <u>1,000</u> | | <u>1,000</u> |
| | | პ/დ ნაშთი | 200 |
| გაყიდვებიდან ამონაგები | | | |
| | \$ | | \$ |
| მოგებისა და ზარალის ანგარიში | 6,500 | 5/1 ფული სალაროში | 1,500 |
| | <u>6,500</u> | 6/1 დებიტორული დავალიანება | 5,000 |
| | | | <u>6,500</u> |
| დებიტორული დავალიანება | | | |
| | \$ | | \$ |
| 6/1 გაყიდვებიდან ამონაგები | 5,000 | პ/ბ ნაშთი | 5,000 |
| | <u>5,000</u> | | <u>5,000</u> |
| პ/დ ნაშთი | 5,000 | | |
| იჯარა | | | |
| | \$ | | \$ |
| 8/1 ფული სალაროში | 200 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 200 |
| | <u>200</u> | | <u>200</u> |
| ამოღება | | | |
| | \$ | | \$ |
| 9/1 ფული სალაროში | 100 | პ/ბ ნაშთი | 100 |
| | <u>100</u> | | <u>100</u> |
| პ/დ ნაშთი | 100 | | |

| ბ) საცდელი ბალანსი | | |
|---|---------------|----------------|
| | დებეტი \$ | კრედიტი \$ |
| ფული სალაროში | 4,400 | |
| კაპიტალი | | 10,000 |
| შესყიდვები | 5,000 | |
| მანქანა | 2,000 | |
| კრედიტორული დავალიანება | | 200 |
| გაყიდვებიდან ამონაგები | | 6,500 |
| დებიტორული დავალიანება | 5,000 | |
| იჯარა | 200 | |
| ამოღება | 100 | |
| | <u>16,700</u> | <u>16,700</u> |
| გ) 9 დღის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება | | |
| | \$ | \$ |
| ამონაგები რეალიზაციიდან | | 6,500 |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | | |
| საწყისი მარაგი | - | |
| შესყიდვები | 5,000 | |
| საბოლოო მარაგი | - | |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | | <u>(5,000)</u> |
| საერთო მოგება | | 1,500 |
| ზარჯები | | |
| იჯარა | | (200) |
| წმინდა მოგება | | <u>1,300</u> |
| დ) ბალანსი 9 იანვრის ბოლოსათვის | | |
| | \$ | \$ |
| გრძელვადიანი აქტივები | | |
| ავტომობილი | | 2,000 |
| მოკლევადიანი აქტივები | | |
| მარაგი | - | |
| დებიტორული დავალიანება | 5,000 | |
| ფული | <u>4,400</u> | |
| | | <u>9,400</u> |
| | | <u>11,400</u> |
| კაპიტალი | | 10,000 |
| წმინდა მოგება | | 1,300 |
| მინუს: ამოღებული თანხა | | (100) |
| | | <u>11,200</u> |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | |
| კრედიტორული დავალიანება | | <u>200</u> |
| | | <u>11,400</u> |




მარაგი

თავის ძირითადი მიზნები

მ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- ახსნათ მარაგის რაოდენობის დადგენის აუცილებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის;
- ასახოთ მარაგის საწყისი და საბოლოო ნაშთები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში;
- ახსნათ და აჩვენოთ, როგორ აისახება საწყისი და საბოლოო მარაგი ბუღალტრულ ანგარიშში;
- ახსნათ ბასს 2-ის – „სასაქონლო-მატერიალური ღირებულებები“ – მოთხოვნები მარაგის საბოლოო ნაშთის შეფასებისას;
- განსაზღვროთ მარაგის საბოლოო ნაშთის თვითღირებულება და ნეტო სარეალიზაციო ღირებულება;
- ახსნათ მარაგის შეფასების ალტერნატიული მეთოდები;
- ახსნათ და აჩვენოთ, როგორ გამოითვლება მარაგის საბოლოო ნაშთის ღირებულება მისი მოძრაობის სხვადასხვა დონეზე, ფიფო-სა და საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდების გამოყენებით;
- შეაფასოთ აქტივის ღირებულებასა და მოგებაზე ფიფო-სა და საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდების გამოყენების გავლენა;
- ახსნათ მარაგის მიმართ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები;
- ახსნათ მარაგის უწყვეტი და პერიოდის ბოლოს აღრიცხვის ჩანაწერები.



1. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მარაგის რაოდენობის დადგენის აუცილებლობა

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის აუცილებელია მარაგის რაოდენობის დათვლა წლის ბოლოს.
- მარაგის საწყისი ნაშთი ჩართული უნდა იყოს გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში, რადგან მარაგის პერიოდის დასაწყისში არსებული ნაშთი უნდა გაიყილოს მიმდინარე წელს, შესყიდულ მარაგთან ერთად.
- მარაგის საბოლოო ნაშთი უნდა გამოაკლდეს გაყიდული საქონლის თვითღირებულებას, რადგან მარაგის ეს რაოდენობა გაუყიდავი დარჩა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.



განვრცობილი ტექსტი

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის პირველად აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორ ასახოთ საანგარიშო წლის ბოლოს დარჩენილი გასაყიდი საქონლის ნებისმიერი სახეობა, ე.ი. მარაგის საბოლოო ნაშთი (ზოგიერთ ქვეყანაში მარაგს უწოდებენ “სასაწყობო მარაგს”).

მაგალითი

მოვაჭრე იწყებს ბიზნესს. საქმიანობის პირველი წლის ბოლოს მას შეძენილი აქვს \$21,000 ღირებულების საქონელი, ზოლო გაყიდვებმა მთლიანად შეადგინა \$25,000. საქონელი, რომელიც მას დაუჯდა \$3,000, გაყიდული არ იყო წლის ბოლოს.

რამდენი მოგება ჰქონდა მას წლის ბოლოს?

ამონხსნა

გაუყიდავ საქონელს უწოდებენ მარაგის საბოლოო ნაშთს. მარაგის ეს ნაშთი აკლდება შესყიდვებს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ამგვარად, საერთო მოგება იქნება:

| | | |
|----------------------------------|----------------|-----------------|
| | \$ | \$ |
| გაყიდვებიდან ამონაგები | | 25,000 |
| შესყიდვები | 21,000 | |
| მინუს: მარაგის საბოლოო ნაშთი | <u>(3,000)</u> | |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | | <u>(18,000)</u> |
| საერთო მოგება | | 7,000 |

მარაგის საბოლოო ნაშთი შედის ბალანსში როგორც აქტივი.

მაგ.

საბოლოო მარაგის რაოდენობის გამოთვლა

პიტერი ყიდულობს და ყიდის სარეცხ მანქანებს. ის რამდენიმე წელია ვაჭრობს. 20X7 წლის 1 იანვარს მისი მარაგის საწყისი ნაშთია 30 ერთეული \$9,500 თვითღირებულების სარეცხი მანქანა. მიმდინარე წელს მან კრედიტით შეიძინა 65 ერთეული მანქანა \$150,000 და 20X7 წლის 31 დეკემბრისათვის მას გასაყიდი დარჩა \$7,500 თვითღირებულების მქონე 25 ერთეული სარეცხი მანქანა. პიტერმა გაყიდა 70 ერთეული მანქანა და მისი გაყიდვებიდან ამონაგები წლის ბოლოს შეადგენდა \$215,000-ს. გამოთვალეთ საერთო მოგება 20X7 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ბოლოსათვის?

ამონხსნა

- საერთო მოგება წარმოადგენს გაყიდვებიდან ამონაგებსა და გაყიდული საქონლის თვითღირებულებას შორის სხვაობას.
- უნდა შეეუსაბამოთ 70 გაყიდული სარეცხი მანქანის ღირებულება გაყიდული მანქანების თვითღირებულებას, რომელშიც შესული არ არის გასაყიდად დარჩენილი მარაგის რაოდენობა.
- მარაგის საწყისი ნაშთი უნდა ჩაითვალოს გაყიდული მანქანების თვითღირებულებაში, რადგან მიმდინარე წელს გაყიდული საქონლის ნაწილი მოვაჭრემ შეიძინა წინა წელს.
- საერთო მოგების გამოანგარიშება შეიძლება შემდგენიარად:

| | | |
|--|----------------|------------------|
| | \$ | \$ |
| გაყიდვებიდან ამონაგები | | 215,000 |
| მარაგის საწყისი ნაშთი (თვითღირებულება) | 9,500 | |
| შესყიდვები (თვითღირებულება) | <u>150,000</u> | |
| | 159,500 | |
| მინუს: მარაგის საბოლოო ნაშთი (თვითღ.) | <u>(7,500)</u> | |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | | <u>(152,000)</u> |
| საერთო მოგება | | 63,000 |

2. ბუღალტრულ წიგნებში მარაგის ჩაწერა

- მარაგი ბუღალტრულ წიგნში მხოლოდ საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჩაიწერება.
- მარაგის ანგარიშზე მარაგის საწყისი ნაშთი გადმოტანილია წინა წლის ანგარიშიდან. მარაგის საწყისი ნაშთი გადატანილ უნდა იქნეს მოგებისა და ზარალის ანგარიშზე და გაკეთდეს შემდეგი გატარებები:
 - დებეტი მოგებისა და ზარალის ანგარიში
 - კრედიტი მარაგის ანგარიში (საწყისი ნაშთი).
- მარაგის საბოლოო ნაშთი გადატანილ უნდა იქნეს მოგებისა და ზარალის და მარაგის ანგარიშზე და გაკეთდეს შემდეგი გატარებები:
 - დებეტი მარაგის ანგარიში (საბოლოო ნაშთი)
 - კრედიტი მოგებისა და ზარალის ანგარიში.
- ორივე გატარების შემდეგ, მოგებისა და ზარალის ანგარიში მოიცავს მარაგის საწყის და საბოლოო ნაშთებს, ხოლო წლის ბოლოს მხოლოდ მარაგის საბოლოო ნაშთი აისახება მარაგის ანგარიშზე და ბალანსში.

მაგ.

საილუსტრაციო მაგალითი: ბუღალტრულ წიგნებში მარაგის ჩაწერა

გაეაგრძელოთ წინა საილუსტრაციო მაგალითში აღწერილი ოპერაციები და მოეაშუალოთ მარაგის ანგარიში:

- ა) საცდელი ბალანსის მომზადებამდე 20X7 წლის 31 დეკემბერს;
- ბ) კორექტირებების გაკეთებისა და ბუღალტრული ანგარიშების დახურვის შემდეგ.
- ა) ბუღალტრული ანგარიშები საცდელი ბალანსის მომზადებამდე

| მარაგი | |
|--|---------------------|
| 20X7 | \$ |
| 1/1 პ/დ ნაშთი | 9,500 |
| მარაგი აქტივია, ამგვარად მარაგის ანგარიშში საწყისი ნაშთი ჩაიწერება დებეტის მხარეს. | |
| შესყიდვები | |
| 20X7 | \$ |
| სხვადასხვა მომწოდებელი | 150,000 |
| გაყიდვებიდან ამონაგები | |
| | \$ |
| | 20X7 |
| | სხვადასხვა მყიდველი |
| | 215,000 |

- მარაგის ანგარიშზე არსებული ნაშთი \$9,500 გადმოტანილია წინა წლის ბალანსიდან, სადაც იგი ასახული იყო როგორც მარაგის საბოლოო ნაშთი. მარაგის ანგარიშზე ეს ციფრი წლის ბოლომდე არ იცვლება, როდესაც უნდა განისაზღვროს მარაგის საბოლოო ნაშთი 20X7 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
- ჩვეულებისამებრ, მარაგის საბოლოო ნაშთი ჩვენთვის ცნობილი გახდება საცდელი ბალანსის შედგენის შემდეგ 20X7 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
- შესყიდვები და გაყიდვები წლის განმავლობაში გროვდება. ისინი წარმოადგენს სამეურნეო ოპერაციების ჯამს.
- საცდელ ბალანსში აისახება მხოლოდ მარაგის საწყისი ნაშთი, შესყიდვებისა და გაყიდვების სამეურნეო ოპერაციები.

ბ) ბუღალტრული ანგარიშები, რომლებშიც აისახება მარაგის საბოლოო ნაშთი

ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის მარაგის საბოლოო ნაშთი შეფასდა \$7,500-ად.

1-ლი საფეხური

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება არის ორადი ჩაწერის ნაწილი. წლის ბოლოს გაყიდვებისა და შესყიდვების ანგარიშებზე დაგროვილი თანხის გადატანა უნდა მოხდეს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და გაკეთდეს შემდეგი უქრნალური ჩანაწერები:

| | | |
|---------|------------------------------|-----------|
| დებეტი | გაყიდვებიდან ამონაგები | \$215,000 |
| კრედიტი | მოგებისა და ზარალის ანგარიში | \$215,000 |

| | | |
|---------|------------------------------|-----------|
| დებეტი | მოგებისა და ზარალის ანგარიში | \$150,000 |
| კრედიტი | შესყიდვები | \$150,000 |

ეს ოპერაციები ნაჩვენებია ქვემოთ ბუღალტრულ ანგარიშებში:

მე-2 საფეხური

მარაგის საწყისი ნაშთი (\$9,500) გადატანილ უნდა იქნეს მოგებისა და ზარალის ანგარიშზე, რათა განისაზღვროს გაყიდული საქონლის თვითღირებულება.

| | | |
|---------|------------------------------|---------|
| დებეტი | მოგებისა და ზარალის ანგარიში | \$9,500 |
| კრედიტი | მარაგი (საწყისი ნაშთი) | \$9,500 |

მე-3 საფეხური

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება სრულყოფილი არ იქნება (და, შესაბამისად, მთლიანი მოგება ვერ განისაზღვრება) მარაგის საბოლოო ნაშთის ასახვამდე.

| | | |
|---------|------------------------------|---------|
| დებეტი | მარაგი (საბოლოო ნაშთი) | \$7,500 |
| კრედიტი | მოგებისა და ზარალის ანგარიში | \$7,500 |

ბუღალტრული ანგარიშების (რომლებიც მინიშნებულია ზემოთ მოცემულ შეჯამებებში) შეჯამებისა და ნაშთების გამოყვანის შემდეგ ბუღალტრული ანგარიშები შემდეგ სახეს მიიღებს:

მარაგის ანგარიში

| 20X7 | \$ | 20X7 | \$ |
|---|---------------|---|---------------|
| 1 იანვ. პ/ლ ნაშთი | 9,500 | 31 დეკ. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება | 9,500 |
| 31 დეკ. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება | 7,500 | 31 დეკ. პ/ბ ნაშთი | 7,500 |
| | <u>17,000</u> | | <u>17,000</u> |
| 20X8 1 იანვ. პ/ლ ნაშთი | 7,500 | | |

შესყიდვების ანგარიში

| 20X7 | \$ | 20X7 | \$ |
|-------------------------------------|---------|---|---------|
| სხვა თარიღი კრედიტორული დავალიანება | 150,000 | 31 დეკ. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება | 150,000 |

გაყიდვებიდან ამონაგების ანგარიში

| 20X7 | \$ | 20X7 | \$ |
|---|---------|------------------------------|---------|
| 31 დეკ. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება | 215,000 | სხვა თარიღი დებ. დავალიანება | 215,000 |

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება („T“ ანგარიშის ფორმის)

| 20X7 | \$ | 20X7 | \$ |
|--------------------|----------------|------------------------|----------------|
| 31 დეკ. შესყიდვები | 150,000 | ამონაგები გაყიდვებიდან | 215,000 |
| მარაგი | 9,500 | მარაგი | 7,500 |
| პ/ბ საერთო მოგება | 63,000 | | |
| | <u>222,500</u> | | <u>222,500</u> |
| | | პ/ლ საერთო მოგება | 63,000 |

ძირითადი საკითხები

- გაყიდვებიდან ამონაგებისა და შესყიდვების ანგარიშები იხურება და თავს იყრის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.
- მარაგის საწყისი ნაშთი იხურება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო მარაგის საბოლოო ნაშთი აისახება მარაგის ანგარიშში და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.
- მარაგის ანგარიშის ნაშთი პერიოდის ბოლომდე რჩება მარაგის ანგარიშზე და ბალანსში აისახება მოკლევადიანი აქტივების მუხლად.

- მოგებისა და ზარალის ანგარიშგების პირველი ნაწილი შესაძლებელია დაბალანდეს, რათა გაჩვენოთ საერთო მოგების როგორც პერიოდის დასაწყისის, ასევე საბოლოო ნაშთი.
- მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ზემოთ მოცემული ფორმა მოსახერხებელი არ არის, მაგრამ იგი დაგვეხმარება აღვიქვათ ორადი ჩაწერის პროცესი და ასევე გავიგოთ, რომ მოგებისა და ზარალის ანგარიშგება არის ორადი ჩაწერის ნაწილი.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგების უფრო მოსახერხებელი ფორმა:

| | | |
|----------------------------------|---------|-----------|
| | \$ | \$ |
| გაყიდვებიდან ამონაგები | | 215,000 |
| მარაგის საწყისი ნაშთი | 9,500 | |
| პლუს: შესყიდვები | 150,000 | |
| | 159,500 | |
| მინუს: მარაგის საბოლოო ნაშთი | (7,500) | |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | | (152,000) |
| საერთო მოგება | | 63,000 |



განვრცობილი ტექსტი

მარაგის ასახვა ბუღალტრულ წიგნებში

ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდეგ, როგორც წესი, ხდება სხვადასხვა ბუღალტრული ანგარიშის ნაშთების გამოყვანა.

ყურადღება გაამახვილეთ მარაგის ანგარიშის დამუშავებაზე. პერიოდის ბოლოს (3/ბ) ნაშთი არის წლის ბოლოს არსებული ნაშთი, რომელიც ბალანსში აისახება როგორც მარაგის საბოლოო ნაშთი. იგი გადაიტანება მომდევნო წლის დასაწყისისათვის და წარმოადგენს მომდევნო საღირსეზო წლის მარაგის საწყის (3/დ) ნაშთს. ეს გვიჩვენებს ბუღალტრული აღრიცხვის ორ ძირითად თვისებას:

- საღირსეზო პერიოდის ბოლოს გადმოტანილი ნებისმიერი ნაშთი აისახება ბალანსში;
- საღირსეზო პერიოდის ბოლოს დარჩენილი ნებისმიერი ნაშთი, მომდევნო წლის დასაწყისში გახდება შესაბამისი ანგარიშგების საწყისი ნაშთები.



შეამოწმე შენი ცოდნა 1

მარტივი, საკასო მეთოდით მომუშავე საწარმოს სეაჭრო მდგომარეობა

| | |
|--|-------|
| მისი ვაჭრობის პირველი კვირის დასაწყისში ასეთი იყო: | \$ |
| მფლობელის მიერ საბანკო ანგარიშებში ჩადებული კაპიტალი | 1,000 |
| შესყიდვები | 800 |
| გაყიდვები | 900 |

კვირის ბოლოს დარჩენილი საქონლის თვითღირებულება შეადგენდა \$300.

შეადგინეთ ბუღალტრული ანგარიშები ვაჭრობის ამ კვირისათვის, მათ შორის მოგებისა და ზარალის ანგარიში, შემდეგ მოამზადეთ ვერტიკალური მოგებისა და ზარალის ანგარიშგება, ასევე ბალანსი.



| შეამოწმე შენი ცოდნა 2 | |
|--|-------|
| წინა საუარჯიშოში აღწერილი საწარმოს საქმიანობა გრძელდება მეორე კვირას. საწარმომ განაზორციელა შემდეგი სამეურნეო ოპერაციები: | |
| | \$ |
| გაყიდვები | 1,000 |
| შესყიდვები | 1,100 |
| მეორე კვირის ბოლოს დარჩენილი საქონლის შეძენის თვითღირებულება \$500-ს შეადგენდა. | |
| შეადგინეთ ბუღალტრული ანგარიშები ამ კვირისათვის, მათ შორის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება, შემდეგ მოამზადეთ ვერტიკალური მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ბალანსთან ერთად მეორე კვირის ბოლოსათვის. | |

3. მარაგის ამოღება

არცთუ ისე უჩვეულოა, როცა ინდემწარმე ზოგჯერ საქონელს იღებს თავისი საწარმოდან პირადი მოხმარების მიზნით. ასეთი სამეურნეო ოპერაცია ამოღების სახელითაა ცნობილი.

ასეთი ამოღების დროს სწორი გატარება არის:

- ღებუტი ამოღება
- კრედიტი შესყიდვები/ გაყიდული საქონლის თვითღირებულება

საკრედიტო გატარება გარანტიანა იმისა, რომ ამოღებული საქონლის თვითღირებულება არ შევა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში.

4. მარაგის შეფასება

მარაგი შეიძლება იყოს:

- შემდგომი გაყიდვისათვის შექმნილი საქონელი;
- მოხმარებადი მარაგი (მაგალითად საწვავი);
- ნედლეული, მზა მასალა და სხვა კომპონენტები (წარმოების პროცესისათვის განკუთვნილი);
- ნახევრადამზადებული (დაუმთავრებელი) საქონელი (როგორც წესი, მას დაუმთავრებელ წარმოებას უწოდებენ);
- მზა პროდუქცია (საწარმოს მიერ წარმოებული).



მარაგი ბალანსში უნდა აისახოს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით:

მარაგი

თვითღირებულება

- თვითღირებულებაში შედის ყველა ის დანახარჯი, რომელიც გაწეულ იქნა პროდუქტის ან მომსახურების მოცემულ ადგილამდე და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად.
- იგი შეიცავს შესყიდვების ღირებულებას – მასალის ღირებულება, საიმპორტო გადასახადი, ტრანსპორტირება, კონვერსიის (გადამუშავების) ღირებულებას - საკმაოდ რთული ტერმინია. იგი მოიცავს პირდაპირ დანახარჯებსა და საწარმოო ზენაღებ დანახარჯებს.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება

- ამონაგები, რომლის მიღებაც მოსალოდნელია მომავალში, საქონლის გაყიდვის შემდეგ, ყველა სარეალიზაციო ხარჯის გამოკლებით.



განვრცობილი ტექსტი

მარაგის შეფასება

შესავალი

შესაძლებელია რთული პროცედურა იყოს მარაგის საბოლოო ნაშთების ღირებულების განსაზღვრა, რადგან:

- თავდაპირველად მარაგის არსებობა, მისი რაოდენობა უნდა დადგინდეს ინვენტარიზაციის მეშვეობით; და
- ამის შემდგომ, არსებული შედეგების მიხედვით, უნდა შეფასდეს მარაგი, რომლის ღირებულებაც, როგორც ამას შემდგომ დავინახავთ, შესაძლოა განსხვავებოდეს იმის მიხედვით, თუ რა საადრიცხვო პოლიტიკას შემოიღებს კომპანია.

მარაგის შეფასება რეგულირდება ბასს 2-ის მიხედვით.

მარაგისა და დაუმთავრებელი წარმოების განმარტება

სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებს ნებისმიერ დროს შესაძლოა ჰქონდეთ რამდენიმე კატეგორიის მარაგი, მათ შორის:

- შემდგომი გაყიდვისათვის შექმნილი საქონელი;
- მოხმარებადი მარაგი (მაგალითად საწვავი);
- ნედლეული, მზა მასალა და სხვა კომპონენტები (წარმოების პროცესისათვის განკუთვნილი);
- ნახევრად დამთავრებული საქონელი (როგორც წესი, მას დაუმთავრებელ წარმოებას უწოდებენ);
- მზა პროდუქცია (საწარმოს მიერ წარმოებული).

შესაბამისობისა და წინდახედულობის პრინციპი

შესაბამისობის პრინციპი ასახულებს, რომ სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს დარჩენილი გაუყვადვი საქონელი ჩართული არ არის გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში, რათა დარჩენილი შესყიდვები „შეგვესაბამებინა“ გაყიდვებთან.

როდესაც საქმე ეხება მომავალ პერიოდში გადასატანი მარაგის შეფასებას, უნდა გაითვალისწინოთ კიდევ ერთი კონცეფცია: წინდახედულობის პრინციპი.

თუ არა აღნიშნული პრინციპი, მარაგს გადავიტანდით თვითღირებულებით. წინდახედულობის პრინციპით მოითხოვება, რომ გარკვეული სიფრთხილე იქნეს გამოჩენილი გაურკვეველ პირობებში შეფასებების გაკეთებისას.

მარაგის შეფასების შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ თუ მოსალოდნელია საქონლის გაყიდვა თვითღირებულებაზე დაბალი ფასით ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ (მაგალითად, იმის გამო, რომ ისინი დაზიანდა ან მოძველდა), ბალანსის მომზადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ზარალი. მარაგი ბალანსში უნდა აისახოს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

თვითღირებულება

თვითღირებულებაში შედის ყველა ის დანახარჯი, რომელიც გაწეულ იქნა პროდუქტის ან მომსახურების მოცემულ ადგილამდე და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად.

იგი შეიცავს:

- შესყიდვების ღირებულებას – მასალების ღირებულება, საიმპორტო გადასახადი, ტრანსპორტირების ხარჯები;
- კონვერსიის (გადამუშავების) ღირებულებას – საკმაოდ რთული ტერმინია. იგი მოიცავს პირდაპირ დანახარჯებსა და საწარმოო ზედნადებ დანახარჯებს. ეს ტერმინი ახსნილია შემდეგ მაგალითში.

მაგალითი:

„ჯორდანო“ არის ავეჯის დამამზადებელი მცირე საწარმო. ხის ყველა მასალა, რომელსაც იგი იყენებს, იმპორტირებულია სკანდინავიიდან. იგი სამ ძირითად პროდუქტს აწარმოებს: სასადილო მაგიდას, კარადასა და წიგნის თაროებს. წლის ბოლოს კომპანიის მარაგი შედგება 200 მზა კარადისაგან. საბოლოო აღრიცხვის მიზნებისათვის, ისინი ასახული უნდა იყოს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. როგორ განისაზღვრება „თვითღირებულება“?

ამოხსნა

„თვითღირებულებაში“ შედის რამდენიმე ელემენტი:

- შესყიდვის ღირებულება. პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ კარადების წარმოებისათვის გამოყენებული ხის მასალა (სასადილო მაგიდებისა და თაროებისაგან განსხვავებით). შესაბამისად, ხარჯებში შევა გამოყენებული ხის მასალის ღირებულება, საიმპორტო გადასახადი და ყველა სადაზღვევო თუ სატრანსპორტო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სკანდინავიიდან საწარმოში ხის მასალის შემოტანასთან.

- კონვერსიის ღირებულება. მასში შევა ის ხარჯები, რომლებიც შესაძლოა პირდაპირ იყოს დაკავშირებული კარადების წარმოებასთან წლის განმავლობაში. მასში ასევე შედის პირდაპირი შრომითი დანახარჯი და სხვადასხვა მასალა (მაგალითად, ანჯამები და რკინა-კავეული). საწარმოო ზედნადები დანახარჯები განსაკუთრებულ პრობლემებს წამოჭრის. ისეთი დანახარჯები, როგორცაა ქარხნის გათბობისა და განათების დანახარჯები, ზედამხედველების ხელფასები და მანქანა-დანადგარების ცვეთის დანახარჯი, დაკავშირებულია სამივე სახის პროდუქციის გამოშვებასთან. ეს დანახარჯები პროდუქციის სხვადასხვა სახეზე განაწილებული უნდა იყოს შესაბამის საფუძველზე. განსაკუთრებით, პროცენტული დანამატების განაწილება ზედნადები დანახარჯების დასაფარავად უნდა ეფუძნებოდეს წარმოების ჩვეულებრივ დონეს. თუ ეს პირობა არ იქნება დაცული, მარაგი შესაძლოა ზედმეტად შეფასდეს ნაკლებწარმატებული წლის ბოლოს, რადგან ნაკლები იქნება პროდუქციის რაოდენობა, რომელზეც უნდა გადაიწილდეს ზედნადები დანახარჯები.

თვითღირებულების ეს ელემენტები უნდა გადაიწილდეს:

- წლის განმავლობაში გაყიდულ კარადებზე; ან/და წლის ბოლოს არსებული კარადების მარაგზე (ე.ი. 200 კარადაზე).

შეამოწმე შენი ცოდნა 3

კოლის საწარმო ჰყიდის სამი სახის საქონელს X, Y და Z. წლის ბოლოს ხელმისაწვდომი იყო შემდეგი ინფორმაცია:

| | X | Y | Z |
|------------------------------|-----|-----|-----|
| | \$ | \$ | \$ |
| თვითღირებულება | 7 | 10 | 19 |
| ნეტო სარეალიზაციო ღირებულება | 10 | 8 | 15 |
| ერთეული | 100 | 200 | 300 |

რა იქნება მარაგის საბოლოო ნაშთის ღირებულება?

- ა \$8,400
- ბ \$6,800
- გ \$ 7,100
- დ \$7,200

შეამოწმე შენი ცოდნა 4

რა შემთხვევაში შეიძლება იყოს მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულება თვითღირებულებაზე ნაკლები?

5. მარაგის თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდები

| მეთოდი | ძირითადი საკითხები | |
|--|---|--|
| ერთეულის ინდივიდუალური თვითღირებულება | ეს არის შესყიდვადი, იდენტიფიცირებადი მარაგის ფაქტობრივი ღირებულება | ეს არის იმ მარაგის ფაქტობრივი ღირებულება, რომელსაც ღირებულება აქვს და ინდივიდუალურად განირჩევა |
| ფიფო – პირველად შემოსვლა – პირველად გასვლა | თვითღირებულების შეფასების მიზნებისათვის ფიფო მეთოდი ეფუძნება დაშვებას, რომ, პირველ რიგში, გაიყიდება მარაგში პირველად შემოსული საგნები | ყოველი გაყიდვისას, გაყიდული საქონლის თვითღირებულებად მიჩნეულია მარაგში ყველაზე ადრე შემოსული საქონლის თვითღირებულება |
| საშუალო შეწონილი თვითღირებულება | საქონლის თითოეული ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება პერიოდის დასაწყისში არსებული ერთეულების თვითღირებულებისა და პერიოდის განმავლობაში შებენილი ან წარმოებული მსგავსი ერთეულების თვითღირებულების საშუალო შეწონილი ღირებულების მიხედვით | ამგვარი გამოთვლები შესაძლოა ზორციულდებოდეს პერიოდულად ან შეუწყვეტლივ, ყოველი შესყიდვის შემდეგ |



განვრცობილი ტექსტი

თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდები

ერთეული პროდუქციის თვითღირებულების მეთოდის გარდა, ქვემოთ მოცემული ხერხები განკუთვნილია მარაგში შემაგალი თითოეული პროდუქციის იდენტიფიცირების დასადგენად, ასევე იმის დასადგენად, თუ პროდუქციის რომელი ერთეულები უნდა იყოს მიჩნეული მარაგის საბოლოო ნაშთად.

ერთეულის ინდივიდუალური თვითღირებულება

ეს არის შესყიდვადი, იდენტიფიცირებადი მარაგის ფაქტობრივი ღირებულება. ამ მეთოდს უფრო იმ შემთხვევებში მიმართავენ ხოლმე, როდესაც ინდივიდუალურ მარაგს ღირებულება აქვს და ინდივიდუალურად განირჩევა. მაგალითად, საიუველირო ნაკეთობებით მოვაჭრენი ან ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრენი, როდესაც მესაკუთრებს სურთ, რომ ყოველი ცალკეული საგანი ინდივიდუალურად შეფასდეს.

ფიფო

თვითღირებულების შეფასების მიზნებისათვის ფიფო მეთოდი ეფუძნება დაშვებას, რომ, პირველ რიგში, გაიყიდება მარაგში პირველად შემოსული საგნები. ამდენად, ყოველი გაყიდვისას გაყიდული საქონლის თვითღირებულებად მიჩნეულია მარაგში დარჩენილი ყველაზე ადრე შემოსული საქონლის თვითღირებულება.

საშუალო შეწონილი ღირებულება

საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის მიხედვით, საქონლის თითოეული ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება პერიოდის დასაწყისში არსებული ერთეულების თვითღირებულებისა და პერიოდის განმავლობაში შექმნილი ან წარმოებული მსგავსი ერთეულების თვითღირებულების საშუალო შეწონილი ღირებულების მიხედვით.

ამგვარი გამოთვლები შესაძლოა ხორციელდებოდეს პერიოდულად ან შეუწყვეტლივ, ყოველი შესყიდვის შემდეგ.

გაითვალისწინეთ, რომ ლიფო მეთოდი საერთაშორისო სტანდარტების მიერ აღარაა ნებადართული.

შეამოწმე შენი ცოდნა 5

სემმა ბიზნესი 1 იანვარს დაიწყო და განახორციელა შემდეგი სამეურნეო ოპერაციები:

შესყიდვები

| | | |
|-----------|-----------|-------------------|
| 1 იანვარი | 5 ერთეული | თითოს ფასი \$4 |
| 3 იანვარი | 5 ერთეული | თითოს ფასი \$5 |
| 4 იანვარი | 5 ერთეული | თითოს ფასი \$5.50 |

შემდეგ 5 იანვარს მან 7 ერთეული გაყიდა, თითოეული \$10-ად.

- ა) გამოთვალეთ მარაგის საბოლოო ნაშთი პირველი კვირის ბოლოს ფიფო და საშუალო შეწონილი მეთოდების გამოყენებით.
- ბ) მოამზადეთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ორივე მეთოდის მიხედვით.

შეამოწმე შენი ცოდნა 6

საწარმომ მუშაობა დაიწყო 1 იანვარს და განახორციელა შემდეგი შესყიდვები:

| თვე | ერთეულების რაოდენობა | ერთეულის ფასი \$ | ღირებულება \$ |
|-------|----------------------|------------------|---------------|
| იანვ. | 380 | 2.00 | 760 |
| თებ. | 400 | 2.50 | 1,000 |
| მარტ. | 350 | 2.50 | 875 |
| აპრ. | 420 | 2.75 | 1,155 |
| მაის. | 430 | 3.00 | 1,290 |
| ივნ. | 440 | 3.25 | 1,430 |
| | <u>2,420</u> | | <u>6,510</u> |

ივნისში \$7,000-ად გაიყიდა 1,420 ერთეული.

რა იქნება მარაგის საბოლოო ნაშთის ღირებულება ფიფო-ს გამოყენებით და და ამავე პერიოდის საერთო მოგება.

| | მარაგის საბოლოო ნაშთი | საერთო მოგება |
|---|-----------------------|---------------|
| | \$ | \$ |
| ა | 2,690 | 3,180 |
| ბ | 2,310 | 2,800 |
| გ | 3,077,5 | 3,567,5 |

5.1 მარაგის შეფასების სხვადასხვა მეთოდის ეფექტი მოგებასა და ბალანსზე

სხვადასხვა შეფასების მეთოდების შედეგად მარაგის საბოლოო ნაშთის ღირებულება განსხვავებული იქნება.

თავის მხრივ, ეს გავლენას მოახდენს როგორც მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე, ასევე ბალანსზე.

ამგვარად, მარაგის არასწორი შეფასება გავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ მარაგი გადაჭარბებულადაა შეფასებული, მაშინ:

- აქტივები ბალანსში გადიდებულია;
- მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში მოგება გადაჭარბებულია (რადგან დაბალია გაყიდული მარაგის თეითღირებულება).

თუ მარაგის შეფასებისას ნაკლები ციფრია ნაჩვენები, მაშინ:

- აქტივები ბალანსში შემცირებულია;
- მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში მოგება შემცირებულია (რადგან მაღალია გაყიდული მარაგის თეითღირებულება).

6. ბასს 2 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ბასს 2-ის ძირითადი პრინციპია:

- მარაგის შეფასება თეითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით;
- მარაგის თეითღირებულებაში უნდა შევიდეს შეძენის ყველა დანახარჯი, გადაამუშავების დანახარჯები და სხვა დანახარჯები, რომელიც გაწეულ იქნა მარაგის არსებულ ადგილას და მდგომარეობაში მოსაყვანად.
- თეითღირებულებაში არ უნდა შევიდეს შემდეგი ხარჯები:
 - რეალიზაციის ხარჯები (რადგან ისინი მიეკუთვნება გაყიდულ საქონელს და არა საქონლის არსებულ მარაგს);
 - შენახვის ხარჯები;
 - ნედლეულისა და მასალების დანაკარგების, შრომისა და სხვა საწარმოო ხარჯების ზეწორმატიული თანხები;
 - აღმინისტრაციული ზედნაღები ხარჯები.

- მარაგის შეფასების მეთოდები უნდა იყოს ერთეულის ღირებულება, ფიფო, საშუალო შეწონილი;
- დამატებით ახსნა-განმარტებებში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მარაგის სააღრიცხვო პოლიტიკასა და ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული მარაგის კლასიფიკაციაზე.

მარაგის აღრიცხვის ჩანაწერები

საწარმოს შეუძლია შეარჩიოს, როგორ აწარმოოს მარაგის აღრიცხვის ჩანაწერები უწყვეტი აღრიცხვის თუ მხოლოდ პერიოდული აღრიცხვის გზით.

განვრცობილი ტექსტი

ბასს 2 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ბასს 2 შეიცავს მთელ რიგ განმარტებით მოთხოვნებს. მარაგის შესაფასებლად უნდა მიემართოთ ბასს 2-ში მოცემულ წესებს, ანუ ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

ბასს 2-ის ძირითადი პრინციპი გულისხმობს ბალანსში წარდგენის მიზნებისათვის მარაგის შეფასებას თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ბასს 2-ის თვითღირებულების გამოთვლის მოთხოვნები

მარაგის თვითღირებულებაში უნდა შევიდეს შეძენის ყველა დანახარჯი, გადაშეღების დანახარჯები და სხვა დანახარჯები, რომელიც გაწეულ იქნა მარაგის არსებულ ადგილამდე და მდგომარეობაში მოსაყვანად.

გაყიდვის მიზნით შეძენილი საქონლის, ნედლეულისა და მზა მასალის ღირებულების განსაზღვრა შედარებით ადვილია. შეძენის ღირებულება მოიცავს საიმპორტო საბაჟო გადასახადს, სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც ექვემდებარება უკან დაბრუნებას) და სატრანსპორტო ხარჯებს. ცხადია, რომ სავაჭრო ფასდათმობები არ ჩაირთვება თვითღირებულების გაანგარიშებაში.

წარმოებული საქონლისათვის ან დაუმთავრებელი წარმოებისათვის ეს პრობლემა კიდევ უფრო რთულდება. თვითღირებულებაში უნდა შევიდეს პირდაპირი შრომითი დანახარჯები და გადანაწილებული მუდმივი და ცვლადი ზედნადები დანახარჯები (მუდმივი ზედნადები დანახარჯები ისეთი დანახარჯებია, რომელიც თითქმის არ იცვლება წარმოების მოცულობის მიხედვით. ამგვარ დანახარჯს მიეკუთვნება, მაგალითად ქარხნის იჯარის გადასახადი. ხოლო ცვლადი დანახარჯები ისეთი დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის მიხედვით, მაგალითად არაპირდაპირი შრომითი დანახარჯები ან საცხებ-საპოხი საშუალებები მანქანა-დანადგარებისათვის).

მუდმივი ზედნადები დანახარჯების განაწილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოების სტანდარტულ ღონეს.

თვითღირებულებაში არ უნდა შევიდეს შემდეგი ზედნადები დანახარჯები:

- რეალიზაციის ხარჯები (რადგან ისინი მიეკუთვნება გაყიდულ საქონელს და არა საქონლის არსებულ მარაგს)

- შენახვის ხარჯები
 - ნელლეულისა და მზა მასალების დანაკარგების, შრომისა და სხვა საწარმოო ხარჯების ზენორმატიული თანხები
- ადმინისტრაციული ზედნადები ხარჯები.

თვითღირებულების განსაზღვრა

როგორც ზემოთ ვნახეთ, არსებობს რამდენიმე მეთოდი, რომლითაც განვსაზღვრავთ, თუ როგორ უნდა შეფასდეს მარაგის ნაშთი:

- ერთეულის ინდივიდუალური თვითღირებულება;
- პირველად შემოსვლა-პირველად გასვლა (ფიფო);
- საშუალო შეწონილი ღირებულება.

სხვა შესაძლო მეთოდები:

- ნორმატიული თვითღირებულება;
- სარეალიზაციო ფასს მინუს მოგების მარჟა.

ნორმატიული თვითღირებულება ნიშნავს ნელლეულისა და მასალების, შრომითი დანახარჯების, ეფექტურობისა და წარმადობის გამოყენებას, რომელიც განსაზღვრულია საწარმოს ხარჯთაღრიცხვის სისტემით.

მარაგის განსაზღვრა ხდება სარეალიზაციო ფასით, შემდეგ კი ხდება თვითღირებულებამდე შემცირება, მოგების მარჟის შესაბამისი პროცენტის გამოკლებით. სარეალიზაციო ფასს მინუს მოგების მარჟა შესაძლოა მოსახერხებელი იყოს საცალო მოვაჭრეებისათვის, რომელთათვისაც სარეალიზაციო ფასი უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე თვითღირებულებით შეფასება.

რადგან მარაგის თვითღირებულების შეფასების მიზანია მარაგის ღირებულების შეფასება თვითღირებულებით ან თვითღირებულებასთან მიახლოებული თანხით, ერთეულის თვითღირებულების მეთოდი გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი საჭიონისათვის, რომლის თვითღირებულების იდენტიფიცირება რეალურადაა შესაძლებელი. სხვა საჭიონისათვის, ბასს 2-ით რეკომენდებულია ფიფო ან საშუალო შეწონილი მეთოდი. ნორმატიული თვითღირებულების ან სარეალიზაციო ფასიდან გამოკლებული მოგების მარჟის მეთოდის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ცხადი იქნება, რომ შედეგად მიღებული მარაგის თანხები უახლოვდება ფაქტობრივ თვითღირებულებას.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება

თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულების შედარება უნდა მოხდეს თითოეული ერთეულის მიხედვით და არა მარაგის მთლიანი ღირებულების მიხედვით. შესაძლოა მისაღები იყოს ერთეულთა ჯგუფების ღირებულების ერთობლივად განხილვა, თუ ყველა მათგანი თვითღირებულებაზე ნაკლებია.

მარაგის უწყვეტი და პერიოდული აღრიცხვის მეთოდი

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, საბოლოო მარაგის ნაშთის გამოთვლა შესაძლოა ყველაზე დიდ ძალისხმევას მოითხოვდეს საწარმოსაგან. წინა პუნქტში აღვნიშნეთ, რომ საწარმოს დასჭირდება დაითვალოს თავისი მარაგი ბალანსის შედგენის თარიღისათვის და ხშირ შემთხვევაში საწარმოებში ეს გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს. ოფიციალური დასახელება იმ უწყისისა, სადაც ხდება მარაგის აღრიცხვა, არის „პერიოდის ბოლოს მარაგის აღრიცხვის ჩანაწერები“.

სხვა მეთოდს წარმოადგენს ჩანაწერების წარმოება, რომელშიც აისახება მარაგის ოდენობა ნებისმიერი თარიღისათვის, ანუ მარაგის უწყვეტი აღრიცხვის ჩანაწერები. ეს ჩანაწერები შეიძლება სხვადასხვა ფორმით წარმოებდეს, მაგრამ მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მარაგის თითოეული სახის საქონლის მიხედვით გაკეთდება ჩანაწერი, სადაც მითითებული იქნება ყოველი საქონლის შემოსვლა და გაცემა.

მარაგის უწყვეტი აღრიცხვის უპირატესობებია:

- შეიცავს უფრო მეტ ინფორმაციას, მარაგის კონტროლის მიზნით ;
- გამორიცხავს გარკვეული მარაგის ზედმეტ რაოდენობას, ხოლო სხვა მარაგის არასაკმარის რაოდენობას;
- უფრო ნაკლები საშუალო იქნება შესასრულებელი მარაგის გასაანგარიშებლად სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

მარაგის პერიოდული აღრიცხვის უპირატესობა:

- უმეტეს შემთხვევაში, უფრო იაფია მარაგის უწყვეტი ჩანაწერების წარმოებასთან შედარებით.

მარაგის უწყვეტი აღრიცხვის შემთხვევაშიც კი, აუცილებელია არსებული ჩანაწერის სიზუსტის შემოწმება, მარაგის ფიზიკური დათვლის გზით.

შეამოწმე შენი ცოდნა 7

ბასს 2-ით – სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები - განსაზღვრულია ის მუხლები, რომლებიც შესაძლოა ჩაირთოს საწარმოს მიერ წარმოებული მზა პროდუქციის მარაგის ღირებულების გამოანგარიშებისას.

ქვემოთ მოცემული ჩამონათვლიდან, რომელთა ჩართვა ნებადართული ამ მარაგის საბალანსო ღირებულებაში ბასს 2-ის მიხედვით?

- ა საამქროს უფროსის ხელფასი, ტვირთის საწარმოში მიტანა, საწარმოდან ტვირთის გამოტანა, ნედლეული მასალები.
- ბ ნედლეული მასალები, ტვირთის საწარმოში მიტანა, მზა პროდუქციის საწყობში შენახვის ხარჯები, მანქანა-დანადგარების ცვეთა.
- გ მანქანა-დანადგარების ცვეთა, ტვირთის საწარმოში მიტანა, ნედლეული და მასალები, საამქროს უფროსის ხელფასი.
- დ საწარმოდან ტვირთის გამოტანა, ნედლეული მასალები, საამქროს უფროსის ხელფასი, მანქანა-დანადგარების ცვეთა.

თავის რეზიუმე

მარაგი უნდა შეფასდეს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით

მარაგის კორექტირება

მარაგის საწყისი ნაშთი უნდა შეეიტანოთ მოგებისა და ზარალის ანგარიშში, მარაგის საბოლოო ნაშთი უნდა შეეიღეს ანგარიშებში წლის ბოლოს.

მარაგის შემჯამების მეთოდები:

- ერთეულის თვითღირებულება
- ფიფო
- საშუალო შეწონილი

მარაგის ჩაწერა ბუღალტრულ ანგარიშებში

მარაგის საბოლოო ნაშთი: დებეტი მარაგის ანგარიშში კრედიტი მოგებისა და ზარალის ანგარიშში

მარაგის ამოღება:

დებეტი ამოღება
კრედიტი გაყიდული საქონლის თვითღირებულება

ბას 2 სასაქონლო – მატერიალური ფასეულობები

მოიცავს მარაგის შეფასების წესებსა და ასევე დამატებითი განმარტებების მოთხოვნებს.

შეამოწმე შენი პასუხები

შეამოწმე შენი ცოდნა 1

პირველად ოპერაციები აისახება ბუღალტრულ ანგარიშებში და შემდეგ ანგარიშები ბალანსდება. გაყიდვებიდან ამონაგები და შესყიდვები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშში.

კაპიტალი

| \$ | | \$ | |
|----|--|-------------|-------|
| | | ფული ბანკში | 1,000 |

ფული ბანკში

| \$ | | \$ | |
|------------------------|--------------|------------|--------------|
| კაპიტალი | 1,000 | შესყიდვები | 800 |
| გაყიდვებიდან ამონაგები | <u>900</u> | პ/ბ ნაშთი | <u>1,100</u> |
| | <u>1,900</u> | | <u>1,900</u> |
| პ/დ ნაშთი | 1,100 | | |

გაყიდვებიდან ამონაგები

| \$ | | \$ | |
|------------------------------|------------|-------------|------------|
| მოგებისა და ზარალის ანგარიში | 900 | ფული ბანკში | 900 |
| | <u>900</u> | | <u>900</u> |

შესყიდვები

| \$ | | \$ | |
|-------------|------------|------------------------------|------------|
| ფული ბანკში | 800 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 800 |
| | <u>800</u> | | <u>800</u> |

შემდეგ, მარაგის საბოლოო ნაშთი უნდა აღირიცხოს მარაგის ანგარიშზე და მოგებისა და ზარალის ანგარიშზე. საწარმოს არ ჰქონდა მარაგის საწყისი ნაშთი, რადგან სუაჭრო საქმიანობის პირველი კვირაა.

მარაგი

| \$ | | \$ | |
|------------------------------|------------|-----------|------------|
| მოგებისა და ზარალის ანგარიში | 300 | პ/ბ ნაშთი | 300 |
| | <u>300</u> | | <u>300</u> |
| პ/დ ნაშთი | 300 | | |

| მოგებისა და ზარალის ანგარიში | | | |
|------------------------------|--------------|-------------------|--------------|
| | \$ | | \$ |
| შესყიდვები | 800 | გაყიდვებიდან | |
| პ/პ საერთო მოგება | 400 | ამონაგები | 900 |
| | <u>1,200</u> | მარაგის პ/პ ნაშთი | 300 |
| | | | <u>1,200</u> |
| | | პ/დ საერთო მოგება | 400 |

ქვემოთ მოგებისა და ზარალის ანგარიში მომზადებულია განხვავებული ვერტიკალური ფორმატით.

| პირველი კვირის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება | |
|--|--------------|
| | \$ |
| გაყიდვებიდან ამონაგები | 900 |
| გაყიდვების თვითღირებულება: | |
| მარაგის საწყისი ნაშთი | — |
| პლუს: შესყიდვები | 800 |
| მინუს: მარაგის საბოლოო ნაშთი | <u>(300)</u> |
| | <u>(500)</u> |
| საერთო მოგება | <u>400</u> |

ბალანსი მომზადებულია ბუღალტრული ანგარიშებიდან პერიოდის ბოლოს ნაშთების გაღმობით.

| პირველი კვირის ბალანსი | |
|----------------------------|--------------|
| | \$ |
| მარაგი | 300 |
| სალარო | 1,100 |
| | <u>1,400</u> |
| კაპიტალი | 1,000 |
| საერთო მოგება კვირის ბოლოს | 400 |
| | <u>1,400</u> |

შეამოწმე შენი ცოდნა 2

თავდაპირველად უნდა მომზადდეს ბუღალტრული ანგარიშები. უნდა განსოვდეთ, რომ წინა კვირის ბალანსი მოიცავს საბოლოო ნაშთებს, რომელიც მეორე კვირის დასაწყისში არის საწყისი ნაშთები (სალარო და კაპიტალი), ხოლო მოგებისა და ზარალის ანგარიში არ მოიცავს ნაშთებს, რადგან ისინი დაიხურა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში პირველი კვირის ბოლოს.

| ფული სალაროში | | | |
|---|--------------|------------------------------|--------------|
| \$ | | \$ | |
| პ/დ ნაშთი | 1,100 | შესყიდვები | 1,100 |
| გაყიდვებიდან ამონაგები | <u>1,000</u> | პ/ბ ნაშთი | <u>1,000</u> |
| | <u>2,100</u> | | <u>2,100</u> |
| პ/დ ნაშთი | 1,000 | | |
| გაყიდვებიდან ამონაგები | | | |
| \$ | | \$ | |
| მოგებისა და ზარალის ანგარიში | 1,000 | ფული ბანკში | 1,000 |
| | <u>1,000</u> | | <u>1,000</u> |
| შესყიდვები | | | |
| \$ | | \$ | |
| ფული ბანკში | 1,100 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 1,100 |
| | <u>1,100</u> | | <u>1,100</u> |
| <p>მარაგის საწყისი ნაშთი უნდა იქნეს გადატანილი მოგებისა და ზარალის ანგარიშში და მარაგის საბოლოო ნაშთი ჩაიწეროს ბუღალტრულ ანგარიშებში (მარაგისა და მოგებისა და ზარალის ანგარიშებში) და საბოლოო ნაშთი გადავიდეს ბალანსში.</p> | | | |
| მარაგი | | | |
| \$ | | \$ | |
| პ/დ ნაშთი | 300 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 300 |
| მოგებისა და ზარალის ანგარიში | 500 | პ/ბ ნაშთი | <u>500</u> |
| | <u>800</u> | | <u>800</u> |
| პ/დ ნაშთი | 500 | | |
| მოგებისა და ზარალის ანგარიში | | | |
| \$ | | \$ | |
| შესყიდვები | 1,100 | გაყიდვებიდან ამონაგები | 1,000 |
| მარაგის საწყისი ნაშთი | 300 | მარაგის პ/ბ ნაშთი | 500 |
| პ/ბ საერთო მოგება | <u>100</u> | | <u>1,500</u> |
| | <u>1,500</u> | პ/დ საერთო მოგება | <u>100</u> |

| მეორე კვირის ბოლოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგება | |
|--|--------------|
| | \$ |
| გაყიდვებიდან ამონაგები | 1,000 |
| გაყიდვების თვითღირებულება: | |
| მარაგის საწყისი ნაშთი | 300 |
| პლუს: შესყიდვები | 1,100 |
| | <u>1,400</u> |
| მინუს: მარაგის საბოლოო ნაშთი | (500) |
| | <u>(900)</u> |
| საერთო მოგება | <u>100</u> |
| ბალანსი მეორე კვირის ბოლოს | |
| | \$ |
| მარაგი | 500 |
| სალარო | 1,000 |
| | <u>1,500</u> |
| კაპიტალი | 1,400 |
| საერთო მოგება კვირის ბოლოს | 100 |
| | <u>1,500</u> |



| შეამოწმე შენი ცოდნა 3 | |
|---------------------------------------|-----------------|
| სწორი პასუხია ბ | |
| X \$7 (თვითღირებულება) | X 100 = \$700 |
| Y \$8 (ნეტო სარეალიზაციო ღირებულება) | X 200 = \$1,600 |
| Z \$15 (ნეტო სარეალიზაციო ღირებულება) | X 300 = \$4,500 |
| ჯამი | \$6,800 |



შეამოწმე შენი ცოდნა 4

ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია, მარაგის შეფასება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით უფრო მნიშვნელოვანია. მაგ., საქონელი ნელა იყიდება, დაზიანებულია, ან მოძველებულია. თუმცა, მარაგის შეფასება, ძირითადად, ხდება თვითღირებულებით.

შეამოწმე შენი ცოდნა 5

შესყიდული ერთეულის რაოდენობა $(5 \times 3) = 15$
 გაყიდული ერთეულის რაოდენობა = 7
 მარაგის საბოლოო ნაშთი = 8

ა) ფიფო

| | | |
|--------------------|----|--------------|
| | \$ | |
| 3 ერთეული @ \$5 | = | 15.00 |
| 5 ერთეული @ \$5.50 | = | <u>27.50</u> |
| | | <u>42.50</u> |

საშუალო შეწონილი

საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის მიხედვით, საქონლის თითოეული ერთეულის თვითღირებულება:

$$\frac{(5 \times \$4) + (5 \times \$5) + (5 \times \$5.50)}{15} = \$4.83$$

მარაგის საბოლოო ნაშთი = $8 \times \$4.83$
 = \$38.64

ბ) ფიფო

| | | |
|--|----------------|----|
| | \$ | \$ |
| გაყიდვები $(7 \times \$10)$ | | 70 |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | | |
| შესყიდვები $((5 \times \$4) + (5 \times \$5) + (5 \times \$5.50))$ | 72.50 | |
| მინუს: მარაგის საბოლოო ნაშთი | <u>(42.50)</u> | |

(30)

მოგება

40

საშუალო შეწონილი

| | | |
|--|----------------|----|
| | \$ | \$ |
| გაყიდვები $(7 \times \$10)$ | | 70 |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | | |
| შესყიდვები $((5 \times \$4) + (5 \times \$5) + (5 \times \$5.50))$ | 72.50 | |
| მინუს: მარაგის საბოლოო ნაშთი | <u>(38.64)</u> | |

(33.86)

მოგება

36.14



შეამოწმე შენი ცოდნა 6

სწორი პასუხია გ

მარაგის შეფასება (დარჩენილი მარაგის რაოდენობა $2,420 - 1,420 = 1,000$)

ფილო - მარაგი ფასდება შესყიდვის ბოლო ფასებით

| | | \$ | |
|------------|--------------------------|--------------|--|
| 440 | ერთეული, თითოეული \$3.25 | 1,430 | |
| 430 | ერთეული, თითოეული \$3.00 | 1,290 | |
| <u>130</u> | ერთეული, თითოეული \$2.75 | <u>357.5</u> | |
| 1,000 | | 3,077.5 | |

საერთო მოგების გამოთვლა


| | \$ | \$ |
|----------------------------------|------------------|----------------|
| გაყიდვებიდან ამონაგები | | 7,000 |
| შესყიდვა | 6,510 | |
| მინუს: | | |
| მარაგის საბოლოო ნაშთი | <u>(3,077.5)</u> | |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | | <u>(3,433)</u> |
| საერთო მოგება | | <u>3,567.5</u> |



შეამოწმე შენი ცოდნა 7

სწორი პასუხია გ


დანარჩენი სამი პასუხი შეიცავს ისეთ მუხლებს, რომელთა ჩართვა მარაგის საბალანსო ღირებულებაში, ბასს 2-ის მიხედვით, შეუძლებელია.



ბრუნვის გადასახადი თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- ახსნათ ბრუნვის გადასახადის მოქმედების ძირითადი პრინციპები;
- სწორად გამოთვალოთ ბრუნვის გადასახადი სამეურნეო ოპერაციების მიხედვით;
- აწარმოოთ შესყიდვებისა და გაყიდვების ბრუნვის გადასახადის ჩანაწერები ბუღალტრულ ანგარიშებში.



1. ბრუნვის გადასახადის პრინციპები

- ბრუნვის გადასახადი არაპირდაპირი დაბეგვრის ფორმაა.
- საწარმო, რომელიც ბრუნვის გადასახადის გადამხდელადაა რეგისტრირებული, მთავრობისათვის გადასახადების შემგროვებელი აგენტია.
- ბრუნვის გადასახადი ერიცხება შესყიდვებს (გადასახადის გადახდა) და გაყიდვებს (გადასახადის მიღება).
- ბრუნვის გადასახადი არ შედის საწარმოს ანგარიშგებაში ასახულ გაყიდვისა და შესყიდვის ციფრებში.
- საწარმო პერიოდულად უხდის ბრუნვის გადასახადს ბიუჯეტს.
- თუ გადახდილი ბრუნვის გადასახადი აჭარბებს მიღებულს, მაშინ საწარმოს სხვაობას უბრუნებენ ბიუჯეტიდან.
- თუ მიღებული ბრუნვის გადასახადი აჭარბებს გადახდილს, მაშინ საწარმო სხვაობას უხდის ბიუჯეტს.
- ბრუნვის გადასახადს ასევე უწოდებენ დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ), ან საქონლისა და მომსახურების გადასახადს.
- დამატებული ღირებულების გადასახადი ერიცხება შესყიდვებისა და გაყიდვების უმეტეს სახეობებს.

2. დამატებული ღირებულების გადასახადის გამომანგარიშება

- ჩვეულებრივ, გასაყიდ ფასს ემატება 17.5% დამატებული ღირებულების გადასახადი.

- ამგვარად, დადგენილია შემდეგი:

| | |
|---|--------|
| ნეტო გასაყიდი ფასი (არ მოიცავს გადასახადის ღირებულებას) | 100.0% |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 17.5% |
| საერთო გასაყიდი ფასი (მოიცავს გადასახადის ღირებულებას) | 117.5% |

- ნეტო გასაყიდი ფასი არის ის თანხა, რომლის მიღებაც სურს საწარმოს.
- საერთო გასაყისი ფასი არის ის ფასი, რაც მყიდველებს ერიცხებათ.
- სხვაობა გადახდილ უნდა იქნეს ბიუჯეტში.

მაბ.

საილუსტრაციო მაგალითი: ბრუნვის გადასახადის გამოთვლა**ბრუნვის გადასახადის გამოთვლა**

ორლანდო, რომელიც არის დღგ-ის გადამხდელი, ჰყიდის შემდეგ საქონელს:

- 1 ბობზე ბრუნვის გადასახადის შემცველი ფასით \$470;
 - 2 კოსმოზე ფასით \$700, რომელიც არ შეიცავს ბრუნვის გადასახადს;
- რა რაოდენობის ბრუნვის გადასახადი უნდა გადაუხადოს ორლანდომ ბიუჯეტს?

ამოხსნა

ბრუნვის გადასახადის გამოთვლა შესაძლებელია სათანადო პროცენტის გამოყენებით, იმის მიხედვით ფასი შეიცავს თუ არა ბრუნვის გადასახადს.

გაყიდვები ბობზე (ბრუნვის გადასახადის შემცველი)

$$\frac{17.5\%}{117.5\%} \times \$470 = \$70$$

გაყიდვები კოსმოზე (არ შეიცავს ბრუნვის გადასახადს)

$$\frac{17.5\%}{100\%} \times \$700 = \$122.50$$

ბრუნვის გადასახადების მთლიანი რაოდენობა: $\$70 + \$122.50 = \$192.50$

შეამოწმე შენი ცოდნა 1

ლორენცო საქონელს ყიდულობს \$170,625-ად (მოიცავს ბრუნვის გადასახადს) და ჰყიდის საქონელს \$230,500-ად (მოიცავს ბრუნვის გადასახადს).

რა რაოდენობის ბრუნვის გადასახადია გადასახდელი ბიუჯეტში?

ა \$8,918

ბ \$14,926

გ \$4,471

დ \$10,479

ბრუნვის გადასახადის განაკვეთია 17.5%.

3. დამატებული ღირებულების გადასახადის ბუღალტრული გატარებები

შესყიდვებისა და გაყიდვების ჩვეულებრივი ბუღალტრული გატარებები არის ოდნავ შესწორებული დამატებული ღირებულების გადასახადით. მთავარი დანამატი არის დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიში, რომელიც გადასახადებზე პასუხისმგებელ პირებთან დებიტორული ან კრედიტორული დავალიანების ანგარიშებია.

3.1 შესყიდვების დროს გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი (გადახდილი გადასახადი)

| | | |
|---------|--------------------------------|--|
| ღებეტი | შესყიდვა | ღირებულება, რომელიც არ მოიცავს დღგ-ს (ნეტო ღირებულება) |
| ღებეტი | დღგ | დღგ |
| კრედიტი | კრედიტორული დავალიანება/სალარო | ღირებულება, რომელიც შეიცავს დღგ-ს (საერთო ღირებულება) |

- შესყიდვის ანგარიშში არ შეიცავს დღგ-ს, რადგან იგი არ არის ხარჯი – და ის დაბრუნდება.
- კრედიტორული დავალიანების ანგარიშში მოიცავს დღგ-ს, რადგან მომწოდებელს უნდა გადაუხადოთ ვალის მთლიანი რაოდენობა.

3.2 გაყიდვებზე დარიცხული დღგ (ბიუჯეტისათვის გადასახდელი)

| | | |
|---------|-------------------------------|---|
| ღებეტი | დებიტორული დავალიანება/სალარო | გასაყიდი ფასი, რომელიც მოიცავს დღგ-ს (საერთო გასაყიდი ფასი) |
| კრედიტი | გაყიდვები | გასაყიდი ფასი, რომელიც არ მოიცავს დღგ (ნეტო გასაყიდი ფასი) |
| კრედიტი | დღგ | დღგ |

- გაყიდვების ანგარიშში არ შეიცავს დღგ-ს, რადგან იგი არ არის შემოსავალი – ის უნდა გადაუხადონ ბიუჯეტს.
- დებიტორული დავალიანების თანხა მოიცავს დღგ-ს, რადგან მყიდველმა უნდა გადაიხადოს მთლიანი ვალი.

3.3 ბიუჯეტში გადახდილი დღგ

| | | |
|---------|-----------------|-----------------|
| ღებეტი | დღგ | გადახდილი თანხა |
| კრედიტი | ფულადი სახსრები | გადახდილი თანხა |

- თუ მიღებული გადასახადი აჭარბებს გადახდილს, სხვაობა უნდა გადაუხადოთ ბიუჯეტს.

3.4 დღგ-ს უკან დაბრუნება ბიუჯეტიდან

| | | |
|---------|-----------------|----------------|
| ღებეტი | ფულადი სახსრები | მიღებული თანხა |
| კრედიტი | დღგ | მიღებული თანხა |

- თუ გადახდილი გადასახადი აჭარბებს მიღებულს, სხვაობა საწარმოს უნდა დაუბრუნდეს ბიუჯეტიდან.

შეამოწმე შენი ცოდნა 2

ლეოს შესყიდვისა და გაყიდვის ანალიზი გეჩვენებს ფინანსური წლის ბოლო კვარტალის შემდეგ ინფორმაციას:

| | ნეტო \$ | დღგ \$ | სულ \$ |
|-----------------------------|------------|-----------|-----------|
| შესყიდვები (ყველა კრედიტით) | 180,000 | 31,500 | 211,500 |
| გაყიდვები (ყველა კრედიტით) | 260,000 | 45,500 | 305,500 |

შეადგინეთ ბუღალტრული ანგარიშები და ჩაწერეთ ეს ოპერაციები მათში.

შეამოწმე შენი ცოდნა 3

ვალერიის საწარმო დარეგისტრირებულია როგორც დღგ-ის გადამხდელი. 20X6 წლის 31 მარტს დასრულებულ კვარტალში მან აწარმოვა შემდეგი გაყიდვის ოპერაციები, რომელთაგან ყველას ეკუთვნოდა დღგ-ის 17,5%-ის გადახდა:

- \$10,000 არ მოიცავს ბრუნვის გადასახადს
- \$7,402 მოიცავს ბრუნვის გადასახადს
- \$6,745 არ მოიცავს ბრუნვის გადასახადს
- \$11,632 მოიცავს ბრუნვის გადასახადს

მან ასევე მოახდინა შემდეგი შესყიდვა, რომელთაგან ყველას ეკუთვნოდა დღგ-ის 17,5%-ის გადახდა:

- \$15,000 არ მოიცავს ბრუნვის გადასახადს
- \$12,455 მოიცავს ბრუნვის გადასახადს
- \$11,338 მოიცავს ბრუნვის გადასახადს
- \$9,870 მოიცავს ბრუნვის გადასახადს

რა ნაშთი იქნება ბრუნვის გადასახადის ანგარიშზე 20X6 წლის 31 მარტს?

- ა \$7,639 დებეტი
- ბ \$1,875 დებეტი
- გ \$7,639 კრედიტი
- დ \$1,875 კრედიტი

თავის რეზიუმე

ბრუნვის გადასახალის პრინციპები

- ვრცობა შესყიდვებს და გაყიდვებს.
- შესული არ არის შესაძენ და გასაყიდ თანხაში.
- საწარმო მთავრობისათვის გადასახალის შემგროვებელი აგენტია.
- პერიოდულად უნდაინ საგადასახალი ორგანოებს (ან უბრუნებენ საწარმოს თუ შესყიდვაზე გადასახალი აგარბებს გაყიდვებს).

ბრუნვის გადასახალის ბუღალტრული გატარებები

- გაყიდვისა და შესყიდვის ანგარიში არ შეიცავს დღ-ს
- დებიტორული და კრედიტორული დავალანებების ანგარიშები შეიცავს დღ-ს, რადგან საწარმო აგროვებს დღ-ს მყიდველებისაგან და უხდის მას მომწოდებლებს.
- დღ-ის ანგარიში არის დებიტორული ან კრედიტორული დავალანების ანგარიში ბალანსში.

შეამოწმე შენი პასუხები

შეამოწმე შენი ცოდნა 1

სწორი პასუხია ა

მიღებული გადასახადი:

გაყიდვა (შეიცავს დღგ-ს) 230,500

დღგ (17.5/117.5 x 230.500) 34,330

გადახდილი გადასახადი:

შესყიდვა (შეიცავს დღგ-ს) 170,625

დღგ (17.5/117.5 x 170.625) 25,412

ბიუჯეტში გადასახდელი:

მიღებული დღგ – გადახდილი დღგ
(34,330 – 25,412) **8,918**

შეამოწმე შენი ცოდნა 2

გაყიდვებიდან ამონაგები

| \$ | \$ |
|------------------------|----------------|
| დებიტორული დავალიანება | 260,000 |
| | <u>260,000</u> |

გაითვალისწინეთ, რომ გაყიდვის თანხაში არ შედის დღგ, რადგან ის არ არის შემოსავალი საწარმოსათვის.

შესყიდვები

| \$ | \$ |
|-------------------------|----------------|
| კრედიტორული დავალიანება | 180,000 |
| | <u>180,000</u> |

გაითვალისწინეთ, რომ შესყიდვაში არ არის შესული დღგ, რადგან ის არ არის ხარჯი საწარმოსათვის.

დებიტორული დავალიანება


| \$ | \$ |
|------------------------|----------------|
| გაყიდვებიდან ამონაგები | 305,500 |
| (დღგ-ის ჩათვლით) | <u>305,500</u> |

დებიტორულ დავალიანებაში შესულია დღგ (საერთო რაოდენობა), რადგან მყიდველმა საწარმოს უნდა გადაუხადოს საქონლის ღირებულება პლუს დღგ.

| კრედიტორული დავალიანება | | | |
|--|---------------|------------------------|----------------|
| | \$ | | \$ |
| | | შესყიდვები | 211,500 |
| | | (დღგ-ს ჩათვლით) | <u>211,500</u> |
| <p>როგორც დაბიტორულ, ასევე კრედიტორულ დავალიანებაშიც შესული უნდა იყოს დღგ, რადგან საწარმომ მომწოდებელს უნდა გადაუხადოს საერთო თანხა.</p> | | | |
| დღგ-ის ანგარიში (ბიუჯეტთან ანგარიშსწორება) | | | |
| | \$ | | \$ |
| კრედიტორული დავალიანება | 31,500 | დებიტორული დავალიანება | 45,500 |
| პ/ბ ნაშთი | 14,000 | | |
| | <u>45,500</u> | | <u>45,500</u> |
| | | პ/დ ნაშთი | 14,000 |
| <p>გახსოვდეთ: რადგან ნაშთი დღგ-ის ანგარიშზე წარმოადგენს სავაჭრო ვალდებულებას, ის უნდა აისახოს ბალანსში კრედიტორულ დავალიანებაში.</p> | | | |



| შეამოწმე შენი ცოდნა 3 | | | |
|-----------------------|--------------|-----------------------|--------------|
| სწორი პასუხია ბ | | | |
| დღგ-ის ანგარიში | | | |
| | \$ | | \$ |
| შესყიდვები: | | გაყიდვები: | |
| 15,000 x 17.5% | 2,625 | 10,000 x 17.5% | 1,750 |
| 12,455 x 17.5%/117.5% | 1,855 | 7,402 x 17.5%/117.5% | 1,102 |
| 11,338 x 17.5%/117.5% | 1,689 | 6,745 x 17.5% | 1,180 |
| 9,870 x 17.5%/117.5% | 1,470 | 11,632 x 17.5%/117.5% | 1,732 |
| | | პ/ბ ნაშთი | 1,875 |
| | <u>7,639</u> | | <u>7,639</u> |
| პ/დ ნაშთი | 1,875 | | |




დარიცხვები და წინასწარ გადახდები

თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- ახსნათ დარიცხვისა და წინასწარგადახდილი ხარჯების კორექტირების აუცილებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის;
- პრაქტიკულად განაზოციელოთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის აუცილებელი დარიცხვისა და წინასწარგადახდილი ხარჯების კორექტირების პროცესი.



1. ბუღალტრული აღრიცხვის ღარიცხვის მეთოდი

ბუღალტრული აღრიცხვის ღარიცხვის მეთოდი ნიშნავს იმას, რომ მიმდინარე პერიოდის ბოლოს მოგების გამოსათვლელად, საანგარიშო პერიოდის შემოსავალი და ხარჯები უნდა აისახოს იმ პერიოდში, რომელსაც ისინი უკავშირდებიან, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდში შემოვიდა ანგარიშ-ფაქტურა ან ფული, ან როდის მოხდა გადახდა.

ამგვარად, მოგება არის:

| | |
|---------------------------|------------|
| გამომუშავებული შემოსავალი | X |
| წარმოქმნილი ხარჯები | <u>(X)</u> |
| მოგება | X |



განვრცობილი ტექსტი

ღარიცხვის კონცეფცია ბასს 1-ით – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა – აღიარებულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითად კონცეფციად. ამ კონცეფციის მიხედვით, შემოსავალი და ხარჯები უნდა დაუპირისპირდეს ერთმანეთს და აისახოს იმ პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, რომელსაც ისინი უკავშირდებიან, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდში შემოვიდა ფული ან როდის მოხდა გადახდა. ამდენად, ის ხარჯები, რომელიც დაკავშირებული იყო ამას თუ იმ პერიოდის გაყიდვებთან, უნდა დაუპირისპირდეს გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავალს და აისახოს იმ პერიოდში, როდესაც თვით ეს გაყიდვები აისახება. გაყიდვებიდან ამონაგები

ამა თუ იმ საღარიცხო პერიოდის გაყიდვებიდან ამონაგები ჩაირთვება იმ პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც გაიყიდა საქონელი. ეს ნიშნავს, რომ თუ გაყიდვა კრედიტით ზორციელდება, მისი აღიარება ხდება იმ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში მაშინ, როცა შეთანხმება დაიდება და ანგარიშ-ფაქტურა გავგზავნება კლიენტს და არა მაშინ, როდესაც ფული შემოვა. ამისათვის ბალანსში უნდა აისახოს დებიტორული დავალიანების ის ოდენობა, რომელიც მიღებული უნდა იყოს ამ გაყიდული საქონლიდან (დადებულდება დებიტორული დავალიანების ანგარიშში და დაკრედიტდება გაყიდვებიდან ამონაგების ანგარიშში).

შესყიდვები

ანალოგიურად, შესყიდვებიც იმ პერიოდს დაუპირისპირდება, როდესაც ისინი განხორციელდა და კრედიტით შესყიდვები აისახება მაშინ, როდესაც ისინი განხორციელდა, ხოლო ბალანსში აისახება კრედიტორული დავალიანების მუხლი თანხის იმ ოდენობით, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს (შესყიდვების დადებულება და კრედიტორების ანგარიშების დაკრედიტება).

გაყიდვების თვითღირებულება

პერიოდის განმავლობაში გაყიდვების მთავარი ხარჯი არის საქონლის ფაქტობრივი თვითღირებულება, რომელიც იყიდება. როგორც წინა თავში იყო განხილული, საჭიროა მარაგის საწყისი და საბოლოო ნაშთების კორექტირება, რათა დავრწმუნდეთ, რომ გაყიდული ერთეულების თვითღირებულება უპირისპირდება ფაქტობრივ გაყიდვებს საღარიცხო პერიოდის ბოლოს. მარაგის საბოლოო ნაშთი თვითღირებულებით უნდა იქნეს გადატანილი მომდევნო პერიოდზე, რათა მოხდეს დაპირისპირება ამ ერთეულების ფაქტობრივ გაყიდვებთან.

ხარჯები

ხარჯები, რომელიც საწარმომ გასწია გაყიდვების პერიოდში, მაგალითად, როგორცაა იჯარა, ელექტროენერგია და ტელეფონის ხარჯი, ასევე უნდა დაუპირისპირდეს მოცემული პერიოდის გაყიდვებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში გაწეული ფაქტობრივი ხარჯები და არა მხოლოდ ხარჯების ის ოდენობა, რომელიც იმავდროულად იქნა გადახდილი, ჩართულ უნდა იქნეს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.



2. დარიცხული ხარჯები



დარიცხული ხარჯი ისეთი ხარჯია, რომელიც გაწეულ იქნა საანგარიშგებო წელს, მაგრამ ჯერ არ გადაუხდიათ.

ამ შემთხვევაში, აუცილებელია აღირიცხოს ყველა დამატებითი ხარჯი, რომელიც ეკუთვნის საანგარიშო წელს და ნაშთი აისახოს ბალანსში, მოკლევადიანი ვალდებულებების მუხლის სახით და ეწოდოს დარიცხული ხარჯი.

| | |
|---------------------------------------|---|
| ღებუტი ხარჯის ანგარიში | X |
| კრედიტი დარიცხული ხარჯი (ვალდებულება) | X |

ამგვარად, დარიცხული ხარჯი მოგებას ამცირებს მოგებისა და ზარალის ანგარიშში.



საილუსტრაციო მაგალითი: დარიცხული ხარჯი

საწარმოს მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი წლის განმავლობაში შეადგენს \$12,000-ს. 20X5 წლის 31 დეკემბრისათვის გადახდილია \$9,000.

ელექტროენერგიის ბოლო კვარტალის ხარჯი გადაიხადეს 20X6 წლის იანვარში.

გამოთვალეთ დარიცხული ხარჯი და ელექტროენერგიის ხარჯი წლის განმავლობაში.

შეადგინეთ ელექტროენერგიის ხარჯის ანგარიში და აჩვენეთ სათანადო გატარებები.

ამოხსნა

- ელექტროენერგიის მთელი წლის ხარჯი, რომელიც მოგებისა და ზარალის ანგარიშში უნდა აღირიცხოს, იქნება \$12,000.
- წლის ბოლოს დარიცხული ხარჯი, რომელიც არ არის გადახდილი, შეადგენს \$3,000-ს.

აუცილებელი ორადი გატარებაა:

| | |
|---------------------------------------|---------|
| ღებუტი ელექტროენერგიის ხარჯი | \$3,000 |
| კრედიტი დარიცხული ხარჯი (ვალდებულება) | \$3,000 |

ბუღალტრული ანგარიშები და დარიცხული ზარჯები

1-ლი მეთოდი: ცნობილია დარიცხული ზარჯის რაოდენობა

ელექტროენერგიის ზარჯის ანგარიში

| | \$ | | \$ |
|---------------------|--------|--|--------|
| ფული ბანკში | 9,000 | | |
| დარიცხული პ/ბ ნაშთი | 3,000 | მოგებისა და ზარალის ანგარიში (დამაბალანსებელი ციფრი) | 12,000 |
| | 12,000 | | 12,000 |
| | | დარიცხული პ/დ ნაშთი | 3,000 |

მე-2 მეთოდი: ცნობილია მოგებისა და ზარალის ანგარიშში ჩასაწერი ციფრი

ელექტროენერგიის ზარჯის ანგარიში

| | \$ | | \$ |
|---------------------------------------|--------|------------------------------|--------|
| ფული ბანკში | 9,000 | | |
| დარიცხული პ/ბ ნაშთი (დამაბალანსებელი) | 3,000 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 12,000 |
| | 12,000 | | 12,000 |
| | | დარიცხული პ/დ ნაშთი | 3,000 |



შეამოწმე შენი ცოდნა 1

ჯონ სიმნელის საწარმოს საანგარიშგებო წელი 20X1 წლის 31 დეკემბერს სრულდება. იგი საწარმოსათვის ფართობს ქირაობს კვარტალში \$5,000-ად, რომელსაც გადავადებით იხდის. 20X1 წელს 31 დეკემბრამდე იჯარის ქირა გადაიხდა:

| | \$ |
|---|-------|
| 31 მარტი (კვარტალური, 20X1 წლის 31 მარტამდე) | 5,000 |
| 29 ივნისი (კვარტალური, 20X1 წლის 30 ივნისამდე) | 5,000 |
| 2 ოქტომბერი (კვარტალური, 20X1 წლის 30 სექტემბრამდე) | 5,000 |

საბოლოო კვარტალური ქირა 20X1 წლის 31 დეკემბრისათვის არ იქნა გადახდილი 20X2 წლის 4 იანვრამდე.

შეადგინეთ ბუღალტრული ანგარიში და გაატარეთ ზემოთ მოცემული ოპერაციები.



3. წინასწარ გადახდილი ხარჯები



წინასწარ გადახდილი ხარჯი ისეთი ხარჯია, რომელიც მიმდინარე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში იქნა გადახდილი, მაგრამ მიეკუთვნება მომდევნო სააღრიცხვო პერიოდს.

ამ შემთხვევაში, აუცილებელია უკვე გადახდილი მომავალი პერიოდის ხარჯები, რომლებიც არ ეკუთვნის მიმდინარე პერიოდს, არ აისახოს მიმდინარე პერიოდის ხარჯებად და ნაშთი აისახოს ბალანსში მოკლევადიანი აქტივების მუხლის სახით და ეწოდოს წინასწარ გადახდილი ხარჯი.

ღებუტი წინასწარ გადახდილი ხარჯი X

კრედიტი ხარჯის ანგარიშში X

ამგვარად, წინასწარ გადახდილი ხარჯი ზრდის მოგებას მოგებისა და ზარალის ანგარიშში.



სააღრიცხვო მაგალითი 2. წინასწარ გადახდილი ხარჯი

საწარმოს წლიური სადაზღვევო ხარჯი არის \$24,000. 20X5 წლის 1 იანვარს გადაიხადეს \$30,000, მომავალი წლის დაზღვევის ხარჯის ჩათვლით.

რა იქნება წლის ბოლოს წინასწარ გადახდილი ხარჯი და მოგებისა და ზარალის ანგარიშში საანგარიშო პერიოდის დაზღვევის ხარჯი?

შეადგინეთ ბუღალტრული ანგარიში და აჩვენეთ სათანადო გატარებები.

ამოხსნა

- დაზღვევის ხარჯი, რომელიც მოგებისა და ზარალის ანგარიშში უნდა აღირიცხოს, იქნება \$24,000.
- წლის ბოლოს წინასწარ გადახდილი ხარჯი, რომელიც ეკუთვნის 20X6 წელს, არის \$6,000.

საჭიროა შემდეგი ორადი გატარება:

ღებუტი წინასწარ გადახდა \$6,000

კრედიტი დაზღვევის ხარჯი \$6,000

დაზღვევის ხარჯის ანგარიში

| | \$ | | \$ |
|------------------------------|--------|------------------------------|--------|
| ფული ბანკში | 30,000 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 24,000 |
| | | წინასწარ გადახდილი პ/ბ ნაშთი | 6,000 |
| | 30,000 | | 30,000 |
| წინასწარ გადახდილი პ/ლ ნაშთი | 6,000 | | |



შეამოწმე შენი ცოდნა 2

ტობი წინასწარ იხდის ბაზარში იჯარით აღებული ადგილის ქირას. მან საქმიანობა დაიწყო 20X5 წლის 1 იანვარს და ამ დღეს გადაიხდა პირველი კვარტალის ქირა \$1,200. პირველი სამეურნეო წლის განმავლობაში მან ასევე გადაიხდა შემდეგი თანხები:

| | |
|--|-------|
| 3 მარტს (კვარტალური, 30 ივნისს დასრულებული) | 1,200 |
| 14 ივნისს (კვარტალური, 30 სექტემბერს დასრულებული) | 1,200 |
| 25 სექტემბერს (კვარტალური, 31 დეკემბერს დასრულებული) | 1,400 |
| 13 დეკემბერს (20X6 წლის I კვარტალის) | 1,400 |

შეადგინეთ იჯარის ბუღალტრული ანგარიში და გაატარეთ ზემოთ მოცემული ოპერაციები.

4. ხარჯის T- ანგარიშის ფორმა

ხარჯის ანგარიში

| | \$ | | \$ |
|---|----------|--|----------|
| პ/დ ნაშთი (წინასწარგადახდილი ხარჯის საწყისი ნაშთი) | X | პ/დ ნაშთი (დარიცხული ხარჯის საწყისი ნაშთი) | X |
| ფულადი სახსრები (წლის განმავლობაში მთლიანი გადახდილი თანხა) | X | მოგებისა და ზარალის ანგარიში (ერთი წლის ხარჯი) | X |
| პ/ბ ნაშთი (დარიცხული ხარჯის საბოლოო ნაშთი) | X | პ/ბ ნაშთი (წინასწარგადახდილი ხარჯის საბოლოო ნაშთი) | X |
| | <u>X</u> | | <u>X</u> |
| პ/დ ნაშთი (წინასწარგადახდილი ხარჯის საწყისი ნაშთი) | X | პ/დ ნაშთი (დარიცხული ხარჯის საწყისი ნაშთი) | X |



შეამოწმე შენი ცოდნა 3

20X5 წლის 1 იანვარს ვილის აქვს წინა წლის ელექტროენერჯის ვალი \$2,000. 20X5 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს ვილიმ გადაიხდა:

| | |
|-------------|---------|
| 6 თებერვალს | \$2,800 |
| 8 მაისს | \$3,000 |
| 5 აგვისტოს | \$2,750 |
| 10 ნოემბერს | \$3,100 |

20X5 31 დეკემბერს ვილიმ გამოითვალა, რომ მას დარჩა წლის ბოლო პერიოდის ელექტროენერჯის ხარჯი \$1,800 გადასახდელი. რა რაოდენობის ელექტროენერჯის ხარჯი უნდა ჩაიწეროს მოგებისა და ზარალის ანგარიშში?

ა \$1,800
 ბ \$11,450
 გ \$11,650
 დ \$13,450



5. დარიცხული შემოსავალი



დარიცხული შემოსავალი წარმოიქმნება მაშინ, როცა შემოსავალი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოუმუშავებელია, მაგრამ ჯერ არ არის ანაზღაურებული.

ამ შემთხვევაში, აუცილებელია აღირიცხოს დამატებითი შემოსავალი მოგებისა და ზარალის ანგარიშში და შეიქმნას შესაბამისი აქტივის მუხლი ბალანსში (სახელით დარიცხული დავალიანება):

დებეტი დარიცხული დავალიანება (ბალანსში) X

კრედიტი შემოსავალი (მოგებისა და ზარალის ანგარიშგება) X

მაგ.

საინფორმაციო მაგალითი 2 - დარიცხული შემოსავალი

დარიცხული შემოსავალი

საწარმოს შემოსავალი თვეში ერთხელ არის \$300 ბანკის პროცენტი. 20X5 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს საწარმომ მიიღო \$3,000 ბანკის საპროცენტო შემოსავალი.

რა იქნება აქტივის ღირებულება და ბანკის საპროცენტო შემოსავალი წლის ბოლოს?

აჩვენეთ სათანადო გატარებები ბუღალტრულ ანგარიშებში.

ამოხსნა

- პროცენტის მთლიანი თანხა, რომელიც დაკრედიტდება მოგებისა და ზარალის ანგარიშში არის \$3,600 (12 x \$300).
- წლის ბოლოს აქტივის მუხლით დარიცხული შემოსავალი, რომელიც ჯერ არაა მიღებული, არის \$600 (3,600 - 3,000).

აუცილებელია ორადი გატარება:

| | | |
|---------|--|-------|
| დებეტი | დარიცხული შემოსავალი (ბალანსი) | \$600 |
| კრედიტი | ბანკის საპროცენტო შემოსავალი (მოგებისა და ზარალის ანგარიშგება) | \$600 |

ბანკის საპროცენტო შემოსავალი

| | \$ | | \$ |
|------------------------------|--------------|----------------------|--------------|
| მოგებისა და ზარალის ანგარიში | 3,600 | ფულადი სახსრები | 3,000 |
| | | დარიცხული შემოსავლის | 600 |
| | | კ/ბ ნაშთი | |
| | <u>3,600</u> | | <u>3,600</u> |
| დარიცხული შემოსავლის | 600 | | |
| პ/დ ნაშთი | | | |



6. წინასწარმიღებული შემოსავალი



წინასწარ მიღებული შემოსავალი წარმოიქმნება მაშინ, როცა შემოსავალი მიღებულია მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, მაგრამ იგი ეკუთვნის მომავალ საანგარიშო პერიოდს.

ამ შემთხვევაში, აუცილებელია მოგებისა და ზარალის ანგარიშში არ ჩაიწეროს შემოსავალი, რომელიც არ ეკუთვნის მიმდინარე პერიოდს და შეიქმნას შესაბამისი ვალდებულების მუხლი ბალანსში (სახელით – წინასწარმიღებული შემოსავალი):

ღებეტი შემოსავალი (მოგებისა და ზარალის ანგარიშება) X
 კრედიტი წინასწარმიღებული შემოსავალი (ბალანსი) X

მაგ.

საალტერნატიული მაგალითი 4 წინასწარ მიღებული შემოსავალი

წინასწარმიღებული შემოსავალი
 საწარმოს აქვს იჯარით გაცემული უძრავი ქონება, რომელშიც იღებს \$4,000 შემოსავალს თვეში ერთხელ. 20X5 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს საწარმომ მიიღო \$64,000.

რა ღირებულების ვალდებულება და იჯარის შემოსავალი იქნება წლის ბოლოს?

აჩვენეთ სათანადო გატარებები ბუღალტრულ ანგარიშებში.

ამონხნა

- იჯარის მთლიანი თანხა რომელიც დაკრედიტდება მოგებისა და ზარალის ანგარიშში, არის \$48,000 (12 x \$4,000).
- წლის ბოლოს ვალდებულების მუხლით აღრიცხული წინასწარმიღებული შემოსავალი, რომელიც ეკუთვნის მომავალ წელს, არის \$16,000 (\$64,000 - \$48,000).

აუცილებელია ორადი გატარება:

ღებეტი იჯარის შემოსავალი \$16,000
 კრედიტი წინასწარმიღებული შემოსავალი (ბალანსი) \$16,000

იჯარის შემოსავალი

| | | \$ | | | \$ |
|---------------------------------------|--------|----|---------------------------------------|--|--------|
| მოგებისა და ზარალის ანგარიში | 48,000 | | ფულადი სახსრები | | 64,000 |
| წინასწარმიღებული შემოსავლის პ/ბ ნაშთი | 16,000 | | | | |
| | 64,000 | | | | 64,000 |
| | | | წინასწარმიღებული შემოსავლის პ/დ ნაშთი | | 16,000 |

7. შემოსავლის T- ანგარიშის ფორმა

| შემოსავლის ანგარიში | | | |
|---|----|--|----|
| | \$ | | \$ |
| პ/დ ნაშთი (დარიცხული შემოსავლის საწყისი ნაშთი) | X | პ/დ ნაშთი (წინასწარმიღებული შემოსავლის საწყისი ნაშთი) | X |
| მოგებისა და ზარალის ანგარიში (ერთი წლის ამონაგები) | X | ფულადი სახსრები (წლის განმავლობაში მთლიანი მიღებული თანხა) | X |
| პ/ბ ნაშთი (წინასწარმიღებული შემოსავლის საბოლოო ნაშთი) | X | პ/ბ ნაშთი (დარიცხული შემოსავლის საბოლოო ნაშთი) | X |
| | X | | X |
| პ/დ ნაშთი (დარიცხული შემოსავლის საწყისი ნაშთი) | X | პ/დ ნაშთი (წინასწარმიღებული შემოსავლის საწყისი ნაშთი) | X |



შეამოწმე შენი ცოდნა 4

დარიცხული და წინასწარმიღებული შემოსავალი


ლიბიმ ორი იჯარით გაცემული ერთეულისაგან მიიღო შემდეგი შემოსავალი:

| პერიოდი | 1-ლი ერთეული | | მე-2 ერთეული | |
|--------------------|--------------|----------|--------------|----------|
| | \$ | მიღებული | \$ | მიღებული |
| 1.10.X4 – 31.12.X4 | 2,100 | 30.9.X4 | 1,300 | 2.1.X5 |
| 1.1.X5 – 31.3.X5 | 2,150 | 27.12.X4 | 1,300 | 4.4.X5 |
| 1.4.X5 – 30.6.X5 | 2,150 | 25.3.X5 | 1,300 | 1.7.X5 |
| 1.7.X5 – 30.9.X5 | 2,200 | 21.6.X5 | 1,400 | 6.10.X5 |
| 1.10.X5 – 31.12.X5 | 2,200 | 21.9.X5 | 1,400 | 2.1.X6 |
| 1.1.X6 – 31.3.X6 | 2,200 | 29.12.X5 | 1,400 | 4.4.X6 |

რა ღირებულების იჯარის შემოსავალი უნდა ჩაიწეროს ლიბის მოგებისა და ზარალის ანგარიშში 20X5 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს?

- ა \$5,400
- ბ \$8,700
- გ \$14,000
- დ \$14,100

თავის რეზიუმე



შეამოწმე შენი პასუხები

შეამოწმე შენი ცოდნა 1

| | | იჯარის ზარეცი | |
|--------|---------------------|---------------|--|
| | | \$ | \$ |
| 31/III | ფულადი სახსრები | 5,000 | |
| 20/VI | ფულადი სახსრები | 5,000 | |
| 2/X | ფულადი სახსრები | 5,000 | მოგებისა და ზარალის ანგარიში (დამაბალანსებელი) |
| 31/XII | დარიცხული პ/ბ ნაშთი | 5,000 | |
| | | <u>20,000</u> | <u>20,000</u> |
| | | | დარიცხული პ/დ ნაშთი 5,000 |

შეამოწმე შენი ცოდნა 2

| | | იჯარის ზარეცი | |
|--------|-----------------------------|---------------|--|
| | | \$ | \$ |
| 1/I | ფულადი სახსრები | 1,200 | |
| 3/III | ფულადი სახსრები | 1,200 | |
| 14/VI | ფულადი სახსრები | 1,200 | მოგებისა და ზარალის ანგარიში (დამაბალანსებელი) |
| 25/IX | ფულადი სახსრები | 1,400 | |
| 13/XII | ფულადი სახსრები | 1,400 | წინასწარგადახდილი პ/ბ ნაშთი |
| | | <u>6,400</u> | <u>1,400</u> |
| | წინასწარგადახდილი პ/დ ნაშთი | 1,400 | |
| | | | <u>6,400</u> |

შეამოწმე შენი ცოდნა 3

| სწორი პასუხია ბ | | ელექტროენერგიის ზარეცი | |
|-----------------|---------------------|------------------------|-------------------------------------|
| | | \$ | \$ |
| 6/I | ფულადი სახსრები | 2,800 | დარიცხული პ/დ ნაშთი 2,000 |
| 8/V | ფულადი სახსრები | 3,000 | |
| 5/VIII | ფულადი სახსრები | 2,750 | მოგებისა და ზარალის ანგარიში 11,450 |
| 10/XI | ფულადი სახსრები | 3,100 | |
| 31/XII | დარიცხული პ/ბ ნაშთი | 1,800 | |
| | | <u>13,450</u> | <u>13,450</u> |
| | | | დარიცხული პ/დ ნაშთი 1,800 |



შეამოწმე შენი ცოდნა 4

სწორი პასუხია დ

იჯარის შემოსავალი (1)

| | \$ | | \$ |
|--|---------------|---------------------------------------|---------------|
| მოგებისა და ზარალის ანგარიში (დამაბალანს.) | 8,700 | წინასწარმიღებული პ/დ ნაშთი | 2,150 |
| წინასწარმიღებული | 2,200 | 25.3.X5 ფულადი სახსრები | 2,150 |
| 31.12.X5 შემოსავლის პ/ბ ნაშთი | <u>10,900</u> | 21.6.X5 ფულადი სახსრები | 2,200 |
| | | 21.9.X5 ფულადი სახსრები | 2,200 |
| | | 29.12.X5 ფულადი სახსრები | 2,200 |
| | | | <u>10,900</u> |
| | | წინასწარმიღებული შემოსავლის პ/დ ნაშთი | 2,200 |

იჯარის შემოსავალი (2)

| | \$ | | \$ |
|--|--------------|--------------------------------|--------------|
| დარიცხული შემოსავლის პ/დ ნაშთი | 1,300 | 2.1.X5 ფულადი სახსრები | 1,300 |
| პ/დ ნაშთი | | 4.4.X5 ფულადი სახსრები | 1,300 |
| მოგებისა და ზარალის ანგარიში (დამაბალანს.) | 5,400 | 1.7.X5 ფულადი სახსრები | 1,300 |
| | <u>6,700</u> | 6.10.X5 ფულადი სახსრები | 1,400 |
| დარიცხული შემოსავლის პ/დ ნაშთი | 1,400 | დარიცხული შემოსავლის პ/ბ ნაშთი | 1,400 |
| | | | <u>6,700</u> |


მთლიანი შემოსავალი: \$8,700 + \$5,400 = \$14,100



უიმედო ვალები და დებიტორული დავალიანების ანარიცხები თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- განმარტოთ მყიდველებისათვის კრედიტით მიყიდვის პირობების უპირატესობა და ნაკლი;
- ჩაატაროთ ვადაგასული დებიტორული დავალიანების ანალიზი;
- დაადგინოთ კრედიტის ლიმიტის მიზნუბები;
- ასახოთ უიმედო ვალების ჩამოწერა ბუღალტრულ ჩანაწერებში;
- გააკეთოთ უიმედო ვალების დაბრუნების ჩანაწერები;
- განმარტოთ, რა გავლენას ახდენს უიმედო ვალები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებასა და ბალანსზე;
- მოამზადოთ ბუღალტრული ჩანაწერები დებიტორული დავალიანების ანარიცხების შესაქმნელად და მისი კორექტირებისათვის;
- აჩვენოთ, როგორ უნდა ასახოთ დებიტორული დავალიანების ანარიცხების ანგარიშის ნაშთების სხვაობა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სად გამოჩნდება დებიტორული დავალიანების ანარიცხების საბოლოო ნაშთი ბალანსში.



1. კრედიტით გაყიდვის პირობები

საწარმოების უმეტესობა კრედიტით ყიდის და ადგენს დროს, რომელშიც უნდა მოხდეს გადახდა (კრედიტის პერიოდი). ასეთი ქმედების სარგებელი და მნიშვნელობა შემდეგში მდგომარეობს:

სარგებელი

- საწარმოს შეუძლია ახალი ბაზრის ათვისება
- არსებობს გაყიდვის გაფართოების შესაძლებლობა
- მყიდველის ერთგულებას შეიძლება მხარი დაეჭიროს.

ნაკლოვანებები

- მნიშვნელოვანია პროცენტის დაკარგვის თვალსაზრისით, მას შემდეგ, რაც საწარმო მოგვიანებით მიიღებს თანხას.
- საწარმოს ფულის ნაკადების მდგომარეობა შეიძლება გაუარესდეს.
- არსებობს უიმელო ვალების წარმოქმნის პოტენციური რისკი.

1.1 ვადაგასული დებიტორული დავალიანების ანალიზი

საწარმო, რომელიც კრედიტით ვაჭრობს, ჩვეულებრივ აწარმოებს ვადაგასული დებიტორული დავალიანების ანალიზს.

- ანალიზი, ჩვეულებრივ, მოიცავს დებიტორების გვარების მიხედვით მომზადებულ სიას, სადაც ნაჩვენებია, რამდენი ვალი აქვს თითოეულ მყიდველს და რა პერიოდისაა იგი.
- საწარმოს აქვს კრედიტის კონტროლის ფუნქცია, რომელიც იყენებს ანალიზს ვალების ამოღების თანმიმდევრობისა და ვალების საკონტროლოდ.
- ვალების დროული ამოღება აუმჯობესებს საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობას და ამცირებს იმის რისკს, რომ ის გახდეს უიმელო.

1.2 კრედიტების ლიმიტის დაწესება

საწარმოსათვის, ჩვეულებრივ, დასაშვებია თითოეულ მყიდველს დაუდგინოს კრედიტის ლიმიტი. ეს მაშინ ხდება, როცა საწარმოს სურს გასცეს მაქსიმალური რაოდენობის კრედიტები.

კრედიტის ლიმიტის გამოყენებამ შეიძლება:

- შეამციროს საწარმოს უიმელო ვალების წარმოქმნის რისკი, კრედიტით გაყიდვის ლიმიტის დაწესებით;
- გაზარდოს მყიდველის პასუხისმგებლობა;
- გახდეს საწარმოს კრედიტების კონტროლის სტრატეგიის ნაწილი.

2. უიმედო ვალები

- დარიცხვის პრინციპის თანახმად, ბუღალტრულ წიგნებში გაყიდვების ჩაწერა ხდება მისი მოხდენისთანავე, მიუხედავად იმისა, ფული მიღებულია თუ არა.
- კრედიტით გაყიდვისას საწარმოს შეიძლება პრობლემები წარმოექმნას ფულის ამოღებასთან დაკავშირებით.
- ზოგიერთმა კლიენტმა შეიძლება უარი თქვას ვალის გადახდაზე, ან გაკოტრდეს, ან გახდეს გადახდისუნარიანი.
- ზოგიერთ კლიენტს აქვს ფინანსური სიძნელეები, ან სადავო საკითხები, ან მიმდინარეობს სამეურნეო ერთეულის ლიკვიდაცია და არსებობს მცირეოდენი ეჭვი მისი გადახდისუნარიანობის შესახებ.
- თუ საწარმოს აქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც კლიენტის მიერ დებიტორული დავალიანების გადახდის დიდი ეჭვი არსებობს, მაშინ ასეთი ვალი ცნობილია როგორც უიმედო ვალი. ვინაიდან მისი მიღება არასოდეს მოხდება, იგი მთლიანად ჩამოიწერება ბუღალტრული ანგარიშიდან.
- თუ კლიენტისაგან შესაძლებელია თანხის მიღება, მაგრამ არსებობს გარკვეული ეჭვი დებიტორის საიმედოობის შესახებ, მაშინ ასეთი ვალის აღსარიცხავად იქმნება დებიტორული დავალიანების ანარიცხი. კვლავ არსებობს იმედი, რომ ამგვარი ვალი მიღებული იქნება და ამიტომ იგი დარჩება ბუღალტრულ ანგარიშებში, თუმცა, წინდახედულობის მიზნით, ამგვარი ვალისათვის კეთდება ანარიცხი. ეს ნიშნავს, რომ ფულადი სახსრების მიუღებლობის შედეგად შესაძლო დანაკარგი მაშინვე აღიარდება, ხოლო თავდაპირველი ვალი კვლავ რჩება ბუღალტრულ ანგარიშზე იმ შემთხვევისათვის, თუ კლიენტი მართლაც დაფარავს ვალს.



განვრცობილი ტექსტი

დებიტორული დავალიანება და უიმედო ვალები

საქონლის გაყიდვა შეიძლება მოხდეს, როგორც იმავდროული გადახდით, ასევე კრედიტით. საქონლის იმავდროული გადახდით გაყიდვის შემთხვევაში, კლიენტი დაუყოვნებლივ იხდის თანხას შექმნილ საქონელში და მაშინვე მიაქვს იგი, ან უზრუნველყოფს მის გაგზავნას. საქონლის კრედიტით შექმნის შემთხვევაში კლიენტი მაშინვე წაიღებს მას, ან უზრუნველყოფს მის გაგზავნას, მაგრამ მაშინვე კი არ გადაიხდის მის ღირებულებას, არამედ მას მისცემენ ან გაუგზავნიან ანგარიშ-ფაქტურას, სადაც მოცემული იქნება საქონლის რეტალური აღწერა, ფასი და გადახდის პირობები. ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით კლიენტს ეცოდინება, თუ როდის მოელიან მისგან საქონლის ღირებულების გადახდას.

დარიცხვის პრინციპის თანახმად, ბუღალტრულ წიგნებში გაყიდვების ჩაწერა ხდება მისი მოხდენისთანავე.

იმავედროული გადახდით გაყიდვის შემთხვევაში, ჩაწერა მოხდება მაშინ, როდესაც კლიენტი გადაიხდის ნაღდ ფულს ან გამოწერს ჩეკს. ორადი ჩაწერა იქნება:

- დებიტი ფულადი სახსრების ანგარიში
- კრედიტი გაყიდვებიდან ამონაგების ანგარიში

საქონლის კრედიტით გაყიდვის შემთხვევაში, რეალიზაციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ანგარიშ-ფაქტურა ეგზავნება კლიენტს და ამიტომ ამ დროს გაკეთდება შემდეგი ბუღალტრული გატარებები:

- დებიტი დებიტორული დავალიანების ანგარიში
- კრედიტი გაყიდვებიდან ამონაგების ანგარიში

როდესაც კლიენტი საბოლოოდ გაანადღებს ანგარიშ-ფაქტურას, ადგილი ექნება შემდეგ ორად ჩაწერას:

- დებიტი ფულადი სახსრების ანგარიში
- კრედიტი დებიტორული დავალიანების ანგარიში

ამ ჩანაწერით ხდება კლიენტის ანგარიშზე არსებული ნაშთის ანუღირება.

კრედიტით გაყიდვისას საწარმოებისათვის პრობლემას წარმოადგენს გაყიდვების ანგარიშ-ფაქტურაში ასახული თანხების ამოღება. თუ კლიენტი ფაქტურა და გაუჩინარდება თანხის გადახდამდე, მაშინ საეჭვოა, რომ ოდესმე ამოღებულ იქნეს ამგვარი თანხები. კლიენტის გაკატრებულად გამოცხადების შემთხვევაშიც ასევე საეჭვოა, რომ იგი შეძლებს თანხების გადახდას. თუ კლიენტს ფინანსური სიმკვლეები აქვს ან მიმდინარეობს მისი სამეურნეო ერთეულის ლიკვიდაცია, მისი გადახდისუნარიანობა საეჭვო ხდება.

თუ საწარმოს აქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც კლიენტის მიერ დებიტორული დავალიანების გადახდის დიდი ეჭვი არსებობს, მაშინ ასეთი ვალი ცნობილია როგორც უძებო ვალი. ვინაიდან მისი მძღება არასოდეს მოხდება, ესა მზღვანად ჩაიწერება ბუღალტრული ანგარიშმადან.

თუ კლიენტსაგან შესაძლებელია თანხის მძღება, მაგრამ არსებობს ვარკვეული ეჭვი დანტარის საძგვარიის შესახებ, მაშინ იქმნება დებიტორული დავალიანების ანარკება კვლე არსებობს იძგვი, რომ აქვარი ვალი ნაღებული იქნება და ამიტომ იგი დარჩება ბუღალტრულ ანგარიშებში თუმკვი წანდებულულისებ მძღვანა აქვარი ვალისათვის კვლგს ანარკება ეს ნაშნავს რომ ოდღადი მძღვარის მოღვგვარის შესაძლო დანკარვი მაშინვე აღარღება ხლო თაღვანაკვი ვალი კვლე რჩება ბუღალტრულ ანგარიშზე ან შესაძგვანათვის თუ კლიენტი მაროღვც დაგვარავს ვალს.



3. უიმელო ვალის აღრიცხვა

უიმელოა ვალი, რომელიც მიჩნეულია როგორც ამოუღებელი.

თუ ვალს უიმელოდ მივიჩნევთ, მაშინ წინდახედულობა იქნება, თუ მას მთლიანად ჩამოვწერთ ანგარიშიდან და ამ თანხას ხარჯის სახით შევიტანთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. თავდაპირველი გაყიდვა რჩება ანგარიშგებაში, რადგან ამას ფაქტობრივად ჰქონდა ადგილი.

ამ შედეგის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ორადი ჩანაწერი:

დებეტი უიმელო ვალების ხარჯის ანგარიში;

კრედიტი დებიტორული დავალიანების ანგარიში.



შეამოწმე შენი ცოდნა 1

საანგარიშგებო წლის ბოლოს Araf & Co-ის დებიტორული დავალიანების საერთო თანხამ შეადგინა \$45,000. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი დებიტორი, ბ-ნი სკოტი, რომელსაც \$790 მართებდა, გაკოტრდა, ხოლო მეორე დებიტორმა, რომელმაც თავი პიტერ კემპბელად წარმოადგინა, გაუჩინარდა. მას Araf & Co-სათვის გადასახდელი ჰქონდა \$1,240.

გამოთვალეთ, რა გავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ორი დაუბრუნებადი ვალის ჩამოწერა.

4. დაბრუნებული უიმელო ვალების აღრიცხვა

შესაძლოა არსებობდეს ისეთი სიტუაცია, როდესაც ვალი ჩამოწერილია როგორც უიმელო ერთ სააღრიცხვო პერიოდში, დაეუშვათ იმის გამო, რომ დებიტორი გამოცხადდა გაკოტრებულად და გადასახდელი მთლიანი თანხა, ან თანხის ნაწილის მიღება ხდება მოულოდნელად შემდგომ სააღრიცხვო პერიოდში.

ვალის ჩამოწერის დროს კეთდება შემდეგი ორადი ჩაწერა:

დებეტი უიმელო ვალების ხარჯის ანგარიში
(ხარჯი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში)

კრედიტი კლიენტის დებიტორული დავალიანების ანგარიში
(ვალის ანგარიშებიდან ამოშლა).

როცა ხდება უიმელო ვალის უკან დაბრუნება, საკრედიტო გატარება ვერ გაკეთდება დებიტორული დავალიანების ანგარიშში, რადგან ეს თანხა უკვე ამოღებულია დებიტორული დავალიანების ნაშთიდან.

ამიტომ, შემდეგი ორადი ჩაწერა უნდა გაკეთდეს:

დებეტი ფულადი სახსრების ანგარიში

კრედიტი უიმელო ვალების ხარჯის ანგარიში

ზოგ საწარმოს სურს ცალკე შეინარჩუნოს დაბრუნებული უიმელო ვალის ანგარიში, რათა ცალკე გამოიყენოს მიმდინარე პერიოდში დაბრუნებული ვალის თანხა.



განვრცობილი ტექსტი

დაბრუნებული უიმელო ვალი

არსებობს ისეთი სიტუაცია, როდესაც ვალი ჩამოწერილია როგორც ამოუღებელი ერთ სააღრიცხვო პერიოდში, დაეუშვათ იმის გამო, რომ დებიტორი გამოცხადდა გააკორტებულად და გადასახდელი დარჩა მთლიანი თანხა, ამ თანხის ნაწილის მიღება ბოულოდნელად, ხდება შემდგომ სააღრიცხვო პერიოდში.

ვალის ჩამოწერის დროს კეთდება შემდეგი ორადი ჩაწერა:

- დებეტი უიმელო ვალების ხარჯის ანგარიში
(ხარჯი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში)
- კრედიტი კლიენტის დებიტორული დავალიანების ანგარიში
(ვალის ანგარიშებიდან ამოშლა)

სრული ორადი გატარება აღნიშნული კლიენტიდან მიღებული ნაღდი ანგარიშსწორებისათვის შემდგომ სააღრიცხვო პერიოდში იქნება:

- დებეტი დებიტორული დავალიანების ანგარიში (იმ ვალის აღსადგენად, რომელიც ჩამოიწერა ვალის გაუქმების დროს)
- კრედიტი უიმელო ვალის ხარჯის ანგარიში

ლა

- დებეტი ფულადი სახსრების ანგარიში
- კრედიტი დებიტორული დავალიანების ანგარიში.

შენიშნეთ, რომ მეორე გატარება არის ჩვეულებრივი გატარება, კლიენტისაგან მიღებული ფულადი საშუალებების მიღების შემთხვევაში.

ორადი ჩაწერა შესაძლოა ასე გამარტივდეს:

- დებეტი ფულადი სახსრების ანგარიში
- კრედიტი უიმელო ვალების ხარჯის ანგარიში

ეს გატარება იმიტომ კეთდება, რომ სადებეტო და საკრედიტო ჩანაწერი დებიტორული დავალიანებების ანგარიშზე ერთმანეთს აუქმებს. თუმცა, შესაძლებელია უკეთესი იყოს გატარების გაკეთება კლიენტის ანგარიშზე, ისე, რომ ვალი, ბოლოს და ბოლოს, სრულად ან ნაწილობრივ გადახდილი, ამავე ანგარიშზე ჩაიწეროს.

შენიშნეთ, რომ ზოგ საწარმოს სურს შეინარჩუნოს დაბრუნებული უიმელო ვალის ანგარიში, რათა ცალკე გამიჯნოს მიმდინარე პერიოდში დაბრუნებული ვალის თანხა.



შეამოწმე შენი ცოდნა 2

20X7 წლის 31 დეკემბრისათვის ჯონსის დებიტორული დავალიანება შეადგენდა \$3,655-ს. ამ თარიღისათვის მან ვალი ჩამოაწერა სმიტს \$699-ის ოდენობით. წლის განმავლობაში, 20X8 წლის 31 დეკემბრამდე ჯონსიმ კრედიტით გაყიდა \$17,832-ის ოდენობის საქონელი და ფულადი სახსრები მიიღო თავისი კლიენტებისაგან, რომელიც სულ \$16,936-ს შეადგენდა. მან სმიტისაგან ასევე მიიღო \$699, რომელიც 20X7 წელს უკვე ჩამოწერილი იყო.

რა იქნება დებიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთი 20X7 და 20X8 წლების 31 დეკემბერს.

| | 20X7 | 20X8 |
|---|-------|-------|
| | \$ | \$ |
| ა | 2,956 | 3,852 |
| ბ | 2,956 | 3,153 |
| გ | 3,655 | 4,551 |
| დ | 3,655 | 3,852 |

5. დებიტორული დავალიანების ანარიცხები

არსებობს ისეთი ვალი, რომლის დაბრუნების შესახებ არის გარკვეული ეჭვი, მაგრამ არ არის ცალსახად უიმედო.

წინდახედულობა იქნებოდა ვალის შესაძლო მიუღებლობის დაუყოვნებლივ აღიარება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუმცა, ასევე გონივრული იქნებოდა თავდაპირველი ვალის დატოვება დებიტორული დავალიანების ანგარიშგებაში იმ შემთხვევისათვის, თუ დებიტორი შემდგომ დაფარავდა ვალს.

ხდება დებიტორული დავალიანების ანარიცხის შექმნა. იგი წარმოადგენს საკრედიტო ნაშთს. ამით ხდება სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნეტო თანხის დადგენა ბალანსში, რათა მიღებულ იქნეს დებიტორული დავალიანების ის ნეტო თანხა, რომლის დაბრუნებაც მოსალოდნელია.

არსებობს ორი სახის დებიტორული დავალიანების ანარიცხი, რომელიც ორგანიზაციის ანგარიშგებაში შესაძლოა აისახოს:

- ზოგიერთ შემთხვევაში ცნობილია, რომ კლიენტის ფინანსური სირთულეების გამო, ან ინვოისის გაპროტესტებისას, ან გარკვეული მიზეზების გამო, არ სურს გადაიხადოს (მაგ., ცუდი მომსახურების, სერვისის გამო) ის თანხა, რომელიც მას მართებს, საწარმომ შესაძლოა ვერ დაიბრუნოს. ამგვარი ვალის ანარიცხი ცნობილია როგორც კონკრეტული ანარიცხი;
- საწარმოს წარსული გამოცდილება და ჩანაწერები მიუთითებს, რომ ყველა სავაჭრო დებიტორული დავალიანება სრულად არ იქნება დაფარული. ალბათ, შესაძლებელი არ არის ზუსტად იმის მითითება, თუ რომელი დებიტორი არ გადაიხდის თანხას, მაგრამ შესაძლებელია განვსაზღვროთ, რომ დებიტორული დავალიანების გარკვეული პროცენტის დაფარვა შეუძლებელია. დებიტორული დავალიანების ამ პროცენტისათვის შექმნილი ანარიცხი ცნობილია როგორც საერთო ანარიცხი.

6. დებიტორული დავალიანების ანარიცხების აღრიცხვა

დებიტორული დავალიანების ანარიცხი აღირიცხება შემდეგ ანგარიშებში:

დებიტი უიმედო ვალების ხარჯის ანგარიშში

კრედიტი დებიტორული დავალიანების ანარიცხები

როდესაც დებიტორული დავალიანების ანარიცხი პირველად იქმნება, ანარიცხის მთლიანი თანხა ჩაირთვება იმავე პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. შემდეგ წლებში, მხოლოდ სხვაობა (ანარიცხების საწყის და საბოლოო ნაშთებს შორის) ჩაირთვება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

თუ უიმედო ვალების ანარიცხი პერიოდიდან პერიოდამდე გაიზრდება, მაშინ ვალების ანარიცხის ანგარიშში დაკრედიტდება გაზრდილი თანხით, ხოლო უიმედო ვალების ხარჯი დადებულდება.

თუ უიმედო ვალების ანარიცხი პერიოდიდან პერიოდამდე შემცირდება, მაშინ ვალების ანარიცხის ანგარიშში დადებულდება შემცირებული თანხით, ხოლო უიმედო ვალების ხარჯი დაკრედიტდება.

დებიტორული დავალიანების ანარიცხის გამოთვლისათვის გასაველელია შემდეგი საფეხურები:

1. ჩამოწერეთ უიმედო ვალები;
2. გამოთვალეთ დებიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთი უიმედო ვალების ჩამოწერის შემდეგ;
3. დაადგინეთ დებიტორული დავალიანების კონკრეტული ანარიცხი;
4. გამოაკელით დებიტორულ დავალიანებას კონკრეტული ანარიცხი;
5. დარჩენილი დებიტორული დავალიანების ნაშთი გაამრავლეთ დადგენილ პროცენტზე საერთო ანარიცხების ციფრის გამოსათვლელად;

$$\% X (\text{დებიტორული დავალიანების ნაშთი} - \text{უიმედო ვალები} - \text{კონკრეტული ანარიცხები});$$
6. დააჯამეთ კონკრეტული და საერთო ანარიცხების ციფრები საბოლოო ნაშთის გამოსაყენად;
7. შეადარეთ ერთმანეთს ანარიცხების საწყისი და საბოლოო ნაშთები;
8. აღრიცხეთ სხვაობა.



შეამოწმე შენი ცოდნა 3

20X1 წლის 31 დეკემბერს ჯეიკის დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა \$10,000. წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ჯეიკმა განსაზღვრა, რომ მისი კლიენტების 3% ვერ გადაიხდის ვალებს და ამიტომ გადაწყვიტა საერთო ანარიცხი შეექმნა ამ თანხისათვის.

20X2 წლის განმავლობაში ჯეიკმა კრედიტით გაყიდა \$100,000-ის ოდენობის საჭონელი და კლიენტებისაგან მიიღო \$94,000. მას მაინც მიაჩნია, რომ დებიტორული დავალიანების 3% საეჭვოა და საჭიროა მისთვის ანარიცხების შექმნა.

20X3 წლის განმავლობაში ჯეიკმა გაყიდა \$95,000-ის საქონელი და დებიტორებისაგან მიიღო \$96,000. 20X3 წლის 31 დეკემბრისათვის ჯეიკი კვლავ მიიჩნევს, რომ დებიტორული დავალიანების 3% საეჭვოა და საჭიროა მისთვის ანარიცხების შექმნა.

გამოთვალეთ დებიტორული დავალიანების ანარიცხები და უიმელო ვალის ხარჯები, ასევე დებიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთები 20X1, 20X2, 20X3 წლებისათვის.

შეამოწმე შენი ცოდნა 4

ჯონ სტემპს 20X6 წლის 1 იანვარს სავაჭრო დებიტორული დავალიანების ანგარიშსა და დებიტორული დავალიანების ანარიცხის ანგარიშზე შესაბამისად აქვს \$68,000 და \$3,400 ოდენობის თანხა. წლის განმავლობაში, რომელიც დასრულდა 20X6 წლის 31 დეკემბერს, ჯონ სტემპმა კრედიტით გაყიდა \$354,000-ის პროდუქცია და დებიტორებისაგან ნაღდი ანგარიშსწორებით მიიღო \$340,000.

20X6 წლის 31 დეკემბერს ჯონ სტემპი ამოწმებს დებიტორული დავალიანების სიას და განსაზღვრავს, რომ სავარაუდოდ იგი ვერასოდეს მიიღებს \$2,000 ოდენობის თანხას. ეს ვალები უნდა ჩამოიწეროს როგორც უიმელო ვალები. ჯონს ასევე სურვილი აქვს დარჩენილი დებიტორული დავალიანებისათვის შექმნას 5%-ის ანარიცხი, უიმელო ვალების ჩამოწერის შემდეგ. რა რაოდენობის უიმელო ვალების ხარჯი უნდა აღირიცხოს ჯონის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში 20X6 წლის 31 დეკემბერს?

- ა \$2,700
- ბ \$6,100
- გ \$2,600
- დ \$6,000

შეამოწმე შენი ცოდნა 5

გორდონს წლის ბოლოს აქვს \$80,000 დებიტორული დავალიანება. ეს მოიცავს \$900 ვადაგასულ დავალიანებას, რომელიც ჯერ კიდევ შეიძლება იქნეს გადახდილი, და მისთვის გორდონმა შექმნა დებიტორული დავალიანების ანარიცხი. გორდონმა ასევე გამოთვალა დებიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთის 2% \$1,582. რომელი პასუხი მოიცავს გორდონის დებიტორული დავალიანების ანარიცხების სწორ ციფრს წლის ბოლოს?

- ა \$900 კონკრეტული ანარიცხი და წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოთვლილი \$1,582 დამატებითი ანარიცხი.
- ბ \$1,582 კონკრეტული ანარიცხი და წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოთვლილი \$900 დამატებითი ანარიცხი.
- გ \$2,482 კონკრეტული ანარიცხი.
- დ \$2,482 საერთო ანარიცხი.

თავის რეზიუმე

უიმილო ვალები

- თანა, რომელსაც საწარმო ვერ მიიღებს კლიენტებისგან გაკორტების, თაღლითობის ან დავის გამო.

უიმილო ვალების აღრიცხვა

ხარჯის მოგებისა და ზარალის ანგარიშში აღიარებისათვის:
 დებეტი უიმილო ვალის ხარჯის ანგარიშში
 კრედიტი დებიტორული დავალიანება

უიმილო ვალის დაბრუნების აღრიცხვა

ვალი ამოღებულია დებიტორული დავალიანებიდან.
 შურნალური გატარებები:

დებეტი ფულადი სახსრები
 კრედიტი უიმილო ვალის ხარჯის ანგარიშში

დებიტორული დავალიანების ანარიცხვა

- ვალი, რომლის დაბრუნების შესახებ არსებობს გარკვეული ეჭვი
- ანარიცხი იქმნება იმ შესაძლო ხარჯის აღიარების გამო, რომელიც არ დაბრუნდება ფულადი სახით

დებიტორული დავალიანების ანარიცხის აღრიცხვა

ანარიცხის გაზრდილი ციფრის ჩაწერა:

დებეტი უიმილო ვალის ხარჯის ანგარიშში
 კრედიტი დებიტორული დავალიანების ანარიცხი
 შურნალური გატარებები შეტრუნებით გაკეთდება თუ ანარიცხი შემცირდება

შინაწესური ანგარიშგება

ბალანსი

| | |
|----------------------------------|-----|
| დებიტორული დავალიანება | X |
| დებიტორული დავალიანების ანარიცხი | (X) |
| ნეტო დებ. დავ. | X |

მომავლისა და ზარალის ანგარიშგება

უიმილო ვალის ხარჯი
 =
 ჩამოწერილ უიმილო ვალს +/-
 დებიტორული დავალიანების ანარიცხების სხვაობა

შეამოწმე შენი პასუხი



შეამოწმე შენი ცოდნა 1

რადგან ორივე ვალი მიჩნეულია დაუბრუნებადად, ორივე უნდა გამოაკლდეს დებიტორულ დავალიანებას:

| დებიტორული დავალიანება | | | |
|------------------------|---------------|-----------------------------|---------------|
| | \$ | | \$ |
| პ/დ ნაშთი | 45,000 | უიმელო ვალი ბატონი სკოტი | 790 |
| | | უიმელო ვალი ბატონი კემპბელი | 1,240 |
| | | პ/ბ ნაშთი | 42,970 |
| | <u>45,000</u> | | <u>45,000</u> |
| პ/დ ნაშთი | 42,970 | | |

უიმელო დავალიანების ზარჯი

| | \$ | | \$ |
|--|--------------|------------------------------|--------------|
| დებიტორული დავალიანება - ბატონი სკოტი | 790 | | |
| დებიტორული დავალიანება - ბატონი კემპბელი | 1,240 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 2,030 |
| | <u>2,030</u> | | <u>2,030</u> |

შენიშნეთ, რომ გაყიდებიდან ამონაგები არ შეცვლილა და რეალური მიყიდვები ბატონ სკოტისა და კემპბელისათვის უცვლელი რჩება. ეს იმიტომ ხდება, რომ გაყიდვას რეალურად ჰქონდა ადგილი და მხოლოდ გაყიდვის შემდეგ შეუძლებელი გახდა ვალის ამოღება.



შეამოწმე შენი ცოდნა 2

სწორი პასუხია ა
20X7

| დებიტორული დავალიანება | | | |
|------------------------|--------------|---------------------|--------------|
| | \$ | | \$ |
| 31 დეკემბერი | 3,655 | უიმელო ვალი - სმიტი | 699 |
| | | პ/ბ ნაშთი | 2,956 |
| | <u>3,655</u> | | <u>3,655</u> |
| პ/დ ნაშთი | 2,956 | | |

| უიმელო ვალის ზარჯი | | | |
|--------------------------------|---------------|------------------------------|---------------|
| \$ | | \$ | |
| დებიტორული დავალიანება - სმიტი | 699 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 699 |
| | <u>699</u> | | <u>699</u> |
| 20X8 | | | |
| დებიტორული დავალიანება | | | |
| \$ | | \$ | |
| პ/დ ნაშთი | 2,956 | მიღებული ფულადი სახსრები | 16,936 |
| გაყიდვებისან ამონაგები | 17,832 | პ/ბ ნაშთი | 3,852 |
| | <u>20,788</u> | | <u>20,788</u> |
| პ/დ ნაშთი | 3,852 | | |
| უიმელო ვალის ზარჯი | | | |
| \$ | | \$ | |
| მოგებისა და ზარალის ანგარიში | 699 | ფულადი სახსრები | 699 |
| | <u>699</u> | | <u>699</u> |



| შეამოწმე შენი ცოდნა 3 | | | |
|---|---------------|--------------------|---------------|
| 20X1 | | | |
| დებიტორული დავალიანება | | | |
| \$ | | \$ | |
| 31 დეკემბერი | 10,000 | პ/ბ ნაშთი | 10,000 |
| | <u>10,000</u> | | <u>10,000</u> |
| პ/დ ნაშთი | 10,000 | | |
| დებიტორული დავალიანების ანარიცხი: $\$10,000 \times 3\% = \300 | | | |
| დებიტორული დავალიანების ანარიცხები | | | |
| \$ | | \$ | |
| პ/ბ ნაშთი | 300 | 31 დეკემბერი | |
| | <u>300</u> | უიმელო ვალის ზარჯი | 300 |
| | | | <u>300</u> |
| | | პ/დ ნაშთი | 300 |

უიმელო ვალის ხარჯი

| | \$ | | \$ |
|------------------------------------|------------|------------------------------|------------|
| 31 დეკემბერი | | 31 დეკემბერი | |
| დებიტორული დავალიანების ანარიცხები | 300 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 300 |
| | <u>300</u> | | <u>300</u> |

ბალანსის ამონარიდს შემდეგი სახე ექნება:

| | \$ | \$ |
|---|--------------|-------|
| მოკლევადიანი აქტივები | | |
| დებიტორული დავალიანება | 10,000 | |
| მინუს: დებიტორული დავალიანების ანარიცხი | <u>(300)</u> | |
| | | 9,700 |

20X2

დებიტორული დავალიანება

| | \$ | | \$ |
|------------------------|----------------|-----------------|----------------|
| პ/დ ნაშთი | 10,000 | ფულადი სახსრები | 94,000 |
| გაყიდვებიდან ამონაგები | 100,000 | პ/ბ ნაშთი | 16,000 |
| | <u>110,000</u> | | <u>110,000</u> |
| პ/დ ნაშთი | 16,000 | | |

დებიტორული დავალიანების ანარიცხი: $\$16,000 \times 3\% = \480

დებიტორული დავალიანების ანარიცხი

| | \$ | | \$ |
|-----------|------------|--------------------------------|------------|
| პ/ბ ნაშთი | 480 | პ/დ ნაშთი | 300 |
| | | 31 დეკემბერი | |
| | | ანარიცხის გაზრდა (უიმელო ვალი) | 180 |
| | <u>480</u> | | <u>480</u> |
| | | პ/დ ნაშთი | 480 |

უიმელო ვალის ხარჯი

| | \$ | | \$ |
|------------------------------------|------------|------------------------------|------------|
| 31 დეკემბერი | | 31 დეკემბერი | |
| დებიტორული დავალიანების ანარიცხები | 180 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 180 |
| | <u>180</u> | | <u>180</u> |

ბალანსის ამონარიდს 20X2 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგი სახე ექნება:

| | | |
|---|--------|--------|
| | \$ | \$ |
| მოკლევადიანი აქტივები: | | |
| დებიტორული დავალიანება | 16,000 | |
| მინუს: დებიტორული დავალიანების ანარიცხი | (480) | |
| | | 15,520 |

20X3

დებიტორული დავალიანება

| | \$ | | \$ |
|------------------------|---------|-----------------|---------|
| პ/დ ნაშთი | 16,000 | | |
| გაყიდვებიდან ამონაგები | 95,000 | ფულადი სახსრები | 96,000 |
| | 111,000 | პ/ბ ნაშთი | 15,000 |
| პ/დ ნაშთი | 15,000 | | 111,000 |

დებიტორული დავალიანების ანარიცხი: $\$15,000 \times 3\% = \450

დებიტორული დავალიანების ანარიცხი

| | \$ | | \$ |
|--------------------------------------|-----|-----------|-----|
| 31 დეკემბერი | | პ/დ ნაშთი | 480 |
| ანარიცხის შემცირება (უიმედო ვალი) | 30 | | |
| პ/ბ ნაშთი | 450 | | |
| | 480 | | 480 |
| | | პ/დ ნაშთი | 450 |

უიმედო ვალის ხარჯი

| | \$ | | \$ |
|---------------------------------|----|---------------------------------------|----|
| 31 დეკემბერი | | 31 დეკემბერი | |
| მოგებისა და ზარალის ანგარიში | 30 | დებიტორული დავალიანების ანარიცხები | 30 |
| | 30 | | 30 |

ბალანსიდან ამონარიდს 20X3 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგი სახე ექნება:

| | | |
|---|--------|--------|
| | \$ | \$ |
| მოკლევადიანი აქტივები: | | |
| დებიტორული დავალიანება | 15,000 | |
| მინუს: დებიტორული დავალიანების ანარიცხი | (450) | |
| | | 14,550 |

შეამოწმე შენი ცოდნა 4

სწორი პასუხია გ

დებიტორული დავალიანება

| 20X6 | | \$ | 20X6 | \$ |
|---------|------------------------|----------------|------------------------|----------------|
| 1/I | 3/დ ნაშთი | 68,000 | 31/XII ფულადი სახსრები | 340,000 |
| 31/ XII | გაყიდვებიდან ამონაგები | 354,000 | 31/XII უიმელო ვალები | 2,000 |
| | | | 31/XII 3/ბ ნაშთი | 80,000 |
| | | <u>422,000</u> | | <u>422,000</u> |
| 20X7 | | | | |
| 1/I | 3/დ ნაშთი | 80,000 | | |

დებიტორული დავალიანების ანარიცხი

| 20X6 | | \$ | 20X6 | \$ |
|--------------|-----------|--------------|-----------------------------|--------------|
| 31 დეკემბერი | | | 1/I 3/დ ნაშთი | 3,400 |
| | 3/ბ ნაშთი | 4,000 | 31/XII უიმელო ვალების ხარჯი | 600 |
| | | <u>4,000</u> | | <u>4,000</u> |
| | | | 20X7 | |
| | | | 1/I 3/დ ნაშთი | 4,000 |

უიმელო ვალის ხარჯი

| 20X6 | | \$ | 20X6 | \$ |
|---|--|--------------|------------------------------|--------------|
| 31/XII დებიტორული დავალიანება | | 2,000 | 31 დეკემბერი | |
| 31/XII დებიტორული დავალიანების ანარიცხები | | 600 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 2,600 |
| | | <u>2,600</u> | | <u>2,600</u> |

შენიშნეთ, რომ მხოლოდ უიმელო ვალების ხარჯის ანგარიში გამოიყენება უიმელო ვალის ჩამოსაწერად და დებიტორული დავალიანების ანარიცხების გაზრდილი ან შემცირებული ნაშთების დასაფიქსირებლად. აუცილებელი არ არის ცალკე ანგარიშის გახსნა თითოეული ტიპის დანახარჯების აღსარიცხავად.

გამოთვლა - დებიტორული დავალიანების ანარიცხები

5% X \$80,000 = \$4,000



შეაქოწმე შენი ცოდნა 5

სწორი პასუხია ა

არსებობს \$900 დებიტორული დავალიანების კონკრეტული ანარიცხი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ჩამოწერილი როგორც უიმედო და წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოთვლილი 2% ეკვივალენტის ტოლი დამატებითი ანარიცხის ნაშთი.




გრძელვადიანი აქტივები

თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- განსაზღვროთ გრძელვადიანი აქტივები;
- ერთმანეთისაგან განასხვავოთ კაპიტალური და ამონაგების (მიმდინარე) დანახარჯები;
- ახსნათ აქტივების რეესტრის დანიშნულება და მიზანი;
- ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ გრძელვადიანი აქტივების შეძენის გატარებები საწარმოს ბუღალტრულ წიგნებში;
- განსაზღვროთ და ახსნათ ცვეთის მიზანი;
- ახსნათ ცვეთის წრფივი და ნაშთის შემცირებადი მეთოდები და გააკეთოთ აუცილებელი გამოთვლები;
- ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ, როგორ უნდა აღრიცხოთ ცვეთის ხარჯი და დაგროვილი ცვეთა ბუღალტრულ ანგარიშებში;
- ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ, როგორ აისახება ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და ბალანსში;
- ახსნათ ცვეთის აღრიცხვის დროს თანმიმდევრობისა და სუბიექტურობის შესაბამისობა;
- გააკეთოთ სათანადო კორექტირება, თუ გრძელვადიანი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა/ნარჩენი ღირებულება იცვლება;
- ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ ნაღდი ანგარიშსწორებით გრძელვადიანი აქტივების გაყიდვის/გასვლის გატარებები;
- ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ ნაწილობრივი გაცვლის გზით გრძელვადიანი აქტივების გაყიდვის/გასვლის გატარებები;
- ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ, როგორ ჩნდება გრძელვადიანი აქტივების გაყიდვის დროს წარმოქმნილი მოგება ან ზარალი მოგებისა და ზარალის ანგარიშში;
- ახსნათ და ჩაწეროთ გრძელვადიანი აქტივების გადაფასება ბუღალტრულ ანგარიშებსა და ბალანსში;
- ახსნათ გადაფასების გაულება ცვეთის აღრიცხვასა და გრძელვადიანი აქტივების გასვლაზე;
- ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ, თუ როგორ ბალანსდება გრძელვადიანი აქტივები და როგორ აისახება მათი მოძრაობა ფინანსურ ანგარიშგებებში.



1. გრძელვადიანი აქტივები

გრძელვადიანი აქტივები განსხვავდება მოკლევადიანი აქტივებისაგან შემდეგი დამახასიათებელი თვისებებით, ისინი:

- თავისი შინაარსით განკუთვნილია ხანგრძლივი გამოყენებისათვის;
- შექმნილი არ არის გაყიდვის მიზნით;
- შეიძლება იყოს მატერიალური ან არამატერიალური;
- გამოიყენება საწარმოსათვის შემოსავლის მოსატანად, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით;
- ჩვეულებრივ, არ არის ლიკვიდური აქტივები (ე.ი. ადვილად და სწრაფად არ ხდება მათი კონვერტაცია ფულად ფორმაში - მნიშვნელოვანი ზარალის გარეშე).

მოკლევადიანია აქტივები, რომელთა რეალიზაცია ივარაუდება თორმეტი თვის განმავლობაში ბალანსის შედგენის თარიღიდან; ან არის საწარმოს ციკლის ნაწილი.

მოკლევადიანი აქტივებია ფულადი სახსრები, მარაგი, დებიტორული დავალიანებები და წინასწარგადახდები.

2. კაპიტალური და ამონავების დანახარჯები

ქვემოთ მოცემულია საწარმოს დანახარჯები, რომლებიც შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგი 2 ტიპის მიხედვით:

კაპიტალური დანახარჯები

- გრძელვადიანი აქტივების შექმნაზე გაწეული დანახარჯი, რომელიც საჭიროა საწარმოს ფუნქციონირებისათვის და არ არის განკუთვნილი ხელანლა გასაყიდად.
- საწარმოში არსებულ გრძელვადიან აქტივებზე გაწეული დანახარჯი, მათი შემოსავლების გამოშუშების პოტენციალის გაზრდის მიზნით.

ამონავების დანახარჯები

- დანახარჯები მოკლევადიან აქტივებზე.
- მართვასთან დაკავშირებული დანახარჯი (მაგ., აღმინისტრაციის ხარჯები).
- გრძელვადიანი აქტივების შემოსავლების გამოშუშების პოტენციალის შენარჩუნებაზე გაწეული დანახარჯი (მაგ., რემონტი ან განახლება)

კაპიტალური დანახარჯები თავისი შინაარსით არის ხანგრძლივი გამოყენების, რადგან საწარმოს აქვს განზრახვა, სარგებელი მიიღოს დიდი ხნის განმავლობაში.

ამონავების დანახარჯები განეკუთვნება მიმდინარე საანგარიშო პერიოდს და გამოხუნულია საწარმოს მოუტანოს მოგება.

3. გრძელვადიანი აქტივების რეესტრი

როგორც სახელი გვეკარნახობს, გრძელვადიანი აქტივების რეესტრი არის საწარმოში არსებული გრძელვადიანი აქტივების შესახებ ჩანაწერი. რეესტრი ქმნის საწარმოს შიდა კონტროლის სისტემის ნაწილს.

რეესტრი შეიცავს შემდეგ დეტალებს:

- ღირებულება
- შესყიდვის დრო
- აქტივის აღწერა
- სერია/გარანტიის ნომერი
- აქტივის მდებარეობა
- ცვეთის მეთოდი
- სასარგებლო მომსახურების ვადა
- ნეტო საბალანსო ღირებულება.

3.1 გრძელვადიანი აქტივის რეესტრების ფუნქცია

გრძელვადიანი აქტივის რეესტრს აწარმოებენ იმისათვის, რომ აკონტროლონ გრძელვადიანი აქტივები და თვალყური ადევნონ, რას ფლობენ და სად ინახება.

პერიოდულად რეესტრს ადარებენ გრძელვადიანი აქტივების ანგარიშებს მთავარ წიგნში.

4. გრძელვადიანი აქტივების შეძენა

- გრძელვადიანი აქტივის თვითღირებულება შედგება იმ თანხისაგან, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასსა და იმ ღირებულებას, რაც მას სამუშაო მდგომარეობამდე მიიყვანს.

| მოიცავს | არ მოიცავს |
|---|---|
| <p>კაპიტალურ დანახარჯებს, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • შესყიდვის ფასი • მიტანის ფასი • ლეგალიზაციის (შეძენის ნებართვის) გადასახადი • შემდგომი დანახარჯები, რაც აუზღობებს აქტივს | <p>ამონაგების დანახარჯებს, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეკეთება • განახლება • შეღებვა |

- სწორი ორმაგი გატარება შესყიდვის ჩასაწერად არის:
 - დებეტი გრძელვადიანი აქტივი X
 - კრედიტი ბანკი/ფულადი სახსრები/ კრედიტორული დავალიანება X
- თითოეული კატეგორიის გრძელვადიანი აქტივისათვის განსწილი უნდა იყოს ცალკე თვითღირებულების ანგარიში, მაგალითად მანქანა, სათავე-სოები და ინვენტარი.



განვრცობილი ტექსტი

გრძელვადიან აქტივებზე შემდგომი დანახარჯები შეიძლება ჩაიწეროს მხოლოდ როგორც მათი თვითღირებულების ნაწილი (კაპიტალიზდეს), თუ ის ამ-ლიერებს აქტივის სარგებლიანობას, ე.ი. ზრდის შესაძლებლობას, აქტივმა გამოიმუშაოს მეტი ამონაგები.

დამატებითი დანახარჯების მაგალითი, რომელიც აკმაყოფილებს ზემოხსენებულს და შეიძლება კაპიტალიზდეს, არის მალაზიის გაფართოება, რომელიც წარმოქმნის მეტ სავაჭრო სივრცეს.

დამატებითი დანახარჯების მაგალითი, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოხსენებულს, არის შესაკეთებელი სამუშაოები. ნებისმიერი შეკეთების ღირებულება უნდა დადებებდეს მოგებისა და ზარალის ანგარიშში, ე.ი. აღიარდეს ხარჯად.



შეამოწმე შენი ცოდნა 1

გრძელვადიანი აქტივის შეძენა

ბაგინსმა დაიწყო ლიმუზინის ტაქსებით მომსახურება 20X5 წლის 1 იანვარს. 31 დეკემბრისათვის მას წარმოეშვა შემდეგი ხარჯები:

| | \$ |
|--|---------|
| ოფისის შენობა-ნაგებობები | 250,000 |
| ოფისის შეძენის ლეგალური გადასახადები | 10,000 |
| მასალისა და შრომითი რესურსების ღირებულება, რომელიც საჭიროა ოფისის იისფრად, ბაგინსის საყვარელ ფერად, შესაღებად მერსედესის ფირმის E სერიის მანქანები | 116,000 |
| მანქანის ნომრები | 210 |
| მანქანების მოტანის ხარჯები | 180 |
| საგზაო გადაადგილების ლიცენზიის გადასახადი მანქანებისათვის | 480 |
| მძღოლების საქმიანობის პირველი წლის ხელფასები | 60,000 |
| ბაგინსის მიერ დაბეჭდილი ტაქსის ქეითრების ბლანკები მისი საწარმოს სახელითა და ნომრებით | 450 |

რა თანხით უნდა კაპიტალიზდეს „მიწა და ნაგებობები“ და „მანქანები“?

| | მიწა და ნაგებობები | მანქანები |
|---|-----------------------|-----------|
| | \$ | \$ |
| ა | 260,000 | 116,390 |
| ბ | 250,000 | 116,870 |
| გ | 250,300 | 116,390 |
| დ | 260,300 | 116,870 |



5. ცვეთა

- ბასს 16 ცვეთას განმარტავს, როგორც „პერიოდის განმავლობაში მოხმარებული მატერიალური გრძელვადიანი აქტივების ეკონომიკური სარგებლის თვითღირებულების ან გადაფასების რაოდენობის საზომს“.
- მარტივად რომ ვთქვათ, ცვეთა არის გრძელვადიანი აქტივის გამოყენებულ ნაწილის ღირებულების ასახვის მექანიზმი.
- ცვეთის დროს მოხმარებული გრძელვადიანი აქტივის თვითღირებულება შეესაბამება აქტივის მიერ გამომუშავებულ ამონაგებს მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.
- ამის მისაღწევად ყოველ წელს ცვეთის ხარჯი უნდა ჩამოიწეროს, რადგან მას აქვს ორი ეფექტი („ორმაგი ეფექტი“):

- მცირდება გრძელვადიანი აქტივის საბალანსო ღირებულება დაგროვილი ცვეთის რაოდენობით ცვეთადი ნაწილის ასახვისას.
- მოგებისა და ზარალის ანგარიშში აისახება ცვეთის ზარჯი იმისათვის, რომ იგი დაუპირისპირდეს გრძელვადიანი აქტივის მიერ გამომუშავებულ ამონაგებს.



განვრცობილი ტექსტი


ცვეთის მიზეზები შესაძლოა იყოს:

- ექსპლუატაცია – მაგალითად, მანქანა-დანადგარები ან სატრანსპორტო საშუალებები;
- ფიზიკური ცვეთა;
- ვადის გასვლა – მაგალითად, ქონების ათწლიანი ლიზინგი;
- მოძველება ტექნოლოგიური ცვლილებებისა და საბაზრო ცვლილებების შედეგად, მაგალითად, სპეციფიკური მანქანა-დანადგარები;
- გამოფიტვა, მაგალითად, კარიერიდან მასალის ამოღება.

ცვეთის დარიცხვის მიზანი არ არის ბალანსში აქტივის მიმდინარე ღირებულებით დაფიქსირება, არც აქტივის შესაცვლელად ფონდის შექმნა. ეს უბრალოდ აქტივის თვითღირებულების იმ პერიოდებზე (სასარგებლო მომსახურების ვადაზე) განაწილების მეთოდია, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივის მომსახურებიდან სარგებლის მიღება.

ჩვეულებისამებრ, მიწის სასარგებლო მომსახურების ვადა შეუზღუდავია და ამდენად იგი არ საჭიროებს ცვეთის დარიცხვას, მაგრამ საჭიროა შენობებზე ცვეთის დარიცხვა.


6. ცვეთის გაანგარიშების მეთოდები




6.1 წრფივი მეთოდი

$$\text{ცვეთის წლიური თანხა} = \frac{\text{თავდაპირველი ღირებულება} - \text{ნარჩენი ღირებულება}}{\text{სასარგებლო მომსახურების ვადა}}$$

ან $X\% \times \text{თვითღირებულებაზე}$

 **ნარჩენი ღირებულება:** აქტივის გაყიდვის სავარაუდო ფასი მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს.

 **სასარგებლო მომსახურების ვადა:** წლების სავარაუდო რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც საწარმომ უნდა გამოიყენოს აქტივი.

განვრცობილი ტექსტი


ნარჩენი ღირებულება შეიძლება იყოს მერაღი ანუ სალიკვიდაციო ღირებულება. იგი მნიშვნელოვანი რაოდენობა არ არის და ხშირად წულის ტოლია.

აუცილებელი არ არის აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მისი ფიზიკური გამოყენების ვადის ტოლი იყოს. მაგალითად, ბევრი საწარმო კომპიუტერების სასარგებლო მომსახურების ვადას განსაზღვრავს სამი წლით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამი წლის შემდეგ კომპიუტერებს კვლარ გამოიყენებენ; სამი წლის შემდეგ საწარმო მათ გაუმჯობესებული ტექნიკით შეცვლის.

წრფივი მეთოდით ცვეთა ხშირად გამოისახება პროცენტულად თავდაპირველი ღირებულებიდან, ასე, რომ დარიცხვის წრფივი მეთოდით ოთხი წლის განმავლობაში შესაძლოა ალტერნატიულად აღიწეროს როგორც წრფივი ცვეთა, თითოეულ წელს 25%-ის ოდენობით.

6.2 ნაშთის შემცირების მეთოდი

$$\text{ცვეთის ხარჯი} = X\% \times \text{ნეტო საბალანსო ღირებულება (NBV)}$$

 **ნეტო საბალანსო ღირებულება:** აქტივის თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული აქტივის დაგროვილი ცვეთა მოცემულ თარიღამდე.

აქტივების შესყიდვა/გაყიდვა საანგარიშო პერიოდში

თუ საანგარიშო პერიოდში გრძელვადიანი აქტივი შეისყიდეს ან გაყიდეს, არსებობს ცვეთის გამოთვლის ორი გზა:

- აქტივის დაარიცხვით ცვეთა შეძენის წელს და არა გაყიდვის წელს;
- აქტივის დაარიცხვით ცვეთა პროპორციული ან თვეების იმ რაოდენობის მიხედვით, რა პერიოდიდანაც გახდა საკუთრება.

მაგ

ხაილუსტრაციული მაგალითი: ნაშთის შემცირების მეთოდი

დევდმა, ინდივიდუალურმა მეწარმემ, შეიძინა მანქანა-დანადგარი \$1,000-ად 20X1 წლის 1 აგვისტოს. ცვეთას წელიწადში ერთხელ არიცხავს ნაშთის შემცირების მეთოდით, წლიური 20%-იანი განაკვეთით. შეძენის წელს ცვეთას არიცხავს სრულად.

რა იქნება ცვეთის თანხა პირველი ხუთი წლისათვის, თუ საანგარიშო წელი მთავრდება 31 ივლისს.

ამოხსნა

| წელი | % x (NBV) = ცვეთის ხარჯი | ცვეთის ხარჯი | დაგროვილი ცვეთა |
|------|---------------------------|--------------|-----------------|
| | ცვეთის ხარჯის განგარიშება | \$ | \$ |
| 1 | 20% x \$1,000 | 200 | 200 |
| 2 | 20% x \$(1,000 - 200) | 160 | 360 |
| 3 | 20% x \$(1,000 - 360) | 128 | 488 |
| 4 | 20% x \$(1,000 - 488) | 102 | 590 |
| 5 | 20% x \$(1,000 - 590) | 82 | 672 |

მაგ

შეამოწმე შენი ცოდნა 2

კარენი ხელმძღვანელობს ცნობილ საბავშვო ბაღს “პატარა მაიმუნები” 20X1 წლიდან. მისი გაფართოების გამო, მან შეიძინა შემდეგი აქტივები:

- ახალი საცხობი საშხარეულოსათვის თვითღირებულებით \$2,000 (შესყიდული 20X4 წლის 1 დეკემბერს);
- მინიავტობუსი ბავშვების გადასაყვანად თვითღირებულებით \$18,000 (შესყიდული 20X4 წლის 1 ივნისს).

ის საცხობს ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით, წლიური 10%-იანი განაკვეთით, ხოლო მინიავტობუსს ნაშთის შემცირების მეთოდით, წლიური 25%-იანი განაკვეთით. სრული ცვეთა ურცხება შესყიდვის წელს და არაფერი გაყიდვის წელს.

რა იქნება ცვეთის მთლიანი ხარჯი 20X6 წლის 31 ოქტომბერს დასრულებულ წელს?

- ა \$2,531
- ბ \$2,700
- გ \$4,231
- დ \$2,731



შეამოწმე შენი ცოდნა 3

შემდეგი ინფორმაცია ეხება Banger &Smash-ს, მანქანების შემკეთებელ საწარმოს:

| | 1-ლი მანქანა | მე-2 მანქანა |
|----------------|--|---|
| თვითღირებულება | \$12,000 | \$8,000 |
| შესყიდვის დრო | 20X5 წლის 1 აგვისტო | 20X6 წლის 1 ოქტომბერი |
| ცვეთის მეთოდი | წრფივი მეთოდი, 20%-იანი განაკვეთი, პროპორციული | ნაშთის შემცირების მეთოდი, 10%-იანი განაკვეთი, პრო- პორციული |

რა იქნება ცვეთის მთლიანი ხარჯი 20X5 და 20X6 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში?

| | 20X5 | 20X6 |
|---|-------|-------|
| | \$ | \$ |
| ა | 2,400 | 2,600 |
| ბ | 1,000 | 2,600 |
| გ | 2,400 | 3,200 |
| დ | 1,000 | 3,200 |

7. ცვეთის ბუღალტრული აღრიცხვა

მიუხედავად იმისა, თუ ზემოთ მოცემული რომელი მეთოდი (გადაფასების მეთოდის გარდა) იქნება გამოყენებული, ბუღალტრული გატარება არ შეიცვლება:

დებეტი ცვეთის ხარჯი (მოგებისა და ზარალის ანგარიშგება) X
 კრედიტი დაგროვილი ცვეთა (ბალანსი) X

- ცვეთის ხარჯის ანგარიში ეკუთვნის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას და არა დაგროვილი ცვეთის ანგარიშს.
- დაგროვილი ცვეთის ანგარიში ეკუთვნის ბალანსს და სახელიდან გამომდინარე არის დაგროვილი, ე.ი. შეიცავს ანგარიშგებაზე ყველა წლის ცვეთის ჯამს.
- ბალანსში დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის თვითღირებულებას:

| | |
|---------------------------|------------|
| | \$ |
| თვითღირებულება | X |
| დაგროვილი ცვეთა | <u>(X)</u> |
| ნეტო საბალანსო ღირებულება | X |

მაგ

საინვესტიციო მაგალითი: ნაშის შემცირების მეთოდი

სანტა მართავს სათამაშოების დიდ მაღაზიას. 20X5 წლის 31 აგვისტოს დასრულებულ წელს მან შეიძინა შემდეგი გრძელვადიანი აქტივები:

- ახალი საკასო აპარატი ღირებულებით \$5,000. აპარატი შეიძინა 20X4 წლის 1 დეკემბერს საშობაო ვაჭრობისათვის და ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით, წლიური 10%-იანი განაკვეთით;
- ახალი მანქანა შეიძინა 20X5 წლის 31 მარტს ღირებულებით \$22,000. მანქანას ცვეთა ერიცხება ნაშის შემცირების მეთოდით წლიური 15%-იანი განაკვეთის გამოყენებით. ყველა აქტივს ცვეთას არიცხავს დროის პროპორციულად, თვეების მიხედვით.
- რა იქნება ცვეთის ხარჯი 20X5 წლის 31 აგვისტოს დასრულებულ წელს?
- აჩვენეთ სათანადო ბუღალტრული ანგარიშების წარმოება და ჩანაწერები ბალანსში საანგარიშო წლის ბოლოს.

ამოხსნა

სალარო აპარატის ცვეთის ხარჯი: $10\% \times \$5,000 \times 9/12 = \375

მანქანის ცვეთის ხარჯი: $15\% \times \$22,000 \times 5/12 = \$1,375$

სალარო აპარატის თვითღირებულება

| | \$ | | \$ |
|-------------|--------------|-----------|--------------|
| ფული ბანკში | 5,000 | 3/8 ნაშთი | 5,000 |
| | <u>5,000</u> | | <u>5,000</u> |
| 3/8 ნაშთი | 5,000 | | |

მანქანის თვითღირებულება

| | \$ | | \$ |
|-------------|---------------|-----------|---------------|
| ფული ბანკში | 22,000 | 3/8 ნაშთი | 22,000 |
| | <u>22,000</u> | | <u>22,000</u> |
| 3/8 ნაშთი | 22,000 | | |

სალარო აპარატის დაგროვილი ცვეთა

| | \$ | | \$ |
|-----------|------------|----------------------|------------|
| 3/8 ნაშთი | 375 | ცვეთის ხარჯი 20X5 | 375 |
| | <u>375</u> | | <u>375</u> |
| | | 3/8 ნაშთი | 375 |

მანქანის დაგროვილი ცვეთა

| | \$ | | \$ |
|-----------|--------------|----------------------|--------------|
| 3/8 ნაშთი | 1,375 | ცვეთის ხარჯი 20X5 | 1,375 |
| | <u>1,375</u> | | <u>1,375</u> |
| | | 3/8 ნაშთი | 1,375 |

| ცვეთის ხარჯი | | | |
|--|----------------|------------------------------|----------------|
| | \$ | | \$ |
| დაგროვილი ცვეთის ხარჯი (სალარო აპარატი) | 375 | | |
| დაგროვილი ცვეთის ხარჯი (მანქანა) | 1,375 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 1,750 |
| | <u>1,750</u> | | <u>1,750</u> |
| ამონარიდი ბალანსიდან 20X5 წლის 31 აგვისტოსათვის | | | |
| | სალარო აპარატი | | მანქანა |
| | \$ | | \$ |
| თვითღირებულება | 5,000 | | 22,000 |
| დაგროვილი ცვეთა | <u>(375)</u> | | <u>(1,375)</u> |
| ნეტო საბალანსო ღირებულება | 4,625 | | 20,625 |

შეამოწმე შენი ცოდნა 4

ქოლმა 20X5 წლის 1 აგვისტოს ნაღდი ანგარიშსწორებით შეიძინა ორი გრძელვადიანი აქტივი, რომელიც საწარმოში წვეულებების მოწყობისათვის სჭირდებოდა:

- შენობა 25 წლიანი ლიზინგით, ღირებულებით \$200,000;
- შოკოლადის ჩამოსასხმელი, ღირებულებით \$4,000.

შოკოლადის ჩამოსასხმელს ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირების მეთოდით წლიური 25%-იანი განაკვეთის გამოყენებით.

წლის სრული ცვეთა ერიცხება შებენის წელს და არაფერი გაყიდვის წელს.

აჩვენეთ ზემოხსენებული აქტივების ბუღალტრული გატარებები 20X5, 20X6, 20X7 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში.

8. თანმიმდევრულობა და სუბიექტურობა ცვეთის აღრიცხვის დროს

საწარმოს ხელმძღვანელების მიერ გაკეთებულ შეფასებაზე დაფუძნებული:

- ცვეთის მეთოდი;
- ნარჩენი ღირებულება;
- სასარგებლო მომსახურების ვადა.

სხვადასხვა შეფასება იწვევს ცვეთის სხვადასხვა ღონეს და, შესაბამისად, მოგებას.

ამ საკითხისადმი სუბიექტური დამოკიდებულება კამათის საგანს წარმოადგენს, რადგან იგი ხელმძღვანელთა მიერ ანგარიშების მანიპულაციას იწვევს.

ხელმძღვანელთა მანიპულირების შეზღუდვისა და თანმიმდევრულობის გაზრდის მიზნით, ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“ ადგენს:

- ცვეთის დარიცხვის მეთოდი პერიოდულად უნდა გადაისინჯოს და შეიცვალოს, თუ ისინი აღარ ასახავენ აქტივის გამოყენების ინტენსივობას.

ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა პერიოდულად უნდა გადაისინჯოს და შეიცვალოს, თუ მოლოდინი განსხვავდება წინა შეფასებებისაგან.



მაგ. ხაილსტრაციის მაგალითი 2. წრფივი მეთოდი

ალუმა შეიძინა გრძელვადიანი აქტივი \$100,000 20X2 წლის 1 იანვარს და ცვეთას არიცხვდა 5 წლის განმავლობაში. ნარჩენი ღირებულება იყო \$10,000.

20X3 წლის 1 იანვარს გადაისინჯა აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა და ის განისაზღვრა 8 წლით. ნარჩენი ღირებულება შეფასდა ნულის ტოლად. გამოთვალეთ ცვეთის ხარჯი 20X3 წლის 31 დეკემბერს დასრულებული და შემდგომი წლებისათვის.

ამოხსნა

| | | | | |
|--|---|---|---|----------|
| საწყისი წლიური ცვეთის ხარჯი | = | $\frac{\$100,00 - \$10,000}{5 \text{ წელი}}$ | = | \$18,000 |
| ნეტო საბალანსო ღირებულება ახალი ცვეთის ხარჯი | = | $\$100,000 - (\$18,000 \times 1 \text{ წელი})$ | = | \$82,000 |
| | = | $\frac{\$82,000 - \text{ნული}}{8 \text{ წელი}}$ | = | \$10,250 |



შეამოწმე შენი ცოდნა 5

ალბერტომ იყიდა შეშის ღუმელი თავისი პიცის რესტორნისათვის \$30,000-ად 20X0 წლის 1 იანვარს. ამ დროისათვის მას სჯეროდა, რომ ღუმელის სასარგებლო მომსახურების ვადა 20 წელი იქნებოდა, რომლის შემდეგაც მას აღარ ექნებოდა ფასი.

20X3 წლის 1 იანვარს მან გადასინჯა თავისი შეფასება: ახლა ის დარწმუნებულია, რომ ღუმელს გამოიყენებს კიდევ 12 წელს, რომლის შემდეგ იგი შეძლებს მის გაყიდვას ნარჩენი ღირებულებით \$1,500.

რა იქნება ცვეთის ხარჯი 20X3 წლის 31 დეკემბერს?

- ა \$2,000
- ბ \$2,125
- გ \$1,875
- დ \$2,375

9. გრძელვადიანი აქტივების გაყიდვა

9.1 მოგება/ზარალი გრძელვადიანი აქტივის გაყიდვისას

სააღრიცხვო მოგება ან ზარალი წარმოიშობა გრძელვადიანი აქტივის გაყიდვის შემთხვევაში:

| | | |
|---|--|---------------------------|
| აქტივის გაყიდვიდან ამონაგები (ფულით ან ნაწილობრივი გაცვლით) > | ნეტო საბალანსო ღირე- ბულება გაყიდვის დღეს | მოგება |
| აქტივის გაყიდვიდან ამონაგები (ფულით ან ნაწილობრივი გაცვლით) < | ნეტო საბალანსო ღირე- ბულება გაყიდვის დღეს | ზარალი |
| აქტივის გაყიდვიდან ამონაგები (ფულით ან ნაწილობრივი გაცვლით) = | ნეტო საბალანსო ღირე- ბულება გაყიდვის დღეს | არც მოგება, არც წაგება |

T ანგარიშია საჭირო გრძელვადიანი აქტივის გასვლის ჩასაწერად. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აქტივის გასვლის დროს აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშში.

9.2 აქტივის გაყიდვა ფულადი ანაზღაურებით

აქტივის გასვლის აღრიცხვა ხდება სამ საფეხურად:

1. ამოვიღოთ აქტივის საწყისი ღირებულება მისი თვითღირებულების ანგარიშიდან.

| | |
|--------------------------------|--------------------|
| ანგარიში | შინაარსი |
| დებეტი გასვლა | საწყისი ღირებულება |
| კრედიტი აქტივის თვითღირებულება | საწყისი ღირებულება |

2. ამოვიღოთ აქტივის დაგროვილი ცვეთა მისი დაგროვილი ცვეთის ანგარიშიდან

| | |
|------------------------|------------------------|
| დებეტი დაგროვილი ცვეთა | დაგროვილი ცვეთის ციფრი |
| კრედიტი გასვლა | დაგროვილი ცვეთის ციფრი |

3. ჩავწეროთ აქტივის გაყიდვისას მიღებული ამონაგები

| | |
|------------------------|------------------------|
| დებეტი ფულადი სახსრები | გაყიდვებიდან ამონაგები |
| კრედიტი გასვლა | გაყიდვებიდან ამონაგები |

დამბალანსებელი ციფრი გასვლის T ანგარიშში გვიჩვენებს მოგებას ან ზარალს:

აქტივის გასვლის ანგარიში

| | \$ | | \$ |
|-------------------------|----|-------------------------|----|
| თვითღირებულება | X | დაგროვილი ცვეთა | X |
| | | ფულადი სახსრები | X |
| მოგება (დამბალანსებელი) | X | ზარალი (დამბალანსებელი) | X |
| | X | | X |

მოგება ან ზარალი ასევე შეიძლება გამოითვალოს, როგორც გაყიდვებიდან ამონაგებს მინუს აქტივის გასვლისას მისი ნეტო საბალანსო ღირებულება.



შეამოწმე შენი ცოდნა 6

პერსი აწარმოებს ბალების გაშენების საქმიანობას. 20X2 წლის 1 თებერვალს მან შეიძინა ბალახის საჭრელი მანქანა ღირებულებით \$3,000. ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდის გამოყენებით, თევების პროპორციულად წლიური 10%-იანი განაკვეთით. რამდენიმე წლის შემდეგ მან გადაწყვიტა შეცვალოს თავისი საჭრელი მანქანა უკეთესი, გადახურული მანქანით, წვიმის დროს თავის შუფარების მიზნით. მან მიჰყიდა \$2,000-ად თავისი საჭრელი მანქანა თავის ძველ მეგობარს M-ს 20X5 წლის 31 ივლისს.

რა ციფრი ჩაიწერება მოგებისა და ზარალის ანგარიშში აქტივის გაყიდვის შემდეგ 20X5 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს?

9.3 აქტივის გაყიდვა ნაწილობრივი გაცვლით

ნაწილობრივი გაცვლის შეთანხმება დება მაშინ, როცა ახალ აქტივში ფულის ნაწილის ნაცვლად ძველი აქტივი გადაეცემა, მისი შეთანხმებული ღირებულებით. გაცვლისას ბუღალტრული გატარებების პროცედურა ძალიან წააგავს ზემოთ აღწერილ გასვლის სამსაფეხურიან პროცესს. თუმცა, არის მე-4 საფეხურიც:

1. ამოვიღოთ აქტივის საწყისი ღირებულება მისი თვითღირებულების ანგარიშიდან.

| | | |
|---------|------------------------|--------------------|
| | ანგარიში | შინაარსი |
| დებეტი | გასვლა | საწყისი ღირებულება |
| კრედიტი | აქტივის თვითღირებულება | საწყისი ღირებულება |
2. ამოვიღოთ აქტივის დაგროვილი ცვეთა მისი დაგროვილი ცვეთის ანგარიშიდან

| | | |
|---------|-----------------|------------------------|
| დებეტი | დაგროვილი ცვეთა | დაგროვილი ცვეთის ციფრი |
| კრედიტი | გასვლა | დაგროვილი ცვეთის ციფრი |
3. ჩაწეროთ ნაწილობრივი გაცვლის შეთანხმებული/გაცვლითი ღირებულება როგორც გაყიდვიდან ამონაგები

| | | |
|---------|---|--------------------|
| დებეტი | ახალი აქტივის თვითღირებულება | ნაწილობრივი გაცვლა |
| | (=ახალი აქტივის საწყისი ღირებულების ნაწილი) | |
| კრედიტი | გასვლა (= ძველი აქტივის გაყიდვებიდან ამონაგები) | ნაწილობრივი გაცვლა |

4. ჩაეწერეთ ახალ აქტივში გადახდილი ნაღდი ფული.

| | | |
|---------|------------------------|-----------------|
| დებეტი | აქტივის თვითღირებულება | ფულადი სახსრები |
| კრედიტი | ფულადი სახსრები | ფულადი სახსრები |

კვლავ, დამაბალანსებელი ციფრი გასვლის T ანგარიშში გვიჩვენებს მოგებას ან ზარალს:

| აქტივის გასვლის ანგარიში | | | |
|--------------------------|----------|--------------------------|----------|
| | \$ | | \$ |
| თვითღირებულება | X | დაგროვილი ცვეთა | X |
| | | ნაწილობრივი გაცვლა | X |
| მოგება (დამაბალანსებელი) | X | ზარალი (დამაბალანსებელი) | X |
| | <u>X</u> | | <u>X</u> |



განვრცობილი ტექსტი

ახალი აქტივის ნაწილობრივ გაცვლით შექენისას მის ანგარიშში არის ორი სადებეტო ჩანაწერი:

- ნაწილობრივი გაცვლის ჩანაწერი
- გადახდილი ფული

ორივეს ჯამში ახალი აქტივის ღირებულების ტოლია (სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ერთი დებეტის ჩაწერა, მაგრამ არ უნდა დაგაენიწყდეთ ორივე კრედიტის დაფიქსირება).



შეამოწმე შენი ცოდნა 7

ინდი აწარმოებს ტანსაცმლის შექმნისა და აღდგენის საქმიანობას. 20X2 წლის 1 იანვარს, საჭმის დაწყებისას, მან შეიძინა საკერავე მანქანა Soopastitch II \$2,500-ად. საკერავე მანქანას ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით წლიური 20%-იანი განაკვეთით შექენის წელს და არაფერს გაყიდვის წელს.

საწარმო ისე გაუართოვდა, რომ მას ესაჭიროება უფრო სწრაფი საკერავე მანქანა და 20X5 წლის დეკემბერში მას სურს ძველი მანქანა შეცვალოს ახლით – Soopastitch V-ით. ამ ფირმის გამყიდველი სთავაზობს მას ნაწილობრივ გაცვლას შემდეგი პირობებით:

| | |
|--|---------|
| ნაწილობრივი გაცვლითი ღირებულება Soopastitch II-ში | \$750 |
| დანარჩენი თანხა ნაღდი ანგარიშსწორებით Soopastitch V-ში | \$4,850 |

გააკეთეთ ბუღალტრული გატარებები და აჩვენეთ ზემოხსენებული ოპერაციები 20X5 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს.

10. გრძელვადიანი აქტივების გადაფასება

- ზოგიერთი გრძელვადიანი აქტივების, როგორცაა მიწა და შენობები, მიმდინარე ფულადი ღირებულება, დროთა განმავლობაში შესაძლოა მნიშვნელოვნად გაიზარდოს. საწარმოს შესაძლოა სურდეს ბალანსში ასახოს ამგვარი აქტივები რეალური ღირებულებით. ასეთ ოპერაციას აქტივის გადაფასება ეწოდება.
- სხვაობა (ჩვეულებრივ ნამეტი თანხა) გადაფასების თანხასა და ნეტო საბალანსო ღირებულებას შორის უნდა აღირიცხოს გადაფასების რეზერვის მუხლით ბალანსის კაპიტალის ნაწილში.
- ეს ამონაკები არ აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშში, რადგან იგი არ არის რეალიზებული (ე.ი. განზრახული არ არის აქტივის გადაქცევა ფულად, მისი გაყიდვის გზით).



განვრცობილი ტექსტი

თუ გრძელვადიანი აქტივის საბაზრო ფასი შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, მაშინ გადაფასების დღეს მისი ღირებულება შეიძლება იყოს საბაზრო ფასს მინუს სათანადო ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება შეიძლება რეგულარულად გამოირღვოს იმაში დასარწმუნებლად, რომ აქტივის საბაზრო ფასი, ფაქტობრივად არ განსხვავდება რეალური ღირებულებისაგან.

აფასების დადებითი სხვაობა უნდა დაკრედიტდეს გადაფასების რეზერვზე, სანამ ის არ ჩამოფასდება ძველ ღირებულებამდე. ჩამოფასების უარყოფითი სხვაობა უნდა აღიარდეს როგორც ხარჯი.

ჩამოფასებული ოდენობა აღიარდება ხარჯად, სანამ ის კვლავ არ გადაფასდება და აფასებული სხვაობა არ აღირიცხება გადაფასების რეზერვის სახით.

თუ აქტივების კლასიდან ერთი რომელიმე აქტივი გადაფასდება, საჭიროა ამ ჯგუფში შემავალი ყველა აქტივის გადაფასება. ამით თავიდან იქნება აცილებული იმ აქტივების ამორჩევითი გადაფასება, რომელთა ღირებულებაც გაიზარდა.



მაგალიტური მაგალიტი: გრძელვადიანი აქტივების გადაფასება

ვოტორიოს საკუთრებაში აქვს მიწა ღირებულებით \$250,000. ბასს 16-ის თანახმად, მიწას ცვეთა არ ერიცხება. ვოტორიოს სურს ააფასოს მიწა მის საბაზრო ღირებულებამდე, როგორც ურჩიეს \$600,000-მდე.

რომელი ორადი გატარებაა საჭირო ამ აფასების ჩასაწერად?

ამოხსნა

მიწის მიმდინარე ღირებულებაა \$250,000. საჭიროა \$350,000-ით გაზრდა გადაფასებულ ღირებულებამდე \$600,000-მდე. მგვარად, აუცილებელი ორადი გატარებაა:

| | | |
|---------|---------------------|-----------|
| დებეტი | მიწა თვითღირებულება | \$350,000 |
| კრედიტი | გადაფასების რეზერვი | \$350,000 |

მატ. საბალანსო ცხრილი მაგალითად შპს-ის გრძელვადიანდეტექტივების გადაფასება

ჰამიშს აქვს შოტლანდიური ქვედაბოლოების სამკერვალო საწარმო შოტლანდიაში. ის აწარმოებს თავის საქმიანობას რამდენიმე წელია იმ შენობაში, რომლის საწყისი ღირებულებაა \$300,000 და რომლის დაგროვილი ცვეთაა \$100,000. ჰამიშს სურს შენობა აფასოს \$750,000-მდე.

რომელი ორადი გატარებაა საჭირო ამ აფასების ჩასაწერად?

ამოხსნა

ბუღალტრულ წიგნებში არის შემდეგი ნაშთები:

შენობის თვითღირებულება \$300,000

დაგროვილი ცვეთა \$100,000

- შენობის საწყისი ღირებულება უნდა გაიზარდოს \$450,000-ით \$750,000-მდე.
- აფასების დროს დაგროვილი ცვეთის თანხა უნდა ჩამოიწეროს ანგარიშიდან.

ამგეარად, აუცილებელი ორადი გატარებაა:

დებეტი შენობის თვითღირებულება \$450,000

დებეტი დაგროვილი ცვეთა \$100,000

კრედიტი გადაფასების რეზერვი \$550,000

მიღებული თანხა \$550,000 არის სხვაობა ნეტო საბალანსო ღირებულებასა და გადაფასებულ ღირებულებას შორის (\$750,000 - \$200,000).

შენობის თვითღირებულება

| \$ | | \$ | |
|------------------|---------|-----------|---------|
| პ/დ ნაშთი | 300,000 | პ/ბ ნაშთი | 750,000 |
| აფასების რეზერვი | 450,000 | | 750,000 |
| | 750,000 | | |
| პ/დ ნაშთი | 750,000 | | |

შენობის დაგროვილი ცვეთა

| \$ | | \$ | |
|---------------------|---------|-----------|---------|
| გადაფასების რეზერვი | 100,000 | პ/დ ნაშთი | 100,000 |
| | 100,000 | | 100,000 |

გადაფასების რეზერვი

| \$ | | \$ | |
|-----------|---------|-------------------------|---------|
| პ/ბ ნაშთი | 550,000 | თვითღირებულება (შენობა) | 450,000 |
| | | დაგროვილი ცვეთა | 100,000 |
| | 550,000 | პ/დ ნაშთი | 550,000 |

ამგვარად:

გადაფასების რეზერვი = გადაფასებულ ღირებულებას - ნეტო საბალანსო ღირებულება

იმ აქტივისათვის, რომელსაც ცვეთა არ ერიცხება:

ღებუტი გრძელვადიანი აქტივი - თვითღირებულება კრედიტი გადაფასების რეზერვი

გადაფასების ნამეტი
გადაფასების ნამეტი

იმ აქტივისათვის, რომელსაც ცვეთა ერიცხება:

ღებუტი დაგროვილი ცვეთა
ღებუტი გრძელვადიანი აქტივი - თვითღირებულება კრედიტი გადაფასების რეზერვი

ცვეთის მთლიანი ციფრი
დამაბალანსებელი ციფრი
გადაფასების ნამეტი



შეამოწმე შენი ცოდნა 8

მაქს აქვს თევზის ქარხანა. მან შენობა შეიძინა 20X1 წლის 1 იანვარს \$450,000-ად და ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდის გამოყენებით წლიური 2%-იანი განაკვეთით.

Max-ს სურს გადაფასოს საწარმოს შენობა \$800,000-ად 20X7 წლის 1 იანვარს და ასახოს საბაზრო ღირებულება.

რა ნაშთი იქნება გადაფასების რეზერვის ანგარიშზე ამ ოპერაციის ასახვის შემდეგ?

- \$
- ა 350,000
- ბ 395,000
- გ 404,000
- დ 413,000

11. გადაფასებული აქტივის ცვეთის ღარიცხვა და გაყიდვა

11.1 გადაფასებული აქტივისათვის ცვეთის ღარიცხვა

- გრძელვადიანი აქტივის გადაფასების შემდეგ ცვეთის თანხა უნდა დაეფუძნოს გადაფასებულ თანხას და აქტივის ღარიცხვით სასარგებლო მომსახურების ვადას.
- გადაფასების გამო, ცვეთის თანხა წინანდელზე უფრო მეტია.
- ცვეთის ახალი თანხის ნამეტი წინანდელთან შედარებით უნდა იქნეს გაღატანილი გადაფასების რეზერვის ანგარიშიდან დაგროვილი მოგების ანგარიშზე (ბალანსის კაპიტალის ნაწილში):

ღებუტი გადაფასების რეზერვი

X

კრედიტი დაგროვილი მოგება

X

მაგ.

საილუსტრაციო მაგალითი 6: გადაფასებული აქტივების ცვეთა

ედის აქვს სავაჭრო ობიექტი ცენტრალურ სპრინგფილდში. მან ეს ობიექტი 25 წლის წინ შეიძინა \$100,000-ად და მისი სასარგებლო მომსახურების ვადა 50 წელია. 20X6 წლის დასაწყისში მან გადაწყვიტა თავისი ობიექტი აფუასებინა \$800,000-მდე. აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების დარჩენილი ვადა 25 წელია.

რა ბუღალტრული გატარებები უნდა გაკეთდეს 20X6 წელს?

ამოხსნა

| | | |
|---|--|-----------|
| აფასებისას 20X6 წლის დასაწყისში | | |
| დებიტი | სავაჭრო ობიექტის თვითღირებულება | \$700,000 |
| დებიტი | დაგროვილი ცვეთა | \$50,000 |
| კრედიტი | გადაფასების რეზერვი | \$750,000 |
| ცვეთის დარიცხვა 20X6 წლის ბოლოს | | |
| დებიტი | ცვეთის ხარჯი (\$800,000/25 წელზე) | \$32,000 |
| კრედიტი | დაგროვილი ცვეთა | \$32,000 |
| 20X6 წლის რეზერვების გადატანა დაგროვილ მოგებაზე | | |
| დებიტი | გადაფასების რეზერვი (\$32,000 - \$2,000) | \$30,000 |
| კრედიტი | დაგროვილი მოგება | \$30,000 |

11.2 გადაფასებული აქტივის გაყიდვა (გასვლა)

გადაფასებული აქტივის გაყიდვისას იგივე პროცესია გასაუღლებელი, რაც ზემოთ იყო განხილული.

მაგ.

შეამოწმე შენი ცოდნა 9

სპარტაკის გაერთიანებული საფეხბურთო კლუბის ბალანსი 20X7 წლის 31 დეკემბერს შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

| | |
|----------------------|-----------|
| | \$ |
| სტადიონის ღირებულება | 1,500,000 |
| (იკეთა) | (450,000) |
| | 1,050,000 |

ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით წლიური 2%-იანი განაკვეთით. 20X8 წლის 30 ივნისს სტადიონი გადაფასდა \$1,380,000-მდე. აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადა არ შეცვლილა.

რა იქნება 20X8 წლის 31 დეკემბერს დამთავრებულ წელს ცვეთის ხარჯი?

მაგ.

შეამოწმე შენი ცოდნა 10

T-ს მფლობელობაშია გოლფის კლუბი. რამდენიმე წლის შემდეგ T-მ გააფართოების მიზნით შეიძინა მიწა, თავისი კლუბის გვერდზე, ახალი, პატარა, 9-ორ-მოიანი ზაზის გასახსნელად. მიწის ღირებულება იყო \$260,000. T-ს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შექმნილი დამატებითი კორტები, რომ მან აფასა მიწა \$600,000-მდე. ახლა მან გადაწყვიტა, რომ ახალი კორტის აშენება იქნებოდა არაეკონომიური და მოებნა მყიდველი, ვისაც სურს მიწაში გადაიხადოს \$695,000.

რა გატარებები უნდა გაკეთდეს აქტივის გაყიდვის დროს?

12. გრძელვადიანი აქტივის ნაშთების აღრიცხვა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებში

ბალანსი
გრძელვადიანი აქტივების გაერთიანებული ნეტო საბალანსო ღირებულება აღირიცხება ბალანსში.

მოგებისა და ზარალის ანგარიში
ცვეთის ზარჯი აღირიცხება როგორც შესაბამისი ზარჯის კატეგორია.

ასხნა-განმარტებები

- ცვეთის მეთოდი და განაკვეთი
- გრძელვადიანი აქტივების მოძრაობის უწყისი
- გადაფასების დეტალები




განვრცობილი ტექსტი

ბასს 16 შეიცავს მთელ რიგ განმარტებით მოთხოვნებს. აქ მოყვანილია ძირითადი მოთხოვნები:

1. აქტივის საბალანსო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლები (მაგ., თვითღირებულება ან შეფასება). ერთზე მეტი ბაზის გამოყენების შემთხვევაში, უნდა აისახოს თითოეული ბაზის შედეგად მიღებული თანხები;
2. გამოყენებული ცვეთის მეთოდები სასარგებლო მომსახურების ვადისა და ცვეთის განაკვეთის დეტალების მითითებით;
3. თითოეული დასახელების აქტივის საერთო თანხა და მასთან დაკავშირებული დაგროვილი ცვეთა (აგროვირებული დაგროვილ გადაფასებების ზარალთან) პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის;
4. პერიოდის დასაწყისისა და დასასრულს საბალანსო ღირებულების შეჯერება, სადაც მითითებული იქნება:
 - მომატება;
 - გასაყიდად შექმნილი აქტივების კლასიფიცირება;
 - აქტივების გასვლა;
 - გადაფასებები;
 - ცვეთა.
5. მომავალში ძირითადი საშუალებების შექმნის ყველა გადაწყვეტილება.
6. თუ აქტივი გადაფასებული ციფრით აღირიცხება, ასხნა-განმარტებებში უნდა აღინიშნოს:
 - გადაფასების ფაქტობრივი თარიღი;
 - გადაფასებაში მონაწილეობას იღებდა თუ არა დამოუკიდებელი შემფასებელი;
 - გამოყენებული მეთოდები და წინადადებები საბაზრო ფასის დადგენისას;
 - რა თანხით აღიარდებოდა აქტივი;
 - გადაფასების ნამეტი, რომელიც გვიჩვენებს მიმდინარე წლის სხვაობას.

თავის რეზიუმე



შეამოწმე შენი პასუხები



შეამოწმე შენი ცოდნა 1

სწორი პასუხია ა

მიწა და შენობები

\$

ოფისის შენობები

250,000

ლეგალური გადასახადი

10,000

260,000

- იისფრად ოფისის შეღებვა არ ზრდის მის თვითღირებულებას, ამგვარად ის არ კაპიტალიზდება. აცვლად, შეღებვის ხარჯები მოგებისა და ზარალის ანგარიშში უნდა აღირიცხოს, როგორც ამონაგების ხარჯები.

აეტომანქანები

\$

E სერიის 3 მერსედესი

116,000

ნომრები

210

მოყვანის ხარჯები

180

116,390

- მანქანის ნომრები არის ერთ-ერთი ხარჯი რომელიც ემატება მანქანის თვითღირებულებას.

ლიცენზიის გადასახადი, მძღოლის ხელფასები და ქეითრები არის მიმდინარე ხარჯები, რომელიც ყოველ წელს წარმოიშობა. ისინი არ შეიძლება დაემატოს აქტივის ღირებულებას და კაპიტალიზდეს, არამედ ისინი უნდა აღიარდეს ხარჯად მოგებისა და ზარალის ანგარიშში.



შეამოწმე შენი ცოდნა 2

სწორი პასუხია დ

საცხოზი

20X6

\$

\$2,000 x 10%

200

მინიაეტობუსი

20X4: 25% x \$18,000

= \$4,500

20X5: 25% x \$(18,000 - 4,500)

= \$3,375

20X6: 25% x \$(18,000 - 7,875)

= \$2,531

2,531

2006 წელს ცვეთის მთლიანი ხარჯი

2,731

შეამოწმე შენი ცოდნა 3

სწორი პასუხია ბ

| | | | |
|-------------------------------|-------|----|-------|
| 1-ლი მანქანა | | \$ | \$ |
| 20X5: 20% x \$12,000 x 5/12 = | 1,000 | | |
| 20X6: 20% x \$12,000 = | 2,400 | | |
| მე-2 მანქანა | | | |
| 20X6: 10% x \$8,000 x 3/12 = | 200 | | |
| ცვეთის მთლიანი ზარჯები | | | |
| 20X5: | | | 1,000 |
| 20X6: \$2,400 + \$200 | | | 2,600 |

შეამოწმე შენი ცოდნა 4

შენობა (თვითღირებულება)

| | | | |
|------------------------|---------|-----------|---------|
| | \$ | | \$ |
| 1.8.X5 ფულადი სახსრები | 200,000 | პ/ბ ნაშთი | 200,000 |
| | 200,000 | | 200,000 |
| პ/დ ნაშთი | 200,000 | | |

შოკოლადის ჩამოსასხმელის თვითღირებულება

| | | | |
|------------------------|-------|-----------|-------|
| | \$ | | \$ |
| 1.8.X5 ფულადი სახსრები | 4,000 | პ/ბ ნაშთი | 4,000 |
| | 4,000 | | 4,000 |
| პ/დ ნაშთი | 4,000 | | |

ცვეთის ზარჯი

| | | | |
|---------------------|-------|------------------------------|-------|
| | \$ | | \$ |
| X 5 დაგროვილი ცვეთა | 9,000 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 9,000 |
| X 6 დაგროვილი ცვეთა | 8,750 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 8,750 |
| X7 დაგროვილი ცვეთა | 8,563 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 8,563 |

დაგროვილი ცვეთის ანგარიში (შენობა)

| | | | |
|-----------|--------|----------------------|--------|
| | \$ | | \$ |
| პ/ბ ნაშთი | 8,000 | X5 წლის ცვეთის ზარჯი | 8,000 |
| | 8,000 | | 8,000 |
| | | პ/დ ნაშთი | 8,000 |
| პ/ბ ნაშთი | 16,000 | X6 წლის ცვეთის ზარჯი | 8,000 |
| | 16,000 | | 16,000 |
| | | პ/დ ნაშთი | 16,000 |
| პ/ბ ნაშთი | 24,000 | X7 წლის ცვეთის ზარჯი | 8,000 |
| | 24,000 | | 24,000 |
| | | პ/დ ნაშთი | 24,000 |

| დაგროვილი ცვეთის ანგარიში (მოწყობილობები) | | | |
|---|--------------|----------------------|--------------|
| | \$ | | \$ |
| პ/ბ ნაშთი | 1,000 | X5 წლის ცვეთის ხარჯი | 1,000 |
| | <u>1,000</u> | | <u>1,000</u> |
| | | | პ/დ ნაშთი |
| პ/ბ ნაშთი | 1,750 | X6 წლის ცვეთის ხარჯი | 750 |
| | <u>1,750</u> | | <u>1,750</u> |
| | | | პ/დ ნაშთი |
| პ/ბ ნაშთი | 2,313 | X7 წლის ცვეთის ხარჯი | 563 |
| | <u>2,313</u> | | <u>2,313</u> |
| | | | პ/დ ნაშთი |

წლიური ცვეთის გამოთვლები:

გაითვალისწინეთ, რომ პირობაში ლიზინგის ცვეთის მეთოდებისა და განაკვეთის დეტალები მოცემული არ არის. თუმცა, ცნობილია, რომ ლიზინგი 25 წლითაა აღებული. ეს ინფორმაცია გვკარნახობს, რომ შესაფერისი იქნება წრფივი მეთოდის გამოყენება, ხოლო სასარგებლო მომსახურების ვადაა 25 წელი.

20X5 ლიზინგი: $\$200,000/25$ წელი = 8,000
 შოკოლადის ჩამოსასხმელი: $\$4,000 \times 25\%$ = 1,000
9,000

20X6 ლიზინგი: $\$200,000/25$ წელი = 8,000
 შოკოლადის ჩამოსასხმელი: $\$3,000 \times 25\%$ = 750
8,750

20X7 ლიზინგი: $\$200,000/25$ წელი = 8,000
 შოკოლადის ჩამოსასხმელი: $\$2,250 \times 25\%$ = 563
8,563

შემაჯავთვე შენი ცოდნა 5

სწორი პასუხია ა

ცვეთის თავდაპირველი წლიური ხარჯი = $\frac{\$30,000}{20 \text{ წელი}} = \$1,500$

ნეტო საბალანსო ღირებულება
 მითითებული პერიოდისათვის = $\$30,000 - (\$1,500 \times 3 \text{ წელი}) = \$25,500$

ცვეთის მიმდინარე ხარჯი = $\frac{\$25,500 - \$1,500}{12 \text{ წელი}} = \$2,000$ წელიწადში

შემაჯავთვე შენი ცოდნა 6

| | | | |
|---|---------|----------------------------------|---------|
| 1 | დებეტი | გასვლა | \$3,000 |
| | კრედიტი | ბალანსის საჭრელის თვითღირებულება | \$3,000 |
| 2 | დებეტი | დაგროვილი ცვეთა | \$1,050 |
| | კრედიტი | გასვლა | \$1,050 |

ცვეთის გამოსათვლელი გამოთვლები:

| | | | |
|----|---------------------|---|-----|
| X2 | 10% x 3,000 x 11/12 | = | 275 |
| X3 | 10% x 3,000 | = | 300 |
| X4 | 10% x 3,000 | = | 300 |
| X5 | 10% x 3,000 x 7/12 | = | 175 |

1,050

| | | | |
|----|---------|-----------------|---------|
| 3. | დებეტი | ფულადი სახსრები | \$2,000 |
| | კრედიტი | გასვლა | \$2,000 |

აქტივის გასვლის ანგარიში

| | \$ | | \$ |
|-------------------|-------|-----------------|-------|
| 31.07.X5 | | | |
| ბალანსის საჭრელის | 3,000 | დაგროვილი ცვეთა | 1,050 |
| თვითღირებულება | | ფულადი სახსრები | 2,000 |
| მოგება (დამაბალ.) | 50 | | |
| | 3,050 | | 3,050 |

20X5 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში გადასატანი ზარჯი:

| | |
|---------------------------------|------|
| | \$ |
| წლის ბოლოს ცვეთის ხარჯი | 175 |
| მოგება/ზარალი აქტივის გასვლისას | (50) |

შენიშვნა: რადგან აქტივის ცვეთა ერიცხება თვეების პროპორციულად, აუცილებელია მოგებისა და ზარალის ანგარიშში გადავიტანოთ საანგარიშო პერიოდისათვის განკუთვნილი ზარჯები, კერძოდ ზარჯები აქტივის გასვლამდე, 20X5 წლის 1 იანვრიდან 31 ივლისამდე.



შეამოწმე შენი ცოდნა 7

საკერავი მანქანის (თვითღირებულება)

| \$ | | \$ | |
|--------------------|--------------|-----------|--------------|
| პ/დ ნაშთი | 2,500 | გასვლა | 2,500 |
| ახალი აქტივი | | | |
| ნაწილობრივი გაცვლა | 750 | | |
| ფულადი სახსრები | 4,850 | პ/ბ ნაშთი | 5,600 |
| | <u>8,100</u> | | <u>8,100</u> |
| პ/დ ნაშთი | 5,600 | | |

დაგროვილი ცვეთის ანგარიში (საკერავი მანქანა)

| \$ | | \$ | |
|-----------|--------------|----------------------|--------------|
| გასვლა | 1,500 | პ/დ ნაშთი | 1,500 |
| | | X5 წლის ცვეთის ხარჯი | 1,120 |
| პ/ბ ნაშთი | 1,120 | | |
| | <u>2,620</u> | | <u>2,620</u> |
| | | პ/დ ნაშთი | 1,120 |

ცვეთის საწყისი ნაშთის გამოთვლა:

$$\$2,500 \times 20\% \times 3 \text{ წელი} = \$1,500$$

მანქანის გასვლის ანგარიში

| \$ | | \$ | |
|-------------------------------------|--------------|---------------------|--------------|
| საკერავი მანქანის თვითღირებულება | 2,500 | დაგროვილი ცვეთა | 1,500 |
| | | ნაწილობრივი გაცვლა | 750 |
| | | ზარალი (დამაბალანს) | 250 |
| | <u>2,500</u> | | <u>2,500</u> |

ცვეთის ხარჯი

| \$ | | \$ | |
|--------------------------------------|-------|---------------------------------|-------|
| საკერავი მანქანის დაგროვილი ცვეთა | 1,120 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 1,120 |

ცვეთის ხარჯის გამოთვლა:

$$\$5,600 \times 20\% = \$1,120$$

შეამოწმე შენი ცოდნა 8

სწორი პასუხია გ

| ქარხანა (თვითღირებულება) | | | |
|--------------------------|----------------|-----------|----------------|
| | \$ | | \$ |
| პ/ღ ნაშთი | 450,000 | პ/ზ ნაშთი | 800,000 |
| გადაფასება | 350,000 | | |
| | <u>800,000</u> | | |
| პ/ღ ნაშთი | 800,000 | | <u>800,000</u> |

| დაგროვილი ცვეთის ანგარიში (ქარხანა) | | | |
|---|---------------|-----------|---------------|
| | \$ | | \$ |
| გადაფასება (2% x \$450,000 x 6 წელი) | 54,000 | პ/ღ ნაშთი | 54,000 |
| | <u>54,000</u> | | <u>54,000</u> |

| გადაფასების რეზერვი | | | |
|---------------------|----------------|---------------------------|----------------|
| | \$ | | \$ |
| პ/ზ ნაშთი | <u>404,000</u> | ქარხნის თვითღირებულება | 350,000 |
| | | დაგროვილი ცვეთა | <u>54,000</u> |
| | | | <u>404,000</u> |
| | | პ/ღ ნაშთი | 404,000 |

შეამოწმე შენი ცოდნა 9

- ერთი წლის ცვეთა აფასებამდე $\$1,500,000 \times 2\% = \$30,000$
აფასებამდე ცვეთა უნდა დაერიცხოს თავდაპირველ ღირებულებას.
- თავდაპირველი სასარგებლო მომსახურების ვადა:
 $\$1,500,000 : \$30,000 = 50$ წელი
- რამდენი წელია შენობა გამოყენებაში:
 $\$450,000 : \$30,000 = 15$ წელი
- შენობა აფასდა შუა წელში, ე.ი. შენობა აფასდა მისი გამოყენებიდან 15,5 წელში.
- დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადა:
50 წელს - 15,5 წელი = 34,5 წელი.
- აფასების შემდეგ წლის ბოლომდე ცვეთა 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე
იქნება: $\frac{\$1,380,000}{34,5 \text{ წელი}} \times 6/12 = \$20,000$
20X8 წლის ცვეთის მთლიანი თანხა იქნება:
 $\$15,000 (\$30,000 \times 6/12) + \$20,000 = \$35,000$



შეამოწმე შენი ცოდნა 10


| მიწა (აფასება) | | | |
|---------------------|---------|------------------------|---------|
| | \$ | | \$ |
| პ/დ ნაშთი | 600,000 | გასვლა | 600,000 |
| გასვლის ანგარიში | | | |
| | \$ | | \$ |
| მიწა შეფასებული | 600,000 | გაყიდვიდან ამონაგები | 695,000 |
| მოგება გასვლისას | 95,000 | | |
| | 695,000 | | 695,000 |
| გადაფასების რეზერვი | | | |
| | \$ | | \$ |
| მოგება გასვილიდან | 340,000 | მიწა (600,000-260,000) | 340,000 |
| | 340,000 | | 340,000 |

საცდელი ბალანსიდან ფინანსურ ანგარიშგებამდე

თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- მაგალითებზე აჩვენოთ ფინანსური ანგარიშგების მოსაშუაღებლად ღარიცხვების, წინასწარგადახდების, ცვეთის, უიმჯლო კალებისა და დებიტორული დაკალიანების ანარიცხები ნაშთების კორექტირება.



1. საცდელი ბალანსი

ამ თავში შეძლებთ თავი მოუყაროთ წინა თავებში ათვისებულ მასალას და საცდელი ბალანსიდან მოამზადოთ ფინანსური ანგარიშგებები.

აქვე ათვისებთ შემდეგი ნაშთების კორექტირებას:

- მარაგის საბოლოო ნაშთი;
- ცვეთა;
- ღარიცხვები და წინასწარგადახდები;
- უიმელო ვალები და დებიტორული დავალიანების ანარიცხვები.

ამ ნაშთების კორექტირების შემდეგ, შესაძლებელია მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისა და ბალანსის მომზადება.

კორექტირების გაკეთებისას მნიშვნელოვანია იმაში დარწმუნება, რომ ყოველი ოპერაციისას გაკეთებულია სწორი ორადი გატარება.

1.1 საცდელი ბალანსის მიზანი

საცდელი ბალანსი არის:

- იმის შემოწმების საშუალება, რომ ყოველი სადებეტო გატარებისას გაკეთებულია მისი თანაბარი საკრედიტო გატარება
- ფინანსური ანგარიშგების მომზადების პირველი ნაბიჯი.

1.2 საცდელი ბალანსის შეზღუდვები

თუმცა, საცდელი ბალანსი სასარგებლოა იმაში დასარწმუნებლად, რომ ორადი გატარებები გაკეთებულია, მაგრამ ის ვერ:

- ავლენს არასწორ ანგარიშზე გატარებით ან არასწორი ციფრის ჩაწერით გამოწვეულ შეცდომებს;
- ადგენს, სად არის შეცდომა, ან რა შეცდომებია დაშვებული.

2. კორექტირებები

ქვემოთ იხილეთ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისათვის აუცილებელი კორექტირების დროს გასაკეთებელი ბუღალტრული გატარებები:

საბოლოო მარაგი

დებეტი მარაგი (ბალანსი)

კრედიტი გაყიდული საქონლის თვითღირებულება (მოგებისა და ზარალის ანგარიშში), რომელშიც შედის მარაგის საბოლოო ნაშთი

ცვეთა

დებეტი ცვეთის ზარჯი (მოგებისა და ზარალის ანგარიშში)

კრედიტი დაგროვილი ცვეთა (ბალანსი)

ყველა კლასის გრძელვადიანი აქტივის ცვეთის ზარჯის დარიცხვა (ალირება) მიმდინარე წლის ბოლოსათვის.

დარიცხვები

დებეტი ხარჯები (მოგებისა და ზარალის ანგარიში)

კრედიტი დარიცხვები (ვალდებულება) (ბალანსი)

ყველა ხარჯად აღიარებული, მაგრამ გადაუხდელი თანხების დარიცხვა.

წინასწარგადახდები

დებეტი წინასწარგადახდები (დებიტორული დავალიანება) (ბალანსი)

კრედიტი ხარჯები (მოგებისა და ზარალის ანგარიში)

გადახდილი, მაგრამ ხარჯად აღიარებული თანხების წინასწარგანსაზღვრა.

უიმედო ვალები

დებეტი უიმედო ვალის ხარჯები (მოგებისა და ზარალის ანგარიში)

კრედიტი დებიტორული დავალიანება (ბალანსი)

ჩამოწერილი დებიტორული დავალიანების თანხების ხარჯად აღიარება.

დებიტორული დავალიანების ანარიცხვები

დებეტი უიმედო ვალის ხარჯები (მოგებისა და ზარალის ანგარიში)

კრედიტი დებიტორული დავალიანების ანარიცხვები (ბალანსი)

პერიოდის ბოლოს ანარიცხვის გაზრდილი ან შემცირებული ნაშთით.

დებიტორული დავალიანების კორექტირება

მაგ.

სადასაწყისო მდგომარეობის ფინანსური ანგარიშგებებს მომზადება

ამ მაგალითში, გავაკეთებთ პერიოდის ბოლო კორექტირებებს და საცდელი ბალანსიდან მოვამზადებთ ფინანსურ ანგარიშგებებს.

ქვემოთ მოცემულია Tydall-ის საცდელი ბალანსი 20X6 წლის 31 მაისისათვის:

Tydall-ის საცდელი ბალანსი 20X6 წლის 31 მაისისათვის:

| | \$ | \$ |
|--------------------------------|--------|--------|
| კაპიტალის ანგარიში | | 15,258 |
| მფლობელის მიერ ამოღებული თანხა | 5,970 | |
| შესყიდვები | 73,010 | |
| დაბრუნებული გაყიდული საქონელი | 1,076 | |
| დაბრუნებული შენაძენი | | 3,720 |
| ფასდათმობები | 1,870 | |
| გაყიდვები კრედიტით | | 96,520 |
| გაყიდვები იმავდროული გადახდით | | 30,296 |
| საბაჟო გადასახადი | 11,760 | |
| ტვირთის საწარმოში მიტანა | 2,930 | |
| საწარმოდან ტვირთის გატანა | 1,762 | |
| გამყიდველის საკომისიო | 711 | |
| გამყიდველის ხელფასი | 3,970 | |
| ოფისის მუშაკთა ხელფასები | 7,207 | |
| ბანკის საკომისიო თანხები | 980 | |
| სესხის პროცენტი | 450 | |
| ელექტრომომარაგება და გათბობა | 2,653 | |
| სხვადასხვა ხარჯი | 2,100 | |

| | | |
|---|----------------|----------------|
| იჯარა | 3,315 | |
| დაზღვევა | 4,000 | |
| ბეჭდვისა და საფოსტო ხარჯები | 2,103 | |
| რეკლამა | 1,044 | |
| უიშდო ვალები | 1,791 | |
| დებიტორული დავალიანების ანარიცხები | | 437 |
| მარაგი | 7,650 | |
| დებიტორული დავალიანებები | 10,760 | |
| კრედიტორული დავალიანებები | | 7,411 |
| ფული საბანკო ანგარიშზე | 2,634 | |
| ნაღდი ფული | 75 | |
| ახალი ფურგონი (გაცვლითი ღირებულების გამოკლებით) | 2,200 | |
| ხარჯი ავტომობილზე | 986 | |
| ავეჯი და დანადგარები: | | |
| ღირებულება | 8,000 | |
| ცვეთის თანხა 20X5 წლის 1 ივნისს | | 2,400 |
| ძველი ფურგონი: | | |
| ღირებულება | 2,000 | |
| ცვეთის თანხა 20X5 წლის 1 ივნისს | | 1,000 |
| 9%-იანი სესხის ანგარიში (გადახდის ვადა 5 წელი) | | 5,000 |
| | <u>163,007</u> | <u>163,007</u> |

მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

1. ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის საბოლოო მარაგი შეფასდა \$8,490-ად;
 2. 20X5 წლის 31 აგვისტოს გაიყიდა ავტოფურგონი და ნაწილობრივ დაიფარა ახალი ფურგონის ღირებულება. გაცვლითმა ღირებულებამ შეადგინა \$1,400, ხოლო ახალი ფურგონის ფასმა - \$3,600. ამ ოპერაციისათვის არ გაკეთებულა გატარებები, გარდა ახალი ფურგონის მოწოდების ანგარიშის \$2,200-ით დადებულებისა;
 3. ცვეთის დარიცხვა უნდა მოხდეს წრფივი მეთოდით თვეების მიხედვით, შემდეგი წლიური ნორმების დაცვით:

| | |
|----------------------|-----|
| ავტოფურგონები | 25% |
| ავეჯი და დანადგარები | 10% |
 4. წინა წლების გამოკდილების მიხედვით, მიჩნეულია, რომ საბოლოო დებიტორული დავალიანებების მთლიანი თანხის 5%-ის ანარიცხებია შესანარჩუნებელი;
 5. ელექტრონენერჯის მოხმარებისა და გათბობისათვის საჭიროა \$372-ის დარიცხვა;
 6. კვარტალური საიჯარო გადასახადი 20X6 წლის 30 ივნისამდე პერიოდისათვის \$900-ის ოდენობით გადახდილ იქნა 20X6 წლის 2 აპრილს. დაზღვევის გადასახადი 20X7 წლის 31 მარტამდე პერიოდისათვის \$1,680-ის ოდენობით გადახდილ იქნა 20X6 წლის 16 აპრილს.
- შეადგინეთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგება და ბალანსი 20X6 წლის 31 მაისს დასრულებული წლისათვის.

ამოხსნა

1-ლი საფეხური – მარაგი

საბოლოო მარაგის ციფრი \$8,490 უნდა ჩაიწეროს ფინანსურ ანგარიშგებაში:

| | | |
|---------|---|---------|
| დებეტი | მარაგი (ბალანსი) | \$8,490 |
| კრედიტი | მარაგი (მოგებისა და ზარალის ანგარიშში გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში) | \$8,490 |

მე-2 საფეხური – გრძელვადიანი აქტივები და ცვეთა

ცვეთის დარიცხვის გარდა, ასევე უნდა აღვრიცხოთ მანქანის ნაწილობრივი გაცვლა წლის განმავლობაში.

ცვეთის დარიცხვა ძველ ავტომანქანაზე 20X5 წლის 1 ივნისიდან 31 აგვისტომდე:

$$\text{თვითღირებულება } \$2,000 \times 25\% \times 3/12 = \$125.$$

მანქანის გასვლა

ახალი მანქანის ღირებულებად მიჩნეულია ძველი მანქანის რეალური ღირებულება მისი ნაწილობრივი გაცვლის დროს, პლუს დამატებით გადახდილი თანხა. ახალი მანქანის ნაწილობრივი გაცვლითი ღირებულება \$1,400 ძველი მანქანის გასვლის, გაყიდვიდან ამონაგების ეკვივალენტურია. ახალი მანქანის ღირებულება \$3,600 შედგება ძველი მანქანის გაცვლითი ღირებულების \$1,400-სა და გადახდილი ფულის \$2,200-ის ჯამისა.

ძველი მანქანის გასვლისას ორადი გატარებებია:

| | | |
|---------|--|---------|
| დებეტი | ძველი მანქანის დაგროვილი ცვეთა (\$1,000 + 125) | \$1,125 |
| დებეტი | ახალი მანქანის თვითღირებულება | \$1,400 |
| კრედიტი | ძველი მანქანის თვითღირებულება | \$2,000 |
| კრედიტი | მოგება აქტივის გასვლისას | \$525 |

იხილეთ გასვლის გატარებები ძველი მანქანის გასვლის ანგარიშში:

ძველი მანქანის გასვლის ანგარიში

| \$ | | \$ | |
|-------------------------------|-------|---|-------|
| ძველი მანქანის თვითღირებულება | 2,000 | ძველი მანქანის | |
| მოგება გასვლისას | 525 | დაგროვილი ცვეთა | 1,125 |
| | | ახალი მანქანის ნაწილობრივი გაცვლის ღირებულება | 1,400 |
| | 2,525 | | 2,525 |

არ დაგვიწყდეთ მიმდინარე წლის 3 თვის ცვეთის დარიცხვა და დაგროვილ ცვეთაზე დამატება, აქტივის გასვლისას მოგების, ან ზარალის დადგენისათვის.

გაითვალისწინეთ, რომ საგამოცდო კითხვა მოითხოვს ცვეთის დარიცხვას თვეების პროპორციულად. ზოგიერთი შეკითხვა არ მოითხოვს ცვეთის დარიცხვას შესყიდვის ან გაყიდვის წელს. დარწმუნდით, რომ ყურადღებით წაიკითხეთ შეკითხვა.

ცვეთის დარიცხვა ახალ ფურგონზე 20X5 წლის 1 სექტემბრიდან 20X6 წლის 31 მაისამდე:

თვითღირებულება $\$3,600 \times 25\% \times 9/12 = \675 .

წლის ბოლოსათვის ფურგონების მთლიანი ცვეთაა $\$800 (675 + 125)$

ავეჯისა და დანადგარების ცვეთის დარიცხვა:

თვითღირებულება $\$8,000 \times 10\% = \800

მე-3 საფეხური - უიმედო ვალები

საცდელი ბალანსი გვიჩვენებს, რომ:

- $\$1,791$ დებიტორული დავალიანება ჩამოიწერა წლის ბოლოს, როგორც უიმედო; და

- დებიტორული დავალიანების ანარიცხი წლის დასაწყისში არის $\$437$.

დებიტორული დავალიანების ანარიცხის საბოლოო ნაშთი იქნება დებიტორული დავალიანების 5%:

$$\$10,760 \times 5\% = \$538.$$

მოგებისა და ზარალის ანგარიშში ჩაიწერება სხვაობა დებიტორული დავალიანების ანარიცხების საბოლოო და საწყის ნაშთებს შორის.

$$\$538 - \$437 = \$101 \text{ ანარიცხის ნაშთი გაიზარდა. ის დადებულდება}$$

მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ორადი გატარება იქნება:

| | | |
|--------|--------------------|-------|
| დებეტი | უიმედო ვალის ხარჯი | \$101 |
|--------|--------------------|-------|

| | | |
|---------|----------------------------------|-------|
| კრედიტი | დებიტორული დავალიანების ანარიცხი | \$101 |
|---------|----------------------------------|-------|

მოგებისა და ზარალის ანგარიშში უიმედო ვალის ხარჯი იქნება

$$\$1,892 (\$1,791 + \$101).$$

მე-4 საფეხური - ელექტროენერგია და გათბობა

ელექტროენერგიისა და გათბობის ხარჯებს უნდა დაერიცხოს $\$372$. ორადი გატარება იქნება:

| | | |
|--------|------------------------------------|-------|
| დებეტი | ელექტროენერგიისა და გათბობის ხარჯი | \$372 |
|--------|------------------------------------|-------|

| | | |
|---------|--------------------------|-------|
| კრედიტი | მოკლევადიანი ვალდებულება | \$372 |
|---------|--------------------------|-------|

ეს გატარება იმის გარანტიას, რომ საწარმო აღრიცხავს ყველა ხარჯს, რომელიც მიმდინარე პერიოდს ეკუთვნის.

მე-5 საფეხური - იჯარა

იჯარის ნაწილი გადაიხადეს წინასწარ და ამგვარად გადახდილი ეკუთვნის მომავალ სააღრიცხვო პერიოდს. ეს ციფრი ამოღებული უნდა იქნეს ხარჯებიდან და აღრიცხოს როგორც წინასწარ გადახდა ბალანსში.

$$\text{წინასწარგადახდილი იჯარა} = \$900 \times 1/3 = \$300$$

მე-6 საფეხური - დაზღვევა

დაზღვევის თანხის ნაწილიც გადახდილია წინასწარ და ასევე უნდა იქნეს ამოღებული ხარჯებიდან და აღრიცხოს როგორც წინასწარგადახდა ბალანსში. წინასწარგადახდილი დაზღვევა = $\$1,680 \times 10/12 = \$1,400$

ორადი გატარება

| | | |
|--------|-------------------------|-------|
| დებეტი | წინასწარგადახდილი იჯარა | \$300 |
|--------|-------------------------|-------|

| | | |
|---------|--------------|-------|
| კრედიტი | იჯარის ხარჯი | \$300 |
|---------|--------------|-------|

ორადი გატარება

| | | |
|--------|----------------------------|---------|
| დებეტი | წინასწარგადახდილი საზღვევა | \$1,400 |
|--------|----------------------------|---------|

| | | |
|---------|-----------------|---------|
| კრედიტი | დაზღვევის ხარჯი | \$1,400 |
|---------|-----------------|---------|

მე-7 საფეხური – მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მომზადება

| | \$ | \$ |
|--|---------|-----------------|
| გაყიდვებიდან ამონაგები: | | |
| კრედიტით გაყიდვები | | 96,520 |
| გაყიდვები იმავდროული გადახდით | | 30,296 |
| | | <u>126,816</u> |
| მინუს: დაბრუნებული გაყიდული საქონელი | | (1,076) |
| | | <u>125,740</u> |
| საწყისი მარაგი | 7,650 | |
| შესყიდვები | 73,010 | |
| მინუს: დაბრუნებული შენაძენი | (3,720) | |
| ტვირთის საწარმოში მიტანა | 2,930 | |
| საბაჟო გადასახადი | 11,760 | |
| საბოლოო მარაგი | (8,490) | |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | | <u>(83,140)</u> |
| საერთო მოგება | | 42,600 |
| მიღებული ფასდათმობა | | 965 |
| მოგება ფურგონის გაყიდვიდან | | 525 |
| საერთო მოგება | | <u>44,090</u> |
| მინუს: ხარჯები | | |
| ცვეთა: ფურგონი (მე-2 საფეხური) | 800 | |
| დანადგარები | 800 | |
| უიმელო ვალები (მე-3 საფეხური) | 1,892 | |
| ელექტრომომარაგება და გათბობა (მე-4 საფეხური) | 3,025 | |
| იჯარა (\$3,315 – 300) (მე-5 საფეხური) | 3,015 | |
| ლაზღვევა (\$4,000 – 1,400) (მე-6 საფეხური) | 2,600 | |
| გაცემული ფასდათმობა | 1,870 | |
| საწარმოდან ტვირთის გატანა | 1,762 | |
| გამყიდველის საკომისიო | 711 | |
| გამყიდველის ხელფასი | 3,970 | |
| ოფისის მუშაკთა ხელფასები | 7,207 | |
| ბანკის საკომისიო თანხები | 980 | |
| სესხის პროცენტი | 450 | |
| სხვადასხვა ხარჯი | 2,100 | |
| ბეჭდვისა და საფოსტო ხარჯები | 2,103 | |
| რეკლამა | 1,044 | |
| ხარჯი ავტომობილზე | 986 | |
| | | <u>(35,315)</u> |
| წმინდა მოგება | | <u>8,775</u> |

ბალანსი 20X6 წლის 31 მაისის მდგომარეობით

| | თვითღირებულება | დაგროვილი ცვეთა | ნეტო საბალანსო ღირებულება |
|---|----------------|-----------------|---------------------------|
| | \$ | \$ | \$ |
| გრძელვადიანი აქტივები: | | | |
| მანქანა (მე-2 საფეხური) | 3,600 | 675 | 2,925 |
| ავეჯი და დანადგარები | 8,000 | 3,200 | 4,800 |
| | 11,600 | 3,875 | 7,725 |
| მოკლევადიანი აქტივები: | | | |
| მარაგი | | 8,490 | |
| დებიტორული დავალიანებები | 10,760 | | |
| მინუს: დებიტორული ვალების ანარიცხი | (538) | | |
| | | 10,222 | |
| წინასწარი გადახდები (იჯარა და დაზღვევა) | | 1,700 | |
| ფული საბანკო ანგარიშზე | | 2,634 | |
| ნაღდი ფული | | 75 | |
| | | | 23,121 |
| | | | 30,846 |
| კაპიტალის ანგარიში: | | | |
| ნაშთი 20X5 წლის 1 ივნისს | | 15,258 | |
| წმინდა მოგება | | 8,775 | |
| | | 24,033 | |
| მინუს: მფლობელის მიერ ამოღებული თანხა | | (5,970) | |
| | | | 18,063 |
| გრძელვადიანი ვალდებულებები: | | | |
| სესხი | | | 5,000 |
| მოკლევადიანი ვალდებულებები: | | | |
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები | | 7,411 | |
| დარიცხული ხარჯები | | 372 | |
| | | | 7,783 |
| | | | 30,846 |

შეამოწმე შენი ცოდნა 1

ქვეინს აქვს საცალო ვაჭრობის ბიზნესი. ქვემოთ მოცემულია მისი საწარმოს საცდელი ბალანსი 20X5 წლის 31 დეკემბრისათვის:

| | დებეტი | კრედიტი |
|---|----------------|----------------|
| | \$ | \$ |
| კაპიტალის ანგარიში | | 225,600 |
| გაყიდვები და შესყიდვები | 266,800 | 365,200 |
| მარაგი 20X5 წლის 1 იანვრისათვის | 23,340 | |
| დაბრუნებული საქონელი | 1,200 | 1,600 |
| ხელფასი | 46,160 | |
| იჯარა | 13,000 | |
| ხარჯი ავტომობილზე | 3,720 | |
| დაზღვევა | 760 | |
| უიმედო ვალები | 120 | |
| დებიტორული დავალიანების ანარიცხები 20X5 1/1 | | 588 |
| ფასდათმობები | 864 | 1,622 |
| ელექტრომომარაგება და გათბობა | 3,074 | |
| ბანკის ოვერდრაფტის პროცენტი | 74 | |
| მანქანის ღირებულება | 24,000 | |
| დაგროვილი ცვეთის თანხა 20X5 წლის 1 იანვარი | | 12,240 |
| სათავსოებისა და ინვენტარის ღირებულება | 28,000 | |
| დაგროვილი ცვეთის თანხა 20X5 წლის 1 იანვარი | | 16,800 |
| მიწა | 100,000 | |
| დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები | 17,330 | 23,004 |
| ფული საბანკო ანგარიშზე | 3,412 | |
| შენობის ღირებულება | 100,000 | |
| დაგროვილი ცვეთის თანხა 20X5 წლის 1 იანვარი | | 6,000 |
| მფლობელის მიერ ამოღებული თანხა | 20,800 | |
| | <u>652,654</u> | <u>652,654</u> |


მოცემულია შემდეგი დამატებითი ინფორმაცია:

1. საბოლოო მარაგი 20X5 წლის 31 დეკემბრისათვის იყო \$25,680.
2. 20X5 წლის 31 დეკემბრისათვის იჯარის ქირა \$1,000 გადახდილ იქნა წინასწარ, ხოლო ელექტროენერჯის მოხმარებისა და გათბობისათვის საჭიროა \$460-ის დარიცხვა;
3. 20X5 წლის 31 დეკემბერს მიწა უნდა აფასდეს \$250,000-მდე;
4. 20X5 წლის 31 დეკემბერს დებიტორული დავალიანების გაანალიზების დროს ქეინმა გადაწყვიტა ჩამოწეროს კიდევ ერთი ვალი \$130. მან ასევე გადაწყვიტა წლის ბოლოსათვის შეინარჩუნოს დებიტორული დავალიანების ანარიცხის ნაშთი 3%-ის ოდენობით;
5. ცვეთის დარიცხვა უნდა მოხდეს შემდეგი ნორმების დაცვით:
 - ა) შენობა – წრფივი მეთოდით, 2%-იანი წლიური განაკვეთით;
 - ბ) სათავსოებისა და ინვენტარის – წრფივი მეთოდით, 5 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვალით, ნარჩენი ღირებულების გარეშე;
 - გ) ავტომანქანა – 30%-იანი განაკვეთით, ნაშთის შემცირების მეთოდით.

მთელი წლის ცვეთა ერიცხება შესყიდვის წელს და არ ერიცხება გაყიდვის წელს.

შეადგინეთ ქეინის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება და ბალანსი 20X5 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

თავის რეზიუმე



შეამოწმე შენი პასუხები



შეამოწმე შენი ცოდნა 1

ქვეინს მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 20X5 წლის
31 დეკემბერს დასრულებულ წელს

| | \$ | \$ |
|---|-----------------|------------------|
| გაყიდვებიდან ამონაგები | | 365,200 |
| მინუს: დაბრუნებული გაყიდული საქონელი | | <u>(1,200)</u> |
| | | 364,000 |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | | |
| საწყისი მარაგი | 23,340 | |
| შესყიდვები | 266,800 | |
| მინუს: დაბრუნებული შესყიდული საქონელი | <u>(1,600)</u> | |
| | 288,540 | |
| მინუს: საბოლოო მარაგი | <u>(25,680)</u> | |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | | <u>(262,860)</u> |
| საერთო მოგება | | 101,140 |
| სხვა შემოსავალი | | |
| მიღებული ფასდათმობა | | 1,622 |
| დებიტორული დავალიანების ანარიცხის შემცირება (გ. 3) | | 72 |
| | | <u>102,834</u> |
| მინუს: ხარჯები | | |
| ცვეთა: შენობა (გ. 1-ლი) | 2,000 | |
| სათავსოები და ინვენტარი (გ. 1-ლი) | 5,600 | |
| მანქანები (გ. 2) | 3,528 | |
| უიმედო ვალები (\$120+130) | 250 | |
| ელექტრომომარაგება და გათბობა (\$3,074+460) | 3,534 | |
| ოჯარა (\$13,000 - 1,000) | 12,000 | |
| ხელფასი | 46,160 | |
| ხარჯი ავტომობილზე | 3,720 | |
| დაზღვევა | 760 | |
| გაცემული ფასდათმობა | 864 | |
| ბანკის პროცენტი | <u>74</u> | |
| | | <u>(78,490)</u> |
| წმინდა მოგება | | <u>24,344</u> |

ბალანსი 20X5 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | თვითღირებულება | დაგროვილი ცვეთა | ნეტო საბალანსო ღირებულება |
|---|----------------|-----------------|---------------------------|
| | \$ | \$ | \$ |
| გრძელვადიანი აქტივები: | | | |
| მიწა | 250,000 | — | 250,000 |
| შენობა | 100,000 | 8,000 | 92,000 |
| სათავსოები და ინვენტარი | 28,000 | 22,400 | 5,600 |
| მანქანა | <u>24,000</u> | <u>15,768</u> | <u>8,232</u> |
| | <u>402,000</u> | <u>46,168</u> | <u>355,832</u> |
| მოკლევადიანი აქტივები: | | | |
| მარაგი | | 25,680 | |
| დებიტორული დავალიანება (\$17,330-130) | 17,200 | | |
| მინუს: დებიტორული ვალების ანარიცხი (\$17,200 x 3%) | | <u>(516)</u> | |
| | | 16,684 | |
| წინასწარი გადახდები (იჯარა) | | 1,000 | |
| ფული საბანკო ანგარიშზე | | <u>3,412</u> | |
| | | | <u>46,776</u> |
| | | | <u>402,608</u> |
| კაპიტალის ანგარიში: | | | |
| საწყისი ნაშთი | | 225,600 | |
| წმინდა მოგება | | 24,344 | |
| მინუს: მფლობელის მიერ ამოღებული თანხა | | (20,800) | |
| გადაფასების რეზერვი (\$250,000-100,000) | | <u>150,000</u> | |
| | | | 379,144 |
| მოკლევადიანი ვალდებულებები: | | | |
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები | | 23,004 | |
| დარიცხული ხარჯები (ელექტროენერგია და გათბობა) | | <u>460</u> | |
| | | | <u>23,464</u> |
| | | | <u>402,608</u> |

| | | |
|--|-----------------------|-------------------------|
| (გ1) ცვეთა - წრფივი მეთოდით | | |
| | შენობა | სათავსოები და ინვენტარი |
| ღირებულება | \$100,000 | \$28,000 |
| ცვეთის განაკვეთი | X2% | X20% |
| წლიური ცვეთა | \$2,000 | \$5,600 |
| (გ2) ცვეთა - ნაშთის შემცირების მეთოდით | | |
| | | მანქანები |
| ღირებულება | | \$24,000 |
| დაგროვილი ცვეთა | | <u>(\$12,240)</u> |
| ნეტო საბალანსო ღირებულება | | \$11,760 |
| ცვეთის განაკვეთი | | <u>X30%</u> |
| წლიური ცვეთის ხარჯი | | <u>\$3,528</u> |
| (გ3) დებიტორული დავალიანების ხარჯი | | |
| | | \$ |
| დებიტორული დავალიანების ნაშთი | $17,330 - 130 =$ | 17.200 |
| ანარიცხების საბოლოო ნაშთი | $17,200 \times 3\% =$ | 516 |
| სხვაობა ანარიცხების საწყისსა და | | |
| საბოლოო ნაშთებს შორის | $582 - 516 =$ | 72 შემცირდა |
| ანარიცხის შემცირება აღიარდება შემოსავლად. | | |




პირველადი ჩანაწერების ჟურნალები და მაკონტროლებელი ანგარიშები

თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- განმარტოთ ბუღალტრულ სისტემაში არსებული მონაცემთა ძირითადი წყაროები და ჩანაწერები;
- აღწეროთ სხვადასხვა ტიპის ბიზნესდოკუმენტების მიზანი და შინაარსი;
- აღწეროთ ხელით მუშაობის ტიპური სისტემის ბუღალტრული ჩანაწერები;
- აწარმოთ შესყიდვებისა და გაყიდვების ოპერაციების გატარებები პირველადი ჩანაწერების ჟურნალში (ბრუნვის გადასახადით ან მის გარეშე);
- პირველადი ჩანაწერების რეგისტრებიდან ჯამური თანხები გადაიტანოთ ბუღალტრულ წიგნებში;
- განმარტოთ, რატომ იყოფა ბუღალტრული წიგნები სექციებად;
- ახსნათ, რა შინაარსისაა და რა მიზნებს ემსახურება მაკონტროლებელი ანგარიშები დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ბუღალტრული წიგნებისათვის;
- გააკეთოთ კონტრალური გატარებები დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების წიგნების ანგარიშების ურთიერთჩათვლისას;
- სალაროს წიგნში გააკეთოთ ჩანაწერები ნაღდი ანგარიშსწორებისას;
- განმარტოთ მცირე სალაროს წიგნში ნაღდი ანგარიშსწორების ჩანაწერების გაკეთების საჭიროება;
- მაგალითებზე აჩვენოთ მცირე სალაროს სისტემის ტიპური ფორმა;
- განმარტოთ სალაროს მაკონტროლებელი საქვეანგარიშო სისტემის მნიშვნელობა მცირე სალაროს გაკონტროლებისას;
- ჩამოთვალოთ მცირე სალაროსათვის აუცილებელი მაკონტროლებელი და დამკავი მექანიზმები, რომლებიც ჩვეულებრივ საწარმოში უნდა არსებობდეს;
- განმარტოთ, როგორ გამოიყენება ჟურნალი;
- მაგალითებზე აჩვენოთ, როგორ უნდა გადაიტანოთ ჟურნალში არსებული ჩანაწერები ბუღალტრულ წიგნებში.




1. ბიზნესდოკუმენტაცია

ქვემოთ მოცემულ ცხრილში თავმოყრილია ბიზნესდოკუმენტების მთავარი ტიპები და სააღრიცხვო სისტემის მონაცემების წყაროები მათი შინაარსითა და მიზნებით.

| | შინაარსი | მიზანი |
|---------------------------------------|---|---|
| შეთავაზების შეფასება | რაოდენობა/აღწერა/ საჭირო საქონლის დეტალები. | სხვადასხვა მომწოდებლებისაგან დაადგინოს ფასები. შედარება ხდება შესყიდვის მოთხოვნასთან |
| შესყიდვის შეკვეთა | მომწოდებლების მონაცემები, მაგ., სახელი, მისამართი. რაოდენობა/აღწერა/ საჭირო საქონლის დეტალები, ფასები. მოტანის, გადახდის და სხვა პირობები და ბლგომარეობა. | იგზავნება მომწოდებელთან როგორც შეკვეთის მოთხოვნა. ხდება ღირებულებისა და მიტანის ჩანაწერების შედარება. |
| გაყიდვის შეკვეთა | რაოდენობა/აღწერა/ საჭირო საქონლის დეტალები და ფასები. | მოწმდება შესაბამისობა კლიენტის მიერ წარმოდგენილ შეკვეთასთან. იგზავნება მაღაზიებში, საწყობებში შეკვეთის შესასრულებლად. |
| მიტანის ჩანაწერები (საქონლის მიტანის) | მომწოდებლების მონაცემები, მაგ., სახელი, მისამართი. რაოდენობა და საქონლის აღწერა. | წარმოადგენს მომწოდებელი. მოწმდება მოტანილი საქონელი და შესყიდვის შეკვეთა |
| საქონლის მიღების ჩანაწერები | რაოდენობა და საქონლის აღწერა. | საქონლის მიღები საწარმო ადგენს როგორც მიღების დასტურს. მოწმდება მოტანის ჩანაწერსა და შესყიდვის შეკვეთასთან. |

| | შინაარსი | მიზანი |
|---|---|---|
| შესყიდვის ანგარიშ-ფაქტურა (საგადახლო მოთხოვნა კრედიტით შესყიდვისას) | მომწოდებლების მონაცემები, მაგ., სახელი, მისამართი. შეიცავს საქონლის დეტალებს, მაგ., რაოდენობას, ფასს, ღირებულებას, დღგ-ს, კრედიტით შესყიდვის პირობებს და ა.შ. | იწერება მომწოდებლის მიერ როგორც გადახდის მოთხოვნა. ხდება შედარება მიტანის ჩანაწერსა და შესყიდვის შეკვეთასთან. |
| ანგარიში (შეთანხმება საქონლისა და ფულის უკან დაბრუნებამდე) | მომწოდებლების მონაცემები, მაგ., სახელი, მისამართი. შეიცავს ისეთ დეტალებს როგორცაა თარიღი, ანგარიშ-ფაქტურის ნომერი და ღირებულებები, გადახდა, ფულის უკან დაბრუნება, ვალი. | იწერება მომწოდებლის მიერ. შედარება ხდება სხვა დოკუმენტებთან იმაში დასაწმუნებლად, რომ ვალის თანხა სწორია. |
| საკრედიტო ავიზო (საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევაში) | მომწოდებლების მონაცემები, მაგ., სახელი, მისამართი. შეიცავს უკან დაბრუნებული საქონლის მონაცემებს მაგ., რაოდენობას, ფასს, ღირებულებას, დღგ-ს, კრედიტით შესყიდვის პირობებს და ა.შ. | იწერება მომწოდებლის მიერ. შედარება ხდება საქონლის უკან დაბრუნების დოკუმენტთან. |
| სადებეტო ავიზო (საკრედიტო ავიზოს საფუძველზე) | მომწოდებლების მონაცემები, მაგ., სახელი, მისამართი. შეიცავს უკან დაბრუნებული საქონლის მონაცემებს მაგ., რაოდენობას, ფასს, ღირებულებას, დღგ-ს, კრედიტით შესყიდვის პირობებს და ა.შ. | იწერება იმ კომპანიის მიერ, რომელიც საქონელს იღებს. შედარება ხდება მომწოდებლის მიერ დაწერილ საკრედიტო ავიზოსთან. |
| გადახდის შეტყობინება | გადახდის მეთოდი, ანგარიშ-ფაქტურის ნომერი, ანგარიშის ნომერი, თარიღი და ა.შ. | ეგზავნება მომწოდებელს, როგორც გადახდის შეტყობინება |
| მიღების ხელწერილი | მიღებული გადახდის დეტალები. | იწერება გამყიდველი კომპანიის მიერ იმის დასტურად, რომ გადახდა მიღებულია. |

2. ბუღალტრული ჩანაწერები



პირველადი ჩანაწერების ჟურნალები


- ბუღალტრულ წიგნებში ყოველი ოპერაციის იმედროული აღრიცხვა გამოიწვევს მათ გადატვირთვას (გატარებების დაგროვებას) და შესაძლებელია შეცდომების დაშვება.
- ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად ყველა ოპერაცია თავლაპირველად უნდა ჩაიწეროს პირველადი ჩანაწერების ჟურნალებში.
- არსებობს რამდენიმე პირველადი ჩანაწერების ჟურნალი და თითოეულში აღრიცხება სხვადასხვა სახის ოპერაცია:

| პირველადი ჩანაწერების ჟურნალები | ოპერაციის სახეობა |
|--|--|
| გაყიდვების ჟურნალი | კრედიტით გაყიდვები |
| შესყიდვების ჟურნალი | კრედიტით შესყიდვები |
| დაბრუნებული გაყიდული საქონლის აღრიცხვის ჟურნალი | კრედიტით გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება |
| დაბრუნებული შესყიდული საქონლის აღრიცხვის ჟურნალი | კრედიტით შესყიდული საქონლის უკან დაბრუნება |
| სალაროს წიგნი | ყველა საბანკო ოპერაცია |
| მცირე სალაროს წიგნი | ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებული ყველა მცირე ოპერაცია |
| ჟურნალი | ყველა ოპერაცია, რომელიც სხვაგან არ აღრიცხება. |

- პირველად გატარების ჟურნალებში გაკეთებული ჩანაწერი არ აღრიცხავს განხორციელებული ოპერაციისათვის საჭირო ორად გატარებას.
- თუმცა, პირველადი გატარების ჟურნალები წარმოადგენს ბუღალტრულ წიგნებში ორადი გატარების წყაროს.
- პირველადი გატარების ჟურნალებიდან ორადი გატარება უნდა გაკეთდეს პერიოდულად (დღეში ერთხელ, კვირაში ან თვეში ერთხელ) სამუშაოს მოცულობის მიხედვით.

3. ბუღალტრული ანგარიშები და მათი დაყოფა

ბუღალტრული აღრიცხვის მანუალურ (ხელით მუშაობის) სისტემაში ბუღალტრულ ჟურნალებს განიხილავენ, როგორც წიგნებს, რომლებიც შედგება ინდივიდუალური ანგარიშებისაგან:



- მთავარი წიგნი შედგება იმ ყველა ანგარიშის, ან ანგარიშების ნაკრებიდან, რომლებიც აუცილებელია საცდელი ბალანსისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.
- დებიტორული დავალიანების ანგარიშები შეიცავს თითოეული კრედიტით შეიდველის ანგარიშს, სადაც ნაჩვენებია, რამდენი ვალი აქვს თითოეულს ცალ-ცალკე.

ანგარიში, რომელიც აჯამებს ამ ინფორმაციას, გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში, ჩვეულებრივ, მთავარი წიგნის შემადგენელი ანგარიშია.

- კრედიტორული დავალიანების ანგარიშები შეიცავს თითოეული კრედიტით მომწოდებლის ანგარიშს, სადაც ნაჩვენებია თითოეული მომწოდებლის მიმართ დარჩენილი ვალი.

ანგარიში, რომელიც აჯამებს ამ ინფორმაციას, შესყიდვის ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში, ჩვეულებრივ, მთავარი წიგნის შემადგენელი ანგარიშია.

საწარმოში, სადაც არსებობს დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ინდივიდუალური ანგარიშებიც და მთავარი წიგნის მაკონტროლებელი ანგარიშებიც, მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს ორადი გატარების სისტემის ნაწილი. მეორე შე-

ნარჩუნებულია მხოლოდ ინფორმაციის შენახვისა და შედარების მიზნებისათვის. ძირითადად მკონტროლებელი ანგარიშები შეადგენს ორადი გატარების სისტემის ნაწილს.



განვრცობილი ტექსტი

ყველა საწარმო არ აწარმოებს მკონტროლებელ ანგარიშებს, თუმცა თუ აწარმოებენ, ჩვეულებრივ, მკონტროლებელი ანგარიშები შეადგენს ორადი გატარების სისტემის ნაწილს.

მკონტროლებელი ანგარიშები საჭიროა მოკლე დროში დებიტორული და კრედიტორული დავალიანების მთლიანი თანხის დასადგენად. რამდენიმე ინდივიდუალური ანგარიშის დაჯამებით ამ თანხის რეალიზება ასევე ამცირებს შეცდომის დაშვების ალბათობას.

მიუხედავად იმისა, საწარმო აწარმოებს თუ არა მკონტროლებელ ანგარიშებს, მან უნდა აწარმოოს ყოველი მყიდველისა და მომწოდებლის ინდივიდუალური ანგარიშები იმის დასადგენად, რამდენი მართებს თითოეულ მყიდველს, ან თითოეული მომწოდებლის რამდენი მართებს. ამგვარად, დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ანგარიშები ყოველთვის სააღრიცხვო სისტემის ნაწილს შეადგენს.

4. გაყიდვებისა და შესყიდვების პირველადი გატარების უზრუნველყოფა

4.1 გაყიდვების პირველადი გატარების უზრუნველყოფა

გაყიდვების პირველადი გატარების უზრუნველყოფის ტიპური ფორმა:

| თარიღი | ანგარიშ-ფაქტურა | მყიდველი | წიგნის მითითება | \$ |
|--------|-----------------|----------|-------------------------------|------------|
| 4.1X6 | 1 | ჯეიკი | დებ. დავ. უზრუნველყოფა (დღე)3 | 4,500 |
| 4.1X6 | 2 | ბელა | დებ. დავ. უზრუნველყოფა 18 | 3,000 |
| 4.1X6 | 3 | ფიზი | დებ. დავ. უზრუნველყოფა 6 | 2,200 |
| 4.1X6 | 4 | მილო | დებ. დავ. უზრუნველყოფა 1 | 10,000 |
| 4.1X6 | 5 | მაქსი | დებ. დავ. უზრუნველყოფა 12 | <u>500</u> |
| სულ | 4.1X6 | | | 20,200 |

გაყიდვების პირველადი გატარების უზრუნველყოფიდან ორადი გატარების ფორმა დამოკიდებულია იმაზე, რომელია ორადი გატარების სისტემის ნაწილი, დებიტორული დავალიანების ინდივიდუალური ანგარიშები თუ გაყიდვების უზრუნველყოფის მკონტროლებელი ანგარიში:

ორადი გატარების ნაწილია ინდივიდუალური ანგარიშები:

| | | |
|------|------------------------|----------|
| დ-ტი | ჯეიკი (დღე 3) | \$4,500 |
| დ-ტი | ბელა (დღე 18) | \$3,000 |
| დ-ტი | ფიზი (დღე 6) | \$2,200 |
| დ-ტი | მილო (დღე 1) | \$10,000 |
| დ-ტი | მაქსი (დღე 12) | \$500 |
| კ-ტი | გაყიდვებიდან ამონაგები | \$20,200 |

დებიტორული დავალიანების მთლიანი თანხა შემდეგ შეიძლება ჩაიწეროს მაკონტროლებელ ანგარიშში (დაეუშვათ, ის შენარჩუნებულია)

ორადი გატარების ნაწილია გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში:

| | | |
|------|---|----------|
| დ-ტი | გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში | \$20,200 |
| კ-ტი | გაყიდვებიდან ამონაგები | \$20,200 |

ამ შემთხვევაში, ინდივიდუალური ანგარიშები უნდა შენარჩუნდეს, რათა აღირიცხოს, რამდენი ახალი დავალიანება აქვს ჯეიკს, ბელას, ფიზის, მილოს და მაქსს.

გაყიდვების პირველადი გატარების ჟურნალი
4/1 \$

მთავარი წიგნი

| | | | | | |
|-------|--------|----------------------------|----------------------------|--|--------|
| ჯეიკი | 4,500 | | ჯეიკი | | |
| | | | \$ | | \$ |
| → | | 4/1 გაყიდვებიდან ამონაგები | 4,500 | | |
| | | | ბელა | | |
| ბელა | 3,000 | | \$ | | \$ |
| → | | 4/1 გაყიდვებიდან ამონაგები | 3,000 | | |
| | | | ფიზი | | |
| ფიზი | 2,200 | | \$ | | \$ |
| → | | 4/1 გაყიდვებიდან ამონაგები | 2,200 | | |
| | | | მილო | | |
| მილო | 10,000 | | \$ | | \$ |
| → | | 4/1 გაყიდვებიდან ამონაგები | 10,000 | | |
| | | | მაქსი | | |
| მაქსი | 500 | | \$ | | \$ |
| → | | 4/1 გაყიდვებიდან ამონაგები | 500 | | |
| | | | გაყიდვებიდან ამონაგები | | |
| | 20,200 | → | \$ | | \$ |
| | | | 4/1 დებიტორული დავალიანება | | 20,200 |

გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში

| | | |
|-----|---------------|--------|
| | | \$ |
| 4/1 | სულ გაყიდვები | 20,200 |

4.2 შესყიდვების, დაბრუნებული გაყიდული საქონლისა და უკანდაბრუნებული შესყიდული საქონლის პირველადი გატარების ჟურნალები

შესყიდვების, დაბრუნებული გაყიდული საქონლისა და უკანდაბრუნებული შესყიდული საქონლის პირველადი გატარების ჟურნალების წარმოების პრინციპი გაყიდვების პირველადი გატარების ჟურნალის ანალოგიურია. ორადი გატარებები:

| | ინდივიდუალური ანგარიშები ორადი გატარების ნაწილი | მაკონტროლებელი ანგარიშები ორადი გატარების ნაწილი |
|--|--|---|
| შესყიდვის პირველადი გატარების ჟურნალი | <p>დებეტი შესყიდვა</p> <p>კრედიტი კრედიტორული დავალიანების ინდივიდუალური ანგარიშები.</p> <p>შესყიდვების მთლიანი თანხა იწერება შესყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელ ანგარიშში</p> | <p>დებეტი შესყიდვა</p> <p>კრედიტი შესყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში</p> <p>ყოველი გატარება აგრეთვე გადატანილია კრედიტორული დავალიანების ინდივიდუალურ ანგარიშებში.</p> |
| დაბრუნებული გაყიდული საქონლის პირველადი გატარების ჟურნალი | <p>დებეტი გაყიდვების უკან დაბრუნება</p> <p>კრედიტი დებიტორული დავალიანების ინდივიდუალური ანგარიშები</p> <p>გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებული მთლიანი ოდენობა ასევე იწერება გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელ ანგარიშში.</p> | <p>დებეტი გაყიდვების უკან დაბრუნება</p> <p>კრედიტი გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში</p> <p>ყოველი გატარება აგრეთვე გადატანილია დებიტორული დავალიანების ინდივიდუალურ ანგარიშებში.</p> |
| უკანდაბრუნებული შესყიდული საქონლის პირველადი გატარების ჟურნალი | <p>დებეტი კრედიტორული დავალიანების ინდივიდუალური ანგარიშები</p> <p>კრედიტი შესყიდვის უკან დაბრუნება</p> <p>უკან დაბრუნებული შესყიდვების მთლიანი ოდენობა ასევე იწერება შესყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელ ანგარიშში.</p> | <p>დებეტი შესყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში</p> <p>კრედიტი შესყიდვების უკან დაბრუნება</p> <p>ყოველი გატარება ასევე იწერება კრედიტორული დავალიანების ინდივიდუალურ ანგარიშებში.</p> |

განვრცობილი ტექსტი

შესყიდვების პირველადი გატარების ჟურნალის ფორმა

| თარიღი | ანგარიშ-ფაქტურა | მომწოდებელი | წიგნის მითითება | \$ |
|--------|-----------------|-------------|-----------------|-------|
| 4.1.X6 | 34 | პარი | კლფ 3 | 2,700 |
| 4.1.X6 | 11 | რონი | კლფ 18 | 145 |
| 4.1.X6 | 5609 | პერმონი | კლფ 6 | 4,675 |
| 4.1.X6 | 2 | ნევილი | კლფ 1 | 750 |
| 4.1.X6 | 577 | დრაგო | კლფ 12 | 345 |

სულ 4. 1. X6 8,615

დებეტი შესყიდვები \$8,615

კრედიტი შესყიდვების ჟურნალის
მაკონტროლებელი ანგარიში \$8,615

ინდივიდუალური შესყიდვები იწერება ინდივიდუალური მომწოდებლების კრედიტორული დავალიანების ანგარიშების კრედიტის მხარეს.

უკანდაბრუნებული გაყიდული საქონლის პირველადი გატარების ჟურნალი

| თარიღი | საკრედიტო ავიზო | მყიდველი | წიგნის მითითება | \$ |
|--------|-----------------|----------|-----------------|-------|
| 4.1.X6 | 1 | მაქსი | დღე 12 | 50 |
| 4.1.X6 | 2 | ერნი | დღე 2 | 450 |
| 4.1.X6 | 3 | ფეტი | დღე 20 | 390 |
| 4.1.X6 | 4 | სემი | დღე 27 | 670 |
| 4.1.X6 | 5 | მილო | დღე 1 | 2,300 |

სულ 4. 1. X6 3,860

დებეტი გაყიდვების უკან დაბრუნება \$3,860

კრედიტი გაყიდვების ჟურნალის
მაკონტროლებელი ანგარიში \$3,860

უკანდაბრუნებული გაყიდული საქონლის გატარება ხდება მყიდველების დებიტორული დავალიანების ინდივიდუალურ ანგარიშების კრედიტის მხარეს.

უკანდაბრუნებული შესყიდული საქონლის პირველადი გატარების
ჟურნალის ფორმა

| თარიღი | სადებეტო ავიზო | მომწოდებელი | წიგნის მითითება | \$ |
|--------|----------------|-------------|-----------------|-----|
| 4.1.X6 | 112 | პარი | კლფ 3 | 600 |
| 4.1.X6 | 56 | ჩო | კლფ 16 | 75 |
| 4.1.X6 | 7 | ფლორ | კლფ 2 | 800 |
| 4.1.X6 | 890 | ნევილი | კლფ 1 | 50 |
| 4.1.X6 | 12 | დრაკო | კლფ 12 | 100 |

სულ 4. 1. X6 1,625

დებეტი შესყიდვების ჟურნალის
მაკონტროლებელი ანგარიში \$1,625

კრედიტი შესყიდვების უკან დაბრუნება \$1,625

უკანდაბრუნებული შესყიდული საქონლის გატარება ხდება მომწოდებლის კრედიტორული დავალიანების ინდივიდუალური ანგარიშების დებეტის მხარეს.



შეამოწმე შენი ცოდნა 1

ბ-ნი კიპერ-ლინგს აქვს საწარმო, რომელიც საცხოვრებელს ამარაგებს ტექნიკური აღჭურვილობით. ის ყოველთვის აკეთებს ჩანაწერებს, კრედიტით გაყიდვებისა და შესყიდვების, უკანდაბრუნებული გაყიდული და შესყიდული საქონლის შესახებ, მაგრამ ის იმაში არ არის დარწმუნებული, თუ როგორი ბუღალტრული ჩანაწერები უნდა გაკეთდეს.

გააკეთეთ 20X6 წლის ორი კვირის განმავლობაში კრედიტით განზორციელებული ოპერაციების ჩანაწერები პირველადი ჩანაწერების წიგნებში და მიეცით ბ-ნ კიპერ-ლინგს სწორი ორადი გატარებების რჩევა, იმის გათვალისწინებით, რომ მაკონტროლებელი ანგარიშები ორადი გატარების ნაწილს შეადგენს.

- 1 აგვისტო ქ-ნმა ბეიქელმა შეიძინა ნამცხვრის საცხობი ჭურჭელი \$500-ად.
- 1 აგვისტო ბ-ნმა კიპერ-ლინგმა შეიძინა ტექნიკური აღჭურვილობა საცალო მოვაჭრის შპს TinPot-ისაგან \$2,000-ად.
- 2 აგვისტო ბ-ნი კიპერ-ლინგი უბრუნებს \$150 ღირებულების საქონელს მეორე მომწოდებელს კეტის.
- 3 აგვისტო ბ-ნმა ჯეკ ფლეჰმა შეიძინა \$1,200 ღირებულების ტექნიკური აღჭურვილობა.
- 3 აგვისტო ქ-ნმა ბეიქელმა დაუბრუნა \$100 ღირებულების საქონელი მის მომწოდებელს.
- 4 აგვისტო ქ-ნმა ვიქტორიამ შეიძინა ახალი გაზქურა \$4,000-ად.
- 5 აგვისტო ბ-ნმა კიპერ-ლინგმა შეიძინა საცხობი ლანგარი მისი მუდმივი მომწოდებლის შპს TinPot-ისაგან \$600-ად.
- 8 აგვისტო ბ-ნმა კიპერ-ლინგმა შეიძინა გაზქურა შპს Hot-ისაგან \$10,000-ად.
- 8 აგვისტო ბ-ნი კიპერ-ლინგი უბრუნებს \$300 ღირებულების საქონელს შპს TinPot-ს.
- 9 აგვისტო ბ-ნი პავლოვა ყიდულობს \$2,200 ღირებულების საქონელს.
- 11 აგვისტო ქ-ნი ბეიქელი ყიდულობს \$600 ღირებულების რამდენიმე ტეცხლგამძლე ჭურჭელს.

5. დღე პირველადი ჩანაწერის ჟურნალებში

თუ საწარმო რეგისტრირებულია როგორც დღე-ის გადამხდელი, გაყიდვისა და შესყიდვის პირველადი გატარების ჟურნალები უნდა შეიცავდეს სვეტს, სადაც დღე-ის რაოდენობა ჩაიწერება.

მაგ.

საილუსტრაციო მაგალითი ქვეფინანსურ ანგარიშების მომზადება

გაყიდვების პირველადი გატარების ჟურნალი

| თარიღი | ანგარიშ- ფაქტურა | მყიდველი სპენსერი | წიგნის მითითება ჯ1 | სულ \$ | დღგ \$ | ნეტო \$ |
|---------|---------------------|----------------------|--------------------------|---------------|---------------|---------------|
| 8.7.X6 | 1 | სპენსერი | ჯ1 | 587.50 | 87.50 | 500.00 |
| 10.7.X6 | 2 | არჩი | ს5 | <u>705.00</u> | <u>105.00</u> | <u>600.00</u> |
| | | | | 1,292.50 | 192.50 | 1,100.00 |

ზემოთ აღწერილი ოპერაციების ორადი გატარება იქნება:

| | | |
|---------|--|------------|
| დებეტი | გაყიდვის ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში | \$1,292.50 |
| კრედიტი | დღგ | \$192.50 |
| კრედიტი | გაყიდვები | \$1,100.00 |

შესყიდვების პირველადი გატარების ჟურნალი

| თარიღი | მომწოდებელი | წიგნის მითითება | სულ \$ | დღგ \$ | წმინდა \$ |
|---------|-------------|--------------------|---------------|--------------|--------------|
| 8.7.X6 | პევი | ი1 | 1,762.50 | 262.50 | 1,500 |
| 10.7.X6 | ჟანი | ზ8 | <u>352.50</u> | <u>52.50</u> | <u>300</u> |
| | | | 2,115.00 | 315.00 | 1,800 |

ზემოთ აღწერილი ოპერაციების ორადი გატარება იქნება:

| | | |
|---------|---|---------|
| დებეტი | დღგ | \$315 |
| დებეტი | შესყიდვები | \$1,800 |
| კრედიტი | შესყიდვის ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში | \$2,115 |



შეამოწმე შენი ცოდნა 2

ქვინსიმ ივლისის თვეში გამოწერა შემდეგი გაყიდვების ინვოისები:

| თარიღი | მყიდველი | ანგარიშ-ფაქტურას № | წიგნის მითითება | სულ |
|-----------|----------|--------------------|--------------------|----------------------------------|
| 8 ივლისი | სიმპსონი | 1100 | ა 8 | \$411.25 (შეიცავს დღგ-ს) |
| 10 ივლისი | ბერნსი | 1101 | ბ 5 | \$1,300.00 (არ შეიცავს დღგ-ს) |

ქვინსი დარეგისტრირებულია როგორც დღგ-ის გადამხდელი 17,5%-ის განაკვეთით. რა ორადი გატარება უნდა გაკეთდეს პირველადი გატარების ჟურნალიდან?

| | დებეტი | კრედიტი |
|---|---------------------------------------|-------------------------|
| ა | გაყიდვების საკონტროლო ანგარიში დღგ | გაყიდვები \$2,010.72 |
| ბ | გაყიდვების საკონტროლო ანგარიში | გაყიდვები დღგ |
| გ | გაყიდვების საკონტროლო ანგარიში დღგ | გაყიდვები \$1,938.75 |
| დ | გაყიდვების საკონტროლო ანგარიში | გაყიდვები დღგ |

6. მაკონტროლებელი ანგარიშები



მაკონტროლებელი ანგარიშები ბუღალტრული ანგარიშებია, რომლებიც აჯგუფებს დიდი რაოდენობის ოპერაციებს.

გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიშში შეიცავს შემდეგ გატარებებს:

გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიშში

| | | | |
|--|---|--|---|
| პ/დ ნაშთი | X | პ/დ ნაშთი | X |
| კრედიტით გაყიდვა (პირველადი ჟურნალიდან) | X | სალარო | X |
| | | უიმედო ვალები (ჟურნალიდან) | X |
| გაუნაღებელი ჩეკი (სალაროდან) | X | გაცემული ფასდათმობა | X |
| ფულის უკან დაბრუნება (სალარო) | X | კონტრა | X |
| დარიცხული პროცენტი | X | გაყიდვის უკან დაბრუნება (საკრედიტო ავიზო) | X |
| დაგვიანებული გადახდისათვის | X | | |
| პ/ბ ნაშთი | X | პ/ბ ნაშთი | X |
| | X | | X |
| პ/დ ნაშთი | X | პ/დ ნაშთი | X |

შესყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიშში

| | | | |
|---|---|---|---|
| პ/დ ნაშთი | X | პ/დ ნაშთი | X |
| შესყიდვის უკან დაბრუნება (პირველადი ჟურნალი) | X | კრედიტით შესყიდვა (პირველადი ჟურნალიდან) | X |
| სალარო (წიგნიდან) | X | | |
| მიღებული ფასდათმობა (სალაროს პირველადი ჟურნალიდან) | X | ფულის უკან დაბრუნება (სალაროდან) | X |
| კონტრა | X | | |
| ჩამოწერილი საკრედიტო ნაშთი | X | | |
| პ/ბ ნაშთი | X | პ/ბ ნაშთი | X |
| | X | | X |
| პ/დ ნაშთი | X | პ/დ ნაშთი | X |

გათვალისწინეთ, რომ მაკონტროლებელ ანგარიშებში ჩაწერილი ნებისმიერი გატარება აუცილებლად უნდა ჩაიწეროს დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ინდივიდუალურ ანგარიშებშიც.

6.1 კონტრალური გატარება


შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როცა მყიდველი არის მომწოდებელიც. ურთიერთვალდებულებების ნაცვლად, შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია ნაშთების გამაბათილებელი გატარება, ე.ი. კონტრალური გატარება, როცა მოცემული თანხა უქმდება.

კონტრალური გატარებისას ორადი გატარება იქნება:

- ღებუტი შესყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში
- კრედიტი გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში

ღებუტორული და კრედიტორული დავალიანების ინდივიდუალურ ანგარიშებშიც უნდა აისახოს ეს ოპერაცია.

ქვემოთ ნაჩვენებია, როგორ გადადის ნაშთები მაკონტროლებელ ანგარიშში.



გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიშის მსგავსად, ნაშთები გადადის შესყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელ ანგარიშშიც.

6.2 გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიშის საკრედიტო ნაშთები

ხანდახან გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელ ანგარიშს აქვს საკრედიტო ნაშთი, ე.ი. საწარმოს აქვს მყიდველის ვალი. ეს თანხა ჩვეულებრივ მცირეა და წარმოიშობა როცა:

- მყიდველი იხდის ზღმეტ თანხას;
- საკრედიტო ავიზო გამოწერილია, მაგრამ ფული ჯერ არ არის დაბრუნებული;
- თანხა გადახდილია წინასწარ ანგარიშ-ფაქტურის მიღებამდე.

შესყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელ ანგარიშს შეიძლება ჰქონდეს სადებეტო ნაშთი, იმავე მიზეზების გამო.



შემოწმე შენი ცოდნა 3

ჯონსი ამზადებს შესყიდვებისა და გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელ ანგარიშს ყოველთვე. 2005 წლის 1 ნოემბერს საწარმოს ჩანაწერებში აქვს შემდეგი ნაშთები.

| | \$ | \$ |
|--|--------|--------|
| გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში | 54,000 | 1,000 |
| შესყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში | 200 | 43,000 |

2005 წლის ნოემბრის თვეში კომპანიის ჩანაწერებში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

| | \$ |
|--|---------|
| კრედიტით გაყიდვები | 251,000 |
| გაყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით | 34,000 |
| კრედიტით შესყიდვები | 77,000 |
| შესყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით | 29,000 |
| უკანადაბრუნებული კრედიტით გაყიდვები | 11,000 |
| უკანადაბრუნებული კრედიტით შესყიდვები | 3,000 |
| კრედიტით მყიდველისაგან მიღებული ფული | 242,000 |
| გაუნაღდებელი ჩეკი | 500 |
| კრედიტით მომწოდებლისათვის გადახდილი თანხა | 74,000 |
| გაცემული ფასდათმობა | 3,000 |
| მიღებული ფასდათმობა | 2,000 |
| ჩამოწერილი უიმედო ვალები | 1,000 |
| დებიტორული დავალიანების ანარიცხის გაზრდა | 1,200 |
| მყიდველებზე დარიცხული პროცენტი დაგვიანებულ გადახდაზე | 1,400 |
| კონტრაქტური გატარება | 800 |

2005 წლის 30 ნოემბერს გაყიდვებისა და შესყიდვების ბუღალტრულ წიგნებში შემდეგი ნაშთებია:

| | დებეტი \$ | კრედიტი \$ |
|--|--------------|--------------|
| გაყიდვების ბუღალტრული ანგარიშის ნაშთები | გამოსათვლელი | 2,000 |
| შესყიდვების ბუღალტრული ანგარიშის ნაშთები | 200 | გამოსათვლელი |

მოამზადეთ 2005 წლის ნოემბრის თვის შესყიდვებისა და გაყიდვების ჟურნალების მაკონტროლებელი ანგარიშები, რათა განსაზღვროთ შესყიდვებისა და გაყიდვების ჟურნალების მაკონტროლებელი ანგარიშების სათანადო პერიოდის ბოლოს სადებეტო და საკრედიტო ნაშთები.

7. სალაროს წიგნი

- საწარმოს მიერ ბანკში განხორციელებული ყველა ფულადი ოპერაცია, აღირიცხება სალაროს წიგნში.
- ბევრ საწარმოში ორი განსხვავებული სალაროს წიგნი აქვთ – სალაროს გადახდის წიგნი და სალაროს შემოსავლის წიგნი.
- მიღებული და გაცემული ფასდათმობების ჩანაწერი ასევე აღირიცხება სალაროს წიგნში. ეს გატარება ხელს უწყობს ფასდათმობების ჩაწერას მთავარ წიგნში და დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ბუღალტრულ წიგნებში.
- საწარმოები, ჩვეულებრივ, იყენებენ სალაროს სვეტებიან ფორმას იმისათვის, რომ გაანალიზონ ფულის გადახდისა და მიღების ტიპები.

მაგ.

საბუღალტრო მკვლევარისთვის სალაროს წიგნები

სალაროს გადახდის წიგნი

ქვემოთ მოცემულია პატარა საბეჭდი საწარმოს სალაროს გადახდის წიგნი.

| თარიღი | აღწერა | ბანკი | მიღებული ფასდათმობა | კრედიტორული დავალიანება | იჯარა |
|---------|---------|-------|---------------------|-------------------------|-------|
| | | \$ | \$ | \$ | \$ |
| 18.7.X6 | A | 1,400 | 100 | 1,400 | |
| 18.7.X6 | ოფისი | 3,000 | | | 3,000 |
| 18.7.X6 | B | 210 | | 210 | |
| 18.7.X6 | C | 1,600 | 80 | 1,600 | |
| 18.7.X6 | მალაზია | 400 | | | 400 |
| | | 6,610 | 180 | 3,210 | 3,400 |

რა ბუღალტრული გატარებები უნდა გაკეთდეს დღის ბოლოს სალაროს წიგნიდან, თუ საწარმო აწარმოებს მაკონტროლებელ ანგარიშებს?

ამოხსნა

ორადი გატარებები სალაროს წიგნიდან იქნება:

| | | |
|---------|---|---------|
| დებეტი | შესყიდვების ბუღალტრული წიგნის მაკონტროლებელი ანგარიში | \$3,210 |
| დებეტი | იჯარის ხარჯი | \$3,400 |
| კრედიტი | ფული ბანკში | \$6,610 |

ფასდათმობის ორადი გატარება იქნება:

| | | |
|-----------|---|-------|
| დებეტი | შესყიდვების ბუღალტრული წიგნის მაკონტროლებელი ანგარიში | \$180 |
| კრედიტები | მიღებული ფასდათმობა | \$180 |

ჩანაწერები უნდა გაკეთდეს ასევე კრედიტით მომწოდებელი A-ის, B-ის, C-ის ინდივიდუალურ ანგარიშებში, რათა აღირიცხოს ფულის გადახდა და მიღებული ფასდათმობა.



შეამოწმე შენი ცოდნა 4

ქვემოთ მოცემულია ხელოვნების გალერეის სალაროს შემოსავლის წიგნი.

| თარიღი | აღწერა | ფულის მიღება \$ | გაცემული ფასდათმობა \$ | დებიტორული დავალიანება \$ | იჯარა \$ |
|---------|-------------|--------------------|---------------------------|------------------------------|-------------|
| 18.7.X6 | მონე | 10,000 | 500 | 10,000 | |
| 18.7.X6 | ანგარიში #1 | 20 | | | 20 |
| 18.7.X6 | ვან გოგი | 25,000 | | 25,000 | |
| 18.7.X6 | ანგარიში #2 | 100 | | | 100 |
| 18.7.X6 | პიკასო | <u>13,700</u> | <u>300</u> | <u>13,700</u> | |
| | | 48,820 | 800 | 48,700 | 120 |

რა ბუღალტრული გატარებები უნდა გაკეთდეს დღის ბოლოს სალაროს წიგნიდან, თუ საწარმო აწარმოებს მკონტროლებელ ანგარიშებს?

8. მცირე სალაროს წიგნი

- მცირე თანხის ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებული ყველა ოპერაცია აღირიცხება მცირე სალაროს წიგნში.
- მცირე სალაროს სისტემა, ჩვეულებრივ, განკუთვნილია საწარმოს მიერ სხვადასხვა მცირე თანხის ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდისათვის, მაგალითად, მერძვესათვის გადახდა, ბისკვიტების შეძენა, საკანცელარიო ან სატრანსპორტო ხარჯების გადახდა.
- ფულის მიღება უნდა აღირიცხოს გადახდასთან ერთად და გაკეთდეს იმავე გზით, როგორც სალაროს წიგნში.

8.1 საჭეანგარიშო თანხების სისტემა

მცირე სალაროს აღრიცხვის საუკეთესო გზაა საჭეანგარიშო თანხების სისტემის გამოყენება, რომელიც შემდეგნაირად ფუნქციონირებს:

1-ლი საფეხური

- საწარმო გადაწყვეტს ჰქონდეს მცირე სალაროს რეზერვი (საწყისი და საბოლოო ნაშთი ყოველთვის ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს).

დებიტი მცირე სალარო X

კრედიტი სალარო X

დამრეგულირებელი თანხა უნდა განეკუთვნოს „მცირე სალაროს რეზერვს“.

მე-2 საფეხური

როდესაც მცირე სალაროს მოლარე ახორციელებს გადახდებს, იგი მათ აღრიცხავს მცირე სალაროს წიგნში, რომელიც ყოველთვის არ წარმოადგენს ორადი ჩაწერის სისტემის ნაწილს. ყველა დანახარჯი უნდა დადასტურდეს ხარჯის ქვითრით და მცირე სალაროს მოლარემ უნდა დაურთოს ხარჯის ვაუჩერი (დამადასტურებელი საბუთი) ყველა ხარჯს.

მე-3 საფეხური

როდესაც მცირე სალაროს ნაშთი მცირდება, გამოიწერება ჩეკი მცირე სალაროს თავდაპირველი რეზერვის აღსადგენად. ამ ეტაპზე მცირე თანხის მოლარე წარუდგენს ვაუჩერებს პირს, რომელიც ჩეკზე აწერს ხელს. ვაუჩერების ღირებულება ზუსტად ჩეკით მოთხოვნილი თანხის ტოლი იქნება.

კონტროლის ეს ასპექტი მცირე სალაროს სისტემის არსებით ნაწილს წარმოადგენს. ნებისმიერ ეტაპზე:

$$\text{რეზერვი} = \text{მცირე სალაროში არსებულ თანხას} + \text{ყველა ხარჯის ვაუჩერი რეზერვის ბოლო შევსებისათვის}$$

8.2 მცირე სალაროს გაკონტროლება

საწარმოში უნდა არსებობდეს მცირე სალაროს გაკონტროლებისა და დაცვის შემდეგი სისტემა:

- მცირე სალარო არის ფული, რომელიც უნდა ინახებოდეს მცირე სალაროს ყუთში, ნაღდი ფულის სახით;
- მცირე სალაროს ყუთი უნდა იყოს უსაფრთხოდ დაცული სეიფში;
- მცირე სალაროზე პასუხისმგებელი პიროვნება სანღო უნდა იყოს და იცოდეს, რას აკეთებს;
- ყველა დახარჯულ თანხაზე ვაუჩერი უნდა იყოს წარმოდგენილი;
- მცირე სალაროს ვაუჩერებს ხელი უნდა მოაწეროს თანხის მომხმარებელმა ან გამტანმა და პასუხისმგებელმა პირმა, რომელიც აწარმოებს მცირე სალაროს;
- გადახდის დამადასტურებელი ქვითრები რეგულარულად უნდა იქნეს წარმოდგენილი, მცირე სალაროს წარმოების სიზუსტეში დასარწმუნებლად.

მაგ.

| საილუსტრაციოდ შეგალითი 1 მცირე სალაროს წიგნი | | |
|--|---|--------|
| 20X9 წლის 1 მარტს | Dialex-ის მიერ დადგენილია მცირე სალაროს რეზერვი | \$100. |
| მარტის განმავლობაში | მცირე სალაროდან განხორციელდა შემდეგი გადახდები: | |
| | | \$ |
| 2 მარტი | ბისკვიტი | 10 |
| 8 მარტი | საკანცელარიო საქონელი | 20 |
| 11 მარტი | ავტობუსის სამგზავრო ბილეთი | 3 |

16 მარტი მატარებლის სამგზავრო ბილეთი 5
 25 მარტი საკანცელარიო საქონელი 40
 31 მარტს ფულადი სახსრები შეივსო. შეადგინეთ მცირე სალაროს წიგნი თვის განმავლობაში და აჩვენეთ მთავარ წიგნში სათანადო გატარებები.

ამოხსნა

| ბილეთ- თანხა | თარიღი | აღწერა | ვაუჩერი | სულ | საკანცე- ლარიო საქონელი | სხვადასხვა ხარჯები | სატრან- სპორტო ხარჯები |
|-----------------|----------|----------------------------------|---------|------------|-------------------------------|-----------------------|------------------------------|
| პ/დ ნაშთი | | | | \$ | \$ | \$ | \$ |
| 100 | 1 მარტი | სალაროს წიგნი | | | | | |
| | 2 მარტი | „გეითუეის“ ბისკეიტები | 1 | 10 | | 10 | |
| | 8 მარტი | „ბასილდონ ბონდი“ | 2 | 20 | 20 | | |
| | 11 მარტი | აეტობუსის სამგზავრო ბილეთი | 3 | 3 | | | 3 |
| | 16 მარტი | რკინიგზის სამგზავრო ბილეთი | 4 | 5 | | | 5 |
| | 25 მარტი | „ოფის ინტერნეშ.“ | 5 | 40 | 40 | | |
| | | | | <u>78</u> | <u>60</u> | <u>10</u> | <u>8</u> |
| 78 | 31 მარტი | სალარო პ/ბ ნაშთი | | 100 | | | |
| <u>178</u> | | | | <u>178</u> | | | |
| 100 | 1 აპრილი | პ/დ ნაშთი | | | | | |

მცირე სალაროს წიგნში თანხების შემოსვლისათვის არ ხდება ორადი ჩაწე-
 რა - კარგ სისტემაში ერთადერთი შემოსვლა უნდა იყოს რეზერვის შევსება,
 რომლისთვისაც ორადი ჩაწერა ხორციელდება სალაროს წიგნში.

რაც შეეხება გადახდებს, მთავარ წიგნში ორადი ჩაწერა ხორციელდება შემდეგნაირად:

| საკანცელარიო საქონელი | | | |
|------------------------------|----|------|----|
| 20X9 | \$ | 20X9 | \$ |
| მარტი მცირე სალაროს წიგნი 60 | | | |
| სხვადასხვა ხარჯი | | | |
| 20X9 | \$ | 20X9 | \$ |
| მარტი მცირე სალაროს წიგნი 10 | | | |
| ტრანსპორტის ხარჯები | | | |
| 20X9 | \$ | 20X9 | \$ |
| მარტი მცირე სალაროს წიგნი 8 | | | |

9. ჟურნალი

ჟურნალი პირველადი გატარების წიგნია, რომელშიც აღირიცხება არა რუტინული ოპერაციები (და სხვა არც ერთ პირველადი გატარების წიგნში არ იწერება), მაგალითად:

- წლის ბოლოს კორექტირებები
 - წლის ცვეთის ხარჯის დარიცხვა;
 - უიმედო ვალების ჩამოწერა;
 - დებიტორული დავალიანების ანარიცხის სხვაობის აღრიცხვა;
 - დარიცხვები და წინასწარგადახდები;
 - მარაგის საბოლოო ნაშთის აღება შემოსავალში;
- გრძელვადიანი აქტივების შეძენა და გაყიდვა;
- საწყისი ნაშთები ბალანსის მუხლებისათვის;
- დაშვებული შეცდომების კორექტირება.

ჟურნალი გასაგები და სრულყოფილი საშუალებაა სწორი ორადი გატარების გასაკეთებლად.

9.1 ჟურნალის წარმოდგენა

ჟურნალში ჩანაწერი უნდა გაკეთდეს შემდეგნაირად:

| | | |
|---------|---------------------|---|
| დებიტი | გრძელვადიანი აქტივი | X |
| კრედიტი | ფულადი სახსრები | X |

გრძელვადიანი აქტივის შეძენის დასაფიქსირებლად, მოკლე ახსნა-განმარტება უნდა დაიწეროს გაკეთებული გატარების ასახსნელად.




შეამოწმე შენი ცოდნა 5

იგორ რომანოვი რუსულ რესტორანს მართავს. ის კარგი მმართველია, მაგრამ ბუღალტრულ აღრიცხვაში ნაკლებად ერკვევა და სჭირდება დახმარება შემდეგი ოპერაციების ჩასაწერად:

1. \$2,750 ღირებულების 250 ბოთლი არყის მარაგის საბოლოო ნაშთი არ იყო ჩაწერილი;
2. იგორს სურს რესტორნის შენობას ცვეთა დაარეცხოს. მას აქვს 25-წლიანი ლიზინგი, რომელშიც 10 წლის წინ \$150,000 გადაიხადა;
3. მუდმივ კლიენტს, ჯონს ბარში გახსნილი აქვს ანგარიში. მას აქვს \$350 ვალი, მაგრამ ბოლოს ის ნახეს მოსკოვის მიმართულებით ცალმხრივი ბილეთის შეძენის დროს. იგორს იმედი აღარ აქვს, რომ ვალს დაიბრუნებს და განზრახული აქვს ამ ვალის ჩამოწერა;
4. წლის ბოლო დღეს იგორმა შეიძინა ორი ახალი სავარძელი ნაღდი ანგარიშსწორებით. თითოეულის ღირებულება იყო \$600, თუმცა, შენაძენის ჩანაწერი არ გაკეთებულა ბუღალტრულ ანგარიშებში.

რა ჩანაწერები უნდა გააკეთოს იგორმა უზრუნველში?

თავის რეზიუმე



შეამოწმე შენი პასუხები



შეამოწმე შენი ცოდნა 1

| გაყიდვების პირველადი გატარების შურნალი | | | უკანდაბრუნებული გაყიდვების პირველადი ჩაწერის შურნალი | | |
|---|--|---------------|---|--|-------|
| ავისტო | მყიდველი | \$ | ავისტო | მყიდველი | \$ |
| 1 | ქ-ნი ბეიქელი | 500 | 3 | ქ-ნი ბეიქელი | 100 |
| 3 | ჯემ ფლეზი | 1,200 | | | 100 |
| 4 | ვიქტორია | 4,000 | | | |
| 9 | პავლოვა | 2,200 | | | |
| 11 | ქ-ნი ბეიქელი | 600 | | | |
| | | <u>8,500</u> | | | |
| დ-ტი | გაყიდვების შურნალის მაკონტროლებელი ანგარიში | \$8,500 | დ-ტი | გაყიდვების უკან დაბრუნება | \$100 |
| კ-ტი | გაყიდვების ანგარიში | \$8,500 | კ-ტი | გაყიდვების შურნალის მაკონტროლებელი ანგარიში | \$100 |
| და ინდივიდუალური ანგარიშები | | | და ინდივიდუალური ანგარიშები | | |
| დ-ტი | ქ-ნი ბეიქელი | \$1,100 | კ-ტი | ქ-ნი ბეიქელი | \$100 |
| დ-ტი | ჯემ ფლეზი | \$1,200 | | | |
| დ-ტი | ვიქტორია | \$4,000 | | | |
| დ-ტი | პავლოვა | \$2,200 | | | |
| შესყიდვების პირველადი გატარების შურნალი | | | უკანდაბრუნებული შესყიდვების პირველადი ჩაწერის შურნალი | | |
| ავისტო | მომწოდებელი | \$ | ავისტო | მომწოდებელი | \$ |
| 1 | შსს TinPot | 2,000 | 2 | კეტი | 150 |
| 5 | შსს TinPot | 600 | 8 | შსს TinPot | 300 |
| 8 | შსს sHot | 10,000 | | | |
| | | <u>12,600</u> | | | 450 |
| დ-ტი | შესყიდვების ანგარიში | \$12,600 | დ-ტი | შესყიდვების შურნალის მაკონტროლებელი ანგარიში | \$450 |
| კ-ტი | შესყიდვების შურნალის მაკონტროლებელი ანგარიში | \$12,600 | კ-ტი | შესყიდვების უკან დაბრუნების ანგარიში | \$450 |
| და ინდივიდუალური ანგარიშები | | | და ინდივიდუალური ანგარიშები | | |
| კ-ტი | შსს TinPot | \$2,000 | დ-ტი | კეტი | \$150 |
| კ-ტი | შსს TinPot | \$600 | დ-ტი | შსს TinPot | \$300 |
| კ-ტი | შსს sHot | \$10,000 | | | |



შეამოწმე შენი ცოდნა 2

სწორი პასუხია დ

გაყიდვების პირველადი გატარების ჟურნალი

| თარიღი | მყიდველი ანგარიშ- ფაქტურა | ანგარიშ- წიგნის მითითება | სულ \$ | დღგ \$ | ნეტო \$ |
|-----------|------------------------------|-----------------------------|-----------------|---------------|-----------------|
| 8 ივლისი | სიმპსონი | 1100 ა 8 | 411.25 | 61.25 | 350.00 |
| 10 ივლისი | ბერნსი | 1101 ბ 5 | <u>1,527.50</u> | <u>227.50</u> | <u>1,300.00</u> |
| | | | 1,938.75 | 288.75 | 1,650.00 |

ზემოთ აღწერილი ოპერაციების ორადი გატარება იქნება:

| | | |
|---------|--|------------|
| დებეტი | გაყიდვის ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში | \$1,938.75 |
| კრედიტი | დღგ | \$288.75 |
| კრედიტი | გაყიდვები | \$1,650.00 |



შეამოწმე შენი ცოდნა 3

გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში

| \$ | | \$ | |
|-------------------------|----------------|-------------------------|----------------|
| პ/დ ნაშთი | 54,000 | პ/დ ნაშთი | 1,000 |
| კრედიტით გაყიდვა | 251,000 | გაყიდვის უკან დაბრუნება | 11,000 |
| გაუნაღებელი ჩეკი | 500 | ფული ბანკში | 242,000 |
| დარიცხული პროცენტი | 1,400 | უიმედო ვალები | 1,000 |
| (დაგვიანებულ გადახდაზე) | | გაცემული ფასდათმობა | 3,000 |
| პ/ბ ნაშთი | 2,000 | კონტრა | 800 |
| | | პ/ბ ნაშთი (დამაბალან.) | 50,100 |
| | <u>308,900</u> | | <u>308,900</u> |
| პ/დ ნაშთი | 50,100 | პ/დ ნაშთი | 2,000 |

შესყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში

| \$ | | \$ | |
|--------------------------|----------------|-------------------|----------------|
| პ/დ ნაშთი | 200 | პ/დ ნაშთი | 43,000 |
| შესყიდვის უკან დაბრუნება | 3,000 | კრედიტით შესყიდვა | 77,000 |
| ფული ბანკში | 74,000 | | |
| მიღებული ფასდათმობა | 2,000 | | |
| კონტრა | 800 | | |
| პ/ბ ნაშთი (დამაბალანს.) | 40,200 | პ/ბ ნაშთი | 200 |
| | <u>120,200</u> | | <u>120,200</u> |
| პ/დ ნაშთი | 200 | პ/დ ნაშთი | 40,200 |



შეამოწმე შენი ცოდნა 4

ფულადი ოპერაციები აღირიცხება შემდეგნაირად:

| | | |
|---------|--|----------|
| დებეტი | ფული სალაროში | \$48,820 |
| კრედიტი | გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში | \$48,700 |
| კრედიტი | საიჯარო შემოსავალი | \$120 |

ფასდათმობა აღირიცხება შემდეგნაირად:

| | | |
|---------|--|-------|
| დებეტი | გაცემული ფასდათმობა | \$800 |
| კრედიტი | გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში | \$800 |

ჩანაწერი უნდა გაკეთდეს მონეს, ვან გოგისა და პიკასოს დებიტორული დავა-ლიანების ინდივიდუალურ ანგარიშებში, რათა აღრიცხონ მიღებული ფულადი სახსრები და ფასდათმობა.



შეამოწმე შენი ცოდნა 5

| | | |
|-----------|---|---------|
| 1. დებეტი | მარაგის საბოლოო ნაშთი (ბალანსი) | \$2,750 |
| კრედიტი | მარაგის საბოლოო ნაშთი (გაყიდული საქონლის თვითღირებულება) | \$2,750 |

არყის საბოლოო ნაშთის ჩაწერა.

| | | |
|-----------|----------------------------------|---------|
| 2. დებეტი | ცვეთის ხარჯი (\$150,000/25 წელი) | \$6,000 |
| კრედიტი | დაგროვილი ცვეთა | \$6,000 |

რესტორნის ლიზინგზე ცვეთის დარიცხვა

| | | |
|-----------|--|-------|
| 3. დებეტი | უიმედო ვალის ხარჯი | \$350 |
| კრედიტი | გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში | \$350 |

ჯონისგან მისაღები უიმედო ვალის ჩამოწერა.

იგორს ასევე უნდა ახსოვდეს, რომ მან უნდა გააკეთოს ჩანაწერი ჯონის დებიტორული დავალიანების ინდივიდუალურ ანგარიშში.


| | | |
|-----------|---|---------|
| 4. დებეტი | სათავსოებისა და ინვენტარის თვითღირებულება | \$1,200 |
| კრედიტი | ფულადი სახსრები | \$1,200 |

ბარის ორი სავარძლის შეძენის ჩაწერა.


მაკონტროლებელი ანგარიშების შეჯერება თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- მოამზადოთ, შეაჯეროთ და განსაზღვროთ მომწოდებლის ანგარიშების მიზანი;
- დაადგინოთ ის შეცდომები, რომლებიც უნდა გასწორდეს მაკონტროლებელი ანგარიშების შეჯერებით;
- აწარმოოთ ძირითადი მაკონტროლებელი ანგარიშების შეჯერება დებიტორულ და კრედიტორულ ანგარიშებთან, დაადგინოთ და გაასწოროთ შეცდომები მაკონტროლებელ და ინდივიდუალურ ანგარიშებში.



1. მაკონტროლებელი ანგარიშები



- მაკონტროლებელი ანგარიშების მომზადება დებიტორული და კრედიტორული დავალიანების წიგნების სიზუსტის დასაბუთების საშუალებაა.
- ზემოთ მოცემული დიაგრამა შეიცავს ინფორმაციას, რომელიც დებიტორულ ბუღალტრულ წიგნშია შეტანილი.
- დებიტორული დავალიანების ანგარიშების სიზუსტის შესამოწმებლად, ერთ ერთი გზა ინფორმაციის მიღებაა სხვადასხვა წყაროებიდან:
 - ინფორმაცია გაყიდვების შესახებ შეიძლება გაყიდვების პირველადი რეგისტრაციის წიგნიდან ამოვიღოთ.
 - ინფორმაცია მიღებული ფულადი სახსრებისა და ფასდათმობის შესახებ მოცემულია სალაროს წიგნში.
 - საწყისი ნაშთები შეიძლება გადმოვიწეროთ წინა თვის საბოლოო ნაშთებიდან.
- დებიტორული დავალიანების ანგარიშების სიზუსტის დადგენის ალტერნატიული გზა არის დებიტორული დავალიანების ინდივიდუალური ანგარიშების ჯამის შედარება გაყიდვების ბუღალტრული წიგნის მაკონტროლებელი ანგარიშის ნაშთთან.
- გახსოვდეთ, მაკონტროლებელი ანგარიში არის ორადი გატარების ნაწილი, მაშინ, როცა ბუღალტრული ანგარიშები შეიცავს ინდივიდუალურ ანგარიშებსაც, რომლებიც არ არის ორადი გატარების ნაწილი. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ორივე ანგარიშის განახლება ერთი და იმავე ინფორმაციის წყაროდან, ისე, რომ მათი ნაშთები დაემთხვეს.

2. მომწოდებლის ანგარიშები

ამ ანგარიშებს საწარმოს უგზავნის მომწოდებელი იმისათვის, რომ მოხდეს მოცემული პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციების შეჯამება და პერიოდის ბოლოს დარჩენილი ნაშთის დადგენა.

- მათი მიზანია იმაში დარწმუნება, რომ დარჩენილი ნაშთი ზუსტია და ედრება დოკუმენტში მოცემულ ნაშთს.
- შესყიდვების ბუღალტრული წიგნის მაკონტროლებელი ანგარიში და კრედიტორული დავალიანების ინდივიდუალური ანგარიშები უნდა ემთხვეოდეს მომწოდებლის ინდივიდუალური ანგარიშების ჯამს.
- ამგვარად, ისინი ბუღალტრული ჩანაწერების სიზუსტეში დარწმუნების დამატებითი საშუალებაა.

3. მაკონტროლებელი ანგარიშების შეჯერება

ანგარიშების შეჯერება ჩატარებული სამუშაო იმაში დასაწმუნებლად, რომ ბუღალტრულ ანგარიშებში გაკეთებული გატარებები ემთხვევა გატარებებს მაკონტროლებელ ანგარიშებში. იდეალურ შემთხვევაში, ორივეს უნდა ჰქონდეს ერთნაირი საბოლოო ნაშთი, რადგან ორივე ანგარიშში ერთნაირი გატარებები უნდა იყოს გაკეთებული.

- გაყიდვების ანგარიშების შეჯერებისას ერთმანეთს ედრება დებიტორული დავალიანების ინდივიდუალური ანგარიშების ჯამური ნაშთი და გაყიდვების ბუღალტრული ანგარიშების მაკონტროლებელი ანგარიშის ნაშთი.
- შესყიდვების ანგარიშების შეჯერებისას ერთმანეთს ედრება კრედიტორული დავალიანების ინდივიდუალური ანგარიშების ჯამური ნაშთი და შესყიდვების ბუღალტრული ანგარიშების მაკონტროლებელი ანგარიშის ნაშთი.

თუ არსებობს განსხვავება მაკონტროლებელი და ინდივიდუალური ანგარიშების ნაშთებს შორის, ის უნდა გაანალიზდეს და გასწორდეს. განსხვავება შეიძლება წარმოიშვას:

- შეცდომებით დებიტორული ან კრედიტორული დავალიანების ინდივიდუალურ ანგარიშებში;
- შეცდომებით გაყიდვების ან შესყიდვების ბუღალტრული წიგნების მაკონტროლებელ ანგარიშებში;
- შეცდომებით ორივე მაკონტროლებელ და ინდივიდუალურ ანგარიშებში.

შეამოწმე შენი ცოდნა 1.

შემოგვთავაზეთ მიზეზები, რატომ შეიძლება გაყიდვების ბუღალტრული წიგნის მაკონტროლებელ ანგარიშსა და დებიტორული დავალიანების ინდივიდუალურ ანგარიშებს ჰქონდეს სხვადასხვა ნაშთები.

4. მაკონტროლებელი ანგარიშის შეჯერების მომზადება

ქვემოთ მოცემულია მაკონტროლებელი ანგარიშის შეჯერების ფორმატი გაყიდვების ანგარიშების მაგალითზე:

გაყიდვების ყურნალის მაკონტროლებელი ანგარიში

| | | | |
|------------------------|----------|---------------------------|----------|
| | \$ | | \$ |
| მოცემული ნაშთი | X | | |
| შეცდომების კორექტირება | X | შეცდომების კორექტირება | X |
| | | გაკორექტირებული პ/ბ ნაშთი | X |
| | <u>X</u> | | <u>X</u> |

დებიტორული დავალიანების ინდივიდუალური ანგარიშების ნაშთების შეჯერება მაკონტროლებელი ანგარიშის ნაშთთან \$

მოცემული დებიტორული დავალიანების ნაშთების ჯამი X

შეცდომების კორექტირება X(X)

კორექტირებული ნაშთი შეჯერებული მაკონტროლებელი ანგარიშის პ/ბ ნაშთთან X

- მაგალითში მოცემული იქნება შეცდომების ტიპები.
- ყოველი შეცდომის კორექტირებისას უნდა გადაწყდეს, სად უნდა გასწორდეს იგი, მაკონტროლებელ, თუ ინდივიდუალურ ანგარიშებში, ან ორივე ადგილზე.
- როცა ყველა შეცდომა გასწორდება, მაკონტროლებელი და ინდივიდუალური ნაშთების ჯამი უნდა დაემთხვეს.
- F3 გამოცდის შინაარსიდან გამომდინარე, არ მოითხოვება ნაშთების შეჯერების სრული ფორმატის მომზადება, თუმცა ერთი ან ორი შეცდომის გაკორექტირების შემდეგ მოითხოვება მაკონტროლებელი ანგარიშის ნაშთის, ან ინდივიდუალური ანგარიშების ნაშთების გამოთვლა.

მაგ

სადაუსტრატოო მაგალითი: მაკონტროლებელი ანგარიშის შეჯერების მომზადება

შს Alston-ის შესყიდვების ბუღალტრული წიგნის მაკონტროლებელი ანგარიში ორადი ჩაწერის სისტემის შემადგენელი ნაწილია. ინდივიდუალურ ბუღალტრულ ანგარიშებზე არსებული ნაშთების სია დგება და ჯამდება ყოველთვიურად და უდარდება მაკონტროლებელ ანგარიშზე არსებულ ნაშთს. მარტის თვისთვის არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

1. 31 მარტს კ/დ ინდივიდუალურ ბუღალტრულ ანგარიშებზე არსებული ნაშთების სია ჩამოიწერა და დაჯამების შემდეგ შეადგინა \$19,766;
2. 31 მარტისათვის შესყიდვების ბუღალტრული წიგნის მაკონტროლებელ ანგარიშზე არსებული ნაშთი არის \$21,832;
3. შემდგომი შემოწმებისას აღმოჩნდა შემდეგი შეცდომები:
 - ამ თვის განმავლობაში მიღებული ფასდათმობის ჯამი, რომელიც შეადგენს \$1,715-ს, შეტანილ არ იქნა მაკონტროლებელ ანგარიშზე, მაგრამ შეტანილია ინდივიდუალურ ანგარიშში;
 - ნაშთების სიის შედგენისას ინდივიდუალური ანგარიშის საკრედიტო ნაშთი \$205-ის ოდენობით არასწორად გატარდა სადებეტო ნაშთის სახით;

- მცირე სალაროდან თანხის, \$63, გადახდა მომწოდებლისათვის სწორად აისახა მაკონტროლებელ ანგარიშზე, მაგრამ მომწოდებლის ინდივიდუალურ ბუღალტრულ ანგარიშში არ გაკეთებულა ჩანაწერი;
 - შესყიდვების ჟურნალში მარტის თვის ჯამური თანხა შემცირებულია \$2,000-ით;
 - კონტრალური გატარებები (ურთიერთგადაფარვა) დებიტორული დავალიანების ანგარიშებში თანხით \$2,004 შეტანილ იქნა ინდივიდუალურ ბუღალტრულ ანგარიშებში, მაგრამ მაკონტროლებელ ანგარიშში ჩანაწერი არ გაკეთებულა;
- (i) მოამზადეთ შესყიდვების ბუღალტრული წიგნის მაკონტროლებელი ანგარიში, ზემოთ მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით;
- (ii) მოამზადეთ ანგარიში, რომელიც ინდივიდუალურ ანგარიშებზე არსებული ნაშთების თავდაპირველ ჯამურ თანხას შეუსაბამებს მაკონტროლებელ ანგარიშზე მოცემულ შესწორებულ ნაშთს.

ამოხსნა

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად სათითაოდ უნდა განვიხილოთ ზემოთ მოცემული ყველა პუნქტი და გავარკვიოთ, რა ზეგავლენას ახდენს იგი ა) შესყიდვების ბუღალტრული წიგნის მაკონტროლებელ ანგარიშზე და ბ) კრედიტორული დავალიანების წიგნის ნაშთების სიაზე.

1-ლი საფეხური

სალაროს წიგნში შეტანილი მიღებული ფასდათმობის ჯამური თანხა დებეტდება შესყიდვების ბუღალტრული წიგნის მაკონტროლებელ ანგარიშზე და კრედიტდება მიღებულ ფასდათმობაზე. ამდენად, თუ ეს ჩანაწერი არ იქნა შეტანილი ორადი ჩანაწერის ერთ-ერთ რომელიმე ანგარიშზე, იგი აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი. რადგან ფასდათმობები უკვე აღრიცხულია ინდივიდუალურ ანგარიშებში, არანაირი კორექტირება არ მოითხოვება საცდელ ბალანსში.

მე-2 საფეხური

ინდივიდუალური საკრედიტო ნაშთები გადმოიტანება კრედიტორული დავალიანების წიგნიდან. ეს შეცდომა გავლენას ახდენს ბუღალტრული ანგარიშის ნაშთის სადებეტო და საკრედიტო ნაშთების ჯამზე. საჭირო არ არის მაკონტროლებელ ანგარიშებში შესწორების შეტანა, სწორდება მხოლოდ ნაშთების სია.

მე-3 საფეხური

ამ კითხვაში ნათლად არის ნათქვამი, რომ შეცდომა დაშვებულია ინდივიდუალურ ბუღალტრულ ანგარიშებში. შესწორებები უნდა შევიდეს ნაშთების სიაში. საჭირო არ არის მაკონტროლებელ ანგარიშებში შესწორების შეტანა.

მე-4 საფეხური

შესყიდვების ჟურნალის ჯამი დებეტდება შესყიდვების ანგარიშზე და კრედიტდება შესყიდვების ბუღალტრული წიგნის მაკონტროლებელ ანგარიშზე. თუ ეს ჯამი შემცირებული სახით არის წარმოდგენილი, შემცირებული \$2,000 ჩასაწერად საჭიროა შემდეგი ბუღალტრული გატარება.

დებეტი შესყიდვები

კრედიტი შესყიდვების ბუღალტრული წიგნის მაკონტროლებელი ანგარიში
რადგან კრედიტორული დავალიანების წიგნის ინდივიდუალური ბუღალტრული ანგარიშები ინდივიდუალურად გადმოიტანება შესყიდვების ჟურნალიდან, ჟურნალის შემცირებული ჯამური თანხა გავლენას ვერ მოახდენს კრედიტორული დავალიანების წიგნში ნაშთების სიაზე.

მე-5 საფეხური

აქ ცხადია, ეს შეცდომა გავლენას მოახდენს მაკონტროლებელ ანგარიშზე და არა კრედიტორული დავალიანების წიგნზე. შესწორება კეთდება შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დებეტი შესყიდვების ბუღალტრული წიგნის მაკონტროლებელი ანგარიში
კრედიტი გაყიდვების ბუღალტრული წიგნის მაკონტროლებელი ანგარიში

შესყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში

| 20X9 | \$ | 20X9 | \$ |
|---------------------|---------------|-----------|---------------|
| მიღებული ფასდათმობა | 1,715 | 31 მარტი | |
| კონტრა | 2,004 | პ/დ ნაშთი | 21,832 |
| პ/ბ ნაშთი | 20,113 | შესყიდვა | 2,000 |
| | <u>23,832</u> | | <u>23,832</u> |
| | | პ/დ ნაშთი | 20,113 |

ინდივიდუალური ნაშთების შეჯერება მაკონტროლებელი ანგარიშის ნაშთთან

| | |
|--|---------------|
| | \$ |
| ნაშთების ამონარიდი | 19,766 |
| საკრედიტო ნაშთის არასწორი ასახვა 2 x \$205 | 410 |
| გადახდა მცირე სალაროდან | (63) |
| ნეტო ჯამი ემთხვევა მაკონტროლებელ ანგარიშს | <u>20,113</u> |

შეამოწმე შენი ცოდნა 2

მის Ray არის ქოლგებით მოვაჭრე საწარმო, რომელსაც აქვს კორპორაციული ლოგო. ქოლგების უმეტესობა იყიდება კრედიტით. ბუღალტერი აწარმოებს გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიშის ნაშთის, \$172,120-ის შეჯერებას დებიტორული დავალიანების მქონე ინდივიდუალური ანგარიშების ნაშთის ჯამთან \$176,134-თან. არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

1. კონტრალური გატარება \$1,500 ჩანაწერი არ გაკეთებულა გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელ ანგარიშში;
2. მყიდველიდან \$555 ოდენობის ჩეკი დაბრუნდა გაუნაღებელი. სწორი ორადი გატარება გაკეთდა, მაგრამ ინდივიდუალურ ანგარიშში არ გაკეთებულა ჩანაწერი;
3. მყიდველის მიერ გადახდილი ფულადი სახსრები \$322 არასწორად ჩაიწერა დებიტორული დავალიანების ანგარიშში, როგორც \$233;
4. გაცემული ფასდათმობა \$120 არ ჩაწერილა მაკონტროლებელ ანგარიშში;
5. მყიდველისაგან მიღებული \$800 ჩაიწერა ინდივიდი მყიდველის ანგარიშში დებეტის მხარეს;
6. სააღრიცხვო ფირმისადმი Close & Counter \$4,500 ოდენობის კრედიტით გაყიდვა სწორად ჩაიწერა ინდივიდუალურ ანგარიშში, მაგრამ არ ჩაწერილა მაკონტროლებელ ანგარიშში.

გააკორექტირეთ გაყიდვების ბუღალტრული წიგნის მაკონტროლებელი ანგარიში და შეაჯერეთ იგი დებიტორული დავალიანების მქონე ინდივიდუალურ ანგარიშებზე არსებული ნაშთების ჯამთან.

შემოწმე შენი ცოდნა 3

ტომიმ მომწოდებლის კეტისაგან მიიღო ანგარიში, რომლის ნაშთია \$14,810. ტომის კრედიტორული დავალიანების ანგარიშში ნაშთი \$10,000-ს შეადგენს. შემოწმებამ აჩვენა შემდეგი:

1. ტომისათვის გადახდილი ფული \$4,080 კეტს ჯერ არ უღიარებია;
2. ტომიმ ჩაიწერა ფაქტი, რომ კეტიმ არ გასცა \$40 ფასდაკლება, მაგრამ დააეიწყდა ამის გატარება თავისი კრედიტორული დავალიანების ანგარიშში.

რა სხვაობა დარჩა ტომის და კეტის ჩანაწერებს შორის ზემოთ მოცემული პუნქტების გათვალისწინების შემდეგ?

- ა \$9,930
- ბ \$9,850
- გ \$770
- დ \$690

თავის რეზიუმე

მაკონტროლებელი ანგარიშები

- მაკონტროლებელი ანგარიშები შეიცავს იმ ოპერაციების ნაერებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში.
- ისინი ინდივიდუალურ საბუღალტრო ანგარიშებში ჩაწერილი ინფორმაციის სისწორის შემოწმების საშუალებას იძლევიან.
- ისინი ორადი გატარების ნაწილს შეადგენს.

ინდივიდუალური ბუღალტრული ანგარიშები

- ბუღალტრული ანგარიშები შეიცავს თითოეული მყიდველის/ მომწოდებლის ანგარიშს ცალ-ცალკე.
- ისინი ინფორმაციის შეიცავს, მაგრამ არ არის ორადი გატარების ნაწილი.

მაკონტროლებელი ანგარიშების შმაჯამება

- ისინი საშუალებას იძლევიან შემოწმების, ემთხვევა თუ არა მაკონტროლებელი ანგარიშის ნაშთი ინდივიდუალური ანგარიშების ნაშთს.
- შეცდომა შეიძლება დაშვებული იყოს ინდივიდუალურ ან მაკონტროლებელ ანგარიშებში, ან ორივეში ერთად.

მაკონტროლებელი ანგარიშების შმაჯამება ანგარიშის მომზადება

- შედარეთ მაკონტროლებელი და ინდივიდუალური ანგარიშების ნაშთები.
- გადახედეთ შეცდომების ჩამონათვალს და გადაწვეიტეთ, რომელ ანგარიშში უნდა გასწორდეს იგი.
- შეადგინეთ T-ანგარიშის ფორმის მაკონტროლებელი ანგარიში.
- მოამზადეთ ანგარიშების შეჯერების ანგარიში.

შეამოწმე შენი პასუხები

შეამოწმე შენი ცოდნა 1

ქვემოთ ჩამოთვლილია მიზეზები, რის გამოც შესაძლებელია დებიტორული დავალიანების ინდივიდუალური ანგარიშების ნაშთების ჯამი და მაკონტროლებელი ანგარიშების ნაშთი ერთმანეთს არ დაემთხვეს:

- გაყიდვების, უკანდაბრუნებული გაყიდული საქონლის, ან სალაროს მიღების პირველადი გატარების წიგნები არასწორადაა დაჯამებული;
- პირველადი გატარების წიგნებიდან ჯამების ნაცვლად სხვა ციფრია გადატანილი მაკონტროლებელ ანგარიშებში;
- პირველადი გატარების წიგნიდან არასწორი ციფრია გადატანილი მყიდველის ინდივიდუალურ ანგარიშში;
- მაკონტროლებელ ანგარიშში, ან მყიდველის ინდივიდუალურ ანგარიშში გატარება გამორჩენილია, ან არასწორ მხარესაა გაკეთებული ჩანაწერი;
- პირველადი გატარების ჟურნალიდან არასწორი ორადი გატარებაა გაკეთებული;
- მყიდველის ინდივიდუალური ანგარიში არასწორადაა დაჯამებული;
- დებიტორული დავალიანების ნაშთები არასწორადაა დაჯამებული;
- გატარება გაკეთდა ან მხოლოდ მაკონტროლებელ ანგარიშში, ან ინდივიდუალურ ანგარიშში, მაგრამ არა ორივე ადგილზე;
- ინდივიდუალური დებიტორული დავალიანების ნაშთი გამორჩა ნაშთების სიაში.

შეამოწმე შენი ცოდნა 2

გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში

| | \$ | | \$ |
|----------------------|----------------|------------------|----------------|
| პ/დ ნაშთი | 172,120 | კონტრა (1) | 1,500 |
| კრედიტით გაყიდვა (6) | 4,500 | ფასდათმობები (4) | 120 |
| | | პ/ბ ნაშთი | 175,000 |
| | <u>176,620</u> | | <u>176,620</u> |
| პ/დ ნაშთი | 175,000 | | |

გაყიდვების ინდივიდუალური ნაშთების შეჯერება მაკონტროლებელი ანგარიშის ნაშთთან \$

| | |
|--|----------------|
| დებიტორული დავალიანების ნაშთების ამონარიდი | 176,134 |
| დაბრუნებული გაუნაღლებელი ჩეკი (2) | 555 |
| ციფრების გადანაცვლება (3) (322-233) | (89) |
| მიღებული ფულადი სახსრები (5) (800 x 2) | (1,600) |
| გაკორექტირებული ნაშთი | <u>175,000</u> |



შეამოწმე შენი ცოდნა 3


| სწორი პასუხია დ | კეტი \$ | ტომი \$ | |
|-----------------------|---------------|---------------|-----|
| სხვაობა | | | |
| ნაშთის ამონარიდი | 14,810 | 10,000 | |
| კორექტირება | (4,080) | 40 | |
| გაკორექტირებული ნაშთი | <u>10,730</u> | <u>10,040</u> | 690 |

ბანკის ამონაწერის შეჯერება

თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- დაასახელოთ ბანკის ამონაწერის შეჯერების მიზანი;
- განსაზღვროთ ბანკის ამონაწერსა და სალაროს წიგნს შორის არსებული ძირითადი განსხვავება;
- დაადგინოთ ბანკის ნაშთი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვად;
- გაასწოროთ სალაროს წიგნში დაშვებული შეცდომები და ჩანაწერის გამოტოვების შემთხვევები;
- მოამზადოთ ბანკის ამონაწერთან შეჯერების უწყისი;
- მოცემული ინფორმაციიდან გამოიყვანოთ ბანკის ანგარიშისა და სალაროს წიგნის ნაშთები.



1. ბანკის ამონაწერის შემაჯერებელი უწყისი

ბანკის ამონაწერის შემაჯერებელი უწყისის მომზადების მიზანია განსხვავების შეჯერება:

- სალაროს წიგნის ნაშთსა ე.ი. საწარმოს მიერ ბანკთან წარმოებული ყველა ოპერაციის ჩანაწერსა; და
- ბანკის ამონაწერის ნაშთს, ე.ი. ბანკის მიერ აღრიცხულ საწარმოს ყველა საბანკო ოპერაციას შორის.

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ბანკის ამონაწერში სადებეტო და საკრედიტო გატარებები შებრუნებით არის მოცემული, რადგან ბანკი თავისი პოზიციიდან უყურებს ოპერაციებს საწარმოს ავტონომიურობის კონცეფციიდან გამომდინარე.



განვრცობილი ტექსტი

ბანკის ამონაწერთან შემაჯერებელი უწყისის არსი და დანიშნულება

სალაროს წიგნში აღირიცხება ბანკთან წარმოებული ყველა ოპერაცია. ბანკის ამონაწერში აღირიცხება საწარმოს ყველა საბანკო ოპერაცია.

სალაროს წიგნში მოცემული ინფორმაცია ზუსტად იგივე უნდა იყოს, რაც ბანკის მიერ წარმოდგენილ ბანკის ამონაწერში და, ამგვარად, ჩვენი ჩანაწერები უნდა შეესაბამებოდეს საბანკო ამონაწერს.

ეს, ფაქტობრივად, ასეც არის, მაგრამ სამი მნიშვნელოვანი პირობით:

1. ბანკის ბუღალტრულ წიგნს გააჩნია საწარმოს სალაროს წიგნის საპირისპირო ჩანაწერი. ეს გამოწვეულია იმით, რომ ბანკი ნაშთის ჩაწერას ახორციელებს ცალკეული პირისათვის საკრედიტო ნაშთის სახით, ანუ როგორც ბანკის ვალდებულებას მოცემული პირის წინაშე. პიროვნებისათვის იგი, რა თქმა უნდა, აქტივია, ანუ სადებეტო ნაშთია მის სალაროს წიგნში;
2. დროებითი განსხვავებები გარდაუვალია. სალაროს წიგნში ჩეკით გადახდის ჩაწერა ზორციელდება მაშინ, როდესაც ჩეკი გამოიწერება. ბანკი ამგვარ ჩეკს მხოლოდ მაშინ აღრიცხავს, როდესაც ბანკი მას გაანაღდებს, რასაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს რამდენიმე დღის შემდეგ.
3. ისეთი მუხლი, როგორცაა ბანკის პროცენტი, შეიძლება გამოჩნდეს ბანკის ამონაწერში, მაგრამ ის არ იქნება აღრიცხული სალაროში, რადგან ბუღალტერმა არ იცის მის შესახებ.

ბანკის ამონაწერი მნიშვნელოვან კონტროლს წარმოადგენს კომპანიის აქტივების ისეთი ყველაზე სახიფათო მუხლის, როგორცაა ნაღდი ფული. მიუხედავად ამისა, ზემოთ ნახსენები სხვაობები აუცილებელს ხდის ბუღალტრული წიგნის ნაშთების შეჯერებას ბანკის ამონაწერის ნაშთებთან.

შეჯერება ხშირად ხდება, ჩვეულებრივ ყოველთვიურად.

2. ბანკის ამონაწერისა და სალაროს წიგნის ნაშთებს შორის არსებული განსხვავება

ბანკის ამონაწერისა და სალაროს წიგნის ნაშთების შეჯერებისას საჭიროა ორი ტიპის განსხვავების დადგენა:

1. აღურიცხავი მუხლები;
2. დროში განსხვავება.

2.1 აღურიცხავი მუხლები

ქვემოთ ჩამოთვლილია მუხლები, რომლებიც საბანკო ანგარიშზე ირიცხება, მაგრამ ჯერ არ არის აღურიცხული სალაროს წიგნში. ასეთი აღურიცხავი მუხლები შეიძლება იყოს:

- ბანკის საკომისიო თანხები;
- საბანკო პროცენტი (ოვერდრაფტებზე, ან მიღებული შემოსავალი);
- განკარგულება მუდმივ გადახდებსა და პირდაპირ საღებულო ჩამოწერაზე;
- საკრედიტო ტრანსფერები, როდესაც ფული პირდაპირ საწარმოს საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხება;
- დაბრუნებული გაუნაღლებელი ჩეკი. არსებობს ამის რამდენიმე მიზეზი:
 1. ვადაგასული ან გვიან გამოწერილი;
 2. შეუსაბამობა გამოწერილ და რეალურ თანხას შორის;
 3. ანგარიში დახურულია;
 4. ანგარიში „გაყინულია“.

ეს მუხლები შეტანილი არ არის სალაროს წიგნში, ვინაიდან საწარმო მათ წარმოქმნას მხოლოდ ბანკის ამონაწერის მიღების შემდეგ შეიტყობს. ყველა ეს მუხლი სალაროს წიგნში უნდა ჩაიწეროს, რადგან ისინი მიეკუთვნება საწარმოს ფულად ოპერაციებს. ამით სალაროს წიგნი შესაბამისობაში მოვა ბანკის ამონაწერთან.

შეამოწმე შენი ცოდნა 1

სალაროს წიგნში რომელ მხარეს უნდა ჩაიწეროს შემდეგი აღურიცხავი მუხლები?

- ბანკის საკომისიო თანხები.
- საბანკო პროცენტი (ოვერდრაფტებზე, ან მიღებული შემოსავალი).
- განკარგულება მუდმივ გადახდებსა და პირდაპირ საღებულო ჩამოწერაზე.
- საკრედიტო ტრანსფერები, როდესაც ფული პირდაპირ საწარმოს საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხება.
- დაბრუნებული გაუნაღლებელი ჩეკი.

2.2 დროში განსხვავება

ქვემოთ ჩამოთვლილია მუხლები, რომლებიც სალაროს წიგნში ირიცხება, მაგრამ ბანკის საკლირინგო (უნაღლო ანგარიშსწორება, ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის გზით) პროცესების გამო ჯერ არ არის აღრიცხული ბანკის ამონაწერში. ასეთი აღურიცხავი მუხლები შეიძლება იყოს:

- დაურეგისტრირებული ან წარუდგენელი ჩეკი (ჩეკი გაგზავნილი მომწოდებლისათვის, მაგრამ ბანკის მიერ ჯერ არგანაღლებული);
- დაურეგისტრირებული ან აღურიცხავი დეპოზიტი (ჩეკი, რომელიც მიიღო საწარმომ, მაგრამ ჯერ ბანკს არ უღიარებია).

ბანკის ამონაწერის ნაშთი საჭიროებს კორექტირებას შემდეგი მუხლებით:

| | |
|--|----------|
| | \$ |
| ბანკის ამონაწერის ნაშთი | X |
| მინუს: | |
| დაურეგისტრირებული ან წარუდგენელი ჩეკი | (X) |
| პლუს: | |
| დაურეგისტრირებული ან აღურიცხავი დეპოზიტი | X |
| სალაროს წიგნის ნაშთი (კორექტირებული) | <u>X</u> |

2.3 შეცდომები სალაროს წიგნში

საწარმოს სალაროს წიგნში შეიძლება დაშვებული იყოს შეცდომები. ასეთი შეცდომებია:

- არასწორი ციფრის გადატანა;
- არასწორი დაჯამება;
- ციფრის გამოტოვება;
- ორმაგი ციფრის ჩაწერა
- არასწორ მხარეს ჩაწერა.

სალაროს წიგნის ნაშთი ამ შეცდომებით უნდა გაკორექტირდეს.

2.4 შეცდომები ბანკის ამონაწერში

ბანკმა შეიძლება დაუშვას შეცდომა, მაგ., სხვა საწარმოს ოპერაცია ჩაწეროს ჩვენი საწარმოს ბანკის ამონაწერში. ბანკის ამონაწერის ნაშთი ამ შეცდომებით უნდა გაკორექტირდეს.



განვრცობილი ტექსტი

გაცემული წარუდგენელი ჩეკები

დაეუშუათ, Poorboy-მ მომწოდებლისათვის გამოწერა ჩეკი, რომელსაც ხელი მოეწერა და ფოსტით გაიგზავნა 29 მარტს. იმავე დღეს იგი შეიტანეს სალაროს წიგნში. იმ დრომდე, სანამ მომწოდებელმა ჩეკი არ მიიღო და არ წარადგინა თავის საბანკო ანგარიშზე, ხოლო ბანკმა არ განახორციელა საკლირინგო ოპერაციები, აღნიშნული ჩეკი არ იქნა შეტანილი Poorboy-ის ანგარიშში, დაეუშუათ, 6 აპრილამდე.

Poorboy-ი ამ გადახდის თარიღად მიიჩნევა 29 მარტს (და შეამცირებდა კრედიტორულ დავალიანებას) და ჩათვლიდა, რომ თავის სალაროს წიგნში მოცემული ნაშთი რეალურ მდგომარეობას ასახავდა მოცემული თარიღისათვის.

მიღებული აღურიცხავი ჩეკები

ანალოგიურად, მომწოდებელმა 31 მარტს შესაძლოა მიიღოს ჩეკები, რომლებსაც ის სალაროს წიგნში შეიტანს და ბანკში იმავე დღეს წარადგენს. მიუხედავად ამისა, ეს ჩეკები შესაძლოა არ მოხვდეს ბანკის ამონაწერში 2 აპრილამდე. კვლავ მიიჩნევა, რომ სალაროს წიგნი რეალურ მდგომარეობას ასახავს. აღურიცხავი ჩეკები ასევე ცნობილია როგორც აღურიცხავი დეპოზიტები.

3. სალაროს წიგნის კორექტირების ფორმა

| | | | |
|-----------------------------|----|--------------------------------|----|
| | \$ | | \$ |
| პ/დ ნაშთი | X | სალაროს შეცდომა | X |
| საკრედიტო ტრანსფერები | X | დაბრუნებული გაუნაღლებელი ჩეკი | X |
| საბანკო პროცენტი (დეპოზიტი) | X | ბანკის საკომისიო თანხები | X |
| სალაროს შეცდომა | X | საბანკო პროცენტი (ოვერდრაფტზე) | X |
| | | განკარგულება მუდმივ გადახდებზე | X |
| | | პირდაპირი სადებეტო ჩამოწერა | X |
| კორექტირებული პ/ბ ნაშთი | X | კორექტირებული პ/ბ ნაშთი | X |
| | X | | X |
| კორექტირებული პ/დ ნაშთი | X | კორექტირებული პ/დ ნაშთი | X |

ბანკის ამონაწერის შეჯერება

| | |
|--|-------|
| | \$ |
| ბანკის ამონაწერის ნაშთი | X |
| დაურეგისტრირელი ან წარუდგენელი ჩეკი | (X) |
| დაურეგისტრირებული ან აღურიცხავი დეპოზიტი | X |
| სხვა კორექტირებები ბანკის ამონაწერში | X/(X) |
| სალაროს წიგნის ნაშთი (კორექტირებული) | X |

- ყურადღება მიაქციეთ ოვერდრაფტს ბანკის ამონაწერში.
- ყურადღება მიაქციეთ დებეტებსა და კრედიტებს ბანკის ამონაწერში.
- ყურადღება მიაქციეთ დაგროვილ დეპოზიტებს ბანკის ამონაწერში.
- გახსოვდეთ, რომ ბანკის ნაშთი ბალანსში ყოველთვის არის სალაროს კორექტირებული ნაშთი.



შეამოწმე შენი ცოდნა 2

სწარმოს ბანკის ამონაწერის შეჯერების მომზადებისას ბუღალტერმა აღმოაჩინა, რომ განსხვავება სალაროსა და ბანკის ნაშთებს შორის გამოწვეულია შემდეგი მუხლების გამო:

1. პირდაპირი დებეტი \$530.
2. აღურიცხავი დეპოზიტი \$1,200.
3. დაბრუნებული გაუნაღლებელი ჩეკი \$234.
4. წარუდგენელი ჩეკი \$677.
5. ბანკის საკომისიო თანხები \$100.
6. ბანკის შეტემა \$2,399 (ანგარიშზე არასწორად დაკრედიტებული ჩეკი). რომელი მუხლი მოითხოვს სალაროში კორექტირებას?

- ა 3, 4 და 6
 ბ 1, 3 და 5
 გ 1, 2 და 4
 დ 2, 5 და 6



შეამოწმე შენი ცოდნა 3

შპს N Patel-ის ჩანაწერებიდან ამოღებულია შემდეგი ინფორმაცია:

სალაროს წიგნი

| | | \$ | | | ჩეკის № | \$ | | |
|----|------|---------------------|---------------|----|---------|-----------|-----|---------------|
| 1 | დებე | პ/დ ნაშთი | 16,491 | 1 | დებე | ალექსი | 782 | 857 |
| 2 | დებე | აბელი | 962 | 6 | დებე | ბურგესი | 783 | 221 |
| | | ბეიკერი | 1,103 | 14 | დებე | ბარი | 784 | 511 |
| 10 | დებე | ჩარლი | 2,312 | 17 | დებე | კეტი | 785 | 97 |
| 14 | დებე | დელტა | 419 | 24 | დებე | ჰეი | 786 | 343 |
| 21 | დებე | ეკო | 327 | 29 | დებე | ქირა | 787 | 260 |
| 23 | დებე | გაყიდვა ნაღდი ფულით | 529 | | | | | |
| 30 | დებე | ფრედი | 119 | 31 | დებე | პ/ბ ნაშთი | | 19,973 |
| | | | <u>22,262</u> | | | | | <u>22,262</u> |

High Street ბანკი

შპს N Patel-ის ბანკის ამონაწერი

| თარიღი | შინაარსი | გასვლა | შემოსვლა | ნაშთი |
|--------|----------|------------|----------|--------|
| | | \$ | \$ | \$ |
| 1 | დებე | პ/დ ნაშთი | | 17,478 |
| 2 | დებე | ჩეკი № 780 | 426 | |
| 2 | დებე | ჩეკი № 781 | 737 | 16,315 |
| 2 | დებე | დეპოზიტი | | 176 |
| | | | | 16,491 |

| | | | | |
|--------|-----------------------------------|-----|-------|--------|
| 5 დეკ | ჩეკი № 782 | 857 | | |
| 5 დეკ | ბანკის საკომისიო | 47 | | 15,587 |
| 6 დეკ | დეპოზიტი (Alba, Baker) | | 2,065 | 17,652 |
| 10 დეკ | განკარგულება მუღმივ გადახდებზე | 137 | | 17,515 |
| 11 დეკ | ჩეკი № 783 | 212 | | 17,303 |
| 13 დეკ | დეპოზიტი | | 2,312 | 19,615 |
| 17 დეკ | ჩეკი № 784 | 511 | | 19,104 |
| 17 დეკ | დეპოზიტი (Delta) | | 419 | 19,523 |
| 23 დეკ | დეპოზიტი (Echo) | | 327 | 19,850 |
| 24 დეკ | დეპოზიტი | | 528 | 20,378 |
| 28 დეკ | ჩეკი № 786 | 343 | | 20,035 |
| 30 დეკ | ჩეკი № 310923 | 297 | | 19,738 |
| 31 დეკ | პ/ბ ნაშთი | | | 19,738 |

ა) მოამზადეთ ბანკის ამონაწერის შემაჯერებელი უწყისი 1 დეკემბრისათვის.
 ბ) გააკორექტირეთ სალაროს წიგნი 31 დეკემბრისათვის.
 გ) მოამზადეთ ბანკის ამონაწერის შემაჯერებელი უწყისი 31 დეკემბრისათვის.

შემოწმე შინი ცოდნა 4

ქვემოთ მოცემულია ემის სალაროს წიგნიდან ინფორმაცია 20X6 წლის დეკემბრის თვისთვის:

| სალაროს წიგნი | | | |
|-------------------|--------------|-----------|--------------|
| | \$ | | \$ |
| თანხის შემოსვლები | 1,469 | პ/დ ნაშთი | 761 |
| პ/ბ ნაშთი | <u>554</u> | გადახდები | <u>1,262</u> |
| | <u>2,023</u> | | <u>2,023</u> |


ყველა შემოსულობა შეტანილია ბანკში და ყველა გადახდა განხორციელებულია ჩეკით. შემოწმების შედეგად აღმოაჩინეს:

1. ბანკის საკომისიო ხარჯები \$136 შეტანილია ბანკის ამონაწერში, მაგრამ ჯერ არ არის შეტანილი სალაროს წიგნში;
2. \$267 ჩეკი გამოიწერა, მაგრამ ჯერ არ წარუდგენიათ ბანკში გადასახდელად;
3. \$22 ჩეკი ჩაიწერა სალაროში როგორც შემოსულობა გადახდის ნაცვლად;
4. \$6-ზე გამოწერილი ჩეკი სალაროში გატარდა როგორც \$66.

რა ნაშთია ნაჩვენები ბანკის ამონაწერში 20X6 წლის 31 დეკემბრისათვის კორექტირებამდე?

ა \$913
 ბ \$941 ოვერდრაფტი
 გ \$941
 დ \$407 ოვერდრაფტი

თავის რეზიუმე



შეამოწმე შენი პასუხები

| შეამოწმე შენი ცოდნა 1 | | | |
|-----------------------|----|--|----|
| სალაროს წიგნი | | | |
| | \$ | | \$ |
| საპროცენტო შემოსავალი | X | ბანკის საკომისიო | X |
| პირდაპირი კრედიტი | X | პირდაპირი დებეტი/ განკარგულება გადახდაზე | X |
| | | დაბრუნებული გაუნაღდებელი ჩეკი | X |
| | | პროცენტი ოვერდრაფტზე | X |

| შეამოწმე შენი ცოდნა 2 | |
|-----------------------|--|
| სწორი პასუხია ბ | |

| შეამოწმე შენი ცოდნა 3 | |
|--|---------|
| ა) ბანკის ამონაწერის შემჯერებელი უწყისი 1 დეკემბრისათვის | \$ |
| ბანკის ამონაწერის ნაშთი | 17,478 |
| მინუს: | |
| დაურეგისტრირებული ან წარუდგენელი ჩეკი (\$426 + 737) | (1,163) |
| პლუს: | |
| დაურეგისტრირებული ან აღურიცხავი დეპოზიტი | 176 |
| სალაროს წიგნის ნაშთი (კორექტირებული) 1 დეკემბრისათ. | 16,491 |

ბ) სალაროს წიგნის ნაშთის კორექტირება

| სალაროს წიგნი | | | |
|---------------------------------|---------------|-------------------------------|---------------|
| | \$ | | \$ |
| 31/XII პ/დ ნაშთი | 19,973 | დეპოზიტის სხვაობა (\$529-528) | 1 |
| | | ბანკის საკომისიო | 47 |
| № 783 ჩეკის შეცდომა (\$221-212) | 9 | განკარგულება გადახდაზე | 137 |
| | | კორექტირებული პ/ბ ნაშთი | 19,797 |
| | <u>19,982</u> | | <u>19,982</u> |
| კორექტირებული პ/დ ნაშთი | 19,797 | | |

| გ) ბანკის ამონაწერის შემაჯერებელი უწყისი 31 დეკემბრისათვის | \$ |
|--|--------|
| ბანკის ამონაწერის ნაშთი | 19,738 |
| მინუს: | |
| დაურეგისტრირებული ან წარუდგენელი ჩეკი (\$97 + 260) | (357) |
| პლუს: | |
| დაურეგისტრირებული ან აღურიცხავი დეპოზიტი (ფრედი) | 119 |
| ბანკის შეცდომა (ჩეკი 310923) | 297 |
| სალაროს წიგნის ნაშთი | 19,797 |

შეამოწმე შენი ცოდნა 4

სწორი პასუხია დ

| | | სალაროს წიგნი | |
|------------------------|------------|----------------------|------------|
| | \$ | | \$ |
| კორექტირებები ჩეკი (4) | 60 | პ/დ ნაშთი | 554 |
| პ/ბ ნაშთი | 674 | ბანკის საკომისიო (1) | 136 |
| | | შეცდომა (3) | 44 |
| | <u>734</u> | | <u>734</u> |
| | | პ/დ ნაშთი | 674 |

ბანკის ამონაწერის შეჯერების უწყისი

20X6 წლის 31 დეკემბერს

\$

\$

ბანკის ამონაწერის ნაშთი

20X6 წლის 31 დეკემბერს

(407)

(ოვერდრაფტი) (დამაბ.)

მინუს: გამოწერილი, მაგრამ ჯერ

წარუდგენელი ჩეკი (2)


(267)

სალაროს წიგნის ნაშთი

20X6 წლის 31 დეკემბერისათვის

(674)

(ოვერდრაფტი)




შეცდომების კორექტირება და დამხმარე ანგარიში


თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- განსაზღვროთ შეცდომის ტიპები, რომლებიც შეიძლება შეგვხვდეს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში;
- გამოავლინოთ შეცდომები, რომლებიც საცდელი ბალანსის შედგენისას შეუმჩნეველია;
- განსაზღვროთ შეცდომები, რომლებიც დამხმარე ანგარიშის შედგენას იწვევს;
- განსაზღვროთ დამხმარე ანგარიშის გამოყენების მიზანი;
- მოამზადოთ ჟურნალური ჩანაწერები დაშვებული შეცდომების გასასწორებლად და დამხმარე ანგარიშის გასანულებლად;
- მოამზადოთ შესწორებული შეცდომებით კორექტირებული მოგების ანგარიში.



1. შეცდომის ტიპები



1.1 შეცდომები, რომლის დროსაც საცდელი ბალანსი მაინც ბალანსდება

- გამოტოვება** ოპერაცია სრულიად გამოტოვებულია ბუღალტრული ჩანაწერებიდან, მაგ., გამოტოვებულია \$100 ნაღდი ანგარიშსწორებით გაყიდვის ოპერაციის გატარება (არ გაკეთებულა არც საღებეტო, არც საკრედიტო გატარება).

- **დავალების შეცვლა** ოპერაცია ჩაიწერა სხვა ანგარიშზე შეცდომით მაგ. \$500 კომუნალური გადასახადი ჩაიწერა იჯარის ანგარიშში შეცდომით. (ღებუტი ჩაიწერა ღებუტში).
- **პრინციპის დარღვევა** ოპერაცია კონცეპტუალურად არასწორად გატარდა, მაგ., \$1,000 გრძელვადიანი აქტივის შექმნა დაღებულა ამ აქტივის შეკეთების ხარჯის ანგარიშში ან გაყიდვა დაკრედიტდა კაპიტალის ანგარიშში.
- **მაკონპენსირებელი** დაშვებულია ორი სხვადასხვა შეცდომა, რომლებიც ერთმანეთს ფარავს, მაგ., იჯარის გადასახადი \$1,200 ჩაიწერა იჯარის ღებუტის მხარეს, როგორც \$1400, ხოლო გაყიდვების ანგარიშის დაჯამებისას დაშვებულმა შეცდომამ გამოიწვია გაყიდვების \$200-ით გადამეტება (ე.ი. ღებუტი და კრედიტი \$200-ით გადამეტებულია თანაბრად).
- **თავდაპირველი გატარება** ორადი გატარება სწორადაა გაკეთებული, მაგრამ არასწორი თანხით, მაგ., \$76 ნაღდი ანგარიშსწორებით გაყიდვა ჩაიწერა როგორც \$67.
- **საპირისპირო გატარება** თანხის გატარება გაკეთდა საჭირო ანგარიშზე, მაგრამ არასწორ მხარეს, მაგ., \$200 ნაღდი ანგარიშსწორებით გაყიდვა დაღებულა გაყიდვის ანგარიშში და დაკრედიტდა სალაროში.

აღნიშნული შეცდომების კორექტირებისას სწორი მიდგომა იქნება გაითვალისწინოთ:

1. რა ორადი გატარება გაკეთდა? (იყო გაკეთებული);
2. რა ორადი გატარება უნდა გაკეთებულიყო? (უნდა გაკეთდეს);
3. ამგვარად, რა კორექტირება მოითხოვება? (შეცდომის გასწორება).

ყოველთვის გახსოვდეთ, თუ ერთი მხარის გატარება არ არის ნახსენები, ის სწორადაა გაკეთებული.



შეამოწმე შენი ცოდნა 1

მომზადეთ ყურნალური ჩანაწერები, რათა გაასწოროთ თითოეული დაშვებული შეცდომა:

1. არ გაუტარებიათ \$100 ნაღდი ანგარიშსწორებით გაყიდვის ოპერაცია;
2. \$500 კომუნალური გადასახადის ხარჯის ნაღდი ანგარიშსწორება შეცდომით დაღებულა იჯარის ანგარიშზე;
3. \$1,000 გრძელვადიანი აქტივის კრედიტით შექმნა დაღებულა ამ აქტივის შეკეთების ხარჯის ანგარიშზე;

4. იჯარის გადასახადი \$1,200-ის ნაღდი ანგარიშსწორება დადებულა იჯარის ანგარიშში როგორც \$1400 და გაყიდვების ანგარიშის დაჯამებისას დაშვებულმა შეცდომამ გამოიწვია გაყიდვების \$200-ით გადამეტება;
5. \$76 ნაღდი ანგარიშსწორებით გაყიდვა ჩაიწერა როგორც \$67;
6. \$200 ნაღდი ანგარიშსწორებით გაყიდვა დადებულა გაყიდვის ანგარიშში და სალაროში დაკრედიტდა.

1.2 შეცდომები, რომელთა დროსაც საცდელი ბალანსი არ ბალანსდება

- ერთ მხარეს გატარება – სადებეტო გატარება გაკეთდა, მაგრამ არ გაკეთდა საკრედიტო გატარება, ან პირიქით.
- გაკეთდა სადებეტო და საკრედიტო გატარებები, მაგრამ სხვადასხვა ციფრი ჩაიწერა.
- ორივე გატარება გაკეთდა, მაგრამ ერთსა და იმავე მხარეს.
- არასწორად დაჯამდა ნაშთი ინდივიდუალურ ანგარიშში, ე.ი. არასწორად დაჯამება.
- პერიოდის დასაწყისის ნაშთი არ გადმოიტანეს წინა წლიდან.
- არასწორი ციფრის გადმოწერა – საცდელ ბალანსში ჩაწერილი ნაშთი განსხვავდება სათანადო ბუღალტრული ანგარიშის ნაშთისაგან.

თუ საცდელი ბალანსის დებეტისა და კრედიტის მხარეები ერთმანეთი ტოლი არ არის, მაშინ დამხმარე ანგარიში იხსნება, რათა მოხდეს დებეტისა და კრედიტის გათანაბრება:

| | \$ | \$ |
|-------------------------|-------|-------|
| გრძელვადიანი აქტივი | 5,000 | |
| დებიტორული დავალიანება | 550 | |
| მარაგი | 1,000 | |
| ფული სალაროში | 200 | |
| კრედიტორული დავალიანება | | 600 |
| სესხი | | 2,000 |
| კაპიტალი | | 4,000 |
| დამხმარე ანგარიში | | 150 |
| | 6,750 | 6,750 |

ნაშთი დამხმარე ანგარიშში უნდა განუღდეს საბოლოო ფინანსური ანგარიშგებების მომზადებამდე.

ზემოთ ჩამოთვლილი ექვსივე შეცდომის გასწორება მოხდება დამხმარე ანგარიშის საშუალებით.

საკითხისადმი მიდგომა:

- აირჩიეთ ადრე გამოყენებული მეთოდი.
- გამოიყენეთ დამხმარე ანგარიში დებეტისა და კრედიტის გასათანაბრებლად და შემდეგ ჩაწერეთ ჟურნალში, როგორც შეცდომების კორექტირების ნაწილი. დამხმარე ანგარიშის გატარება იქნება სწორი გატარების საპირისპირო გატარება.

მაგ., \$100-ის ღირებულების გრძელვადიანი აქტივის შეძენისას გაკეთდა ორადი გატარება: დებეტი გრძელვადიანი აქტივი \$10 და კრედიტი სალარო \$100.

| რა ორადი გატარება გაკეთდა? | რა ორადი გატარება უნდა გაკეთებულიყო? | კორექტირების ჟურნალი |
|--|--------------------------------------|---------------------------------|
| დებეტი გრძელვადიანი აქტივი \$10 | დებეტი გრძელვადიანი აქტივი \$100 | დებეტი გრძელვადიანი აქტივი \$90 |
| (დ-ტი დამხმარე ანგ. \$90) კრედიტი სალარო \$100 | | კრედიტი დამხმარე ანგარიში \$90 |

- როცა პერიოდის დასაწყისის ნაშთი არ არის გადმოტანილი, ჩაწერეთ ის ჟურნალში და საპირისპირო გატარება გააკეთეთ დამხმარე ანგარიშში.
- შეცდომების გასწორების ჟურნალი ყოველთვის უნდა შეიცავდეს თანაბარ სადებეტო და საკრედიტო გატარებებს.



განერცობილი ტექსტი

დამხმარე ანგარიში წარმოადგენს ანგარიშს, რომელშიც დებეტის ან კრედიტის მხარეს თანხები აისახება საკმარისი ინფორმაციის მოპოვებამდე და აღნიშნული თანხების შესაფერის ანგარიშებში გადატანამდე.

დამხმარე ანგარიშები ხშირად გვხვდება და მათ მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ორადი გატარებების ჩვეულებრივი წესები.

დამხმარე ანგარიშების შექმნის ორი ძირითადი მიზეზი არსებობს:

- საცდელი ბალანსის შედგენისას დებეტისა და კრედიტის ნაშთების ჯამი ერთმანეთის ტოლი არ არის და სხვაობა იწერება დამხმარე ანგარიშის იმ მხარეს, რომელიც ნაკლებია;
- როდესაც მონაგარიშე არ არის დარწმუნებული, რომელ ანგარიშში ასახოს ბუღალტრული გატარების მეორე მხარე, მას შეუძლია დამხმარე ანგარიშის დადებებზე ან დაკრედიტება და ამ გატარების შენარჩუნება მისი საბოლოო ადგილის გარკვევამდე.



შეამოწმე შენი ცოდნა 2

კომპანიის საცდელი ბალანსის დებეტის მხარე \$1200-ით მეტია, ვიდრე კრედიტის. ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი გატარება წარმოქმნის სხვაობას?

- ა) მცირე სალაროს ნაშთი \$1,200 გამორჩათ საცდელი ბალანსიდან.
- ბ) მისაღები საპროცენტო შემოსავლის \$1,200 მიღება გამორჩათ გატარებიდან.
- გ) მანქანა-დანადგარების შეკეთების ხარჯი \$600 სწორად ჩაწერეს სალაროს წიგნში და დააკრედიტეს მანქანა-დანადგარების თვითღირებულების ანგარიშში.
- დ) \$600 მიღებული ფასდათმობა დადებულა გაცემული ფასდათმობის ანგარიშზე.



შეამოწმე შენი ცოდნა 3

შპს Bond-ის საცდელი ბალანსი არ დაბალანსდა და სხვაობა დამხმარე ანგარიშში ჩაიწერა. შპს Bond-ი არ აწარმოებს შესყიდვებისა და გაყიდვების მაკონტროლებელ ანგარიშებს. შემდეგი შეცდომები აღმოჩნდა შპს Bond-ის ბუღალტრულ ჩანაწერებში:

- 1. გრძელვადიანი აქტივის გაყიდვის გატარებისას \$33,000 ფულის მიღება დაკრედიტდა აქტივის გასვლის ანგარიშში, როგორც \$30,000;
- 2. დარიცხვის საწყისი ნაშთი \$340 გამორჩენილია საცდელ ბალანსში;
- 3. მანქანა-დანადგარების შეკეთების თანხა \$8,900 სწორად ჩაიწერა სალაროს ანგარიშში, მაგრამ დაკრედიტდა აქტივის თვითღირებულების ანგარიშზე;
- 4. მანქანის შესყიდვისათვის გადახდილი \$12,000-ის ღირებულების ჩეკი დადებულა მანქანის თვითღირებულების ანგარიშზე, როგორც \$21,000.

რომელი შეცდომების გასწორება მოითხოვს დამხმარე ანგარიშში გატარებას?

- ა 1, 3 და 4
- ბ ყველა
- გ 1 და 4
- დ 2 და 3



შეამოწმე შენი ცოდნა 4

1. საცდელი ბალანსის შედგენისას ETT-ის ბუღალტერმა აღმოაჩინა დამხმარე ანგარიში, რომლის სადებეტო ნაშთი შეადგენდა \$1,075-ს; მან აღმოაჩინა აგრეთვე, რომ სადებეტო ნაშთები საკრედიტო ნაშთებს \$957-ით აღემატებოდა. ბუღალტერმა აღნიშნული სხვაობა გადაიტანა დამხმარე ანგარიშში და შემდეგ გამოიკვლია არსებული მდგომარეობა, რითაც დაადგინა, რომ:

1. საფოსტო გზავნილების ანგარიშის სადებეტო ნაშთი არასწორად იქნა გადმოტანილი, \$75-ის ნაცვლად ასახული იყო \$750;
 2. კრედიტორ X-თვის გადახდილი თანხა \$500-ის ოდენობით სწორად აისახა სალაროს წიგნში, მაგრამ კრედიტორის ანგარიშში საერთოდ არ გატარებულა;
 3. წლის განმავლობაში ავტომატური შექმნის ბუღალტრული აღრიცხვისას მოანგარიშებ არ იცოდა, რომელ ანგარიშში მოეხდინა სადებეტო გატარების ჩაწერა, ამიტომ \$1,575-ით დაადებულა დამხმარე ანგარიში, ხოლო ბანკის ანგარიში იმავე თანხით დააკრედიტა;
 4. სხვადასხვა შემოსავლის ანგარიშის საკრედიტო ნაშთი \$81 საცდელი ბალანსის შედგენისას არასწორად იქნა ჩაწერილი დებეტის მხარეს;
 5. დებიტორ Y-გან \$5-ის მიღება სწორად ჩაიწერა მის ანგარიშში, მაგრამ სალაროს წიგნში ჩაიწერა \$625;
 6. მოანგარიშებ ვერ შეძლო საწარმოს მულობელის პირადი ანგარიშიდან მიღებული \$500-ის ბუღალტრულად ასახვა, ამიტომ დაადებულა ბანკის ანგარიში და დააკრედიტა დამხმარე ანგარიში;
 7. დებიტორ M-გან \$120-იანი ჩეკის მიღება საერთოდ არ აღირიცხა;
 8. დებიტორ N-გან \$50-იანი ჩეკის მიღება მის ანგარიშსა და სალაროს წიგნში ჩაიწერა როგორც \$5-ის მიღება;
- რა უურნალური გატარებებია საჭირო შეცდომების გასასწორებლად და დამხმარე ანგარიშის გასაწესებლად?

2. მოგების ციფრის გაკორექტირება

შეცდომების კორექტირების უურნალმა შეიძლება გამოიწვიოს მოგების ციფრის შეცვლა. ეს დამოკიდებულია იმაზე, უურნალში მოგებისა და ზარალის ანგარიში დებეტდება თუ კრედიტდება:

| | | |
|-------------------|--|---------------------------------|
| დებეტი კრედიტი | ბალანსი ბალანსი | მოგებაზე გაველენას არ ახდენს |
| დებეტი კრედიტი | მოგებისა და ზარალის ანგარიში მოგებისა და ზარალის ანგარიში | მოგებაზე გაველენას არ ახდენს |
| დებეტი კრედიტი | მოგებისა და ზარალის ანგარიში ბალანსი | მოგება მცირდება |
| დებეტი კრედიტი | ბალანსი მოგებისა და ზარალის ანგარიში | მოგება იზრდება |

ამ მიზნით, დამხმარე ანგარიში განსაზღვრულია როგორც ბალანსის ანგარიში.



შეამოწმე შენი ცოდნა 5

მოგების კორექტირება

ბორისმა, სანტექნიკოსმა, შემდეგი შეცდომები აღრიცხა კორექტირების ჟურნალში:

| | | |
|-----------|-------------------------|---------|
| 1. დებიტი | დამხმარე ანგარიში | \$4,000 |
| კრედიტი | იჯარა | \$4,000 |
| 2. დებიტი | კრედიტორული დავალიანება | \$2,500 |
| კრედიტი | დამხმარე ანგარიში | \$2,500 |
| 3. დებიტი | სესხის პროცენტი | \$1,000 |
| კრედიტი | სესხი | \$1,000 |
| 4. დებიტი | დამხმარე ანგარიში | \$650 |
| კრედიტი | სხვადასხვა შემოსავალი | \$650 |
| 5. დებიტი | დამხმარე ანგარიში | \$6,000 |
| კრედიტი | ფული სალაროში | \$6,000 |

ბორისის მოგება ჟურნალური გატარებების გაკეთებამდე იყო \$355,000.

რა იქნება მოგების კორექტირებული ციფრი?

- ა \$354,000
- ბ \$358,650
- გ \$356,150
- დ \$358,000

თავის რეზიუმე

შეცდომები

შეცდომები, რომლის დროსაც საცდელი ბალანსი მანინტ ბალანსდება

- გამოტოვება
- დავალების შეცვლა
- პრონციპის დარღვევა
- მაკონპენსირებელი
- თავდაპირველი გატარება
- საპირისპირო გატარება

შეცდომები, რომლის დროსაც საცდელი ბალანსი არ ბალანსდება

- ერთი მხარის გატარება
- დ-ტი და კ-ტი სხვადასხვა ციფრია
- ორივე გატარება ერთ მხარესაა
- დაჯამების შეცდომები
- პერიოდის საწყისი ნაშთის არგადმოტანა
- ნაშთის არასწორად გადატანა

დამხმარე ანგარიში გამოიყენება საცდელი ბალანსის დასაბალანსებლად

შეცდომის კორექტირების შესრულება

ასწორებს შეცდომებს და აუქმებს დამხმარე ანგარიშს

შეცდომების კორექტირების შესრულების გავლენა მოგებაზე

| | | |
|------|------------------------------|-----------------------------|
| დ-ტი | მოგებისა და ზარალის ანგარიში | |
| კ-ტი | მოგებისა და ზარალის ანგარიში | მოგებაზე გავლენას არ ახდენს |
| დ-ტი | ბალანსი | |
| კ-ტი | ბალანსი | მოგებაზე გავლენას არ ახდენს |
| დ-ტი | მოგებისა და ზარალის ანგარიში | |
| კ-ტი | ბალანსი | მოგება მცირდება |
| დ-ტი | ბალანსი | |
| კ-ტი | მოგებისა და ზარალის ანგარიში | მოგება იზრდება |

(დამხმარე ანგარიში ბალანსის ანგარიშია)

შეამოწმე შენი პასუხები

| შეამოწმე შენი ცოდნა 1 | | | | | |
|---------------------------|--|---|---|--|--|
| (დ - დებეტი, კ - კრედიტი) | | | | | |
| | რა ორადი გატარება გაკეთდა? | რა გატარება უნდა გაკეთებულიყო | კორექტირების უურნალო | | |
| 1 | — | დ სალარო \$100 კ გაყიდვა \$100 | დ სალარო \$100 კ გაყიდვა \$100 | გაყიდვის ორივე მხარის სწორი გატარება | |
| 2 | დ იჯარა \$500 კ სალარო \$500 | დ კომუნალური გადასახადი \$500 კ სალარო \$500 | დ კომუნალური ხარჯის სწორი გატარება \$500 კ იჯარა \$500 | შესწორდა იჯარის ანგარიშზე არასწორი დადებულება | |
| 3 | დ შეკეთება \$1,000 კ კრედიტორული დავალ. \$1,000 | დ აქტივის თვითღირებულება \$1,000 კ კრედიტორული დავალიანება \$1,000 | დ აქტივის თვითღირებულება \$1,000 კ შეკეთება \$1,000 | შესწორდა შეკეთების ანგარიშზე არასწორი დადებულება | |
| 4 | დ იჯარა \$1,400 კ სალარო \$1,200 | დ იჯარა \$1,200 კ სალარო \$1,200 | დ გაყიდვა \$200 | გადაჭარბებით დაჯამების გასწორება კ იჯარა \$200 ზედმეტი \$200-ის სადებეტო გატარების გასწორება იჯარის ანგარიშზე. | |
| 5 | დ სალარო \$67 კ გაყიდვა \$67 | დ სალარო \$76 კ გაყიდვა \$76 | დ სალარო \$9 კ გაყიდვა \$9 | არაღრიცხული ზედმეტი \$9 გაყიდვის აღრიცხვა | |
| 6 | დ გაყიდვა \$200 კ სალარო \$200 | დ სალარო \$200 კ გაყიდვა \$200 | დ სალარო \$400 კ გაყიდვა \$400 | პირველად გასწორდა \$200 შეცდომა და შემდეგ გაკეთდა გაყიდვის სწორი გატარება ორივე ანგარიშზე. | |

| შეამოწმე შენი ცოდნა 2. | |
|--|--|
| სწორი პასუხია დ | |
| ა და გ შეცდომის გამო, საცდელი ბალანსის კრედიტი მეტი იქნებოდა დებეტზე \$1,200-ით. | |
| ბ შეცდომა არ მოახდენდა გავლენას საცდელ ბალანსზე, რადგან არ გაკეთებულა არც სადებეტო არც საკრედიტო გატარება. | |

შეამოწმე შენი ცოდნა 3

სწორი პასუხია ბ

თუ საცდელ ბალანსში გამოჩენილია რომელიმე გატარება, ან თავდაპირველი სადებეტო და საკრედიტო გატარებები არ იყო ერთმანეთის ტოლი, აუცილებელია დამხმარე ანგარიშში გატარების გაკეთება.

| რა ორადი გატარება გაკეთდა? | რა ორადი გატარება უნდა ყოფილიყო? | კორექტირების ჟურნალი |
|--|---|---|
| 1. დ სალარო \$33,000 კ აქტივის გასვლა \$30,000 (კ დამხმარე \$3,000) | დ სალარო \$33,000 კ აქტივის გასვლა \$33,000 | დ დამხმარე \$3,000 კ აქტივის გასვლა \$3,000 |
| 2. | | დ დამხმარე \$340 კ დარიცხვა \$340 |
| 3. (დ დამხმარე \$17,800) კ სალარო \$8,900 კ ტექნ. აღჭურ. თვითღირ. \$8,900 | დ შეკეთების \$8,900 კ სალარო \$8,900 | დ შეკეთების \$8,900 დ ტექნ. აღჭურ. თვითღირ. \$8,900 კ დამხმარე \$17,800 |
| 4. დ მანქანა-დანადგარების თვითღირებულ. \$21,000 კ სალარო \$12,000 (კ დამხმარე \$9,000) | დ მანქანა-დანადგარების თვითღირებულ. \$12,000 კ სალარო \$12,000 | დ დამხმარე \$9,000 კ მანქანა-დანადგარების თვითღირებულ. \$9,000 |

შეამოწმე შენი ცოდნა 4

| | რა ორადი გატარება გაკეთდა? | რა ორადი გატარება უნდა ყოფილიყო? | კორექტირების ჟურნალი |
|---|---|---|--|
| 1 | | | დ დამხმარე ანგ. \$675 კ საფოსტო გზავნილი \$675 |
| 2 | (დ დამხმარე ა. \$500) კ სალარო \$500 | დ (X) კრედიტორული დავალიანება \$500 კ სალარო \$500 | დ (X) კრედიტორული დავალიანება \$500 კ დამხმარე ანგ. \$500 |
| 3 | დ დამხმარე ა. \$1,575 კ ბანკი \$1,575 | დ მანქანის თვითღირებულება \$1,575 კ ბანკი \$1,575 | დ მანქანის თვითღირებულება \$1,575 კ დამხმარე ანგ. \$1,575 |
| 4 | | | დ დამხმარე ანგ. \$162 კ სხვადასხვა შემოსავალი \$162 |
| 5 | დ სალარო \$625 კ დებიტორული დავალიანება \$5 (კ დამხმარე ა. \$620) | დ სალარო \$5 კ დებიტორული დავალიანება \$5 | დ დამხმარე ანგ. \$620 კ სალარო \$620 |

| | | | |
|---|---|--|--|
| 6 | დ ბანკი \$500 კ დამხმარე \$500) | დ ბანკი \$500 კ კაპიტალი \$500 | დ დამხმარე \$500 კ კაპიტალი \$500 |
| 7 | — | დ ბანკი \$120 კ (M) დებიტორული დავალიანება \$120 | დ ბანკი \$120 კ (M) დებიტორული დავალიანება \$120 |
| 8 | დ სალარო \$5 კ (N) დებიტორული დავალიანება \$5 | დ სალარო \$50 კ (N) დებიტორული დავალიანება \$50 | დ სალარო \$45 კ (N) დებიტორული დავალიანება \$45 |

| დამხმარე ანგარიში | |
|---------------------------|--------------|
| | \$ |
| პ/დ ნაშთი | 1,075 |
| საფოსტო ტარიფი (1) | 675 |
| სხვადასხვა შემოსავალი (4) | 162 |
| ფული ბანკში (5) | 620 |
| კაპიტალი (6) | 500 |
| | <u>3,032</u> |

| | \$ | \$ |
|-------------------------------|----|--------------|
| საქდელი ბალანსის სხვაობა | | 957 |
| X კრედიტორული დავალიანება (2) | | 500 |
| მანქანა (3) | | 1,575 |
| | | <u>3,032</u> |

შეამოწმე შენი ცოდნა 5

სწორი პასუხია ბ

| | გაზრდა | შემცირება | |
|-----------------------------|--------|-----------|--------------|
| | \$ | \$ | \$ |
| მოგების საწყისი ციფრი | | | 355,000 |
| 1. იჯარა | 4,000 | | |
| 2. გავლენას არ ახდენს | | | |
| 3. სესხის პროცენტი | | 1,000 | |
| 4. სხვადასხვა შემოსავალი | 650 | | |
| 5. გავლენას არ ახდენს | | | |
| | | | <u>3,650</u> |
| კორექტირებული მოგების ციფრი | | | 358,650 |




საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება

თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- დაახასიათოთ საარტიცხოვო ჩანაწერების ფორმები ტიპურ კომპიუტერიზებულ სისტემაში;
- შეადაროთ ხელით აღრიცხვისა და კომპიუტერიზებული აღრიცხვის სისტემები;
- განსაზღვროთ კომპიუტერიზებული სისტემების უპირატესობანი და ნაკლოვანებანი;
- ახსნათ აღრიცხვის ინტეგრირებული პაკეტების გამოყენება;
- ახსნათ მიკროკომპიუტერების ბუნება და გამოყენების სფეროები;
- აღწეროთ აღრიცხვის კომპიუტერული სისტემის ძირითადი ელემენტები;
- აღწეროთ, რა წესით ხდება მონაცემთა დამუშავება;
- აღწეროთ, კიდევ რა საქმიანობაში შეიძლება კომპიუტერების გამოყენება;
- აღწეროთ ელექტრონული ცხრილების ბუნება და დანიშნულება;
- აღწეროთ მონაცემთა ბაზების ბუნება და დანიშნულება.



1. ხელით მუშაობის სააღრიცხვო სისტემა

ხელით აღრიცხვის ტიპური სისტემა შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

- პირველადი გატარების ცალკეული წიგნები, რომლებშიც საწარმო აღრიცხავს პირველად განხორციელებულ ოპერაციებს და არ წარმოადგენს ორადი გატარების ნაწილს;
- მთავარი წიგნი, წიგნი, რომელშიც ორადი ჩაწერის სისტემის თითოეული ბუღალტრული ანგარიშისათვის დათმობილია ადგილი;
- დამატებითი ბუღალტრული ანგარიშები, რომლებიდანაც ყველაზე მნიშვნელოვანი დებიტორული დავალიანების აღრიცხვის, კრედიტორული დავალიანების აღრიცხვისა და სალაროს წიგნები.



განვრცობილი ტექსტი

ხშირად ამ ჩანაწერებს აქვს წიგნის ფორმა, თუმცა მათ შეიძლება სხვა ფორმაც ჰქონდეთ. მაგალითად დებიტორული დავალიანების აღრიცხვის ჟურნალი შეიძლება იყოს ერთ ან მეტ მყიდველთან ინდივიდუალური ჩანაწერების ნაკრები. ამ ინდივიდუალური ჩანაწერების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია მყიდველის ანგარიშში გაკეთდეს განხორციელებული მრავალი ოპერაციის შესახებ დამატებითი ჩანაწერი, ან შეიქმნას ახალი ანგარიში ახალი მყიდველისათვის და კვლავ შენარჩუნებული იყოს მყიდველების ანბანის მიხედვით დალაგება.

ხშირად დამხმარე ჟურნალებს აქვთ არა ბუღალტრული ანგარიშების ფორმა, არამედ ისინი მოიცავს მიმდინარე დავალიანების რაოდენობას. მაგ.:

გაყიდვების ჟურნალი

მყიდველი: ლოგსი

| თარიღი | დებიტი | კრედიტი | ნაშთი |
|----------|--------------------------|----------|----------|
| | \$ | \$ | \$ |
| 1 მარტი | პერიოდის საწყისი ნაშთი | | 3,978.45 |
| 19 მარტი | ანგარიშ-ფაქტურა № 2354 | 1,549.00 | 5,527.45 |
| 23 მარტი | სალაროს შემოსავლის წიგნი | 3,978.45 | 1,549.00 |

როგორც ფორმაც უნდა ჰქონდეს ჟურნალს, ჩანაწერის მიზეზი და ორადი გატარების პრინციპი უცვლელი რჩება, იმის მიუხედავად, რომელი სისტემით მიმდინარეობს მუშაობა.

2. აღრიცხვის კომპიუტერიზებული სისტემები

კომპიუტერიზებული აღრიცხვის სისტემები შეიძლება იყოს:

- სრულად კომპიუტერიზებული;
- ნაწილობრივ კომპიუტერიზებული.

განვრცობილი ტექსტი

სრულად კომპიუტერიზებული სისტემა იმუშავებს იმავე პრინციპით, როგორც ხელით აღრიცხვის სისტემა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყველა ჩანაწერი შენახული იქნება ერთ ადგილზე – კომპიუტერის მყარ დისკზე. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ აღრიცხვის მთელ პერსონალს ხელი მიუწვდება ყველა მონაცემზე. მთელი სისტემა დაიყოფა სექციებად იმავე პრინციპით, როგორც ხელით აღრიცხვის სისტემის შემთხვევაში.

კომპიუტერიზებული სისტემის გამოყენების შემთხვევაში, კიდევ ერთი განსხვავება იქნება ის, რომ გამობეჭდილი მონაცემი ფორმით შეიძლება ძალზე განსხვავებული იყოს მონაცემის იმ ფორმისაგან, რაც გვხვდება ხელით აღრიცხვის სისტემაში. ეს განსაკუთრებით ითქმის მათემატიკური დაფორმებით.

მაშინ, როდესაც ხელით აღრიცხვის სისტემაში მათემატიკური დაფორმის წარმოადგენს ინტეგრირების ერთობლიობას, კომპიუტერიზებულ სისტემაში მათემატიკური დაფორმის, ალბათ, წარმოდგენილი იქნება დებუტებისა და კრედიტების არითმეტიკული სიის სახით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კომპიუტერიზებული სისტემა ვერ ასრულებს ორადი ჩაწერის ოპერაციას.

3. ხელით აღრიცხვისა და კომპიუტერიზებული აღრიცხვის სისტემების შედარება

თანამედროვე ბიზნესგარემოში კომპიუტერების გამოყენებას გააჩნია შემდეგი უპირატესი მხარეები:

- სისწრაფე;
- შენახული პროგრამები;
- გადაწყვეტილების მიღება;
- ფაილების შენახვა და დამუშავება;
- სიზუსტე და საიმპლოობა.

განვრცობილი ტექსტი

კომპიუტერიზაციის უპირატესი მხარეებია:

1. **სისწრაფე.** კომპიუტერი ძალიან სწრაფია – ბევრად სწრაფი, ვიდრე ოფისის მოხელე, ან გამოძიებელი მანქანა. საკმარისია სისწრაფეს შეიძლება ორგანიზაციის მნიშვნელობა ჰქონდეს:

- კომპიუტერმა შეიძლება შეასრულოს დიდი მოცულობის სამუშაო;
- კომპიუტერმა შეიძლება სწრაფად მოგვეცეს საჭირო შედეგი.

შეიძლება ერთი კომპანიისათვის, ძირითადად, მნიშვნელოვანი იყოს ის, რომ კომპიუტერი ამუშავებს დიდი მოცულობის შეკვეთებს, ხოლო მეორე კომპანიისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყოს შეკვეთების დამუშავების მაღალი სისწრაფე;

2. შენახული (დამახსოვრებული) პროგრამები. როდესაც პროგრამები დაიწერება და მათი ტესტირება მოხდება, კომპიუტერს შეუძლია დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება მინიმალური შრომითი დანახარჯებით. საჭიროა ოპერატორების მხოლოდ მცირე გუნდი უდიდესი კომპიუტერებისთვისაც კი. ეს შესაძლებელია იმ გარემოებით, რომ კომპიუტერი იმართება მასში შენახული პროგრამების მიერ. ოპერატორების საქმიანობა შემოფარგლულია მხოლოდ პერიფერიული მოწყობილობების ჩართვა-გამორთვით და იმის მითითებით, თუ რა სამუშაო უნდა შესრულდეს;
3. გადაწყვეტილების მიღება. კომპიუტერი შეიძლება ისე დაპროგრამდეს, რომ წარმართოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. მას ბევრად მაღალ დონეზე შეუძლია გაუმკლავდეს ძალზე კომპლექსურ სამუშაოს, ვიდრე ამას შეძლებდა ნებისმიერი საოფისე მანქანა ან მენეჯერი;
4. ფაილების შენახვა და დამუშავება. დიდი მოცულობის მონაცემების ფაილები შეიძლება შენახულ იქნეს კომპიუტერის მეხსიერებაში. თვით მეხსიერება ფიზიკურად ძალიან მცირე მოცულობას იკავებს. შენახული ფაილები შემდგომში ძალიან სწრაფად შეიძლება დავათვალიეროთ, განვაახლოთ. ასევე, მათგან სწრაფად შეიძლება საჭირო ინფორმაციის მიღება;
5. სიზუსტე და საიმედოობა. კომპიუტერი ძალიან ზუსტია (იგულისხმება, რომ მისი პროგრამები არ შეიცავს ხარვეზებს) და, უმთავრესად, საიმედო (უტყუარი).

თანამედროვე ბიზნესგარემოში კომპიუტერების გამოყენების ნაკლოვანი მხარეები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

- ინტელექტის ნაკლებობა;
- რაოდენობრივი გადაწყვეტილება;
- საწყისი დანახარჯები;
- მოუქნელობა;
- საფრთხეები.



განვრცობილი ტექსტი

კომპიუტერების ნაკლოვანებები

1. **ინტელექტის ნაკლებობა.** კომპიუტერი არის მანქანა. იგი ვერ აღიქვამს, რომ მის პროგრამებში შეცდომებია, ან მონაცემები არასრულია ან არაკორექტული. შეცდომა, რომელიც შეიძლება მოხელეს აღმოეჩინა ხელით აღრიცხვის სისტემაში, შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს კომპიუტერიზებული აღრიცხვის სისტემაში. აქედან გამომდინარე, კომპიუტერული პროგრამების შექმნის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ გათვალისწინებულ იქნეს ეს საფრთხეები და ტესტირება გაუკეთდეს ყოველ ბრძანებას (ინსტრუქციას). ამის გამო, პროგრამის შექმნას დაჭირდება დიდი დრო და მნიშვნელოვანი დანახარჯები
2. **რაოდენობრივი გადაწყვეტილებები.** პროგრამას შეუძლია მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც რაოდენობრივად გამოისახება. მაგალითად, კომპიუტერს შეუძლია ერთმანეთს შეადაროს ორი რიცხვი, ან ორი ფორმულა. მას არ შეუძლია მსჯელობა, რაც დამახასიათებელია მენეჯერისათვის, მაგალითად კადრების შერჩევისას ან ლეგალური გზების გამოყენებისას, ვალის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში. ამის გამო, პროგრამის მიერ მოცემული გადაწყვეტილება შეიძლება ხშირ შემთხვევაში შესასწორებელი იყოს მენეჯერის მიერ, გაითვალისწინებს რა არამატერიალურ ფაქტორებს, რომელიც ასახული ვერ იქნება კომპიუტერულ პროგრამაში.
3. **საწყისი დანახარჯები.** კომპიუტერების, პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა, სწავლება, სამუშაო ადგილის მოწყობა და ა.შ. დაკავშირებულია მნიშვნელოვან დანახარჯებთან. შეენიშნაეთ, რომ დღეისათვის დანახარჯები პროგრამებზე, ხშირ შემთხვევაში, უფრო მაღალია, ვიდრე კომპიუტერულ ტექნიკაზე.
4. **მოუქნელობა.** კომპიუტერებსა და პროგრამებს განუწყვეტლივ ესაჭიროებათ ყურადღება როგორც შექმნის პროცესში, ასევე შემდგომ ექსპლუატაციაში. სისტემების შექმნას უფრო და უფრო მეტი დრო ესაჭიროება და ბევრად უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ეს არის ხელით აღრიცხვის სისტემის შემთხვევაში.
5. **საფრთხეები.** რაც უფრო მეტი სამუშაო სრულდება კომპანიაში კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით, მით უფრო მეტია დამოკიდებულება კომპიუტერებსა და პროგრამებზე. თუ კომპიუტერი დაზიანდება, ან პერსონალი ეწევა ინდურსტრიულ შპიონაჟს, სისტემა შეიძლება გაჩერდეს.

4. აღრიცხვის ინტეგრირებული პაკეტი

აღრიცხვაში, ძირითადად, ზდება შემდეგი სამუშაოების ავტომატიზაცია:

- დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მთავარი წიგნები;
- ანგარიშსწორება პერსონალთან.

არსებობს უამრავი პროგრამული პაკეტი, რომლითაც შეიძლება ამ ამოცანების გადაჭრა და ამის შედეგად ფინანსური ანგარიშგების მომზადება. ეს პროგრამული პაკეტები ერთმანეთისგან განსხვავებულია, თუმცა შეიძლება მათი დაჯგუფება შემდეგი სახით:

- სალაროს წიგნის აღრიცხვის (Cash book) სისტემები;
- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემები; და
- ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის სისტემები.



განვრცობილი ტექსტი

სალაროს წიგნის აღრიცხვის სისტემები.

ეს სისტემა ახდენს სალაროს წიგნის ემულაციას. ასეთი სისტემები მოსახერხებელია მცირე ბიზნესის შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია არ ყიდის კრედიტით, ან (i) ეწევა მომსახურებას ან (ii) შესყიდვებს ახორციელებს ნაღდ ფულზე, ან კრედიტით მცირე რაოდენობის მომწოდებლებისაგან.

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემები

ასეთი სისტემები მოსახერხებელია მცირე ბიზნესის შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია, ძირითადად, ნაღდ ფულზე ვაჭრობს და მოითხოვება საბაზისო ბუღალტრული აღრიცხვის შესრულება. ჩვეულებრივ, ასეთი სისტემები გეთავაზობენ მთავარი დათის, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მთავარი წიგნების წარმოებისათვის გარკვეულ საშუალებებს. ასევე უნდა იყოს ოპერაციების ამობეჭდვის საშუალება და ალბათ, ბანკის ამონაწერის შეჯერება. პროგრამას ასევე უნდა შეეძლოს საცდელი ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშებისა და ბალანსის შედგენაც.

ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის სისტემები

ასეთ სისტემებს, ზემოთ ჩამოთვლილ საშუალებებთან ერთად, უნდა შეეძლოს დიდი რაოდენობის მომწოდებლებისა და კლიენტების ანგარიშების დამუშავება. ასევე უნდა ჰქონდეს უფრო რთული კრედიტების კონტროლის საშუალებები. უნდა შეიძლებოდეს ინვოისების შედგენა, კლიენტებთან ანგარიშგების ამობეჭდვა, დაგვიანებული დებიტორული დავალიანებების განრიგის შედგენა. უნდა შეიძლებოდეს სტანდარტული წერილების მომზადება და კლიენტებისათვის დაგზავნა იმ შემთხვევაში, თუ კლიენტმა დააგვიანა გადახდა, ან გადაჭარბა ლიმიტის შეთანხმებულ დონეს.

ასეთი პროგრამებიდან ზოგიერთ ცნობილ პაკეტში არის მარაგის კონტროლის საშუალება. თითოეული დასახელების მარაგისათვის არსებობს ცალკე ჩანაწერი, რომელშიც აღირიცხება საქონლის შეძენის, გაყიდვის ოპერაციები და ხელზე არსებული მარაგის ნაშთი.

5. მიკროკომპიუტერული პაკეტები

მიკროკომპიუტერული პროგრამების უმეტესობას იყენებს მომხმარებელთა ისეთი კატეგორია, რომელიც არც პროგრამისტები და არც სისტემური ანალიტიკოსებია.

ასეთი პროგრამების მომხმარებლები არიან ბუღალტრები და მათი პერსონალი.

პროგრამის გამოსაყენებლად იგი თავდაპირველად უნდა დაყენდეს კომპიუტერის დისკზე. მონაცემები ინახება ერთ ან სხვადასხვა დისკებზე. პროგრამას, ალბათ, ექნება მენიუების სისტემა, ე.ი. მომხმარებელს საჭირო ოპერაციის არჩევა შეეძლება ვარიანტების სიიდან (მენიუდან).

ტიპური მენიუ, სავარაუდოდ, შეიცავს შემდეგ პუნქტებს:

1. ახალი ანგარიშის შექმნა;
2. ანგარიშის მონაცემების რედაქტირება;
3. ოპერაციის შეტანა;
4. ანგარიშების მაკეტის შექმნა;
5. ანგარიშების გამობეჭდვა;
6. პროგრამიდან გასვლა.



განვრცობილი ტექსტი

საჭირო ბრძანების ასარჩევად, მომხმარებელმა უნდა გამოიყენოს ბრძანების რიგითი ნომერი. ამისათვის კლავიატურაზე უნდა აკრიფოს შესაბამისი ციფრი. მაგალითად, ახალი ანგარიშის შესაქმნელად გამოყენებული უნდა იყოს ციფრი "1".

მენიუს არჩევისას შეიძლება მოხდეს ქვემენიუში გადასვლა.

აღრიცხვის კომპიუტერიზებული სისტემის დაყენება და მასზე გადასვლა იდენტურია ხელით აღრიცხვის სისტემისა. პროგრამაში არსებობს დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების წიგნები. მათში თითოეული მომწოდებლისა თუ კლიენტისათვის უნდა შეიქმნას ინდივიდუალური ანგარიში და მიენიჭოს კოდი.

უმეტეს შემთხვევაში, მთავარი დავთარი შეიცავს ბანკის ანგარიშს.

კომპიუტერულ პროგრამას უნდა შეეძლოს განსხვავებული ტიპის ოპერაციების აღქმა, როგორცაა:

- გაყიდვების ანგარიშ-ფაქტურა;
- საკრედიტო ავიზო;
- შესყიდვების ანგარიშ-ფაქტურა;
- სადებეტო ავიზო;
- თანხების შემოსვლები;
- გადახდები;
- ჟურნალები.

პროგრამაში ოპერაციის შესატანად მომხმარებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაციის წყარო – პირველადი დოკუმენტების პაკეტი, მაგ., გაყიდვების ინვოისები და გამოითვლოს მთლიანი ჯამი.

ამის შემდეგ მომხმარებელი პროგრამის შესაბამისი ქვემენიუდან ირჩევს ბრძანებას „მთავარ წიგნში გადატანა“. თითოეული ანგარიშ-ფაქტურისათვის მან სისტემაში უნდა შეიტანოს შემდეგი მონაცემები:

- კლიენტის ანგარიშის კოდი
- თარიღი
- ანგარიშ-ფაქტურის ნომერი
- აღწერა
- გაყიდული საქონლის მთლიანი ჯამი

თითოეული ანგარიშ-ფაქტურის დამუშავების შემდეგ პროგრამა გამოიტანს საბოლოო ჯამს, რომელიც უნდა დაემთხვეს პაკეტში არსებული ყველა ანგარიშ-ფაქტურის ჯამს. თუ ჯამები ერთმანეთს ემთხვევა, მომხმარებელი ადასტურებს ამ ფაქტს და ტრანზაქცია გადავა მთავარ წიგნში.

ამ შემთხვევაში, ჯამების შედარება გამოიყენება კონტროლის მიზნით. უსაფრთხოების კიდევ ერთი საშუალება არის პაროლების გამოყენება. ე.ი. მომხმარებელმა უნდა იცოდეს პროგრამის პაროლი და შესაძლოა თითოეული წიგნის პაროლებიც.

6. ტექსტების დამუშავება (ტექსტური რედაქტორები)

ტექსტების დამუშავება გულისხმობს კლავიატურიდან კომპიუტერში ტექსტის შეტანას, დამახსოვრებას და კომპიუტერის ეკრანზე მასზე მანიპულირებას.

ამისათვის საჭიროა კომპიუტერის შემდეგი მინიმალური კონფიგურაცია:

- ეკრანი და კლავიატურა;
- პროცესორი;
- დისკი;
- საბუკლი მოწყობილობა (პრინტერი).

ტექსტური რედაქტორები იმ მიზნით შეიქმნა, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ის პრობლემები, რომლებიც არსებობდა საბუკლი მანქანის გამოყენებისას:

- განმეორება;
- შესწორება;
- შემოწმება.

**განვრცობილი ტექსტი****განმეორება**

თუ საჭიროა ერთხელ მომზადებული დოკუმენტის კიდევ ერთხელ დაბეჭდვა, თავიდან უნდა აიკრიფოს მთლიანი ტექსტი.

შესწორება

საბეჭდ მანქანაზე ბეჭდვისას დაშვებული შეცდომების გასწორება საცეცხლური მექანიზმით – კორექტორით ხდება. ეს კი დიდ დროს მოითხოვს. ასეთი წესით შესწორებული წერილი ვერ დატოვებს კარგ შთაბეჭდილებას.

შემოწმება

დოკუმენტის ყოველი განმეორებით დაბეჭდვის შემთხვევაში, იგი უნდა შემოწმდეს, ხომ არ იყო დაშვებული შეცდომები.

6.1 ტექსტური რედაქტორების ძირითადი თვისებები

ტექსტური რედაქტორი ასრულებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

- ტექსტის შეტანა;
- დამახსოვრება;
- ადრე შენახული ტექსტის გახსნა;
- რედაქტირება;
- გამობეჭდვა.

**განვრცობილი ტექსტი****ტექსტის შეტანა**

პროგრამაში ტექსტი კლავიატურის გამოყენებით შედის. ამ დროს იგი აისახება კომპიუტერის ეკრანზე, რათა ტექსტის ამკრეფმა შეტანის პროცესშივე შეამოწმოს ტექსტის სისწორე. არასწორად აკრეფილი ტექსტის გასწორება შეიძლება საჭირო ადგილზე კურსორის გადაადგილებით და არასწორად აკრეფილ ტექსტზე ზემოდან გადაწერით. ყოველ დოკუმენტს ენიჭება ცალკე სახელი. ამ სახელით ინახება დოკუმენტი კომპიუტერის დისკზე და ამავე სახელით ხდება შემდგომ მისი გახსნა.

აუცილებელი არაა, რომ ეკრანზე არსებული ტექსტის ფორმა დაემთხვეს იმ ფორმას, რასაც საბოლოოდ მიიღებს გამობეჭდილი დოკუმენტი.

ტექსტის შენახვა

აკრეფილი ტექსტი ინახება დისკზე რაიმე სახელით. ტექსტი შეიძლება გამოიბეჭდოს, რათა ავტორმა გადახედოს შესამოწმებლად.

ტექსტის გახსნა

თუ რაიმე მიზეზით საჭირო გახდება შენახულ ტექსტში შესწორებების შეტანა, ტექსტი უნდა გაიხსნას. ამ დროს დისკიდან ტექსტი გადაიწერება ძირითად მენუსიერებაში და აისახება ეკრანზე. გახსნის დროს საჭიროა ადრე მინიჭებული სახელის გამოყენება.

ტექსტის რედაქტირება

ეს არის ეტაპი, როდესაც ტექსტი იღებს დასაბეჭდად გამზადებულ სახეს. გასწორებულია ყველა შეცდომა და შეტანილია საჭირო ცვლილებები. ცვლილება მოიცავს აბზაცების თანმიმდევრობის შეცვლას, ახალი აბზაცების დამატებას ან წაშლას. ამ პროცესს რედაქტირებას უწოდებენ.

შემდეგი პროცესი არის ტექსტის ფორმატირება. ეს გულისხმობს ტექსტისათვის ისეთი ფორმის მიცემას, როგორც ავტორს სურს: როგორია ფურცლის ზომა (A4, A5, B5 ...)? როგორი უნდა იყოს აბზაცების ზომა, მათ შორის ინტერვალი და ა.შ.

ტექსტის დაბეჭდვა

მას შემდეგ, რაც ტექსტი მიიღებს საბოლოო ფორმას, იგი საბოლოო სახით შეინახება დისკზე. მისი ასლი დაიბეჭდება, რომ ავტორი დარწმუნდეს ტექსტის სისწორეში. თუ ავტორი დაკმაყოფილებულია საბოლოო პროდუქტის ხარისხით, დაბეჭდილი ტექსტი შეიძლება გაეგზავნოს დაინტერესებულ პირს (ადრესატს).

7. ელექტრონული ცხრილები (Spreadsheets)

ელექტრონული ცხრილი არის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ორგანიზაციის საქმიანობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოდელირების ტიპის სხვადასხვა ამოცანების გადასაწყვეტად, როგორცაა ბიუჯეტის შედგენა და პროგნოზირება.

ელექტრონული ცხრილი ეკრანზე გვიჩვენებს სტრიქონებისა და სვეტების ერთობლიობას. მათი გადაკვეთით ფორმირდება უჯრა, რომელშიც მომხმარებელს კლავიატურიდან შეაქვს მონაცემი. უჯრაში შეიძლება შევიდეს სამი ტიპის ინფორმაცია:

- ტექსტი, მაგ., იანვარი, თებერვალი, მარტი აპრილი;
- რიცხვები, მაგ., 200, 300, 400, 500;
- ფორმულა, მაგ., რეალიზაცია – ხარჯი = მოგება.

როდესაც რომელიმე უჯრის შიგთავსი ცვლილებას განიცდის, ამ ცვლილების ეფექტი მაშინვე აისახება იმ ფორმულების შედეგებზე, სადაც კი ეს უჯრა იღებს მონაწილეობას. ამას „რა იქნება, თუ“ – “What if” ანალიზს უწოდებენ.

**განვრცობილი ტექსტი**

როდესაც ელექტრონული ცხრილის გამოყენებით შეიქმნება რაიმე მოდელი, მაგ., გაყიდვების პროგნოზირება, ის შეიძლება შეეინახოთ კომპიუტერის დისკზე. შემდგომში შეიძლება მისი გახსნა, შესწორება, მასში ახალი მონაცემების შეტანა. პრინტერზე გამობეჭდილ მონაცემს ცხრილური ფორმა ექნება. ელექტრონული ცხრილების უმეტესობას შეუძლია ეკრანსა და პრინტერზე მონაცემების გრაფიკული სახით გამოტანა.

ხშირად ცხრილს ისეთი დიდი ზომა აქვს, რომ ეკრანზე მთლიანად არ ეტევა. ამ შემთხვევაში, ეკრანი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ფანჯარა, რომელიც შეიძლება გადაადგილდეს ცხრილის სხვადასხვა ნაწილში და, ამგვარად, შეიძლება მთელი ცხრილის დათვალიერება.

7.1 ელექტრონული ცხრილების თვისებები

ელექტრონულ ცხრილებს აქვს მრავალი ისეთი საშუალება, რომელიც ძალიან სასარგებლოა აღრიცხვის ამოცანების გადასატრეოდ. ესენია:

- „რა იქნება, თუ“ ანალიზი;
- პირობითი სიტუაციები;
- მოსაძებნი (look up) ცხრილები;
- მონიშნულის დაბეჭდვა;
- გრაფიკები;
- სტატისტიკური ფუნქციები;
- მოქნილობა.

**განვრცობილი ტექსტი****„რა იქნება თუ“ ანალიზი**

ელექტრონული ცხრილების ძირითადი თვისება არის მოდელში გამოყენებული მონაცემებისა თუ ფორმულების ცვლილების ეფექტის კალკულაციის საშუალება. ზოგჯერ ამას „რა იქნება თუ“ ანალიზს უწოდებენ. მაგალითად, როგორი იქნება მოგება, თუ გაყიდვების მოცულობა 20%-ით გაიზარდება?

პირობითი სიტუაციები

გამოთვლები შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვა უჯრებში არსებული მონაცემების მნიშვნელობაზე. მაგალითად, თუ გაყიდვების მოცულობა მეტია \$500,000-ზე, მაშინ დანახარჯები გაყიდვების 10%-ის ტოლი იქნება. სხვა შემთხვევაში, ფიქსირებული დანახარჯები იქნება \$50,000

მოსაძებნი ცხრილები

კონკრეტულ უჯრაში შესატანი მნიშვნელობა შეიძლება არჩეულ იქნეს მონაცემების დიაპაზონიდან, რომელიც ცხრილშია მოცემული. მაგალითად, გადასახადის ნორმა შემოსავლების განსხვავებული დონეებისათვის.

მონიშნულის დაბეჭდვა

ნაცვლად მთელი ცხრილისა, მომხმარებელს შეუძლია მონიშნოს ცხრილის რაიმე ნაწილი და მხოლოდ ის დაბეჭდოს.

გრაფიკები

ზოგიერთ ელექტრონულ ცხრილში შეიძლება სვეტებიანი ან წრიული დიაგრამის აგება. ამ დროს შეიძლება ჩრდილებისა და ფერების გამოყენებაც.

სტატისტიკური ფუნქციები

ელექტრონული ცხრილების უმეტესობაში არის სტატისტიკური ანალიზის საშუალება. შეიძლება გამოთვლილ იქნეს მინიმალური, მაქსიმალური, საშუალო მნიშვნელობა, ჯამი, სტანდარტული გადახრა და ა.შ.

მოწილობა

ელექტრონული ცხრილი უნდა იყოს მოქნილი, რომ მომხმარებელს შეეძლოს მოდელის აგება, მასში ცარიელი სტრიქონებისა და სვეტების ჩასმა, წაშლა, ფრაგმენტების კოპირება და გადატანა ცხრილის სხვა ნაწილში.

8. მონაცემთა ბაზები

მონაცემთა ბაზა არის ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა დანიშნულებით და სხვადასხვა პროგრამების მიერ.

მაგალითად, მომწოდებელთა მონაცემთა ბაზა შეიცავს მონაცემებს (ჩანაწერებს), რომლებიც დაკავშირებულია მომწოდებლებთან. ბაზაში შეიძლება იყოს მომწოდებელზე შემდეგი მახასიათებლები (ველები)

- მომწოდებლის დასახელება;
- მომწოდებლის კოდი;
- მომწოდებლის მისამართი.

მონაცემთა ბაზების გამოყენებას აქვს შემდეგი უპირატესობა (ინდექსირებული ბარათების ხელით წარმოებასთან მიმართებაში):

- ბაზის თითოეულ ჩანაწერში შეიძლება უფრო მეტი ინფორმაციის შენახვა, ვიდრე ჩვეულებრივ ქაღალდის ბარათში;
- გამოთვლები შეიძლება ავტომატურად განხორციელდეს;
- ჩანაწერები შეიძლება დალაგდეს, გაიფილტროს გარკვეული კრიტერიუმის მიხედვით;
- ბაზაში არსებული ინფორმაციის გამოყენებით შეიძლება მომზადდეს და გამოიბეჭდოს ანგარიშგება.



განვრცობილი ტექსტი

მონაცემთა ბაზის დიზაინი (სტრუქტურა)

არსებობს მონაცემთა ბაზის აგების სხვადასხვა მეთოდები.


- ბრტყელი მონაცემთა ბაზა – ეს არის ბაზა, რომელიც შეიცავს მხოლოდ ერთ ფაილს. ასეთ ბაზაში მოთავსებული ჩანაწერები ყველა ერთნაირი ფორმატისაა. მონაცემები შეიძლება ჩაიწეროს ბაზაში, შეიცვალოს ან წაიშალოს.
- რელაციური მონაცემთა ბაზა შედგება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაილისაგან. ერთი ფაილიდან შეიძლება სხვა ფაილების მონაცემებზე მიმართვა.


პროგრამირებად მონაცემთა ბაზას გააჩნია საკუთარი პროგრამირების ენა. მისი საშუალებით შეიძლება ბაზის მორგება ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები

პროგრამას, რომელიც მუშაობს მონაცემთა ბაზასთან, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა ეწოდება. ასეთი სისტემები ორგანიზებას უკეთებს ბაზაში მონაცემების შეტანას და საშუალებას აძლევს სხვადასხვა პროგრამას, გამოიყენოს მონაცემთა ბაზა.

თავის რეზიუმე






არასრული ჩანაწერები თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- ახსნათ და მაგალითზე აჩვენოთ მოგების ან ზარალის გამოთვლა საწყისსა და საბოლოო ნეტო აქტივებს შორის სხვაობის გზით;
- ახსნათ არასრული ჩანაწერების შემთხვევაში გამოყენებული ტექნიკის მეთოდები:
 - საწყისი კაპიტალის გამოთვლა;
 - ბულალტრული წიგნების გამოყენება გამოტოვებული ციფრის გამოსათვლელად;
 - სალაროსა და ბანკის ჩანაწერების გამოყენება;
 - საერთო მოგების პროცენტის გამოყენება გამოტოვებული ციფრის გამოსათვლელად.



1. მოგების სიდიდის დადგენა საბალანსო ტოლობის გამოყენებით

თუ საწარმო აწარმოებს მის მიერ განხორციელებული ოპერაციების მწირ ჩანაწერებს, მაინც შესაძლებელია წლის განმავლობაში მიღებული მოგების გამოთვლა. ეს შესაძლებელია საბალანსო ტოლობის გამოყენებით:

$$\text{ნეტო აქტივები} = \text{საწყის კაპიტალს} + \text{მოგება} - \text{ამოღება} = \text{საბოლოო კაპიტალს}$$

ამგვარად:

| | | | | | | |
|---|---|--------------------|---|---------------------------------|---|----------------------------------|
| ნეტო აქტივების სხვაობა (ცვლილება) | = | საწყის კაპიტალს | + | მოგება პერიოდის განმავლობაში | - | ამოღება პერიოდის განმავლობაში |
|---|---|--------------------|---|---------------------------------|---|----------------------------------|

$$\text{ნეტო აქტივები} = \text{აქტივებს} - \text{ვალდებულებები} = \text{საბოლოო კაპიტალს}$$



შეამოწმე შენი ცოდნა 1

ენდის ნეტო აქტივები 20X4 წლის 31 დეკემბრის ბალანსის მიხედვით შეადგენს \$5,000-ს. ზოლო მისი ნეტო აქტივები 20X5 წლის 31 დეკემბრის ბალანსის მიხედვით შეადგენს \$8,000-ს. მიმდინარე წლის განმავლობაში ენდი ამოიღო \$2,500 და მას არ ჩაუღია ბიზნესში არავითარი დამატებითი კაპიტალი.

რამდენი მოგება აქვს ენდის 20X5 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს?

ა \$5,500
 ბ \$500
 გ \$10,500
 დ \$7,500

2. ფინანსური ანგარიშგებებიდან ინდივიდუალური ანგარიშების ნაშთების დადგენა

- უმეტეს შემთხვევაში, საწარმოს აქვს შეზღუდული ბუღალტრული ჩანაწერები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ფინანსური ანგარიშგებების სრული კომპლექტის მომზადება. თქვენ შესაძლებელია მოგიწიოთ ფინანსური ანგარიშგებების შემადგენელი ნებისმიერი ციფრის გამოთვლა.
- ამ ტიპის შეკითხვებში აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი ნაშთები მოცემული იქნება წლის განმავლობაში განხორციელებულ სხვა ოპერაციების მონაცემებთან ერთად.
- საწყისი კაპიტალი შეიძლება გამოითვალოს, როგორც:
 საწყისი აქტივების ჯამს – საწყისი ვალდებულებების ჯამი

- შესაძლებელია ორი სხვა მეთოდის გამოყენება გამორჩენილი (მაგ., გაყიდვები, შესყიდვები, ამოღება, საქონლის სახით ამოღება და სხვ.) ციფრის გამოსათვლელად:

1. ბუღალტრული ანგარიშების გამოყენება დამაბალანსებელი ციფრის მისაღებად;
2. კოეფიციენტების გამოყენება.



3. დამაბალანსებელი ციფრის მეთოდი

დამაბალანსებელი ციფრის მეთოდი, როცა მაკონტროლებელ, ხარჯების, სალაროსა და ბანკის ბუღალტრულ ანგარიშებს იყენებენ, ჩვეულებრივ, გამოიყენება შემდეგნაირად:

| | |
|-------------------------|---|
| ბუღალტრული ანგარიში | გამოტოვებული ციფრი |
| დებიტორული დავალიანება | კრედიტით გაყიდვების მთლიანი ოდენობა მყიდველებისაგან მიღებული თანხა |
| კრედიტორული დავალიანება | კრედიტით შესყიდვების მთლიანი ოდენობა მომწოდებლისათვის გადახდილი თანხა |
| ფული ბანკში | ამოღება მოპარული ფულადი სახსრები |
| ფული სალაროში | გაყიდვა ნაღდი ანგარიშსწორებით მოპარული ფულადი სახსრები |

თუ ამოცანაში სალაროს, ან ბანკის ანგარიში დასრულებული სახითაა მოცემული, (გამოყვანილია საბოლოო ნაშთი), საჭირო არ არის მათი, როგორც თქვენი გაანგარიშებების ნაწილის ხელახლა შექმნა.

საბანკო და სალაროს ოპერაციების შესახებ ინფორმაცია, ალბათ, აუცილებლად იქნება მოცემული. შესაბამისად, შესაძლებელი იქნება ფულადი სახსრებისა და ბანკის ანგარიშების მომზადება ორადი ჩაწერის პრინციპის გამოყენებით, შესაბამისი ანგარიშების დაღებულებით და დაკრედიტებით.

ბანკის ანგარიში

| | \$ | | \$ |
|-----------------------------|----------|-----------------------------------|----------|
| პ/დ ნაშთი | X | მომწოდებლებისათვის გადახდილი ფული | X |
| მყიდველისაგან მიღებული ფული | X | ხარჯები | X |
| სალაროდან შემოსული ფული | X | ამოღება | X |
| სხვადასხვა შემოსავალი | X | მოპარული ფული | X |
| | | პ/ბ ნაშთი | X |
| | <u>X</u> | | <u>X</u> |
| პ/დ ნაშთი | X | | |

საღაროს ანგარიში

| | \$ | | \$ |
|-------------------------------|----------|-----------------------|----------|
| პ/დ ნაშთი | X | ნაღდი ანგარიშსწორებით | X |
| ნაღდი ანგარიშსწორებით გაყიდვა | X | შესყიდვა | |
| სხვადასხვა შემოსავალი | X | წერილმანი ხარჯები | X |
| | | ფულის ბანკში შეტანა | X |
| | | მოპარული ფული | X |
| | | პ/ბ ნაშთი | X |
| | <u>X</u> | | <u>X</u> |
| პ/დ ნაშთი | <u>X</u> | | |

დებიტორული დავალიანების მაკონტროლებელი ანგარიშისა და კრედიტორული დავალიანების მაკონტროლებელი ანგარიშის ფორმატი მსგავსია ორადი ჩაწერის სისტემის მაკონტროლებელი ანგარიშების ფორმატისა. განსხვავება

მდგომარეობს იმაში, რომ არასრული ჩანაწერების შემთხვევაში მათი შექმნის მთავარი მიზანია სააღრიცხვო პერიოდში შესყიდვებისა და გაყიდვების მთლიანი რაოდენობის (ნაღდი + კრედიტი) დადგენა, რომლებიც შემდეგ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში გადაიტანება.

ანგარიშებში ჩაწერეთ მოცემული დებიტორული დავალიანების, კრედიტორული დავალიანების, დარიცხული ხარჯებისა და წინასწარგადახდილი ხარჯების საბოლოო ნაშთები. მარტივ კითხვაში მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში გადასატანი შესაბამისი თანხები შეიძლება გამოთვლილ იქნეს როგორც ანგარიშების დამბალანსებელი რიცხვი.

დარწმუნდით, იმაში, რომ სწორად წარმოგიდგენიათ, როგორ შეიძლება ერთი მოცემული ინფორმაციის საშუალებით გამოთვალოთ სხვა, გამოტოვებული ინფორმაცია. მაგ.,

- შესყიდვების მაკონტროლებელ ანგარიშში ⇒ მთლიან შესყიდვები
- შესყიდვებს +/- მარაგის ნაშთების ცვლილება ⇒ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება
- რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას + საერთო მოგება (ან პროცენტებში ან აბსოლუტურ რიცხვებში) ⇒ გაყიდვებიდან ამონაგები
- გაყიდვების მაკონტროლებელ ანგარიშში ⇒ გაყიდვებიდან მიღებულ ფულად სახსრებს
- ფულადი სახსრების ანგარიშში ⇒ ამოღებას

მთლიანი კრედიტორული დავალიანების მაკონტროლებელი ანგარიში

| | \$ | | \$ |
|---|----------|---------------------------|----------|
| გადახდილი ფული (ნაღდი + კრედიტით შესყიდვებში) | X | პ/დ ნაშთი | X |
| პ/ბ ნაშთი | X | შესყიდვა (ნაღდი+კრედიტით) | X |
| | <u>X</u> | | <u>X</u> |
| | <u>X</u> | პ/დ ნაშთი | <u>X</u> |

მთლიანი დებიტორული დავალიანების მაკონტროლებელი ანგარიში

| | \$ | | \$ |
|--|----------|---|----------|
| პ/დ ნაშთი | X | | |
| გაყიდვა (კრედიტით + ნაღდი ანგარიშსწორებით) | X | მიღებული ფული (ნაღდი + კრედიტით გაყიდვებში) | X |
| | <u>X</u> | პ/ბ ნაშთი | <u>X</u> |
| პ/დ ნაშთი | X | | X |

შეამოწმე შენი ცოდნა 2

წარმოიდგინეთ, რომ რაბლის საწარმოს დებიტორული დავალიანების საწყისი ნაშთია \$30,000. მყიდველებისაგან სულ მიიღო \$55,000, რომლიდანაც \$15,000 მიღებულია ნაღდი ანგარიშსწორებით გაყიდვისას, ხოლო \$40,000 დებიტორებისაგან. წლის განმავლობაში გაიყა \$3,000 ფასდათმობა და დებიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთია \$37,000.

რამდენი იქნება მთლიანი გაყიდვების ოდენობა?

- ა \$65,000
- ბ \$50,000
- გ \$47,000
- დ \$62,000

შეამოწმე შენი ცოდნა 3

დიკის საწარმოს კრედიტორული დავალიანების საწყისმა ნაშთმა შეადგინა \$15,000. წლის მანძილზე მომწოდებლებს სულ გადაუხადეს \$14,000. წლის განმავლობაში მიღებულია \$500 ფასდათმობა და კრედიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთმა შეადგინა \$13,000.

რამდენი იქნება მთლიანი შესყიდვების ოდენობა?

- ა \$16,500
- ბ \$16,000
- გ \$12,000
- დ \$12,500

შეკითხვა შეიძლება მოითხოვდეს მოგებისა და ზარალის შემადგენელი რომელიმე გამოტოვებული ციფრის დადგენას. მაგალითად, იჯარისა და კომუნალური მომსახურების გადასახადს. ინფორმაციის ჩამონათვალში მოცემული იქნება დარიცხვებისა და წინასწარგადახდების საწყისი და საბოლოო ნაშთები და გადახდები.

გამოტოვებული ციფრის გამოსათვლელად გამოიყენეთ:

- T- ანგარიში; ან
- საბალანსო ტოლობა.

ზარჯის ანგარიში

| | | | |
|-----------------|---|------------------------------|---|
| პ/დ ნაშთი | X | პ/დ ნაშთი | X |
| გადახდილი თანხა | X | მოგებისა და ზარალის ანგარიში | X |
| პ/ბ ნაშთი | X | პ/ბ ნაშთი | X |
| | X | | X |
| პ/დ ნაშთი | X | პ/დ ნაშთი | X |



შეამოწმე შენი ცოდნა 4

შემდეგი ინფორმაცია განეკუთვნება Big-Head-ის საწარმოს:

| | | |
|-------------------|--------------------------------|---------|
| 1 იანვარს | ელექტროენერჯის დარიცხული ზარჯი | \$250 |
| | წინასწარგადახდილი იჯარა | \$300 |
| წლის განმავლობაში | | |
| გადახდილი თანხა | ელექტროენერჯია | \$1,000 |
| | იჯარა | \$2,000 |
| 31 იანვარს | ელექტროენერჯის დარიცხული ზარჯი | \$300 |
| | წინასწარგადახდილი იჯარა | \$400 |

რამდენს შეადგენს მოგებისა და ზარალის ანგარიშში ელექტროენერჯისა და იჯარის ზარჯი ?

| | | |
|---|----------------|-------|
| | ელექტროენერჯია | იჯარა |
| | \$ | \$ |
| ა | 1,050 | 2,100 |
| ბ | 1,050 | 1,900 |
| გ | 950 | 1,900 |
| დ | 950 | 2,100 |



შეამოწმე შენი ცოდნა 5

1 იანვარს Elma Fudd-ის საბანკო ანგარიშის ნაშთია \$1,367 ოვერდრაფტი. წლის განმავლობაში გადახდილია \$8,536 და 31 დეკემბერს საბოლოო ნაშთმა შეადგინა \$2,227 (დადებითი).

რა რაოდენობის ძირითადი თანხა მიღებული წლის განმავლობაში?

ა \$4,942

ბ \$7,676

გ \$9,396

დ \$12,130

შეამოწმე შენი ცოდნა 6

1 იანვარს საწარმოს სალაროს საწყისი ნაშთი იყო \$900. წლის განმავლობაში ბანკში შეიტანეს \$10,000, \$1,000 გადაიხადეს როგორც ამოღება და \$2,000 - ხელფასი. 31 დეკემბერს სალაროს საბოლოო ნაშთმა შეადგინა \$1,000.

რა ოდენობის თანხა მიღებული მყიდველებისაგან წლის განმავლობაში?

- ა \$12,900
- ბ \$14,900
- გ \$13,100
- დ \$6,900



4. კოეფიციენტები – ფასნამატი და მოგების მარჟა

საერთო მოგება შეიძლება განისაზღვროს როგორც გაყიდვებიდან ამონაგების, ან გაყიდული საქონლის თვითღირებულების პროცენტული მაჩვენებლით:

$$\frac{\text{საერთო მოგების კომპონენტი ანუ მარჟა}}{\text{საერთო მოგება}} = \frac{\text{ამონაგები გაყიდვებიდან}}{\text{საერთო მოგება}} \times 100$$

ამგვარად, საერთო მოგება = მარჟა × გაყიდვებიდან ამონაგებზე

$$\text{მოგების ფასნამატი} = \frac{\text{საერთო მოგება}}{\text{რეალიზებული საქონლის თვითღირებულება}} \times 100$$

ამგვარად, საერთო მოგება = ფასნამატი × რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაზე

მაგალითად

| | |
|-------------------------------------|---|
| | \$ |
| გაყიდვებიდან ამონაგები | 5,000 |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | <u>(4,000)</u> |
| საერთო მოგება | <u>1,000</u> |
| • საერთო მოგების მარჟა | $= \frac{1,000}{5,000} \times 100 = 20\%$ |
| • საერთო მოგების ფასნამატი | $= \frac{1,000}{4,000} \times 100 = 25\%$ |



შეაქვს შენი ცოდნა 7

P-ის გაყიდვებიდან ამონაგები შეადგენს \$1,000-ს. მისი მოგების მარჟა შეადგენს 25%.

რამდენს შეადგენს გაყიდული საქონლის თვითღირებულება?

ა \$200
 ბ \$800
 გ \$750
 დ \$250



შეაქვს შენი ცოდნა 8

კოეფიციენტები

ლორნას გაყიდული საქონლის თვითღირებულება შეადგენს \$600 და მისი მოგების ფასნამატი 25%.

რამდენს შეადგენს მისი გაყიდვებიდან ამონაგები?

ა \$750
 ბ \$800
 გ \$250
 დ \$200

4.1 მოგების კოეფიციენტისა და ფასნამატის გამოყენება

საგამოცლო კითხვა ხშირად შეიცავს რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას და მოგების მარჟას, ან გაყიდვებიდან ამონაგებსა და ფასნამატს. თქვენ შესაძლებელია მოგთხოვონ მოგებისა და ზარალის დანარჩენი მონაცემების გამოთვლა. ეს გამოთვლები შეგიძლიათ გააკეთოთ შემდეგ მონაცემებზე დაყრდნობით:

თუ:

| მარჟა 25%-ია | | ფასნამატი 25%-ია | |
|-------------------------------------|--------|-------------------------------------|--------|
| გაყიდვებიდან ამონაგები | 4 100% | გაყიდვებიდან ამონაგები | 5 125% |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | 3 75% | რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | 4 100% |
| საერთო მოგება | 1 25% | საერთო მოგება | 1 25% |

ამგვარად, თუ ცნობილია მოგების კოეფიციენტი ან ფასნამატი და მოგებისა და ზარალის ანგარიშის ერთი რომელიმე ციფრი, შესაძლებელია დარჩენილი ციფრების გამოთვლა.

შეამოწმე შენი ცოდნა 9

L თავისი საწარმოს შესახებ გვაწვდის შემდეგ ინფორმაციას:

| | |
|-----------------------|---------|
| საერთო მოგების მარჟა | 5% |
| მარაგის საწყისი ნაშთი | \$800 |
| მარაგის საბოლოო ნაშთი | \$600 |
| შესყიდვა | \$2,840 |

მომზადეთ L-ის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ზემოთ მოცემული ციფრების გამოყენებით.

5. განადგურებული მარაგის თვითღირებულება

- არასრული ჩანაწერების თემაზე შედგენილ საგამოცლო ამოცანებში მარაგი შეიძლება განადგურდეს - ზანძრის, ან წყალდიდობის დროს.
- მარაგის საბოლოო ნაშთი, რომელიც არ განადგურებულა, გამიჯნულია რეალიზებული საქონლის თვითღირებულებიდან, რადგანაც განმარტების მიხედვით იგი ამ წელს არ გაყიდულა.
- განადგურებული მარაგი არ გაყიდულა და, ამგვარად, ისიც უნდა გაიმიჯნოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულებიდან.
- ამგვარად, განადგურებული მარაგის რაოდენობის გამოთვლისათვის, დაასრულეთ სავაჭრო ანგარიში (მოგებისა და ზარალის ანგარიში) მოცემული ინფორმაციის საფუძველზე და შემდეგ მარაგის განადგურებულა რაოდენობა იქნება დამატალანსებელი ციფრი.

შეამოწმე შენი ცოდნა 10

ჯეკი თავისი საწარმოს შესახებ გვაწვდის შემდეგ ინფორმაციას:

| | |
|--------------------------------------|-----------|
| საერთო მოგების მარჟა | 20% |
| გაყიდვებიდან ამონაგები | \$100,000 |
| მარაგის საწყისი ნაშთი | \$10,000 |
| შესყიდვა | \$82,000 |
| მარაგის საბოლოო ნაშთი ზანძრის შემდეგ | \$3,000 |

რამდენია ზანძრის დროს დაკარგული მარაგის ოდენობის თვითღირებულება?

- ა \$12,000
- ბ \$9,000
- გ \$69,000
- დ \$5,667

**5.1 ორადი გატარება მარაგისა და დაკარგული მარაგის
აღსარიცხავად**

მარაგის ფაქტობრივი საბოლოო ნაშთი აღირიცხება:

| | |
|---------------------------------------|---|
| დებეტი მარაგი (ბალანსი) | X |
| კრედიტი მოგებისა და ზარალის ანგარიშში | X |

დაკარგული მარაგი კვლავ უნდა დაკრედიტდეს მოგებისა და ზარალის ანგარიშში, რადგან ის უნდა ამოვიღოთ რეალიზებული საქონლის თვითღირებულებიდან. თუმცა, სადებეტო გატარება დამოკიდებული იქნება იმაზე, იყო თუ არა დაზღვეული დაკარგული მარაგი:

თუ დაზღვეულია:

| | |
|---|---|
| დებეტი მოთხოვნა სადაზღვევო კომპანიის მიმართ (მიმდინარე აქტივი) | X |
| კრედიტი მოგებისა და ზარალის ანგარიშში (რეალიზებული საქონლის თვითღირებულება) | X |

თუ არ არის დაზღვეული:

| | |
|---|---|
| დებეტი მოგებისა და ზარალის ანგარიშში (ზარჯი) | X |
| კრედიტი მოგებისა და ზარალის ანგარიშში (რეალიზებული საქონლის თვითღირებულება) | X |



შეამოწმე შენი ცოდნა 11

ფრედმა მარაგი დაკარგა ხანძრის შედეგად. მას მისი ზელმოუწერელი სადაზღვევო პოლისი ჯერ კიდევ თავისი საუკეთესო პიჯაკის ვიბეში უდევს. ფრედმა მოგეაწოდა შემდეგი ინფორმაცია:

| | |
|--------------------------|----------|
| საერთო მოგების ფასნამატი | 25% |
| გაყიდვიდან ამონაგები | \$10,000 |
| მარაგის საწყისი ნაშთი | \$2,000 |
| შესყიდვა | \$7,500 |

მოამზადეთ ფრედის მოგებისა და ზარალის ანგარიშში და გვიჩვენეთ როგორ ჩაიწერება მარაგის საბოლოო ნაშთი ჟურნალში.

6. სრული ფინანსური ანგარიშგების მომზადება

თუმცა საგამოცდო კითხვაში არ იქნება ასეთი სიდიდის ამოცანა, შემდეგი ამოცანა დაგეხმარებათ, მაგალითზე იხილოთ, როგორ მზადდება ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი, ამ თავში მოცემული მეთოდების გამოყენებით.

მაგ.

საბიუჯეტო-საგალობლო-საქონლო-ფინანსურ-ანგარიშების მომსახურება

M-ი ვაჭრობს საკანცელარიო საქონლით. ის არ აწარმოებს ყველა ოპერაციის ჩაწერას. მის ბუღალტრულ წიგნებში შემდეგი ჩანაწერებია მოცემული:

| | 30 სექტემბერი 2004 (\$) | 30 სექტემბერი 2005 (\$) |
|--|----------------------------|----------------------------|
| სათავსოები და ინვენტარი:თვითღირებულება | 20,000 | დასადგენი |
| დაგროვილი ცვეთა | 8,000 | დასადგენი |
| მანქანები: თვითღირებულება | 22,000 | დასადგენი |
| დაგროვილი ცვეთა | 4,180 | დასადგენი |
| მარაგი | 18,000 | 33,900 |
| დებიტორული დავალიანება | 10,000 | 12,000 |
| დებიტორული დავალიანების ანარიცხები | 500 | დასადგენი |
| წინასწარგადახდა – კომუნალური | 400 | 450 |
| ფული ბანკში | 2,000 | (15,500) |
| ფული სალაროში | 600 | 600 |
| კრედიტორული დავალიანება | 4,000 | 4,600 |
| დარიცხვა – ელექტროენერგია და გათბობა | 250 | 300 |

მას ასევე აღრიცხული აქვს სალაროდან და ბანკიდან განხორციელებული ოპერაციები 2005 წლის 30 სექტემბერს დასრულებული წლისათვის.

| | სალარო \$ | ბანკი \$ |
|--|--------------|-------------|
| პ/დ ნაშთი | 600 | 2,000 |
| შემოსულობა: | | |
| გაყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით | 15,000 | |
| მიღებული ფული დებიტორებისაგან | | 140,000 |
| მიღებული სესხი (გრძელვადიანი) | | 30,000 |
| მანქანის გასვლისას მიღებული შემოსულობა | | 8,200 |
| ბანკში შეტანილი ფული | | 15,000 |
| | <hr/> | <hr/> |
| | 15,600 | 195,200 |

| | სალარო \$ | ბანკი \$ |
|---|--------------|----------------|
| გადახდა: | | |
| კრედიტორული დავალიანება | | 110,000 |
| კომუნალური | | 9,000 |
| ელექტროენერგია და გათბობა | | 2,000 |
| ტელეფონი | | 1,500 |
| სესხის პროცენტი | | 1,500 |
| დაზღვევა | | 1,000 |
| იჯარა | | 20,000 |
| ხელფასი | | 25,000 |
| ამოღება | | 15,000 |
| ინვენტარის შეძენა | | 5,000 |
| ახალი მანქანის შეძენა | | 20,000 |
| წერილმანი ხარჯები | | 700 |
| ბანკში შეტანილი ფული | 15,000 | |
| პ/ბ ნაშთი | 600 | (15,500) |
| მოცემულია შემდეგი დამატებითი ინფორმაცია: | | |
| 1. წლის დასაწყისში მიღებულია სესხი 5%-იანი წლიური განაკვეთით. | | |
| 2. წლის განმავლობაში გაყიდული მანქანის თვითღირებულებაა \$10,000 და დაგროვილი ცვეთა 2004 წლის 30 სექტემბერს \$1,900. | | |
| 3. წლის განმავლობაში მიღებულია \$500 ფასდათმობა. | | |
| 4. წლის განმავლობაში M-მა ამოიღო \$1,000 ღირებულების საქონელი. | | |
| 5. ცვეთის განაკვეთი სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად შეადგენს: | | |
| ა) სათავსოები, წრფივი მეთოდის წლიური 20%-იანი განაკვეთი. | | |
| ბ) მანქანა, ნაშთის შემცირების მეთოდის 10%-იანი განაკვეთი. | | |
| 6. დებიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთის 5%-ს შეადგენს დებიტორული დავალიანების ანარიცხი. | | |
| ა) მოამზადეთ M-ის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2005 წლის 30 სექტემბერს დასრულებული წლისათვის. | | |
| ბ) მოამზადეთ M-ის ბალანსი 2005 წლის 30 სექტემბერის მდგომარეობით. | | |
| ამოხსნა | | |
| ა) M-ის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2005 წლის 30 სექტემბერს დასრულებული წლისათვის. | | |
| | \$ | \$ |
| გაყიდვებიდან ამონაგები: | | |
| კრედიტით გაყიდვები (გ1) | | 142,000 |
| გაყიდვები იმავდროული გადახდით | | 15,000 |
| | | <u>157,000</u> |

| | |
|--|-----------------|
| მინუს: გაყიდული საქონლის თვითღირებულება | |
| საწყისი მარაგი | 18,000 |
| შესყიდვები (გ.2) | 111,100 |
| მინუს: ამოღებული საქონელი | (1,000) |
| | <u>128,100</u> |
| მინუს: საბოლოო მარაგი | (33,900) |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | (94,200) |
| საერთო მოგება | 62,800 |
| მიღებული ფასდათმობა | 500 |
| მოგება მანქანის გაყიდვიდან (გ.3) | 100 |
| | <u>600</u> |
| | 63,400 |
| მინუს: ხარჯები | |
| დებიტორული დავალიანების ანარიცხის ზრდა (გ.4) | (100) |
| ცვეთა: | |
| მანქანა (გ.6) | (2,972) |
| ინვენტარი (გ.5) | (5,000) |
| კომუნალური (9,000 + 400 - 450) | (8,950) |
| ელექტრომომარაგება და გათბობა (2,000 + 300 - 250) | (2,050) |
| ტელეფონი | (1,500) |
| სესხის პროცენტი | (1,500) |
| დაზღვევა | (1,000) |
| იჯარა | (20,000) |
| ხელფასი | (25,000) |
| სხვადასხვა ხარჯები | (700) |
| | <u>(68,772)</u> |
| წმინდა ზარალი | <u>(5,372)</u> |

ბ) M-ის ბალანსი 2005 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით.

| | თვითღირე- ბულება | დაგროვილი ცვეთა | ნეტო საბალანსო ღირებულება |
|------------------------|---------------------|--------------------|---------------------------------|
| | \$ | \$ | \$ |
| გრძელვადიანი აქტივები: | | | |
| ინვენტარი (გ.5) | 25,000 | (13,000) | 12,000 |
| მანქანები (გ.6) | 32,000 | (5,252) | 26,748 |
| | <u>57,000</u> | <u>(18,252)</u> | <u>38,748</u> |

| | | | |
|--|--------------|-----------------|---------------|
| მოკლევადიანი აქტივები: | | | |
| მარაგი | | 33,900 | |
| დებიტორული დავალიანებები | 12,000 | | |
| მინუს: დებიტორული დავალიანების ანარიცხი | <u>(600)</u> | | |
| | | 11,400 | |
| წინასწარი გადახდები (კომუნალური) | | 450 | |
| ნაღდი ფული | | <u>600</u> | |
| | | | <u>46,350</u> |
| | | | <u>85,098</u> |
| კაპიტალის ანგარიში: | | | |
| კაპიტალი (გ7) | | 56,070 | |
| მინუს: წმინდა ზარალი | | <u>(5,372)</u> | |
| | | 50,698 | |
| მინუს: მფლობელის მიერ ამოღებული თანხა (გ8) | | <u>(16,000)</u> | |
| | | | 34,698 |
| გრძელვადიანი ვალდებულებები: | | | |
| სესზი | | | 30,000 |
| მოკლევადიანი ვალდებულებები: | | | |
| საეაჭრო კრედიტორული დავალიანებები | | 4,600 | |
| დარიცხული ელექტროენერგია და გათბობა | | 300 | |
| ბანკის ოვერდრაფტი | | <u>15,500</u> | |
| | | | <u>20,400</u> |
| | | | <u>85,098</u> |

განგარიშებები:
(გ1)

დებიტორული დავალიანება

| | \$ | | \$ |
|---------------------------|----------------|-----------|----------------|
| პ/დ ნაშთი | 10,000 | ბანკი | 140,000 |
| კრედიტით გაყიდვა (დამაბ.) | <u>142,000</u> | პ/ბ ნაშთი | <u>12,000</u> |
| | <u>152,000</u> | | <u>152,000</u> |

(გ2)

კრედიტორული დავალიანება

| | \$ | | \$ |
|---------------------|----------------|----------------------------|----------------|
| მიღებული ფასდათმობა | 500 | პ/დ ნაშთი | 4,000 |
| ბანკი | 110,000 | კრედიტით შესყიდვა (დამაბ.) | 111,100 |
| პ/ბ ნაშთი | <u>4,600</u> | | <u>115,100</u> |
| | <u>115,100</u> | | |

(გ3)

| | | |
|-----------------------------------|----------------|----------------|
| | \$ | \$ |
| გასვლიდან მიღებული ფული | | 8,200 |
| მინუს: ნეტო საბალანსო ღირებულება | | |
| თვითღირებულება | 10,000 | |
| დაგროვილი ცვეთა | <u>(1,900)</u> | |
| | | <u>(8,100)</u> |
| აქტივის გასვლიდან მიღებული მოგება | | <u>100</u> |

(გ4)

| | |
|--|--------------|
| | \$ |
| დებიტორული დავალიანების ანარიცხი | |
| – მოითხოვება (5% x \$12,000) | 600 |
| პ/დ ნაშთი | <u>(500)</u> |
| დებიტორული დავალიანების ანარიცხის ზრდა | <u>100</u> |

(გ5)

ინვენტარი

| | თვითღირე- ბულება | დაგროვილი ცვეთა | ნეტო საბალანსო ღირებულება |
|--------------------------------------|---------------------|--------------------|---------------------------------|
| | \$ | \$ | \$ |
| პ/დ ნაშთი | 20,000 | (8,000) | 12,000 |
| შეძენა | <u>5,000</u> | <u>–</u> | <u>5,000</u> |
| | 25,000 | (8,000) | 17,000 |
| წლის ცვეთის ხარჯი: 20% x \$25,000 | | <u>(5,000)</u> | <u>(5,000)</u> |
| | <u>25,000</u> | <u>(13,000)</u> | <u>12,000</u> |


(გ6)

მანქანები

| | თვითღირე- ბულება | დაგროვილი ცვეთა | ნეტო საბალანსო ღირებულება |
|--------------------------------------|---------------------|--------------------|------------------------------|
| | \$ | \$ | \$ |
| პ/დ ნაშთი | 22,000 | (4,180) | 17,820 |
| გასვლა | <u>(10,000)</u> | <u>1,900</u> | <u>(8,100)</u> |
| | 12,000 | (2,280) | 9,720 |
| შეძენა | <u>20,000</u> | | <u>20,000</u> |
| | 32,000 | (2,280) | 29,720 |
| წლის ცვეთის ხარჯი: 10% x \$29,720 | | <u>(2,972)</u> | <u>(2,972)</u> |
| პ/ბ ნაშთი | <u>32,000</u> | <u>(5,252)</u> | <u>26,748</u> |

| | |
|---|------------------|
| (გ7) | |
| კაპიტალი 2004 წლის 30 სექტემბერს | |
| | \$ \$ |
| სათავსოები (\$20,000 - \$8,000) | 12,000 |
| მანქანები (\$22,000 - \$4,180) | 17,820 |
| მარაგი | 18,000 |
| დებიტორული დავალიანება (\$10,000 - \$500) | 9,500 |
| წინასწარგადახდილი კომუნალური გადასახადი | 400 |
| ფული ბანკში | 2,000 |
| ფული სალაროში | 600 |
| | <u>60,320</u> |
| კრედიტორული დავალიანება | (4,000) |
| დარიცხული ელექტროენერგია და გათბობა | <u>(250)</u> |
| | <u>(4,250)</u> |
| | <u>56,070</u> |
| (გ8) | |
| ამოღება | \$ |
| ბანკი | 15,000 |
| საქონელი | 1,000 |
| | <u>16,000</u> |

თავის რეზიუმე



შეამოწმე შენი პასუხები



| შეამოწმე შენი ცოდნა 1 | | | |
|------------------------|---|---------------------------|--|
| სწორი პასუხია ა | | | |
| სხვაობა ნეტო აქტივებში | = | ჩადებულ კაპიტალს + მოგება | წლის წმინდა მოგება - ამოღება წლის განმავლობაში |
| \$8,000 - \$5,000 | = | \$3,000 | + წლის წმინდა მოგება - \$2,500 |
| მოგება | = | \$3,000 | + \$2,500 |
| | = | \$5,500 | |



| შეამოწმე შენი ცოდნა 2 | | | |
|--|---------------|------------------------|---------------|
| სწორი პასუხია ა | | | |
| დებიტორული დავალიანება | | | |
| | \$ | | \$ |
| პ/დ ნაშთი | 30,000 | ბანკი (ფული ბანკში) | 40,000 |
| კრედიტით გაყიდვები (დამ.) | 50,000 | გაცემული ფასდათმობა | 3,000 |
| | <u>80,000</u> | პ/ბ ნაშთი | <u>37,000</u> |
| პ/დ ნაშთი | 37,000 | | <u>80,000</u> |
| მთლიანი გაყიდვა = \$50,000 + \$15,000 = \$65,000 | | | |
| ან | | | |
| მთლიანი დებიტორული დავალიანება | | | |
| | \$ | | \$ |
| პ/დ ნაშთი | 30,000 | ბანკი (ნაღდი+კრედიტით) | 55,000 |
| მთლიანი გაყიდვა (დამ.) | 65,000 | გაცემული ფასდათმობა | 3,000 |
| | <u>95,000</u> | პ/ბ ნაშთი | <u>37,000</u> |
| პ/დ ნაშთი | 37,000 | | <u>95,000</u> |



| შეამოწმე შენი ცოდნა 3 | | | |
|---------------------------------|---------------|-----------------------|---------------|
| სწორი პასუხია დ | | | |
| მთლიანი კრედიტორული დავალიანება | | | |
| | \$ | | \$ |
| ბანკი | 14,000 | პ/დ ნაშთი | 15,000 |
| მიღებული ფასდათმობა | 500 | შესყიდვები (დამაბალ.) | 12,500 |
| პ/ბ ნაშთი | <u>13,000</u> | | <u>27,500</u> |
| | 27,500 | პ/დ ნაშთი | 13,000 |

| შეამოწმე შენი ცოდნა 4 | |
|--|-------|
| სწორი პასუხია ბ | |
| მოგებისა და ზარალის ანგარიში (ნაწყვეტი) | \$ |
| ზარჯები: ელექტროენერგია (-250 + 1,000 + 300) | 1,050 |
| იჯარა (300 + 2,000 - 400) | 1,900 |

| შეამოწმე შენი ცოდნა 5 | | | |
|--------------------------|---------------|-----------|---------------|
| სწორი პასუხია დ | | ბანკი | |
| | \$ | | \$ |
| მიღება (დამაბალანსებელი) | 12,130 | პ/დ ნაშთი | 1,367 |
| | | გადახდა | 8,536 |
| | | პ/ბ ნაშთი | 2,227 |
| | <u>12,130</u> | | <u>12,130</u> |
| პ/დ ნაშთი | 2,227 | | |

| შეამოწმე შენი ცოდნა 6 | | | |
|-----------------------|---------------|-----------|---------------|
| სწორი პასუხია გ | | სალარო | |
| | \$ | | \$ |
| პ/დ ნაშთი | 900 | ბანკი | 10,000 |
| მიღება | 13,100 | ამოღება | 1,000 |
| | | ხელფასი | 2,000 |
| | | პ/ბ ნაშთი | 1,000 |
| | <u>14,000</u> | | <u>14,000</u> |
| პ/დ ნაშთი | 1,000 | | |

| შეამოწმე შენი ცოდნა 7 | |
|--|------------|
| სწორი პასუხია გ | |
| საერთო მოგება: $\$1,000 \times 25\% = \250 | |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება: | \$ |
| გაყიდებიდან ამონაგები | 1,000 |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება (დამაბალანსებელი) | (750) |
| საერთო მოგება | <u>250</u> |

| შეამოწმე შენი ცოდნა 8 | |
|--|------------|
| სწორი პასუხია ა | |
| საერთო მოგება: $\$600 \times 25\% = \150 | |
| გაყიდებიდან ამონაგები: | \$ |
| გაყიდებიდან ამონაგები (დამაბალანსებელი) | 750 |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | (600) |
| საერთო მოგება | <u>150</u> |




| შემაჯავრობის შენი ცოდნა 9 | | | |
|----------------------------------|--------------|----------------|------------|
| | \$ | \$ | % |
| გაყიდვებიდან ამონაგები | | 3,200 | 100 |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | | | |
| მარაგის საწყისი ნაშთი | 800 | | |
| შესყიდვა | 2,840 | | |
| მარაგის საბოლოო ნაშთი | <u>(600)</u> | | |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | | <u>(3,040)</u> | <u>95%</u> |
| საერთო მოგება | | <u>160</u> | <u>5%</u> |



| შემაჯავრობის შენი ცოდნა 10 | | | |
|--|----------------|-----------------|------------|
| სწორი პასუხა ბ | | | |
| | \$ | \$ | % |
| გაყიდვებიდან ამონაგები | | 100,000 | 100 |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | | | |
| მარაგის საწყისი ნაშთი | 10,000 | | |
| შესყიდვა | 82,000 | | |
| მარაგის საბოლოო ნაშთი | <u>(3,000)</u> | | |
| მარაგის დაკარგული რაოდენობა (დამაბალანსებელი) | <u>(9,000)</u> | | |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | | <u>(80,000)</u> | <u>80%</u> |
| საერთო მოგება | | <u>20,000</u> | <u>20%</u> |




| შემაჯავრობის შენი ცოდნა 11 | | | |
|---|--|----------------|-------------|
| | \$ | \$ | % |
| გაყიდვებიდან ამონაგები | | 10,000 | 125 |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | | | |
| მარაგის საწყისი ნაშთი | 2,000 | | |
| შესყიდვა | 7,500 | | |
| მარაგის დაკარგული რაოდენობა (დამაბალანსებელი) | <u>(1,500)</u> | | |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | | <u>(8,000)</u> | <u>100%</u> |
| საერთო მოგება | | <u>2,000</u> | <u>25%</u> |
| დებუტი | მოგებისა და ზარალის ანგარიში (ზარჯი): | 1,500 | |
| კრედიტი | მოგებისა და ზარალის ანგარიში (გაყიდული საქონლის თვითღირებულება): | 1,500 | |
| ხანძრის მიერ განადგურებული, დაუზღვეველი მარაგის გატარება. | | | |



ამხანაგობის ანგარიშები თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- განსაზღვროთ ამხანაგობის შექმნის შემთხვევები;
- ახსნათ ამხანაგობის უპირატესობები და ნაკლოვანებები ინდემწარმესა და შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებთან შედარებით;
- ახსნათ ამხანაგობის ხელშეკრულების ტიპური შინაარსი, მოგების განაწილების პირობების ჩათვლით;
- ახსნათ ამხანაგობისა და ინდემწარმის ბულალტრულ ჩანაწერებს შორის განსხვავება:
 - კაპიტალის ანგარიში;
 - კაპიტალის მიმდინარე ანგარიში;
 - მოგების განაწილება.
- ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ, როგორ უნდა აღირიცხოს მოგების/ზარალის წილების განაწილება და ამოღება ბულალტრულ ანგარიშებსა და ფინანსურ ანგარიშებებში;
- ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ, როგორ უნდა აღირიცხოს მოგების წილის გარანტირებული მინიმუმი;
- ახსნათ, როგორ უნდა აღირიცხოს პარტნიორის მიერ სესხის გაკემა;
- განმარტოთ გუდვილი, ამხანაგობის წევრების ანგარიშებთან მიმართებაში;
- დაადგინოთ ფაქტორები, რომლებიც გუდვილის წარმოქმნას იწვევს ამხანაგობის წევრების ანგარიშებში;
- გამოთვალოთ გუდვილის ღირებულება მოცემული ინფორმაციიდან;
- ახსნათ ახალი პარტნიორის მიღების ეუექტი.



1. ამხანაგობის განმარტება

- ამხანაგობა არის „ურთიერთობა, რომელიც აერთიანებს ინდივიდებს, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ სამეურნეო საქმიანობას ერთი საერთო მიზნით, მოგების მისაღებად“.
- ამიტომ, ამხანაგობა მეწარმეობის ფორმაა, როცა საწარმოს ორი ან რამდენიმე თანამფლობელი ჰყავს.
- როგორც ინდმეწარმის შემთხვევაში, საწარმოს მოგება მის მფლობელებს ეკუთვნის.
- ამგვარად, უცილებელია, საწარმოს მოგების განაწილება პარტნიორებს შორის.



განვრცობილი ტექსტი

ამხანაგობა ინდივიდუალური მეწარმეობის შემდგომი ბუნებრივი პროგრესული ფორმაა. ინდივიდუალურ მეწარმეს ერთი ან რამდენიმე პარტნიორი (თანამფლობელები) ჰყავს, რომლებსაც აქვთ ერთი საერთო მიზანი – მოგების მიღება. მრავალ ქვეყანაში ამხანაგობა წარმოადგენს არა კორპორაციულ ერთეულს, არამედ ინდივიდების გაერთიანებას, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ სამეურნეო საქმიანობას.

2. ამხანაგობის უპირატესობები და ნაკლოვანებები

ინდემფარმი

ამხანაგობა

შეზღუდული
პასუხისმგებლობის
კომპანია

2.1 ამხანაგობის უპირატესობა ინდემფარმივობასთან შედარებით

- სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკი ნაწილდება რამდენიმე ადამიანზე.
- პარტნიორებს შეუძლიათ ინდივიდუალურად გამოიმუშაონ სპეციფიკური უნარ-ჩვევები, რასაც ამხანაგობის საკეთილდღეოდ გამოიყენებენ, ხოლო ინდივიდუალური საწარმოს შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა ერთ პირს აკისრია.
- ამხანაგობას უფრო მეტი ფინანსური რესურსი გააჩნია, რადგან უფრო მეტი პიროვნება დებს კაპიტალს.

2.2 ამხანაგობის ნაკლოვანებები

- ბიზნესის მართვისას შეიძლება პარტნიორებს შორის უთანხმოება წარმოიშვას;
- ზოგიერთი პარტნიორის მოსაზრება, რომლის თანახმად იგი უფრო მეტ ენერჯის და დროს ხარჯავს, ან უკეთესი უნარ-ჩვევები გააჩნია, ამიტომ მეტი ერგება.
- პარტნიორები „ერთობლივად და ცალ-ცალკე ვალდებულნი“ არიან თავიანთი პარტნიორების ქმედებებზე. ეს ნიშნავს, რომ თუ ერთი პარტნიორის წინააღმდეგ აღიძვრება სარჩელი ამხანაგობის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით, მაშინ სხვა პარტნიორებიც ინაწილებენ პასუხისმგებლობას.

2.3 ამხანაგობის უპირატესობა შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კომპანიასთან შედარებით

- მისი ჩამოყალიბება უფრო ნაკლებ ფორმალობასთანაა დაკავშირებული, ვიდრე კომპანიის, რომლის შემთხვევაში აუცილებელია აქციების გამოშვება და დირექტორების დანიშვნა.
- თუ პარტნიორებს საქმიანობის შეწყვეტის სურვილი ექნებათ, ეს ამხანაგობის შემთხვევაში უფრო ადვილი განსახორციელებელია, ვიდრე კომპანიის შემთხვევაში.

2.4 ამხანაგობის ნაკლოვანება

- ამხანაგობის წევრები საწარმოს კრედიტორებისგან დაცულნი არ არიან. სანამ ამხანაგობა არ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, პარტნიორების პასუხისმგებლობა არ არის შეზღუდული.

3. ამხანაგობის ხელშეკრულება

ამხანაგობის წევრებს, ჩვეულებრივ, უნდა ჰქონდეთ ხელშეკრულება, რომელშიც მოცემული იქნება, როგორ განაწილდეს (მიეკუთვნოს) მოგება პარტნიორებს შორის.

ხელშეკრულებაში აღნიშნული მოგების განაწილების გზები შეიძლება რთული იყოს, რადგან მასში უნდა აისახოს თითოეული პარტნიორის განსხვავებული საკმინაობა და წვლილი.

| | |
|--------------------------------------|---|
| ხელფასი | შეიძლება დაენიშნოს პარტნიორს, რომელსაც აქვს საწარმოში მეტი პასუხისმგებლობა. |
| პროცენტი კაპიტალზე | შეიძლება დაერიცხოს ფიქსირებული პროცენტის რაოდენობა კაპიტალზე, რომ განასხვავონ სხვადასხვა ოდენობის ჩადებული კაპიტალი. |
| თანხის ამოღებაზე დაწესებული პროცენტი | ამოღებას შეიძლება დაერიცხოს ფიქსირებული პროცენტის რაოდენობა, იმ პარტნიორის დაჯარიმების მიზნით, ვინც საწარმოდან იღებს მეტ თანხას. პროცენტი შეიძლება დაერიცხოს ყველა ამოღებულ თანხაზე, ან ლიმიტს ზემოთ ამოღებულ რაოდენობაზე. ეს ოდენობა ამცირებს პარტნიორის წილ მოგებას. „ამ ოდენობას ეწოდება მოგების უარყოფითი წილი“. იგი უნდა დაემატოს გასანაწილებელ საერთო მოგებას და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს განაწილება სხვა მონაცემების მიხედვით. |
| მოგების განაწილების პროპორცია | ეს კოეფიციენტია, რომლის საშუალებითაც ხდება დარჩენილი (მას შემდეგ, რაც გაიცემა ხელფასი, პროცენტი კაპიტალსა და ამოღებაზე) მოგების განაწილება პარტნიორებს შორის. |

მნიშვნელოვანია გააცნობიეროთ, რომ პარტნიორებისთვის ზემოთ ჩამოთვლილი თანხების მიკუთვნება გახლავთ მოგების განაწილების ხერხი და არა სამეურნეო საკმინაობის ხარჯები. ამხანაგობის შემთხვევაში, პარტნიორებისთვის გადახდილი ხელფასი უბრალოდ მოგების განაწილების საშუალებაა და არა ხელფასი, მისი ტრადიციული მნიშვნელობით.




განვრცობილი ტექსტი

ამხანაგობის შეთანხმება, რომელიც აუცილებელი არ არის წერილობით ფორმით არსებობდეს, არეგულირებს პარტნიორებს შორის ურთიერთობას. იგი უნდა მოიცავდეს შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს:

- ფირმის დასახლება, სამეურნეო საკმინაობის ხასიათი და ხანგრძლივობა;
- პარტნიორების მიერ შესატანი კაპიტალის ოდენობა;

- პარტნიორებს შორის მოგების განაწილება;
 - ამხანაგობის წევრების მიერ თანხის ამოღება;
 - ამხანაგობის დაშლასთან, ან პარტნიორის გარდაცვალებას ან პენსიაში გასვლასთან დაკავშირებული შეთანხმება;
 - უთანხმოების აღმოფხვრა;
 - ანგარიშების მომზადება და აუდიტი.
- ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, გაერთიანებულ სამეფოში 1890 წელს მიღებულ კანონში ამხანაგობის შესახებ აღნიშნულია, რომ მოგება უნდა განაწილდეს შემდეგნაირად:
- არც ერთი პარტნიორი არ მიიღებს ხელფასს;
 - პროცენტი არ დაერიცხება ჩადებულ კაპიტალს;
 - მოგება პარტნიორებს შორის თანაბრად განაწილდება.
 - თუ პარტნიორი ჩადებს შეთანხმებულ კაპიტალზე მეტ თანხას (შესაძლებელია სესხის სახით), იგი მიიღებს ნამეტზე წელიწადში 5%-ს.
- სხვა ქვეყანაში შესაძლებელია სხვა კანონები არსებობდეს.

4. ამხანაგობის ფინანსური ანგარიშგებები



- მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ზუსტად იმავე ხერხებით მზადდება, როგორც ინდმეწარმისათვის.
- მზადდება დამატებითი ანგარიში, რომელშიც მოცემულია პარტნიორებს შორის წმინდა მოგების განაწილება. ამ ანგარიშს მოგების განაწილების ანგარიში ეწოდება:

წმინდა მოგების განაწილების ანგარიში

| | A | B | სულ |
|---|----------|----------|--------------|
| | \$ | \$ | \$ |
| ხელფასი | X | | X |
| პროცენტი კაპიტალზე | X | X | X |
| პროცენტი ამოღებაზე | | (X) | (X) |
| მოგების განაწილება | | | დამაბალან- |
| პროპორციით 3 : 2 | | | სებელი |
| | <u>X</u> | <u>X</u> | <u>ციფრი</u> |
| სულ მოგების წილი | X | X | |
| წმინდა მოგება მოგებისა და ზარალის ანგარიშიდან | | | X |

- თითოეული პარტნიორის მოგების წილი კრედიტდება პარტნიორების მიმდინარე ანგარიშში. ამოღება დებეტდება ამავე ანგარიშში.

მიმდინარე ანგარიში

| | A | B | | A | B |
|-----------|----------|----------|--|----------|----------|
| | \$ | \$ | | \$ | \$ |
| ამოღება | X | X | პ/დ ნაშთი | X | X |
| | | | მოგების წილი (მოგების განაწილების ანგარიშიდან) | X | X |
| პ/დ ნაშთი | <u>X</u> | <u>X</u> | | <u>X</u> | <u>X</u> |
| | <u>X</u> | <u>X</u> | პ/ბ ნაშთი | X | X |

პარტნიორების კაპიტალის ანგარიშში აღირიცხება საწარმოში თითოეული პარტნიორის მიერ თავდაპირველად ჩადებული კაპიტალი. ამ ანგარიშში ოპერაციები იშვიათად აღირიცხება, მხოლოს ისეთი, როგორცაა ახალი კაპიტალის ჩადების, ან პარტნიორის თანხის გატანის შემთხვევაში.

კაპიტალის ანგარიში

| | A | B | | A | B |
|---------------------------|----------|----------|-----------------------------|----------|----------|
| | \$ | \$ | | \$ | \$ |
| ჩადებული კაპიტალის გატანა | X | X | პ/დ ნაშთი | X | X |
| პ/ბ ნაშთი | X | X | დამატებითი კაპიტალის ჩადება | X | X |
| | <u>X</u> | <u>X</u> | | <u>X</u> | <u>X</u> |
| | X | X | პ/დ ნაშთი | X | X |

- მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშის საბოლოო ნაშთებით იქმნება ბალანსის კაპიტალის ნაწილი:

| | | | |
|----------------------|-------------|----------|----------|
| | | \$ | \$ |
| კაპიტალის ანგარიშები | პარტნიორი A | X | |
| | პარტნიორი B | <u>X</u> | |
| | | | X |
| მიმდინარე ანგარიშები | პარტნიორი A | X | |
| | პარტნიორი B | <u>X</u> | |
| | | | <u>X</u> |
| | | | X |

ბალანსის სხვა ნაწილი იგივეა, რაც ინდემწარმის დროს (აქტივები და ვალდებულებები).



განვრცობილი ტექსტი

კაპიტალის ანგარიშები

ამხანაგობის ჩამოყალიბებისას შეთანხმება უნდა იქნეს მიღწეული საწყისი კაპიტალის შენატანების ოდენობაზე. კაპიტალი შეიძლება წარმოადგენილი იყოს ფულადი სახსრების ან აქტივების სახით. რა ფორმითაც არ უნდა იქნეს საწყისი შენატანი გაკეთებული, აქტივის ანგარიში დებეტდება, ხოლო ფიქსირებული კაპიტალის ანგარიშები – კრედიტდება. ფიქსირებული კაპიტალის ანგარიშები იმიტომ ეწოდება, რომ შემდგომში მათი გამოყენება ხდება მხოლოდ პარტნიორებს შორის ურთიერთობის ძირითადი ცვლილებების ასახვისთვის და არა სამეურნეო საქმიანობიდან მათ მიერ ამოღებული თანხების ან მიღებული მოგების წილის აღსარიცხავად. ფიქსირებული კაპიტალის ანგარიშები გამოიყენება შემდეგი სახის ოპერაციების ასახვისათვის:

- ახალი პარტნიორების მიერ, ან იმ პარტნიორების მიერ, რომლებიც ამხანაგობიდან გადიან, კაპიტალის შეტანა ან ამოღება;
- გადაფასების კორექტირებები.

ფიქსირებული კაპიტალის ანგარიშების ნაშთები შეიძლება საერთოდ არ იქნეს დაკავშირებული მოგების განაწილებასთან. თუმცა, იმ პარტნიორების კომპენსირებისთვის, რომლებზეც კაპიტალის შენატანების უფრო დიდი წილი მოდის, მიღებულია კაპიტალის ანგარიშებზე პარტნიორებისათვის გადასახდელი პირობითი პროცენტის დარიცხვა. ეს საკითხი განიხილება მოგებისა და ზარალის ანგარიშებიდან გადატანილი მოგების წილის გამოთვლისას.

მიმდინარე ანგარიშები

მიმდინარე ანგარიშები გამოიყენება პარტნიორებსა და ფირმას შორის რეგულარული ოპერაციების ასახვისთვის, ანუ იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც იმდენად ფუნდამენტური არ არის, რომ კაპიტალის ანგარიშებში იქნეს ასახული. ყველაზე გავრცელებული სახის ოპერაციები გახლავთ შემდეგი:

- მოგების წილი, პროცენტი კაპიტალზე და პარტნიორების ხელფასი, რომელსაც ჩვეულებრივ წლიურად ითვლიან;

- სამეურნეო საქმიანობიდან ყოველთვიური ფულადი სახსრების ამოღება წლიური მოგების წილის საპირისპიროდ.

ზემოთ მოცემული ანგარიშები სეკტების ფორმით არის წარმოდგენილი. ეს ფორმა მოსახერხებელია გამოცდის მიზნებისთვის და ამხანაგობის ბუღალტრული წიგნების საკმაოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს, რადგან წლის განმავლობაში თითოეული პარტნიორის მიერ განხორციელებული ოპერაციები მსგავსი იქნება. აღნიშნული ფორმა საშუალებას იძლევა, ნაჩვენები იქნეს ორი (ან მეტი) განცალკევებული ანგარიში საერთო დასახელების გასწვრივ. მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ ყოველი პარტნიორის ანგარიში სხვა პარტნიორ(ებ)ის ანგარიშებისგან დამოუკიდებელია.

ბალანსის წარდგენა

ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ინდივიდუალური მეწარმისა და ამხანაგობის ბალანსების კაპიტალის განყოფილებებს შორის ის გახლავთ, რომ ამხანაგობის შემთხვევაში ხშირად მხოლოდ საბოლოო ნაშთებია მოცემული, ხოლო ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – კაპიტალის ანგარიშის ცვლილებები. აღნიშნული განსხვავება, ძირითადად, გამოწვეულია უბრალოდ იმის გამო, რომ ადვილი არ არის პარტნიორების კაპიტალისა და მიმდინარე ანგარიშების ცვლილებების მოთავსება ბალანსში (არასაკმარისი ადგილის გამო). საგამოცდო კითხვებზე პასუხის გაცემისას საჭირო იქნება პარტნიორების კაპიტალისა და მიმდინარე ანგარიშების მომზადება, ბალანსიდან ამონაწერის მომზადებასთან ერთად. დროის დაკარგვაა ბალანსში იმ ინფორმაციის განმეორებით ასახვა, რომელიც უკვე ასახულია პარტნიორების ანგარიშებში.



შეამოწმე შენი ცოდნა 1

P და L-ს აქვთ სავაჭრო ბიზნესი. ისინი ჰყვიდიან სახლში დამზადებულ ნაყენებსა და ლოსიონებს. პირველ წელს მათი საქმიანობა წარმატებული იყო და მოგებამ შეადგინა \$48,000.

ამხანაგობის ხელშეკრულება შეიცავს შემდეგ პირობებს:

- P ხელფასს იღებს \$11,000 ნაყენების მომზადებისათვის;
- წლიური პროცენტი ჩადებულ კაპიტალზე არის 7%;
- დარჩენილი ნაშთი უნდა განაწილდეს თანაბრად.

ბიზნესის დაწყებისას P-მ ჩაღო \$8,000, ხოლო L-მ \$12,000.

რა იქნება L-ის მოგების წილი?

- ა \$18,360
- ბ \$24,140
- გ \$18,640
- დ \$29,360

შეამოწმე შენი ცოდნა 2

B, J და C-ი ამხანაგობის წევრები არიან. ისინი ვებ-გვერდის Bigstars.com-ის საშუალებით ვაჭრობენ CD და DVD-ით. მათი საქმიანობა წარსულში და 20X6 წლის 30 ივნისს დასრულებულ წელს არ იყო წარმატებული, რადგან ის დაასრულეს \$120,000 ზარალით. ამხანაგობის ხელშეკრულება შეიცავს შემდეგ პირობებს:

- წლიური 4% ჩადებულ კაპიტალზე;
- C-ი მიიღებს \$25,000 ხელფასს, ხოლო J-ი მიიღებს \$14,000 ხელფასს;
- ამოღებას არ ერიცხება პროცენტი;
- დარჩენილი მოგება განაწილდება პროპორციით 4:3:1.

წევრებმა თავდაპირველად ჩადეს კაპიტალი:

B \$35,000

J \$26,000

C \$40,000

მოგების, ან ზარალის რა წილი ერგება C-ს?

ა \$6,220

ბ \$36,220

გ \$(34,540)

დ \$(54,920)

შეამოწმე შენი ცოდნა 3

H და C-მ დაიწვეს პიიენური საქონლის გაკეთებისა და გავრცელების ბიზნესი 20X6 წლის 1 იანვარს. ამას ხელი შეუწყო H-ის მიერ შობის წინ მოგებულმა \$40,000. H-მა მოგებული თანხის ნახევარი საწარმოში დააბანდა, ხოლო C-მ ისეხა \$14,000 თავისი ბიძისაგან საწარმოში ჩასადებად. საქმიანობის პირველ წელს მოგებამ შეადგინა \$25,000, ასე, რომ ორივე პარტნიორი ძალიან კმაყოფილი იყო. მათ შეადგინეს ხელშეკრულება, მაგრამ არ იციან რეალურად მოგების რა წილი ერგება თითოეულ მათგანს. ხელშეკრულება შეიცავს შემდეგ პირობებს:

- არც ერთი პარტნიორი არ იღებს ხელფასს;
- პროცენტი კაპიტალზე არის 4%;
- პროცენტი ამოღებაზე არის 2%;
- დარჩენილი მოგება განაწილდება პროპორციით 3:2.

თითოეულმა პარტნიორმა ამოიღო \$5,000, 20X6 წლის 1 ივლისს წლის ბოლოს სათვეზაოდ და დასასვენებლად ესპანეთში წასასვლელად.

აჩვენეთ, როგორ აისახება ზემოთ მოცემული ინფორმაცია პარტნიორების კაპიტალის და მიმდინარე ანგარიშებსა და ბალანსში.

5. მოგების გარანტირებული მინიმალური წილი

პარტნიორთა ზოგიერთი შეთანხმების მიხედვით, ამხანაგობის ზოგიერთ წევრს შეიძლება გარანტირებული ჰქონდეს მოგების წილი. თუ მოგების განაწილების შედეგად, პარტნიორზე მიკუთვნებული მოგება მინიმალურ გარანტირებულ მოგებაზე ნაკლები იქნება, ლეფიციტის შევსება მოხდება სხვა პარტნიორების მიერ მოგების განაწილების პროპორციის დაცვით.



| შეამოწმე შენი ცოდნა 4 | |
|---|--|
| ამხანაგობა, რომელიც აწყობს ევროპულ დღესასწაულებს, შედეგება 4 წევრისაგან – P, W, E, C. 20X5 წლის 30 ივნისს დასრულებულ წელს ამხანაგობის მოგებამ შეადგინა \$106,250. | |
| P-მა ამხანაგობაში ჩაღო \$100,000 ინვესტიცია. საწარმოდან მან ამოიღო \$30,000 20X4 წლის 1 ივლისს. | |
| W-მა ამხანაგობაში ჩაღო \$20,000 ინვესტიცია. საწარმოდან მან ამოიღო \$30,000 20X5 წლის 30 ივნისს. | |
| E-მა ამხანაგობაში ჩაღო \$50,000 ინვესტიცია. საწარმოდან მან ამოიღო \$25,000 20X4 წლის 1 ივლისს და შემდეგ \$25,000 20X5 წლის 1 იანვარს. | |
| C-მა ამხანაგობაში ჩაღო \$50,000 ინვესტიცია. საწარმოდან მან ამოიღო \$30,000 20X4 წლის 1 ივლისს. | |
| განაწილეთ საწარმოს მოგება, ამხანაგობის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად: | |
| • წლიური 5 % ჩადებულ კაპიტალზე; | |
| • W-ი მიიღებს \$5,000 ხელფასს; | |
| • 10% ამოღებაზე; | |
| • დარჩენილი მოგების განაწილების პროპორცია 2:1:3:4; | |
| • C-ი იღებს \$42,500 გარანტირებულ მინიმუმს. | |

6. სესხი ამხანაგობის წევრისაგან

- ამხანაგობის წევრს შეუძლია ამხანაგობას სესხი მისცეს და მიიღოს პროცენტი.
- ორადი გატარება სესხის გაცემის შემდეგ იქნება:

| | | |
|---------|---------------------|---|
| დებეტი | სალარო | X |
| კრედიტი | სესხი (ვალდებულება) | X |
- პროცენტი არის საწარმოს ხარჯი, რომელიც მოგებას ერიცხება მოგების განაწილებამდე.
- სესხის პროცენტის ორადი გატარება:

| | | |
|---------|---|---|
| დებეტი | სესხის პროცენტის ხარჯი | X |
| კრედიტი | ბანკი (თუ გადახდილია) ან მიმდინარე ანგარიში (თუ გადასახდელია) | X |

თუმცა, საგამოცდო კითხვაში არ იქნება ასეთი სიდიდის ამოცანა, შემდეგი ამოცანა დაგეხმარებათ, მაგალითზე იხილოთ, როგორ მზადდება ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი, ამ თავში მოცემული მეთოდების გამოყენებით.

7. ამხანაგობის სრული ანგარიშგება

შემდეგი საილუსტრაციო მაგალითი გეჩვენებს ამხანაგობის ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს. თუმცა ასეთი მოცულობის კითხვა გამოცდაზე არ შეგხვდებათ, სასარგებლოა იცოდეთ როგორ მზადდება ამხანაგობის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი, საცდელი ბალანსიდან, სხვა დამატებითი ინფორმაციის გამოყენებით.

მაგ.

საილუსტრაციო მაგალითი: ამხანაგობის სრული ანგარიშგება

K და B არიან ამხანაგობის წევრები. ისინი ამზადებენ და ვაჭრობენ ნამცხვრებით. 20X6 წლის 30 ივნისის მათი საწარმოს საცდელი ბალანსია:

| | დებეტი \$ | კრედიტი \$ |
|--|----------------|----------------|
| უიმედო ვალები | 2,350 | |
| იჯარა და კომუნალური ხარჯები | 35,000 | |
| მანქანის ხარჯები (მოიცავს ცვეთას) | 17,400 | |
| დებიტორული დავალიანების ანარიცხები | | 5,450 |
| მანქანა (თვითღირებულება) | 32,750 | |
| მანქანის დაგროვილი ცვეთა (20X6 წ. 30 ივნისის მდგომარეობით) | | 15,578 |
| ფული ბანკში | 467 | |
| ამოღება - K | 13,500 | |
| ამოღება - B | 15,000 | |
| მარაგი | 3,000 | |
| ინვენტარი (თვითღირებულება) | 27,000 | |
| ინვენტარი - (დაგროვილი ცვეთა) | | 13,500 |
| წვრილმანი ხარჯები | 14,780 | |
| გაყიდვებიდან ამონაგები | | 157,000 |
| კრედიტორული დავალიანება | | 9,800 |
| დებიტორული დავალიანება | 16,000 | |
| შესყიდვები | 96,000 | |
| მიმდინარე ანგარიში - K | | 7,655 |
| მიმდინარე ანგარიში - B | | 9,264 |
| კაპიტალის ანგარიში - K | | 35,000 |
| კაპიტალის ანგარიში - B | | 20,000 |
| | <u>273,247</u> | <u>273,247</u> |

მოცემულია შემდეგი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც საცდელ ბალანსში არ არის შესული:

- წლის ბოლოს მარაგის საბოლოო ნაშთი შეფასებულია \$4,500;
- ინვენტარისათვის ცვეთა ჯერ არ არის დარიცხული – ცვეთას არიცხავენ წრფივი მეთოდით წლიური 10%-იანი განაკვეთით;
- წლის ბოლოსათვის \$2,500 კომუნალური გადასახადი გადახდილია წინასწარ;
- წლის ბოლო დღეს K-მ საწარმოს ბანკის ანგარიშზე შეიტანა \$13,000 სესხის სახით;
- B – იღებს \$7,500 ხელფასს;
- კაპიტალს ერიცხება წლიური 8%;
- დარჩენილი მოგების ნაწილი იყოფა თანაბრად.

მოგეთხოვებათ მოამზადოთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგება, მოგების განაწილების ანგარიში, ამხანაგობის წევრების მიმდინარე ანგარიშები და ბალანსი 2006 წლის 30 ივნისს დასრულებული წლისათვის.

ამოხსნა

**K და B-ის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება
20X6 წლის 30 ივნისს დასრულებული წლისათვის**

| | \$ | \$ |
|--|---------|----------|
| გაყიდებიდან ამონაგები: | | 157,000 |
| მინუს: გაყიდული საქონლის თვითღირებულება | | |
| საწყისი მარაგი | 3,000 | |
| შესყიდვები | 96,000 | |
| მინუს: საბოლოო მარაგი | (4,500) | |
| | | (94,500) |
| საერთო მოგება | | 62,500 |
| უიმელო ვალები | 2,350 | |
| იჯარა და კომუნალური ხარჯები (35,000 – 2,500) | 32,500 | |
| მანქანის ხარჯები | 17,400 | |
| წერილმანი ხარჯები | 14,780 | |
| ცვეთა (ინვენტარი: 10% X 27,000) | 2,700 | |
| | | (69,730) |
| წმინდა ზარალი | | (7,230) |

| ბ) K და B-ის ბალანსი 20X6 წლის 30 ივნისის მდგომარეობით | | | | |
|--|----------------|-----------------|---------------------------|---------------|
| | თვითღირებულება | დაგროვილი ცვეთა | ნეტო საბალანსო ღირებულება | |
| | \$ | \$ | \$ | |
| გრძელვადიანი აქტივები: | | | | |
| მანქანები | 32,750 | 15,578 | 17,172 | |
| ინვენტარი | 27,000 | 16,200 | 10,800 | |
| | | | <u>27,972</u> | |
| მოკლევადიანი აქტივები: | | | | |
| მარაგი | | 4,500 | | |
| დებიტორული დავალიანებები (16,000 - 5,450) | | 10,550 | | |
| წინასწარგადახდა | | 2,500 | | |
| ფული ბანკში (467 + 13,000) | | 13,467 | | |
| | | | <u>31,017</u> | |
| | | | <u>58,989</u> | |
| ამხანაგობის ანგარიშები | K | B | | |
| | \$ | \$ | | |
| კაპიტალის ანგარიში | 35,000 | 20,000 | 55,000 | |
| მიმდინარე ანგარიშები | (12,610) | (6,201) | (18,811) | |
| გრძელვადიანი ვალდებულება სესხი | | | 13,000 | |
| მოკლევადიანი ვალდებულებები: | | | | |
| საეაჭრო კრედიტორული დავალიანებები | | | 9,800 | |
| | | | <u>58,989</u> | |
| მიმდინარე ანგარიში | | | | |
| | K | B | K | B |
| | \$ | \$ | \$ | \$ |
| ზარალის განაწილება | 6,765 | 465 | 7,655 | 9,264 |
| ამოღება | 13,500 | 15,000 | 12,610 | 6,201 |
| | <u>20,265</u> | <u>15,465</u> | <u>20,265</u> | <u>15,465</u> |
| პ/დ ნაშთი | 12,610 | 6,201 | | |
| მოგების განაწილების ანგარიში | | | | |
| | K | B | სულ | |
| | \$ | \$ | \$ | |
| ხელფასი | | 7,500 | 7,500 | |
| პროცენტი კაპიტალზე | 2,800 | 1,600 | 4,400 | |
| მოგების ნაშთი პროპორციით 1 : 1 | (9,565) | (9,565) | (19,130) β | |
| | <u>(6,765)</u> | <u>(465)</u> | <u>(7,230)</u> | |

8. ამხანაგობის ანგარიშები და გუდვილი

გუდვილი არის სხვაობა ამხანაგობის მთლიანი საწარმოს ღირებულებასა და ნეტო აქტივების აგრეგირებულ საბაზრო ღირებულებას შორის:

| | |
|-----------------------------------|-----|
| საწარმოს ღირებულება | X |
| ნეტო აქტივების საბაზრო ღირებულება | (X) |
| გუდვილი | X |

ზოგიერთი ფაქტორი ხელს უწყობს ამხანაგობაში გუდვილის წარმოშობას:

- კარგი რეპუტაცია;
- მდებარეობა;
- ტექნიკური ნოუ-ჰაუ;
- მოგება გასული წლების განმავლობაში;
- მომავლის კარგი პერსპექტივები.

გუდვილი ეკუთვნის ამხანაგობის წევრებს იმავე პროპორციით, რაც ხელშეკრულებაშია მითითებული, თუმცა გუდვილის განაწილება საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა:

1. ამხანაგობის წევრები ირჩევენ მოგების წილის პროპორციის შეცვლას;
2. ამხანაგობის წევრები ტოვებენ ბიზნესს, ან გარდაიცვლებიან;
3. ამხანაგობას ახალი წევრი ემატება.

8.1 გუდვილის გამოთვლა

ამხანაგობის გუდვილის გამოანგარიშება შეიძლება რამდენიმე გზით:

1. სხვაობით გასაყიდ ფასსა და ნეტო აქტივების საბაზრო ღირებულებას შორის;
2. წინა წლის მოგების გამრავლებით რაიმე ციფრზე, ან სხვა რომელიმე მათემატიკური ფორმულით;
3. ახალი პარტნიორის მიერ ამხანაგობაში გაწევრიანებისათვის გადახდილი წილის, ან პროცენტის გამოყენება გუდვილის სრული ღირებულების დასადგენად;
4. შეკითხვაში მოცემული ნებისმიერი სხვა საფუძვლით.

შემოწმე შენი ცოდნა 5

გამოთვალეთ გუდვილი თითოეული მოცემული შემთხვევის დროს.

1. მოცემულია საწარმოსა და ნეტო აქტივების საბაზრო ღირებულება \$750,000 და \$500,000.
2. გუდვილი უნდა შეფასდეს წინა წლის მოგების 4-ჯერ გამრავლებით. წინა წლის მოგებაა \$25,000.
3. ამხანაგობის ახალმა წევრმა წევრობისათვის გადაიხადა თავისი წილი \$6,000, რომელიც გუდვილის მეოთხედ ღირებულებას შეადგენს.

9. ამხანაგობის ანგარიშების კორექტირება

თუ რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი სიტუაცია წარმოიშობა:

- იცვლება მოგების განაწილების პროპორცია;
- ამხანაგობის წევრი ტოვებს ამხანაგობას ან გარდაიცვალა;
- საწარმოს ახალი წევრი უერთდება.

მაშინ, მოგების განაწილების პროპორცია შეიცვლება და ასევე, შეიცვლება გუდვილის მფლობელობაც. ამხანაგობის წევრების კაპიტალის ანგარიშის კორექტირება მოითხოვება მანამ, სანამ ასეთი ცვლილება მოხდება, იმისათვის, რომ ამხანაგობის წევრებმა შეინარჩუნონ ამ დრომდე წარმოქმნილი წილი გუდვილში. ეს შესაძლებელია გაკეთდეს გუდვილის ანგარიშის საშუალებით, ან მის გარეშე.

გუდვილის ანგარიშის გამოყენება

გამოიანგარიშეთ საწარმოს გუდვილი და გაატარეთ შემდეგნაირად:

| | | |
|---------|---|---|
| დებეტი | გუდვილის ანგარიში | X |
| კრედიტი | კაპიტალის ანგარიშები ძველი კოეფიციენტებით | X |

კორექტირება გუდვილის ანგარიშის გარეშე

გამოიანგარიშეთ საწარმოს გუდვილი და გაატარეთ შემდეგნაირად:

| | | |
|---------|--|---|
| დებეტი | პარტნიორების კაპიტალის ანგარიშები ახალი კოეფიციენტებით | X |
| კრედიტი | პარტნიორების კაპიტალის ანგარიშები ძველი კოეფიციენტებით | X |

ვინაიდან ერთ-ერთი პარტნიორი ამკირებს აქტივობას, მას უმჯობრდება გუდვილი და ამდენად, იგი მოგების უფრო ნაკლებ წილს მიიღებს. შესაბამისად, სხვა პარტნიორების გუდვილი იზრდება, რითიც „კომპენსირდება“ (აღლანსირდება) იმ პარტნიორის გუდვილის „დანაკარგი“.

გახსოვდეთ, რომ პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევა საგამოცდო ამოცანებში არ შეგხვდებათ.

მაგ.

მაგალითი: კორექტირება გადაფასება

J, L და F 10 წელია გასტრონომიის ამხანაგობის წევრები არიან. ისინი მოგებას ინაწილებენ პროპორციით 3:4:2. რადგან L-ს სურს ჩამოშორდეს საწარმოს აქტიურ საქმიანობას, მის ოჯახთან ურთიერთობისათვის მეტი დრო რომ აქონდეს, შეთანხმებულია მოგების განაწილების პროპორციის შეცვლა 3:1:2-ით. საწარმოს გუდვილი შეფასებულია \$54,000-ად.

როგორი ჟურნალური გატარებით უნდა აღირიცხოს ეს ოპერაციები, თუ

- ა) გუდვილის ანგარიში გამოიყენება;
- ბ) გუდვილის ანგარიშის გარეშე?

ამოხსნა

ა) გუდვილის ანგარიშის გამოყენება

| | | |
|---------|--------------|---------------------------|
| დებეტი | გუდვილი | \$54,000 |
| კრედიტი | კაპიტალი (J) | \$18,000 (3/9 x \$54,000) |
| კრედიტი | კაპიტალი (L) | \$24,000 (4/9 x \$54,000) |
| კრედიტი | კაპიტალი (F) | \$12,000 (2/9 x \$54,000) |

ბ) გუდეილის ანგარიშის გარეშე

| | | | |
|---------|--------------|----------|------------------|
| დებეტი | კაპიტალი (J) | \$27,000 | (3/6 x \$54,000) |
| დებეტი | კაპიტალი (L) | \$9,000 | (1/6 x \$54,000) |
| დებეტი | კაპიტალი (F) | \$18,000 | (2/6 x \$54,000) |
| კრედიტი | კაპიტალი (J) | \$18,000 | (3/9 x \$54,000) |
| კრედიტი | კაპიტალი (L) | \$24,000 | (4/9 x \$54,000) |
| კრედიტი | კაპიტალი (F) | \$12,000 | (2/9 x \$54,000) |

კაპიტალის ანგარიშები

| | | | J | L | F | | | |
|---------|----|----|----|-----------------|----|----|----|----|
| | | | \$ | \$ | \$ | J | L | F |
| | | | \$ | \$ | \$ | \$ | \$ | \$ |
| გუდეილი | 27 | 9 | 18 | გუდეილი (ძველი) | 18 | 24 | 12 | |
| (ახალი) | | | | | | | | |
| კორექტ. | | 15 | | კორექტირება | 9 | | 6 | |
| | 27 | 24 | 18 | | 27 | 24 | 18 | |
| | | | | პ/დ ნაშთი | 27 | 9 | 18 | |



შეამოწმე შენი ცოდნა 6

H, N და S რამდენიმე წელია ამხანაგობის წევრები არიან. მათი მოგების განაწილების პროპორციაა 1:1:4. ისინი შუთანხმდნენ შეცვალონ მოგების განაწილების პროპორცია 1:1:2. საწარმოში გუდეილი შეუფასებულა \$24,000. როგორ უნდა აღირიცხოს ზემოთ მოცემული ინფორმაცია გუდეილის გარეშე?

10. ამხანაგობის სტრუქტურის ცვლილებისას აქტივების გადაფასება

- როცა ამხანაგობის სტრუქტურა იცვლება ახალი წევრის მიღების, გასვლის, ან გარდაცვალების გამო, მაშინ აქტივები ჩვეულებრივ აფასდება.
- ნებისმიერი გადაფასებული მოგება ან ზარალი მიეკუთვნება წევრებს მოგების განაწილების ძველი კოეფიციენტებით.
- ეს ასახავს იმ ფაქტს, რომ ძველმა პარტნიორებმა შექმნეს საწარმო და ისინი არიან უფლებამოსილნი, მიიღონ მოგება, ან ზარალი.



მაგ. P და Q პარტნიორები არიან და ისინი იყოფენ მოგებას და ზარალს პროპორციით 4:1. 20X6 წლის 1 იანვარს, როცა P და Q-ის კაპიტალის ნაშთები იყო \$27,000 და \$12,000, ახალი პარტნიორი R შეუერთდა საწარმოს, რის გამოც:

- R-მა ჩაღო \$10,000 კაპიტალი;
- მიწა და შენობები აფასდა \$80,000-ით;
- გუდვილი შეფასდა \$40,000-ად;
- მოგების განაწილების პროპორცია შესწორდა 2:2:1 (P:Q:R).

მოამზადეთ პარტნიორების კაპიტალის ანგარიშები და აღრიცხეთ მომხდარი ცვლილებები. ჩათვალეთ, რომ გუდვილის ანგარიში გამოიყენება.

ამოხსნა

კაპიტალის ანგარიშები

| | P | Q | R | | P | Q | R |
|-------|----------------|---------------|---------------|-------------|----------------|---------------|---------------|
| | \$ | \$ | \$ | | \$ | \$ | \$ |
| | | | | პ/ღ ნაშთი | 27,000 | 12,000 | |
| | | | | აფასება | | | |
| | | | | ძველი | | | |
| | | | | კოეფიციენტი | | | |
| | | | | (4:1) | | | |
| | | | | მიწა და | 64,000 | 16,000 | |
| | | | | შენობები | | | |
| | | | | გუდვილი | 32,000 | 8,000 | |
| | | | | ბანკი | | | 10,000 |
| პ/ბ | 123,000 | 36,000 | 10,000 | | | | |
| ნაშთი | | | | | | | |
| | <u>123,000</u> | <u>36,000</u> | <u>10,000</u> | | <u>123,000</u> | <u>36,000</u> | <u>10,000</u> |
| | | | | პ/ღ ნაშთი | 123,000 | 36,000 | 10,000 |


შემოწმე შენი ცოდნა 7

M და N პარტნიორები არიან და ისინი მოგებას და ზარალს თანაბრად იყოფენ. მათი კაპიტალის ანგარიშები 20X6 წლის 1 იანვარს არის \$50,000 და \$50,000. ამ თარიღისათვის ამხანაგობას ახალი წევრი C შეუერთდა და \$30,000 კაპიტალი ჩაღო ბიზნესში. მიწა და შენობები აფასდა \$100,000-ით და გუდვილი შეფასდა \$20,000-ად. C-ის შემოერთების შემდეგ მოგების განაწილების პროპორცია შეიცვალა 2:2:1 და გუდვილი უნდა გაუქმდეს.

რა ნაშთი იქნება N-ის კაპიტალის ანგარიშზე ამ ოპერაციის ასახვის შემდეგ?

- ა \$60,000
- ბ \$102,000
- გ \$110,000
- დ \$52,000

თავის რეზიუმე



შეამოწმე შენი პასუხები

| შეამოწმე შენი ცოდნა 1 | | | |
|---|--------|--------|--------|
| სწორი პასუხია გ | | | |
| | P | L | სულ |
| | \$ | \$ | \$ |
| ხელფასი | 11,000 | | 11,000 |
| პროცენტი კაპიტალზე | 560 | 840 | 1,400 |
| მოგების ნაშთის განაწილ. პროპორცია 1:1 | 17,800 | 17,800 | 35,600 |
| მთლიანი მოგების წილი | 29,360 | 18,640 | |
| წმინდა მოგება მოგებისა და ზარალის ანგარიშიდან | | | 48,000 |

| შეამოწმე შენი ცოდნა 2 | | | | |
|---|----------|----------|----------|-----------|
| სწორი პასუხია ა | | | | |
| | B | J | C | სულ |
| | \$ | \$ | \$ | \$ |
| ხელფასი | | 14,000 | 25,000 | 39,000 |
| პროცენტი კაპიტალზე | 1,400 | 1,040 | 1,600 | 4,040 |
| მოგების ნაშთის განაწილების პროპორცია 4:3:1 | (81,520) | (61,140) | (20,380) | (163,040) |
| მთლიანი მოგების წილი | (80,120) | (46,100) | 6,220 | |
| წმინდა მოგება მოგებისა და ზარალის ანგარიშიდან | | | | (120,000) |

| შეამოწმე შენი ცოდნა 3 | | | |
|---|--|-----------------------|--------|
| მოგების განაწილების ანგარიში | | | |
| | H | C | სულ |
| | \$ | \$ | \$ |
| პროცენტი კაპიტალზე (გ1) | 800 | 560 | 1,360 |
| პროცენტი ამოღებაზე (გ2) | (50) | (50) | (100) |
| მოგების განაწილების პროპორცია 3 : 2 (გ3) | 14,244 | 9,496 | 23,740 |
| მთლიანი მოგების წილი | 14,994 | 10,006 | |
| წმინდა მოგება მოგებისა და ზარალის ანგარიშიდან | | | 25,000 |
| გაანგარიშება 1 | H \$20,000 x 4% = 800 | C \$14,000 x 4% = 560 | |
| გაანგარიშება 2 | - პროცენტი ამოღებაზე \$5,000 x 2% x 6/12 = 50 | | |
| გაანგარიშება 3 | - გასანაწილებელი მოგების ნაშთი 25,000 - 1,360 + 100 = 23,740 | | |

| კაპიტალის ანგარიში | | | | | |
|-----------------------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|
| H | | C | | | |
| \$ | | \$ | | | |
| პ/ბ ნაშთი | 20,000 | 14,000 | 1.1.X6 | 20,000 | 14,000 |
| | <u>20,000</u> | <u>14,000</u> | | <u>20,000</u> | <u>14,000</u> |
| | | | პ/დ ნაშთი | 20,000 | 14,000 |
| მიმდინარე ანგარიში | | | | | |
| H | | C | | | |
| \$ | | \$ | | | |
| ამოღება | 5,000 | 5,000 | მოგების წილი | 14,994 | 10,006 |
| პ/ბ ნაშთი | 9,994 | 5,006 | | | |
| | <u>14,994</u> | <u>10,006</u> | პ/დ ნაშთი | <u>14,994</u> | <u>10,006</u> |
| | | | | 9,994 | 5,006 |
| ბალანსში კაპიტალის წარდგენა | | | | | |
| | | | \$ | \$ | |
| კაპიტალის ანგარიშები | H | | 20,000 | | |
| | C | | <u>14,000</u> | | |
| | | | | | 34,000 |
| მიმდინარე ანგარიშები | H | | 9,994 | | |
| | C | | <u>5,006</u> | | |
| | | | | | <u>15,000</u> |
| | | | | | 49,000 |



შეამოწმე შენი ცოდნა 4

| | P | W | E | C | სულ |
|---|---------------|---------------|---------------|---------------|----------------|
| | \$ | \$ | \$ | \$ | \$ |
| ხელფასი | | 5,000 | | | 5,000 |
| პროცენტი კაპიტალზე | 5,000 | 1,000 | 2,500 | 2,500 | 11,000 |
| პროცენტი ამოღებაზე | (3,000) | | (3,750) | (3,000) | (9,750) |
| მოგების განაწილების პროპორცია 2 : 1 : 3 : 4 | 20,000 | 10,000 | 30,000 | 40,000 | 100,000* |
| | <u>22,000</u> | <u>16,000</u> | <u>28,750</u> | <u>39,500</u> | β |
| | | | | 3,000 | |
| კორექტირება | | | | | |
| P 2/6 x \$3,000 | (1,000) | | | | |
| W 1/6 x \$3,000 | | (500) | | | |
| E 3/6 x \$3,000 | | | (1,500) | | |
| | <u>21,000</u> | <u>15,500</u> | <u>27,250</u> | <u>42,500</u> | <u>106,250</u> |

განგარიშება – პროცენტი ამოღებაზე

| | | |
|-------------|--|----------------|
| P | \$30,000 x 10% | \$3,000 |
| W | პროცენტი არ ერიცხება, რადგან ამოიღო წლის ბოლოს | |
| E | \$25,000 x 10% | \$2,500 |
| | \$25,000 x 10% x 6/12 | <u>\$1,250</u> |
| | | \$3,750 |
| C | \$30,000 x 10% | <u>\$3,000</u> |
| სულ ამოღება | | \$9,750 |

* სულ გასანაწილებელია: 106,250 + ამოღება 9,750 = 116,000

მოგების ნაშთი: 116,000 – 5,000 – 11,000 = 100,000

* C-ის გარანტირებული მინიმუმის შეესება: 42,500 – 39,500 = 3,000

შეამოწმე შენი ცოდნა 5

1. \$250,000 (\$750,000 - \$500,000)
2. \$100,000 (4 x \$25,000)
3. \$24,000 (4 x \$6,000)

შეამოწმე შენი ცოდნა 6

გუდვილით

| | | |
|---------|-----------------------------|--------|
| დებიტი | გუდვილი | 24,000 |
| კრედიტი | კაპიტალი (H) 1/6 x \$24,000 | 4,000 |
| კრედიტი | კაპიტალი (N) 1/6 x \$24,000 | 4,000 |
| კრედიტი | კაპიტალი (S) 4/6 x \$24,000 | 16,000 |

გუდვილის გარეშე

| | კაპიტალი | | | | კაპიტალი | | |
|----------------------|----------|-------|--------|----------------------|----------|-------|--------|
| | H | N | S | | H | N | S |
| | \$ | \$ | \$ | | \$ | \$ | \$ |
| გუდვილის კორექტირება | 6,000 | 6,000 | 12,000 | პ/ლ ნაშთი | X | X | X |
| პ/ბ ნაშთი | X | X | X | გუდვილის კორექტირება | 4,000 | 4,000 | 16,000 |
| | X | X | X | | X | X | X |
| | | | | პ/ლ ნაშთი | X | X | X |

*გუდვილის განაწილება ახალი შეთანხმებით:

| | |
|---|-----------------------|
| H | 24,000 x 1/4 = 6,000 |
| N | 24,000 x 1/4 = 6,000 |
| S | 24,000 x 2/4 = 12,000 |

ამგვარად, საერთო შედეგია:

| | | |
|---------|--------------|-------|
| დებეტი | კაპიტალი (N) | 2,000 |
| დებეტი | კაპიტალი (H) | 2,000 |
| კრედიტი | კაპიტალი (S) | 4,000 |

ამგვარად, H და N, რომლებსაც ახალი პროპორციით გუდვილის ზრდა აქვთ და იღებენ მოგების მეტ წილს, აკომპენსირებენ (აბალანსებენ) S-ის გუდვილის „შემცირებას“, რომელიც ახალი პროპორციით მოგების უფრო ნაკლებ წილს იღებს.

შეამოწმე შენი ცოდნა 7

სწორი პასუხია ბ

გუდვილის ანგარიშის გარეშე


| | M | N | C | | M | N | C |
|----------------------------|----------------|----------------|---------------|--------------------------|----------------|----------------|---------------|
| | \$ | \$ | \$ | | \$ | \$ | \$ |
| | | | | პ/დ ნაშთი | 50,000 | 50,000 | |
| | | | | აფასება | 50,000 | 50,000 | |
| | | | | ძველი კოე-ფიციენტი (1:1) | | | |
| გუდვილის კორექტირება 2:2:1 | 8,000 | 8,000 | 4,000 | გუდვილის კორექტირება | 10,000 | 10,000 | |
| პ/ბ ნაშთი | 102,000 | 102,000 | 26,000 | ბანკი | | | 30,000 |
| | <u>110,000</u> | <u>110,000</u> | <u>30,000</u> | | <u>110,000</u> | <u>110,000</u> | <u>30,000</u> |
| | | | | პ/დ ნაშთი | 102,000 | 102,000 | 26,000 |



კომპანიის ანგარიშები თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- ახსნათ განსხვავება ინდმეწარმესა და კომპანიას შორის;
- მაგალითებზე აჩვენოთ ფინანსური ანგარიშების წარდგენა ბასს 1-ის მოთხოვნის შესაბამისად;
- განსაზღვროთ მოგებისა და ზარალის ანგარიშების ფორმის მუხლები, რომლებიც მოითხოვენ განცალკევებულ დანართებს;
- ახსნათ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა;
- ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ საემისიო კაპიტალის ანგარიში;
- განმარტოთ აქციების გამოშვების უფლება და მისი უპირატესობა და ნაკლოვანება;
- ასახოთ აქციების უფლებითი გამოშვება ბუღალტრულ წიგნებში და აჩვენოთ მათი გავლენა ბალანსზე;
- ახსნათ ბონუსური აქციის (კაპიტალიზაცია) გამოშვება და მისი უპირატესობა და ნაკლოვანება;
- აღრიცხოთ ბონუსური აქციების გამოშვება ბუღალტრულ წიგნებში და აჩვენოთ მათი გავლენა ბალანსზე;
- განმარტოთ და მაგალითებზე აჩვენოთ რეზერვის სხვა სახეები, რომლებიც შეიძლება კომპანიის ბალანსის შემადგენელი იყოს;
- ახსნათ, რატომ ჩნდება მუხლი (ქვესათური) – „დაგროვილი მოგება“ – კომპანიის ბალანსში;
- ახსნათ, რატომ აქვს სესხის ალებით დაფინანსების მოპოვებას აქციების გამოშვებასთან შედარებით უპირატესობა;
- გამოთვალეთ და აღრიცხოთ წმინდა საპროცენტო ზარჯი ბუღალტრულ წიგნებში და ფინანსურ ანგარიშგებებში;
- ახსნათ ბასს-ის მოთხოვნები მოკლევადიან აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ;
- ახსნათ მოგების გადასახადის გავლენა კომპანიის მოგებაზე და მაგალითებზე აჩვენოთ მათი აღრიცხვა;
- აღრიცხოთ მოგების გადასახადი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებასა და ბალანსში;
- ახსნათ და მაგალითებზე აჩვენოთ დივიდენდების აღრიცხვა.



1. შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის დამახასიათებელი თვისებები

| | შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია | ინდემწარმე |
|---------------------------------|--|---|
| დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული | შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია, ე.ი. კანონმდებლობით ის თავისი უფლებებითაა დამოუკიდებელი და გამიჯნულია მისი მფლობელებისაგან | ინდემწარმე იურიდიულად არ არის გამიჯნული მისი საქმიანობისაგან, თუმცა იგი დამოუკიდებელია მისი საარციტხო მიზნებით. |
| შეზღუდული ვალდებულება | კომპანიის ვალდებულება განისაზღვრება თავისი ვალებით, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანიის ლიკვიდაციის დროს, კომპანიის მფლობელების (აქციონერების) ვალდებულება განისაზღვრება მათი აქციების ნომინალური ღირებულების ნაწილით, რომელიც არ არის გადახდილი. ამიტომ, აქციონერების ვალდებულება შეზღუდულია. | ინდემწარმის ლიკვიდაციის დროს იგი პერსონალურად აგებს პასუხს საწარმოს ვალების გამო. |
| ფლობელობა და მართვა | კომპანიის მფლობელები არიან აქციონერები. კომპანიის მმართველებს ღირექტორებს უწოდებენ. მათ ნიშნავენ აქციონერები. ღირექტორები შეიძლება იყვნენ, ან არა, ამ კომპანიის აქციონერები. ამიტომ, აქციონერთა უმეტესობა არ მონაწილეობს კომპანიის ყოველდღიურ მართვაში. | ინდემწარმე არის თავისი საწარმოს მფლობელიც და მმართველიც. |
| სავალდებულო წესები. | სავალდებულო წესები იცვლება სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ ზშირად მოითხოვება ფინანსური ანგარიშგების საჯაროობა და კვალიფიციური აუდიტის მიერ ჩატარებული წლიური აუდიტი. | ინდემწარმისათვის ასეთი სავალდებულო წესები არ არსებობს. |



განერცობილი ტექსტი

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, ინდივიდუალურ საწარმოდ ფუნქციონირებასთან შედარებით, შესაძლოა შემდეგი უპირატესობები ჰქონდეს:

- აქციონერების ვალდებულება შემოიფარგლება იმ კაპიტალით, რომელიც მათ დააბანდეს;
- საწარმო და საწარმოს მესაკუთრეების ფორმალური განცალკევებულობა, რაც ხელს შეუწყობს საწარმოს მართვას. მაგალითად, თუ ოჯახის რამდენიმე წევრი კომპანიის აქციონერია, მაგრამ მხოლოდ ორი მათგანია დირექტორი, მაშინ ყველასთვის ცხადი იქნება, თუ ვინ მართავს კომპანიას;
- საწარმოს საკუთრების განაწილება უფრო ადვილია, საწარმოს სხვა ორგანიზაციულ ფორმებთან შედარებით, მაგალითად ამხანაგობასთან;
- საწარმოში არსებული წილის გადაცემა შედარებით მარტივია;
- შესაძლოა არსებობდეს საგადასახადო შეღავათები.

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, ინდივიდუალურ საწარმოდ ფუნქციონირებასთან შედარებით, შესაძლოა შემდეგი ნაკლოვანებები ჰქონდეს:

- კომპანიის ჩამოყალიბების ხარჯები;
- ხარჯი, რომელიც შეესაბამება კომპანიათა მარეგულირებელ კანონმდებლობას, მათ შორის აუდიტის ჩატარების მოთხოვნა, თუკი ამას კანონმდებლობა ითვალისწინებს;
- ამგვარი კომპანიის დირექტორებს უფრო დიდი საკანონმდებლო ვალდებულებები აქვთ, ვიდრე იმათ, ვინც მართავს არასააქციო საწარმოს;
- რთულია/დიდ ხარჯებს მოითხოვს ჭარბი კაპიტალის აქციონერებისათვის დაბრუნება (დივიდენდი);
- შესაძლოა არ არსებობდეს საგადასახადო შეღავათები.

2. ბასს I ფინანსური ანგარიშგების მომზადება

ბასს I აერთიანებს გამოსაქვეყნებელი ფინანსური ანგარიშგების რეკომენდებულ ფორმას. ფინანსური ანგარიშგების პაკეტი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- ბალანსი;
- მოგებისა და ზარალის ანგარიშგება;
- კაპიტალში მომხდარი ცვლილების ანგარიშგება;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგება შენიშვნებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები (F3-ის გამოცდა არ მოითხოვს მათ ცოდნას).

3. ბალანსი

ინდმეწარმისა და კომპანიის ბალანსის ფორმას შორის ბევრი მსგავსებაა, თუმცა ზოგიერთი პუნქტი (გამუქებული შრიფტით) საჭიროებს დამატებით ახსნას. შენიშნეთ, რომ ბასს 1-ის მოთხოვნებით აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიანად, თუ ისინი:

- არიან საწარმოო ციკლის ნაწილი; ან
- გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით ან მოკლევადიანი მიზნებისათვის და მათი რეალიზაცია ივარაუდება ბალანსის შედგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

ბალანსი XXXX წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | \$მ | \$პ |
|--|----------|----------|
| აქტივები | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | |
| ძირითადი საშუალებები | X | |
| გუდვილი | X | |
| ინვესტიციები | <u>X</u> | |
| | | X |
| მოკლევადიანი აქტივები | | |
| სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები | X | |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავლიანება | X | |
| ავანსები (წინასწარგადახდები) | X | |
| ფულადი სახსრები | <u>X</u> | |
| | | <u>X</u> |
| | | <u>X</u> |
| სულ აქტივები | | |
| საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | | |
| კაპიტალი და რეზერვები | | |
| ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი | X | |
| პრივილეგიური სააქციო კაპიტალი | X | |
| საემისიო კაპიტალი | X | |
| რეზერვები | X | |
| დაგროვილი მოგება | <u>X</u> | |
| | | X |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | |
| სასესზო თამასუქები | | X |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავლიანება | X | |
| ოვერდრაფტები | X | |
| გადასახადები (მოგების) | <u>X</u> | |
| | | <u>X</u> |
| | | <u>X</u> |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | | |



განერცობილი ტექსტი

შემოთავაზებულ ბალანსში გამოიჯნულია მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივები და ვალდებულებები. ბასს 1-ით განსაზღვრულია ის წესები, რომლებიც გამოიყენება ამ განსხვავების გასამიჯნად.

მოკლევადიანი აქტივები

აქტივი კლასიფიცირებული უნდა იყოს მოკლევადიან აქტივად, თუ იგი:

- არის საწარმოო ციკლის ნაწილი; ან
- გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით ან მოკლევადიანი მიზნებისათვის და მისი რეალიზაცია ივარაუდება 12 თვის განმავლობაში, ბალანსის შედგენის თარიღიდან; ან
- ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტებია.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებული უნდა იყოს გრძელვადიან აქტივად.

შენიშნეთ, რომ ეს განმარტება საშუალებას იძლევა მარაგი ან სავაჭრო დებიტორული დავალიანება კლასიფიცირდეს მოკლევადიან აქტივებად (ა) პუნქტი, თუნდაც მათი რეალიზაცია არ მოხდეს ერთი წლის განმავლობაში.

მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებების წესები მოკლევადიანი აქტივების წესების ანალოგიურია. ვალდებულება კლასიფიცირებულ უნდა იქნეს მოკლევადიან ვალდებულებად, თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია მიმდინარე საწარმოო ციკლში;
- იგი უნდა დაიფაროს ბალანსის შედგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

• ყველა სხვა ვალდებულება კლასიფიცირდება გრძელვადიან ვალდებულებად.

4. მოგებისა და ზარალის ანგარიშება

ქვემოთ მოცემულია მოგებისა და ზარალის 2 შემოთავაზებული ფორმა. პირველი ფორმა მზადდება ზარჯების ფუნქციური დანიშნულების ანუ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მეთოდით. ხოლო მეორე ფორმა – ზარჯების შინაარსის მეთოდით.

შენიშნეთ, რომ ზარჯების ფუნქციური დანიშნულების მეთოდში ყველა ზარჯი განლაგდება სამი მუხლის ქვეშ:

- **რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება**
აქ იგივე გამოთვლები უნდა გაკეთდეს, რაც ინდემწარმეთსთან. თუმცა, გამოთვლები შენიშვნის სახითაა მოცემული და არა მოგებისა და ზარალის ანგარიშების ფორმით.
- **კომერციული ზარჯები**
აქ თავმოყრილია ყველა ზარჯი, რომელიც დაკავშირებულია გაყიდვას, მიწოდებას, ან მომსახურებასთან.
- **ადმინისტრაციული ზარჯები**
მოიცავს ყველა სხვა ზარჯს რომელიც არ კლასიფიცირდება, როგორც

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და კომერციული ხარჯები. ზოგიერთი ისეთი ხარჯი, მაგალითად, როგორცაა ცვეთა, გადნაწილდება სამივე მუხლში. მუხლები შესაძლებელია შემდეგნაირად დალაგდეს:

| | რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | კომერციული ხარჯები | ადმინისტრაციული ხარჯები |
|-----------------------|---------------------------------------|--------------------|-------------------------|
| საწყისი მარაგი | X | | |
| შესყიდვა | X | | |
| საბოლოო მარაგი | (X) | | |
| მზა პროდუქციის გატანა | | X | |
| მანქანის ხარჯები | | X | |
| გამყიდველის ხელფასი | | X | |
| ღირეპტორის ხელფასი | | | X |
| აუდიტორის ჰონორარი | | | X |
| მანქანის ცვეთა | X | X | X |
| და ა.შ. | | | |

**მოგებისა და ზარალის ანგარიშგება
ხარჯების ფუნქციური დანიშნულების მეთოდით**

| | წმლნ |
|--|------|
| ამონაგები | X |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | (X) |
| საერთო მოგება | X |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები | X |
| კომერციული ხარჯები | (X) |
| ადმინისტრაციული ხარჯები | (X) |
| საოპერაციო მოგება | X |
| წმინდა საპროცენტო ხარჯი (გადახდილ პროცენტს გამოკლებული მიღებული პროცენტი) | (X) |
| მოგება დაბეგვრამდე | X |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (X) |
| საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება | X |

ბასს 1 მოთხოვნის შესაბამისად, სულ მცირე შემდეგი მონაცემები უნდა შედიოდეს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში:

- გაყიდვებიდან ამონაგები
- საპროცენტო ხარჯებსა და საპროცენტო შემოსავლებს შორის სხვაობის თანხით — წმინდა საპროცენტო ხარჯები
- მოგების გადასახადის ხარჯები
- მოგება ან ზარალი.

4.1 ბალანსსა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას შორის კავშირი

ბალანსსა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას შორის კავშირი ნაჩვენებია ქვემოთ:



განერცობილი ტექსტი

არსებობს მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ორი სახის ფორმა.

1. ხარჯების ფუნქციური დანიშნულების ანუ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მეთოდი მიხედვით საოპერაციო ხარჯები თავმოყრილია სამ მუხლში – რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, კომერციული ხარჯები და ადმინისტრაციული ხარჯები.
2. ხარჯების შინაარსის მეთოდი განკუთვნილია ინდუსტრიული საწარმოებისათვის და ხარჯები სხვანაირად არის გაანალიზებული:

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ხარჯების შინაარსის მეთოდი

| | \$ მლნ | \$ მლნ |
|--|--------|--------|
| ამონაგები | | X |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | | X |
| ცვლილებები მზა პროდუქციის მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში | | (X) |
| მოხმარებული ნედლეული და მასალები | | (X) |
| პერსონალის შენახვის ხარჯები | | (X) |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | | (X) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | | (X) |
| | | <hr/> |
| საოპერაციო მოგება | | (X) |
| წმინდა საპროცენტო ხარჯი (საპროცენტო ხარჯს გამოკლებული საპროცენტო შემოსავალი) | | (X) |
| მოგება დაბეგვრამდე | | X |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | (X) |
| საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება | | <hr/> |

მეორე ფორმა, პირველთან შედარებით, უფრო რთული მოგვეჩვენებათ. მასში მოცემული ორი მუხლი, ალბათ დამატებით განმარტებას საჭიროებს:

ცვლილებები მზა პროდუქციის მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში

ეს უბრალოდ გახლავთ სხვაობა საწყის და საბოლოო ნაშთებს შორის და შესაძლოა ჩაიწეროს მოგებისა და ზარალის ანგარიშების დებუტის ან კრედიტის მხარეს. თუ მარაგი გაიზარდა, იგი ჩაიწერება კრედიტის მხარეს, ე.ი. დააკლდება ხარჯებს, ხოლო თუ შემცირდა – დებუტის მხარეს, ე.ი მიემატება.

ყურადღება მიაცქიეთ იმას, რომ ნედლეული ცალკეა გამოყოფილი და აქ არ შედის.

მოხმარებული ნედლეული და მასალები

ეს არის ნედლეული მასალის შესყიდვა, რომელიც კორექტირებულია საწყისი და საბოლოო მარაგებით.

5. საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება


ეს ანგარიშგება, რომელიც ასახავს კაპიტალში, რეზერვებსა და დაგროვილ მოგებაში მომხდარი ცვლილებების ყველა დეტალს მოცემულ წელს, ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი კომპონენტია.

საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება

| | სააქციო კაპიტალი | საემისიო კაპიტალი | გადაფა- სების რეზერვი | დაგრო- ვილი მოგება | ჯამი |
|--------------------------------|---------------------|----------------------|-----------------------------|--------------------------|----------|
| | \$'000 | \$'000 | \$'000 | \$'000 | \$'000 |
| ნაშთი 1 იანვარს | X | X | X | X | X |
| სააქციო კაპიტალის გამოშვება | X | X | | | X |
| გადაფასების ნამეტი | | | X | | X |
| პერიოდის წმინდა მოგება | | | | X | X |
| გადახდილი დივიდენდები | _____ | _____ | _____ | (X) | (X) |
| ნაშთი 31 დეკემბრისათვის | <u>X</u> | <u>X</u> | <u>X</u> | <u>X</u> | <u>X</u> |

ნ. სააქციო კაპიტალი

კომპანიას ფლობენ აქციების საშუალებით.



- პრივილეგიური გამოსყიდვადი აქციები პრივილეგიური აქციებია, რომელთა გამოსყიდვა ხდება კომპანიის მიერ მითითებულ დროს. ამ თარიღით აქციები უქმდება და აქციონერებს უხდინან მათ ღირებულებას.

ამ აქციებს აქვს ვალის სახე. ისინი ბალანსში ვალდებულების ნაწილში კლასიფიცირდება.

- არაგამოსყიდვადი პრივილეგიური აქციებია ის აქციები, რომელთა გამოსყიდვა არ ხდება. ისინი რჩება განუსაზღვრელი დროით. ბალანსში ისინი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.



განვრცობილი ტექსტი

კომპანიის სააქციო კაპიტალი შესაძლოა დაიყოს სხვადასხვა ჯგუფად. კომპანიის წესდება განსაზღვრავს სხვადასხვა აქციის შესაბამის უფლებებს, მაგალითად დივიდენდების მიღების უფლებას ან კომპანიის შეხვედრებზე ხმის მიცემის უფლება. პრაქტიკულად, როგორც წესი, მხოლოდ დიდ კომპანიებს გააჩნიათ სააქციო კაპიტალის სხვადასხვა ჯგუფი.

ჩვეულებრივი აქციები კომპანიის მიერ გამოშვებული ტიპური აქციებია. ჩვეულებრივი აქციების მფლობელები საწარმოს ნამდვილი მფლობელები არიან.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებმა თავიანთი კომპანიის მოგებიდან შესაძლოა მიიღონ დივიდენდები. ამ დივიდენდებს ხშირად წელიწადში ორჯერ გასცემენ: შუალედურ დივიდენდებს საარციტხო წლის განმავლობაში, ხოლო საბოლოო დივიდენდებს – ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ, როდესაც ცნობილი გახდება კომპანიის მოგება მოცემულ წელს.

დივიდენდები განსხვავებული იქნება კომპანიის მოგების სიდიდესა და მისი სადივიდენდო პოლიტიკის მიხედვით. ჩვეულებრივი დივიდენდები ხშირად გამოისახება ცენტებში (ან დოლარებში) ერთ აქციაზე. გამოცდაზე ზოგჯერ ისინი მოცემულია გამოშვებული სააქციო კაპიტალის პროცენტის სახით.

დაუშვებელია დივიდენდების გადახდა ჩვეულებრივ აქციებზე მანამ, სანამ პრივილეგიურ აქციებზე დივიდენდები სრულად არ იქნება გადახდილი.

დივიდენდები წარმოადგენს არა კომპანიის ხარჯებს, რომელიც კომპანიის მოგებიდან უნდა გამოიქვითოს, არამედ კომპანიის მესაკუთრეებისათვის გადახდილი საბოლოო მოგების ნაწილს.

პრივილეგიური აქციები ისეთი აქციებია, რომლებზეც გაიცემა ფიქსირებული განაკვეთიანი დივიდენდები, რომელთა მფლობელებს გააჩნიათ უპირატესი უფლება კომპანიის გასანაწილებელ მოგებაზე.

პრივილეგიური აქციების კატეგორიებია:

- პრივილეგიური აქციები მონაწილეობის უფლებით – როდესაც აქციის მფლობელებს უფლება აქვთ, განსაზღვრულ ფარგლებში მონაწილეობა მიიღონ ლიკვიდაციისას წარმოშობილი ნაშთისა და მოგების განაწილებაში.
- პრივილეგიური გამოსყიდვადი აქციები – აქციის გამოშვების პირობებში მითითებულია, რომ ისინი კომპანიის მიერ იქნება გამოსყიდული განსაზღვრულ ვადაში.

6.1 სააქციო კაპიტალის ღირებულება

- თითოეულ სააქციო კაპიტალს აქვს ნომინალური (ან სახელდებული) ღირებულება, ხშირად \$1, 50 ცენტი ან 25 ცენტი. ნომინალურ ღირებულებას აქციონერებზე გასაცემი დივიდენდების გამოსაანგარიშებლად იყენებენ (პროცენტი გამრავლებული ნომინალურ ღირებულებაზე).
- კომპანია უშვებს ფასიან აქციებს, რომელთა გასაყიდი ფასის ქვედა ღონეს ნომინალური ღირებულება წარმოადგენს და რომლის ქვემოთაც, როგორც წესი, აქციებს არ უშვებენ. თუმცა, მათი ფასი ხშირად აჭარბებს ნომინალურს.
- აქციის საბაზრო ღირებულება მერყეობს კომპანიის წარმატებასა და მოლოდინის გამართლებას შორის. თუ კომპანია რეგისტრირებულია საფონდო ბირჟაზე, აქციების ფასი ეფუძნება აქციების მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ბოლო გარიგებებს. მაგრამ ეს ფასი ფინანსურ ანგარიშგებებში არ ჩანს.

6.2 სააქციო კაპიტალის ტერმინები

- ნებადართული სააქციო კაპიტალი არის ნომინალური ღირებულების აქციების მაქსიმალური რაოდენობა, რომლის გამოშვებაც შეუძლია კომპანიას დროის ნებისმიერ მონაკვეთში.
- გამოშვებული სააქციო კაპიტალი არის აქციონერებისათვის ფაქტობრივად გამოშვებული აქციების რიცხვი. გამოშვებული აქციების რაოდენობა გამოიყენება დივიდენდების გამოსათვლელად.
- გადასახდელი სააქციო კაპიტალი (ხელმოწერით/ წინასწარშეთან-ხმებული) არის აქციონერების მიერ გადახდილ ნომინალური ღირებულების თანხას პლუს ნებისმიერი (ნომინალურის ზევით) დამატებითი ღირებულება, რომლის გადახდასაც ისინი მომავალში დათანხმდნენ.
- გადახდილი სააქციო კაპიტალი არის ნომინალური ღირებულების თანხა, რომელიც გადახდილია მიმდინარე პერიოდში.



6.3 გამოშვებული აქციების აღრიცხვა

კომპანია ჩვეულებრივ უშვებს აქციებს, რომელთა ფასიც აღემატება ნომინალურ (სახელდებულ) ღირებულებას.

ჩვეულებრივი ან არაგამოსყიდვადი პროვილენგური აქციების გამოშვების ორადი გატარებაა:

| | | |
|---------|-------------------------------|--|
| დებუტი | სალარო | გამოშვების ფასი X აქციების რაოდენობაზე |
| კრედიტი | სააქციო კაპიტალი (ბალანსი) | ნომინალური ღირებულება X აქციების რაოდენობაზე |
| კრედიტი | საემისიო კაპიტალი | ნომინალურზე ნამეტი ფასი X აქციების რაოდენობაზე (დამატებულნი) |

ორივე, სააქციო კაპიტალიცა და საემისიო კაპიტალიც ნაჩვენებია ბალანსში „კაპიტალისა და რეზერვების“ ნაწილში.

გამოსყიდვადი პრივილეგიური აქციის ჩასაწერად ორადი გატარება:

დებეტი სალარო გამოშვების ფასი X აქციების რაოდენობაზე
კრედიტი ვალდებულება გამოშვების ფასი X აქციების რაოდენობაზე

შეამოწმე შენი ცოდნა 1

B-მ ამოუშვა 200,000 ცალი 25 ცენტიანი აქცია თითოეულის ფასი \$1.75. გვაჩვენეთ ჩანაწერები ბუღალტრულ ანგარიშებში.

7. უფლებითი აქციების გამოშვება

უფლებითი აქციები წარმოადგენს:

ახალი აქციების შეთავაზებას არსებული აქციონერებისათვის, მათ მიერ ამჟამად ფლობილი სააქციო პაკეტის პროპორციულად განსაზღვრული ფასით (ჩვეულებრივ საბაზრო ფასზე ნაკლებად).

უპირატესობა:

- უფლებითი აქციების გამოშვება კომპანიისათვის არის ფინანსების ზრდის ყველაზე იაფი გზა;
- უფლებითი აქციების გამოშვებისას არსებულ აქციონერებს წარმატების უფრო მეტი შანსი აქვთ, საზოგადოებისათვის გამოშვებულ აქციებთან შედარებით.

ნაკლოვანებები:

- უფლებითი გამოშვება ვალდებულებით (სასესხო თამასუქი და სესხის ვალდებულება) გამოშვებასთან შედარებით უფრო ძვირია;
- შესაძლოა ეს მეთოდი წარუმატებელი აღმოჩნდეს და ვერ იქნეს მოზიდული საჭირო ფინანსები.

შეამოწმე შენი ცოდნა 2

20X4 წელს დარეგისტრირებისას Jammy Dodger-მა შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, გამოუშვა 1,000 ცალი 50 ცენტიანი აქცია ნომინალური ღირებულებით. დასჭირდა რა შეზღოში დაფინანსება, მან 20X5 წელს 75 ცენტად გამოუშვა უფლებითი 1 აქცია უკვე არსებულ ყოველ მე-5 აქციაზე. გამოშვებული უფლებითი აქციები სრულად აითვისეს.

რა ბუღალტრული გატარებები მოითხოვება 20X4 და 20X5 წლებში? მაგალითზე აჩვენეთ ბალანსის შესაბამისი ნაწილი 20X5 წლის ბოლოს.

8. ბონუსური აქციების გამოშვება

ბონუსური ემისია (ბონუსი, უფასო აქციების გამოშვება ანუ კაპიტალიზებული ემისია) წარმოადგენს:

კომპანიის რეზერვების ზარჯზე არსებული აქციონერებისათვის ახალი აქციების გამოშვებას, მათ მფლობელობაში მყოფი აქციების პროპორციულად. ბონუსური აქციების გამოშვებისას კომპანიაში არ შედის ფულადი სახსრები.

უპირატესობებია:

- გამოშვებული სააქციო კაპიტალის დანაწევრება ხდება აქციების უფრო მრავალრიცხოვანი რაოდენობით, რის გამოც ერთი აქციის საბაზრო ფასი ეცემა და მეტად ხელმისაწვდომი ხდება;
- გამოშვებული სააქციო კაპიტალი შესაბამისობაში მოდის კომპანიის მიერ გამოყენებულ აქტივებთან.

ნაკლოვანებებია:

- რეზერვების გამოყენება ბონუსური აქციების გამოშვებისათვის;
- შემოსავალი ერთ აქციაზე – როგორც კომპანიის საქმიანობის შედეგების ძირითადი ინდიკატორი – მცირდება, რადგან გასანაწილებელი მოგება უცვლელი რჩება, ხოლო აქციების რაოდენობა იზრდება.

ბონუსური აქციების გამოშვების შემდეგ კომპანიაში ფულადი სახსრები არ შემოდის. ბონუსური ემისია ფინანსდება შიდა რეზერვებით. ბონუსური ემისიის დასაფინანსებლად შესაძლებელია ნებისმიერი რეზერვის გამოყენება. ნათელია, რომ იმ რეზერვებთან შედარებით, რომლის განაწილებაც ნებადართულია, უმჯობესია ისეთი რეზერვის გამოყენება, რომლის განაწილებაც კანონმდებლობის მიხედვით დაუშვებელია, მაგალითად საემისიო კაპიტალი.

დებეტი საემისიო კაპიტალი ნომინალური ღირებულება
(ან სხვა რეზერვი)

კრედიტი სააქციო კაპიტალი ნომინალური ღირებულება



შეამოწმე შენი ცოდნა 3

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას Ginger knut-ს აქვს 20,000 50 ცენტრიანი გამოშვებული აქცია (თითოეული გამოშვებულის ფასი \$1,25) და აპირებს საემისიო კაპიტალის გამოყენებას ბონუსური აქციების გამოშვებისათვის, 1 ბონუსურ აქციას ყოველ არსებულ 4 აქციაზე.

რა ნაშთები იქნება სააქციო და საემისიო კაპიტალის ანგარიშებზე ამ ოპერაციების განხორციელების შემდეგ?

| | სააქციო კაპიტალი | საემისიო კაპიტალი |
|---|------------------|-------------------|
| | \$ | \$ |
| ა | 15,000 | 10,000 |
| ბ | 12,500 | 12,500 |
| გ | 25,000 | ნული |
| დ | 22,500 | 2,500 |



შეამოწმე შენი ცოდნა 4

Rich T შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა. მას გამოშვებული აქვს 25 ცენტიანი 200,000 აქცია. 1 იანვარს საემისიო კაპიტალის ანგარიშის ნაშთმა შეადგინა \$75,000. 20X6 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში შემდეგი ოპერაციები განხორციელდა:

31 იანვარი სრულად განაწილებული უფლების გამოშვება – 2 აქცია ყოველ არსებულ 5 აქციაზე. თითოეული გამოშვებული აქციის ფასია \$1.80;

12 აგვისტო საემისიო კაპიტალის გამოყენებით ბონუსური აქციების გამოშვება – 1 აქცია ყოველ არსებულ 10 აქციაზე.

რა ნაშთები იქნება სააქციო და საემისიო კაპიტალის ანგარიშებზე 20X6 წლის 31 დეკემბერს?

| | სააქციო კაპიტალი \$'000 | საემისიო კაპიტალი \$'000 |
|---|----------------------------|-----------------------------|
| ა | 308 | 111 |
| ბ | 77 | 84 |
| გ | 154 | 93 |
| დ | 77 | 192 |

9. სხვა რეზერვები

მოგებისა და ნამეტის ნებისმიერ ნაშთს, რომელიც აქციონერებს ეკუთვნის, რეზერვებს უწოდებენ.

კაპიტალური რეზერვი

ზოგიერთ შემთხვევაში მოითხოვება კანონის მიერ. არ შეიძლება დივიდენდის სახით გაცემა.

ამონაბაზის რეზერვი

იქმნება საწარმოს მოგებიდან. შესაძლებელია დივიდენდის გაცემა.

- საემისიო კაპიტალი აღრიცხავს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე ნამეტს.

- დაგროვილი მოგების რეზერვი აღრიცხავს კომპანიის ყველა მოგებას.

გადაფასების რეზერვი

გრძელვადიანი აქტივის გადაფასების დროს მიღებული არარეალიზებული შემოსავალი.

საერთო რეზერვი

არის დაგროვილი მოგების გაფართოებული რეზერვი.

დაგროვილი მოგება (შემოსავლების რეზერვი) არის ბალანსის კაპიტალისა და რეზერვების ნაწილი, ზუსტად ისევე, როგორც წმინდა მოგება ემატება ინდემწარმის კაპიტალს.

დაგროვილი მოგება კომპანიის აქციონერებს ეკუთვნის (თუმცა, ჩვეულებრივ, არ გაიცემა). მიჩნეულია, რომ ის უნდა შეადგენდეს აქციონერებისადმი ვალდებულების ნაწილს.

10. სასესხო თამასუქები (სასესხო კაპიტალი)

- შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას შეუძლია დაფინანსების მოძიება სასესხო თამასუქების გამოშვებით.
- სასესხო თამასუქი ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტია.
- მსურველი ყიდულობს სასესხო თამასუქს დადგენილი ნომინალური ღირებულებით, მაგ., \$100. მყიდველი სინამდვილეში კომპანიას ასესხებს \$100.
- რამდენიმე წლის შემდეგ სასესხო თამასუქის ნომინალური ღირებულება გადახდას ექვემდებარება.
- დროთა განმავლობაში, სასესხო თამასუქის მფლობელი იღებს ნომინალურ ღირებულებაზე წლიურ ფიქსირებულ პროცენტს, რომელიც კომპანიისათვის დანახარჯს წარმოადგენს.
- წარმოქმნილი პროცენტი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში „წმინდა საპროცენტო ხარჯში“.

კომპანიის გრძელვადიანი სესხები ხშირად სასესხო თამასუქის სახეს იღებენ. სასესხო თამასუქი წარმოადგენს ერთი ინვესტორისათვის გამოშვებულ ვალდებულებას, ხოლო ობლიგაციები გაიცემა ერთეულების სახით მრავალ ინვესტორზე. სასესხო თამასუქისა და ობლიგაციების მფლობელები არ არიან საწარმოს მფლობელები. ისინი იღებენ პროცენტს, რომელიც კომპანიისათვის დანახარჯს წარმოადგენს.

სასესხო თამასუქები შესაძლოა უზრუნველყოფილ იქნეს საწარმოს ერთი ან მეტი აქტივით. თუ კომპანია ვერ გადაიხდის თავის სასესხო ვალდებულებებს, ეს აქტივები შესაძლოა გაიყიდოს სასესხო თამასუქებისა და ობლიგაციების მფლობელებისათვის საჭირო თანხის დასაბრუნებლად.



შეაბოწე შენი ცოდნა 5

Custard საწარმოო გაერთიანებაა, რომელსაც სჭირდება დაფინანსების მოძიება მანქანა-დანადგარების შესყიდვისათვის. 20X5 წლის 1 მარტს მან გამოუშვა \$150,000 ღირებულების 10%-იანი სასესხო თამასუქი, 10 წლის ვადის გადახდის უფლებით. პროცენტის გადახდა ხდება ნახევარ წელიწადში ერთხელ, აგვისტოსა და თებერვლის ბოლოს.

რა ბუღალტრული გატარებები მოითხოვება 20X5 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს? აჩვენეთ ბალანსის სათანადო ამონარიდის ჩანაწერი.

11. მოგების გადასახადი

- კომპანიის ვალდებულებაა, გადაიხადოს მოგების გადასახადი, რომელიც მოგებას ერიცხება.
 - მოგების გადასახადის გამოანგარიშება თავდაპირველად ეფუძნება მეწარმის მიერ გაკეთებულ გამოთვლებს. მომდევნო 9 თვის განმავლობაში საგადასახადო კონსულტანტი აზუსტებს გადასახდელი მოგების გადასახადს, რომლის საფუძველზე კეთდება (დარიცხვა) გადახდა.
 - მოცემულ წელს კომპანიას, ჩვეულებრივ, შესაძლებელია ზედმეტი, ან ნაკლები ჰქონდეს გადახდილი.
 - კორექტირება (დაზუსტება) აისახება მომდევნო წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც:
 - მიმდინარე წლის გამოთვლილ გადასახადს + წინა წლის დაკლებული გადასახადი;
- ან
- მიმდინარე წლის გამოთვლილ გადასახადს - წინა წლის ზედმეტად გადახდილი გადასახადი.
 - ბალანსის ვალდებულების ნაწილში მოცემული დავალიანება არის მიმდინარე წლის გამოთვლილი თანხა

კომპანიის გადასახადების გადახდა, როგორც წესი, სადარიცხვო პერიოდის ბოლოდან ხდება. საგადასახადო ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში ასე ჩაიწერება:

| დებეტი | კრედიტი | შინაარსი |
|------------------------------|--|----------------------|
| მოგებისა და ზარალის ანგარიში | საგადასახადო ვალდებულება (ბალანსში იწერება როგორც მიმდინარე ვალდებულება) | გადასახადის დარიცხვა |

შეამოწმე შენი ცოდნა 6

გარემო დააარსა სავაჭრო საწარმო 20X4 წლის 1 იანვარს და გამოთვალა, რომ მოგების გადასახადი 20X4 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის არის \$150,000.

20X5 წლის სექტემბერში გარის ბუღალტერმა მიიღო და გადაიხადა 20X4 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის საგადასახადო მოთხოვნა \$163,000-ზე. 20X5 წლის 31 დეკემბერს მან გამოთვალა, რომ კომპანიას აქვს 20X5 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის \$165,000 მოგების გადასახადი.

შეადგინეთ მოგების გადასახადის ხარჯისა და ვალდებულების ანგარიში 20X4 და 20X5 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის და დეტალურად აღრიცხეთ მოცემული თანხები ორივე წლის ბალანსსა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებებში.



შეამოწმე შენი ცოდნა 7

C-მ გამოთვალა გასული წლის მოგების გადასახადის ოდენობა \$230,000. როგორც ხდება ხოლმე, მათი საგადასახადო ორგანოს კონსულტანტმა უფლებამოსილ პირებთან დაადგინა, რომ გადასახადის ოდენობა იყო \$222,000.

მიმდინარე წელს C-მ გამოთვალა მოგების გადასახადის ოდენობა \$265,000, მაგრამ ისინი დაბნეულები არიან, რადგან არ იციან როგორ ასახონ ეს ფინანსურ ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემული რომელი გამოთვლაა სწორი?

| | ბალანსის ვალდებულება \$ | მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ხარჯი \$ |
|---|-------------------------------|---|
| ა | 257,000 | 265,000 |
| ბ | 273,000 | 265,000 |
| გ | 265,000 | 257,000 |
| დ | 265,000 | 273,000 |



12. დივიდენდები

- დივიდენდი მოგების ნაწილია რომელიც აქციონერებზე გაიცემა.
- პრივილეგიურ აქციებზე დივიდენდები დადგენილია ფიქსირებული ოდენობით.
- დივიდენდები შესაძლოა წარმოდგენილი იყოს პროცენტის სახით, აქციის ნომინალური ღირებულების მიხედვით ან გარკვეული თანხით ერთ აქციაზე. მაგალითად, 10 ცენტიანი დივიდენდი \$1-იან აქციაზე შესაძლოა გამოიხატოს როგორც 10% ან 10 ცენტი ერთ აქციაზე.

12.1 დივიდენდები პრივილეგიურ აქციაზე

ბალანსში პრივილეგიური აქციების წარდგენისას:

- გამოსყიდვადი პრივილეგიური აქციის დივიდენდები კლასიფიცირდება როგორც წმინდა საპროცენტო ხარჯი;
- არაგამოსყიდვადი პრივილეგიური აქციის დივიდენდები კლასიფიცირდება, როგორც დივიდენდები.

გადასახდელი დივიდენდები გამოითვლება პროცენტულად პრივილეგიური სააქციო კაპიტალის ნომინალურ ღირებულებაზე. თუ წლის ბოლოსათვის კომპანიას არ გადაუხდია დივიდენდი ყველა პრივილეგიურ აქციაზე, მაშინ ეს თანხა კომპანიის ბალანსის მოკლევადიანი ვალდებულების ნაწილში „შეთავაზებული დივიდენდების“, ან „დარიცხული პროცენტის“ ქვეშ აისახება.

12.2 დივიდენდები ჩვეულებრივ აქციაზე

კომპანიას შეუძლია გასცეს შუალედური დივიდენდი. ორადი გატარებაა:

- დივიდენდები – X
- (საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება) X
- კრედიტი ბანკი X

წლის ბოლოს კომპანიას შეუძლია დივიდენდები შესთავაზოს ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს (ე.ი. აქციონერებს შეატყობინონ დივიდენდის თანხა, რომელსაც წლის დასრულების შემდეგ გადაუხდინან). ეს არის საბოლოო დივიდენდი. იგი არ აღირიცხება, სანამ წლის ბოლომდე არ გამოცხადდება (ან დადასტურდება).

გამოცხადების შემდეგ ორადი გატარება:

| | | |
|---------|---|---|
| დებეტი | დივიდენდი – (საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება) | X |
| კრედიტი | დარიცხული დივიდენდი (დავალიანება ბალანსში) | X |

გადასახდელი დივიდენდების ნაშთი მოცემულია ბალანსის მოკლევადიანი ვალდებულებების ნაწილში.

ბასს 10-ით „ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგი მოვლენები“ ნებადართული არ არის ვალდებულებების სახით ბალანსში იმ დივიდენდების ჩართვა, რომლებიც შეთავაზებული ან გამოცხადებულია ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ. ამგვარი დივიდენდები აისახება მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში. სხვა სიტყვებით, მოცემულ პერიოდში აღირიცხება მხოლოდ ამ პერიოდში გადახდილი დივიდენდები.



შეამოწმე შენი ცოდნა 8

კომპანია Cracker-ს გააჩნია შემდეგი სააქციო კაპიტალი:

ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი (50 ცენტიანი) \$200,000

8 %-იანი არაგამოსყიდვადი პრივილეგიური სააქციო კაპიტალი \$50,000.

კომპანია უხდის შეალეღურ დივიდენდს ჩვეულებრივ აქციონერებს 1 ჩვეულებრივ აქციაზე 12.5 ცენტის ოდენობით, ხოლო პრივილეგიურ აქციონერებს მათ კუთვნილ ფიქსირებულ დივიდენდს. წლის ბოლომდე კომპანიამ გამოაცხადა, რომ იგი გასცემდა საბოლოო დივიდენდს 1 ჩვეულებრივ აქციაზე 36.5 ცენტს.

გამოთვალეთ საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშსა (სკმცა) და ბალანსში ასახული წლიური დივიდენდის ოდენობა.

| | სკმცა | ბალანსი |
|---|--------|---------|
| | \$'000 | \$'000 |
| ა | 200 | 150 |
| ბ | 54 | ნული |
| გ | 200 | 146 |
| დ | 101 | 72 |

13. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება

თქვენ საგამოცდო მიზნებისათვის არ მოგეთხოვებათ მოამზადოთ ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი, თუმცა, შესაძლებელია მოგეთხოვოთ კონკრეტული ნაშთების გამოთვლა.

შემდეგი მაგალითი დაგეხმარებათ, გკონდეთ სრული წარმოდგენა, როგორ უნდა მომზადდეს კომპანიის ფინანსური ანგარიშგება.



შემოწმე შენი ცოდნა 9

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება

კომპანია Peng-ის საცდელი ბალანსი 20X5 წლის 31 დეკემბრისათვის:

| | \$ | \$ |
|---|---------|---------|
| გაყიდვები და შესყიდვები | 20,000 | 50,000 |
| მარაგი | 8,000 | |
| კომერციული ხარჯები | 8,000 | |
| ადმინისტრაციული ხარჯები | 15,550 | |
| დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები | 10,000 | 20,000 |
| ფუნდამენტური რეორგანიზაციის ხარჯები | 2,400 | |
| ფული ბანკში | 8,100 | |
| 50 ცენტრიანი ჩვეულებრივი აქციები | | 8,000 |
| 10% \$1-იანი არაგამოსყიდვადი პრივილეგიური აქციები | | 9,000 |
| 10% სასესხო თამასუქები | | 8,000 |
| გრძელვადიანი აქტივების ნეტო საბალანსო ღირებულება | 35,000 | |
| საემისიო კაპიტალი | | 3,000 |
| დაგროვილი მოგება 20X5 წლის 1 იანვრისათვის | | 3,000 |
| სასესხო თამასუქის პროცენტი | 400 | |
| პრივილეგიური დივიდენდი | 450 | |
| შუალედური ჩვეულებრივი დივიდენდი | 1,600 | |
| მოგების გადასახადი | | 500 |
| დამხმარე ანგარიში | | 8,000 |
| | 109,500 | 109,500 |


თქვენ ფლობთ შემდეგ ინფორმაციას:

1. შენობა, რომლის ნეტო საბალანსო ღირებულებაცაა \$5,000, უნდა აფასდეს \$11,000-მდე;
2. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ გამოცხადდა 1 აქციაზე 10 ცენტის საბოლოო ჩვეულებრივი დივიდენდის გაცემა;
3. მოგების გადასახადის ანგარიშის ნაშთი აჩვენებს წინა წლის მოგების გადასახადის ნამეტ ხარჯს. მიმდინარე წლის გამოთვლილი მოგების გადასახადია \$3,000;
4. მარაგის საბოლოო ნაშთია \$12,000;
5. დამხმარე ანგარიშის ნაშთი შეიცავს 4,000 ცალი ჩვეულებრივი აქციების გამოშვებას.

მოამზადეთ შემდეგი ფინანსური ანგარიშგებები 20X5 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

1. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება;
2. ბალანსი;
3. საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება.

თავის რეზიუმე



შეამოწმე შენი პასუხები



| შეამოწმე შენი ცოდნა 1 | | | |
|------------------------|-------------------------------------|-----------|----------------|
| სალარო | | | |
| | \$ | | \$ |
| სააქციო კაპიტალი | 50,000 | | |
| საემისიო კაპიტალი | 300,000 | პ/ბ ნაშთი | 350,000 |
| | <u>350,000</u> | | <u>350,000</u> |
| პ/დ ნაშთი | 350,000 | | |
| სააქციო კაპიტალი | | | |
| | \$ | | \$ |
| პ/ბ ნაშთი | 50,000 | სალარო | 50,000 |
| | <u>50,000</u> | | <u>50,000</u> |
| | | პ/დ ნაშთი | 50,000 |
| საემისიო კაპიტალი | | | |
| | \$ | | \$ |
| პ/ბ ნაშთი | 300,000 | სალარო | 300,000 |
| | <u>300,000</u> | | <u>300,000</u> |
| | | პ/დ ნაშთი | 300,000 |
| გამოთვლა: | | | |
| ნომინალური ღირებულება: | $200,00 \times 25\% = \$50,000$ | | |
| საემისიო კაპიტალი: | $200,000 \times \$1.50 = \$300,000$ | | |
| შემოსული თანხა: | $200,000 \times \$1.75 = \$350,000$ | | |



| შეამოწმე შენი ცოდნა 2 | | | |
|-----------------------|--|-------------------------------------|-------|
| 20X4 | დებეტი | სალარო | \$500 |
| | კრედიტი | სააქციო კაპიტალი | \$500 |
| 20X5 | ყოველ მეზუთე აქციაზე აქციონერს შეუძლია იყიდოს კიდევ ერთი აქცია. შემოთავაზება სრულად მიღებულია, რაც ნიშნავს იმას, რომ გამოშვებულია (1,000 / 5) 200 ახალი აქცია. | | |
| | დებეტი | სალარო (200 x 75 ცენტზე) | \$150 |
| | კრედიტი | სააქციო კაპიტალი (200 x 50 ცენტზე) | \$100 |
| | კრედიტი | საემისიო კაპიტალი (200 x 25 ცენტზე) | \$50 |

| ბალანსი | |
|---|-----|
| კაპიტალი და რეზერვები: | |
| | \$ |
| სააქციო კაპიტალი – 50 ცენტრიანი ჩვეულებრივი აქციები | 600 |
| საემისიო კაპიტალი | 50 |
| დაგროვილი მოგება | X |

შეამოწმე შენი ცოდნა 3

სწორი პასუხია ბ

ყოველ 4 აქციაზე 1 ახალი აქციაა გამოშვებული.

ამგვარად, 5,000 ახალი აქციაა გამოშვებული.

| | | | |
|-----------|-------------------------------------|----------------------|------------------------|
| დებიტი | საემისიო კაპიტალი (5,000 x 50ცენტი) | \$2,500 | |
| კრედიტი | სააქციო კაპიტალი | \$2,500 | |
| | ცალი | | |
| | სააქციო კაპიტალი | საემისიო კაპიტალი | |
| I ემისია | 20,000 | 20,000 x 0.50=10,000 | 20,000 x 0.75=15,000 |
| II ემისია | 20,000/4=5,000 | 5,000 x 0.50=2,500 | 5,000 x 0.50 = (2,500) |
| | | <u>12,500</u> | <u>12,500</u> |

ბალანსი

| | | |
|---|--------------------------------|--------|
| კაპიტალი და რეზერვები: | | \$ |
| სააქციო კაპიტალი – 50 ცენტრიანი ჩვეულებრივი აქციები | (20,000 x 50 ცენტზე) + \$2,500 | 12,500 |
| საემისიო კაპიტალი | (20,000 x 75 ცენტზე) - \$2,500 | 12,500 |
| დაგროვილი მოგება | | X |

შეამოწმე შენი ცოდნა 4

სწორი პასუხია დ

| | | სააქციო კაპიტალი | |
|-----------|---------------|-----------------------------|---------------|
| | \$ | | \$ |
| | | პ/დ ნაშთი | 50,000 |
| | | უფლებითი გამოშვება (სალარო) | 20,000 |
| | | ბონუსური აქცია | 7,000 |
| პ/ბ ნაშთი | <u>77,000</u> | | <u>77,000</u> |
| | <u>77,000</u> | პ/ბ ნაშთი | <u>77,000</u> |

| საემისიო კაპიტალი | | | |
|---|---------|-----------------------------|-------------------------|
| | \$ | | \$ |
| ბონუსური აქცია | 7,000 | პ/ლ ნაშთი | 75,000 |
| პ/ბ ნაშთი | 192,000 | უფლებითი გამოშვება (სალარო) | 124,000 |
| | 199,000 | | 199,000 |
| | | პ/ბ ნაშთი | 192,000 |
| ბალანსი | | | |
| კაპიტალი და რეზერვები: | | | |
| | | | \$ |
| სააქციო კაპიტალი - 25 ცენტიანი ჩვეულებრივი აქციები | | | 77,000 |
| საემისიო კაპიტალი | | | 192,000 |
| დაგროვილი მოგება | | | X |
| გამოთვლები: | | | |
| ცალი | | სააქციო კაპიტალი | საემისიო კაპიტალი |
| | | \$'000 | \$'000 |
| ნაშთი 1/1 20X6 წ. | 200,000 | 50,000 | 75,000 |
| 31/1 | | | |
| უფლებითი ემისია | | | |
| (200.000/5) x 2= | 80,000 | 80,000 x 0.25 = 20,000 | 80,000 x 1.55 = 124,000 |
| | 280,000 | | |
| 12/VIII | | | |
| ბონუსური ემისია | | | |
| 280.000/10= | 28,000 | 28,000 x 0.25 = 7,000 | 28,000 x 0.25 = (7,000) |
| ნაშთი | | 77,000 | 192,000 |
| 31/XII 20X6 წ. | 308,000 | | |
| უფლებითი გამოშვება: $\frac{200,000}{5} \times 2 = 80,000$ ახალი აქციები | | | |
| შემოსავალი: $80,000 \times \$1.80 = \$144,0$ | | | |
| ნომინალური ღირებულება: $80,000 \times 25$ ცენტი = \$20,000 | | | |
| ბონუსური ემისია: $\frac{280,000}{10} \times 1 = 28,000$ ახალი აქციები | | | |
| 10 | | | |
| ნომინალური ღირებულება: $28,000 \times 25$ ცენტი = \$7,000 | | | |

შეამოწმე შენი ცოდნა- 5

| | | \$ | |
|---|---------|---|---------|
| 20X5 წლის 1 მარტი | დებეტი | სალარო | 150,000 |
| | კრედიტი | 10% სასესხო თამასუქი | 150,000 |
| 20X5 წლის 31 აგვისტო | დებეტი | წმინდა საპროცენტო ხარჯი | 7,500 |
| | კრედიტი | სალარო | 7,500 |
| | | $\$150,000 \times 10\% \times 6/12 = \$7,500$ | |
| 20X5 წლის 31 დეკემბერი | დებეტი | წმინდა საპროცენტო ხარჯი | 5,000 |
| | კრედიტი | დარიცხული პროცენტი | 5,000 |
| | | $\$150,000 \times 10\% \times 4/12 = \$5,000$ | |
| სულ წლიური საპროცენტო ხარჯი მოიცავს 10 თვეს და შეადგენს \$12,500 ($150,000 \times 10\% \times 10/12$), საიდანაც მარტი-აგვისტოს ხარჯი (6 თვის) გადაიხდება აგვისტოში, ხოლო სექტემბერი-დეკემბერის ხარჯი (4 თვე) გადაიხდება მომდევნო წლის თებერვალში და წარმოადგენს მოკლევადიან ვალდებულებას. | | | |
| ბალანსი | | | |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | | \$ |
| 10%-იანი სასესხო თამასუქი | | | 150,000 |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | | |
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანება | | | X |
| სესხის პროცენტის დავალიანება ან დარიცხული | | | 5,000 |

შეამოწმე შენი ცოდნა 6

| მოგების გადასახადის ვალდებულება (ბალანსი) | | | |
|---|----------------|-------------------------------|----------------|
| \$ | | \$ | |
| 01.09. 20X5 | | 20X5 | |
| ბანკი | 163,000 | პ/დ ნაშთი | 150,000 |
| | | მოგებისა და ზარალის ანგარიში: | |
| | | 20X4 წლის კორექტირება | 13,000 |
| პ/ბ ნაშთი | 165,000 | 20X5 წლის დარიცხული | 165,000 |
| | <u>328,000</u> | | <u>328,000</u> |
| | | 20X6 | |
| | | პ/დ ნაშთი | 165,000 |
| მოგების გადასახადის ხარჯი (მოგებისა და ზარალის ანგარიში) | | | |
| 20X5 | \$ | 20X5 | \$ |
| 20X4 | | | |
| კორექტირებული | 13,000 | | |
| 20X5 | | | |
| დარიცხული | 165,000 | მოგებისა და ზარალის ანგარიში | 178,000 |
| | <u>178,000</u> | | <u>178,000</u> |

20X4 წელს შეფასებული მოგების გადასახადი შეადგენდა \$150,000, ხოლო ფაქტობრივად გადასახდელი გახდა \$163,000, ე.ი. ხარვეზი იქნა შემცირებული \$13,000. ამიტომ 20X5 წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შეფასებული მოგების გადასახადის ხარვეზი (\$165,000) გაიზარდა \$13,000-ით და შეადგინა \$178,000.

| ბალანსი | | |
|--|-------|-------|
| | 20X4 | 20X5 |
| მოგების გადასახადის ვალდებულება | \$000 | \$000 |
| | 150 | 165 |
| მოგებისა და ზარალის ანგარიშგება | | |
| მოგების გადასახადის ვალდებულება | 150 | 178 |

შემაჯავებელი შენი ცოდნა 7

სწორი პასუხია გ

ბალანსში ვალდებულება = მიმდინარე წლის გამოთვლილ გადასახადს. \$265,000

გადასახადის ხარვეზი მოგებისა და ზარალის ანგარიშში = მიმდინარე წლის გამოთვლილ გადასახადს - წინა წელს ზედმეტად გადახდილი თანხა. - \$265,000 - \$8,000 - \$257,000

შემაჯავებელი შენი ცოდნა 8

სწორი პასუხია გ

ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა = $\frac{\$200,000}{50 \text{ ცენტი}} = 400,000$

ჩვეულებრივი დივიდენდი

შუალედური $400,000 \times 12.5 \text{ ცენტი} = \$50,000$

საბოლოო $400,000 \times 36.5 \text{ ცენტი} = \$146,000$

პრივილეგიური დივიდენდი $50,000 \times 8\% = \$4,000$

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშ დაგროვილი მოგება

წლის დასაწყისში $\$$

დივიდენდები ($\$196,000 + \$4,000$) $(200,000)$

წლის ბოლოს X

ბალანსი

| | |
|------------------------|---------|
| მიმდინარე ვალდებულება | \$ |
| შეთავაზებული დივიდენდი | 146,000 |

შეამოწმე შენი ცოდნა 9

| Peng მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 20X5 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის | | \$ |
|--|--------|----------|
| გაყიდვებიდან ამონაგები: | | 50,000 |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (\$8,000+20,000-12,000) | | (16,000) |
| საერთო მოგება | | 34,000 |
| კომერციული ხარჯები | | (8,000) |
| ადმინისტრაციული ხარჯები | | (15,550) |
| საოპერაციო მოგება | | 10,450 |
| ფუნდამენტური რეორგანიზაციის ხარჯები | | (2,400) |
| | | 8,050 |
| გადასახდელი პროცენტი (10% x 8,000) | | (800) |
| მოგება დაბეგვრამდე | | 7,250 |
| მოგების გადასახადის ხარჯი (*3,000 - 500) | | (2,500) |
| საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება | | 4,750 |
| *წინა წელს ხარჯი \$500-ით მეტი იყო აღიარებული | | |
| ბალანსი 20X5 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | | |
| | \$ | \$ |
| მატერიალური აქტივები (35,000 + 6,000) | | 41,000 |
| მოკლევადიანი აქტივები: | | |
| მარაგი | 12,000 | |
| სავაჭრო დებიტორული დავალიანებები | 10,000 | |
| ფული ბანკში და სალაროში | 8,100 | |
| | | 30,100 |
| სულ აქტივები | | 71,100 |
| კაპიტალი და რეზერვები | | |
| ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი (8,000 + 2,000) * | | 10,000 |
| 10% პრივილეგიური აქციების სააქციო კაპიტალი | | 9,000 |
| საემისიო კაპიტალი (3,000 + 6,000) | | 9,000 |
| გადაფასების რეზერვი (11,000 - 5,000) | | 6,000 |
| დაგროვილი მოგება | | 5,250 |
| | | 39,250 |
| გრძელვადიანი ვალდებულება | | |
| 10 % სასესზო თამასუქი | | 8,000 |
| მოკლევადიანი ვალდებულებები: | | |
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები | 20,000 | |
| შეთავაზებული პრივილეგიური დივიდენდი (900-450) | 450 | |
| მოგების გადასახადი | 3,000 | |
| სასესზო თამასუქის პროცენტი (800 - 400) | 400 | |
| | | 23,850 |
| | | 71,100 |

* 4000 ცალი აქციის ემისია (დამხმარე ანგარიშში)
 $4.000 \times 0,50 = \$2.000$ ნომინალური ღირებულებით
 $\$8.000 - \$2.000 = \$6.000$ საემისიო შემოსავალი
 \$

დებიტი დამხმარე ანგარიშში 8,000
 კრედიტი სააქციო კაპიტალი 2,000
 კრედიტი საემისიო კაპიტალი 6,000

საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 20X5 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის


| | ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი \$ | საემისიო კაპიტალი \$ | გადაფასების რეზერვი \$ | დაგრო- ვილი მოგება \$ | სულ \$ |
|---|--|----------------------------|------------------------------|--------------------------------|-----------|
| 20X5 წლის 1 იანვრის ნაშთი | 8,000 | 3,000 | - | 3,000 | 14,000 |
| შენიშნის გადაფასებით მიღებული ნამეტი | | | 6,000 | | 6,000 |
| საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება | | | | 4,750 | 4,750 |
| დივიდენდები | | | | | |
| - პრივილეგიური (10% x 9,000) | | | | (900) | (900) |
| - ჩვეულებრივი შუალედური | | | | (1,600) | (1,600) |
| სააქციო კაპიტალის გამოშვება (4,000 აქცია = \$8,000 გამოშვების ფასია \$2, ხოლო ნომინალური ღირებულება 50ცენტრი და საემისიო ღირებულება \$1.50) | 2,000 | 6,000 | | | 8,000 |
| 20X5 წლის 31 დეკემბერის ნაშთი | 10,000 | 9,000 | 6,000 | 5,250 | 30,250 |

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- გაიგოთ განსხვავება მატერიალურ და არამატერიალურ გრძელვადიან აქტივებს შორის;
- დაადგინოთ არამატერიალური გრძელვადიანი აქტივების ტიპები;
- ახსნათ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები;
- ახსნათ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები, ბასს 38-ის მოთხოვნების შესაბამისად;
- გამოთვალეთ მოცემული ინფორმაციიდან საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ბალანსში, და ხარჯად ასალიარებული რაოდენობა;
- ახსნათ ამორტიზაციის მიზანი;
- გამოთვალეთ ამორტიზაციის ხარჯი და სწორად აღრიცხვით იგი;
- ახსნათ ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგი მოვლენები;
- სწორად აღრიცხვით ფინანსურ ანგარიშგებებში ორივე – მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები;
- დააჯგუფოთ მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები;
- განმარტოთ ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულება;
- დააჯგუფოთ მოცემული ინფორმაცია ანარიცხების, პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების შეზღუდვის მიხედვით;
- სწორად აღრიცხვით ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები;
- გამოთვალეთ ანარიცხები და მისი სხვაობა და სწორად აღრიცხვით ეს სხვაობა;
- წარადგინოთ ანარიცხები საბოლოო ანგარიშებში;
- ახსნათ, რა იგულისხმება სააღრიცხვო პოლიტიკაში და ბასს 8-ის პირობები სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებთან მიმართებაში;
- დაადგინოთ სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი ცვლილების სათანადო სააღრიცხვო მეთოდი ბასს 8-ის მიხედვით;

- აღწეროთ ბასს 8-ის პირობები, რომელიც არეგულირებს ფინანსური ანგარიშების მომზადებამდე წინა პერიოდში დაშვებული არსებითი შეცდომების კორექტირებას;
- ახსნათ ბასს 18-ის მოთხოვნები, რომლებიც არეგულირებს ამონაგების აღიარებას.



1. არამატერიალური გრძელვადიანი აქტივები

გრძელვადიანი აქტივები ის აქტივებია, რომლებსაც საწარმო იყენებს ხანგრძლივი საქმიანობისათვის, ამონაგების მისაღებად.

გრძელვადიანი აქტივები შეიძლება დაიყოს ორ ტიპად:

გრძელვადიან მატერიალურ აქტივებს, ჩვეულებრივ, აქვთ ფიზიკური ფორმა, მაგ., მიწა და შენობები.

ჩვეულებრივ გამოიმუშევენ ხარჯებს.

გრძელვადიანი მატერიალური აქტივების თვითღირებულება კაპიტალიზდება.

ცვეთა აქტივის ცვეთადი ნაწილის ასახვაა.

გრძელვადიან არამატერიალურ აქტივებს, ჩვეულებრივ, არა აქვთ ფიზიკური ფორმა, მაგ., ლიცენზია, საავტორო უფლება.

შეიძლება შექნან ან საწარმოს მიერ შექნან ყოველგვარი ხარჯის წარმოქმნის გარეშე, ე.ი. შიგნით წარმოქმნილი, მაგ., ბრენდი.

შემიწილი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივები კაპიტალიზდება. ჩვეულებრივ, შიგნით წარმოქმნილი აქტივები არ კაპიტალიზდება და აღიარდება ხარჯად.

ამორტიზაცია (კაპიტალიზებული) აქტივის ცვეთადი ნაწილის ასახვაა. მაგალითები:

- საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები
- სავაჭრო ნიშანი
- ლიცენზია
- პატენტი
- საავტორო უფლება
- ფრანშიზა



2. სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები (ბასს 38)

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები არის ორიგინალური და დაგეგმილი გამოკვლევები, რომლებიც განხორციელებულია ახალი სამეცნიერო ან ტექნიკური ცოდნის მისაღებად.

საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები არის კვლევის შედეგების ან სხვა ცოდნის გამოყენება ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მასალების, მოწყობილობის, საქონლის, პროცესების, სისტემების ან მომსახურების წარმოების დაგეგმვასა და პროგნოზირებაში, მათი კომერციული წარმოების ან გამოყენების დაწყებამდე. საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები არის კვლევის შედეგების გამოყენება.



შეაოწმე შენი ცოდნა I

ქვემოთ მოცემული განცხადებებიდან, რომელი ეკუთვნის საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს?

1. შპს Braynee-მ \$300,000 დახარჯა იმის გამოკვლევაში, არის თუ არა სითბოგამძლე ამაზონის ტყეებში ნაპოვნი განსაკუთრებული ნივთიერება „Flubber“.
 2. შპს Cleverclogs-მა დახარჯა \$120,000 ახალი წყალგაუმტარი და ქარგამძლე მასალის შექმნაში იმ მიზნით, რომ მათ სათხილამური სპორტის ტანსაცმლისათვის გამოიყენებდნენ.
 3. შპს Cleverclogs-მა აღმოაჩინა, რომ ქიმიური შემადგენლობა XYX არ არის ზიანის მომტანი ცოცხალი არსებისათვის.
 4. შპს Braynee-მ დახარჯა დამატებითი \$450,000 „Flubber“-ის გამოყენებით სპორტსმენებისათვის ახალი სითბოგამძლე ქურთუკის შესაქმნელად.
- ა. ყველა
 ბ. 1 და 3
 გ. 2 და 4
 დ. მხოლოდ მე-2

2.1 სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისადმი სააღრიცხვო მიდგომა

როცა საწარმო აწარმოებს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს, ხდება ხარჯის გაწევა იმ განზრახვით, რომ იგი მომავალში სარგებელს მოიტანს. ბუღალტრული აღრიცხვის შედეგი იქნება იმის დადგენა, ეს ღირებულება ხარჯად უნდა აღიარდეს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ კაპიტალიზდეს ბალანსში, როგორც არამატერიალური აქტივი, რომელსაც სარგებელი მოაქვს.

2.1.1 სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

- ყველა სამეცნიერო – კვლევითი სამუშაოს დროს გაწეული დანახარჯი აღიარდება ხარჯად მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში წარმოშობისთანავე, წინდახელულების პრინციპის შესაბამისად.

- სამეცნიერო – კვლევით სამუშაოებს არ მოაქვს პირდაპირი სარგებელი და შეუძლებელია შესაბამისობის კონცეფციის მიხედვით მოქმედება.
- ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად გაწეული ნებისმიერი კაპიტალური დანახარჯი, რომელიც სამეცნიერო კვლევებისთვისაა საჭირო, უნდა კაპიტალიზდეს და ჩვეულებრივ დაერიცხოს ცვეთა.

2.1.2 საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები

- საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისას წარმოშობილი ხარჯები უნდა კაპიტალიზდეს როგორც არამატერიალური აქტივი, თუ ის კონკრეტულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს:

- განცალკევებული პროექტი;
- გაწეული დანახარჯების საიმედოდ და გასაგებად შეფასების შესაძლებლობა;
- კომერციულად სიცოცხლისუნარიანი (წარმატებული);
- შესრულება ტექნიკურად შესაძლებელი;
- სრულიად მომგებიანი;
- საკმარისი რესურსები მის დასასრულებლად.

- თუ საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები არ აკმაყოფილებს ზემოხსენებულ კრიტერიუმებს, ის უნდა ჩამოიწეროს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.
- დანახარჯის ხარჯად აღიარების შემდეგ შეუძლებელია მისი აქტივად აღდგენა.

2.1.3 კაპიტალიზებული საცდელ-საკონსტრუქტორო დანახარჯისადმი შესაბამისი მიდგომა

- აქტივს ამოტრიზაცია უნდა დაერიცხოს მისი სასარგებლო მომსახურების პერიოდის განმავლობაში. ეს იმის გარანტიაა, რომ თვითღირებულება და ამონაგები ერთმანეთს უპირისპირდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.
- ამორტიზაციის დარიცხვა იწყება აქტივის კომერციული მიზნებით გამოყენების დაწყების შემდეგ.
- ყოველ პროექტს წლის ბოლოს უნდა ჩაუტარდეს ტესტირება იმაში დასაწმენებლად, რომ ის კვლავ აკმაყოფილებს ზემოხსენებულ კრიტერიუმებს. თუ ის აღარ აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, ადრე კაპიტალიზებული დანახარჯები მაშინვე უნდა ჩამოიწეროს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

კაპიტალიზების (ბალანსში აღიარების) პოლიტიკის მიღების შემდეგ, ის უნდა იქნეს გამოყენებული ყველა პროექტთან, რომელიც აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს.



განვრცობილი ტექსტი

საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები

საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დროს წარმოშობილი არამატერიალური აქტივების აღიარება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოს შეუძლია დაასაბუთოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი:

- ტექნიკურად შესაძლებელია არამატერიალური აქტივის დასრულება ისე, რომ მისი გამოყენება ან გაყიდვა გახდეს შესაძლებელი;
- განზრახული აქვს არამატერიალური აქტივის დასრულება და მისი გამოყენება ან გაყიდვა;
- აქვს აქტივის გამოყენების ან გაყიდვის უნარი;
- როგორც მოხდება არამატერიალური აქტივიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვა საკითხებთან ერთად, საწარმომ უნდა აჩვენოს, რომ არამატერიალური აქტივიდან მიღებული პროდუქციის, ან თვით არამატერიალური აქტივის ბაზარი არსებობს, ან თუ მისი საწარმოს შიგნით გამოყენებაა განზრახული, ანუ აჩვენოს არამატერიალური აქტივის სარგებლიანობა;
- გააჩნია არამატერიალური აქტივის დასრულების, მისი გამოყენების ან გაყიდვისთვის საჭირო ადეკვატური ტექნიკური, ფინანსური და სხვა სახის რესურსები;
- შეუძლია საიმედოდ შეაფასოს არამატერიალური აქტივის შექმნაზე გაწეული დანახარჯები.

აღიარება უნდა მოხდეს საცდელ-საკონსტრუქტორო დანახარჯების ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ ის დანახარჯები, რომელთა აღიარება მოხდა ხარჯის სახით, არ შეიძლება აღიარდეს აქტივის სახით.

ამორტიზაცია

კაპიტალიზებული საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დანახარჯები ამორტიზებულ უნდა იქნეს მისი კომერციული მიზნებისათვის გამოყენების დაწყების შემდეგ, თუ მისი სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია.

გამოყენებულმა ამორტიზაციის მეთოდმა უნდა ასახოს საწარმოს მიერ მოცემული აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების ხასიათი. თუ ამის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს ამორტიზაციის წრფივი მეთოდი.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივს ამორტიზაცია არ ერიცხება. აქტივს აქვს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა, თუ აქტივისაგან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საწარმოში შემოდინების ვადის პროგნოზირებადი ლიმიტი არ არსებობს.

მახ

საინვესტიციო მაგალითი 1

შპს Lion აწარმოებს სამკურნალო წამლებს. 2003 წლის 1 ოქტომბერს ჩანაწერებში მოცემულია შემდეგი ნაშთები:

გადავადებული (შენჩრებული) საცდელ-საკონსტრუქტორო დანახარჯები \$1,200,000

პროექტი Q \$800,000. ეს არის \$1,000,000-ის ღირებულების დასრულებული პროექტის დარჩენილი ნაშთი. აღნიშნულ პროექტს 10 წლის განმავლობაში ერიცხება ამორტიზაცია წრფივი მეთოდით.

პროექტი R \$400,000. ეს არის ახალი წამლის კაპიტალიზებულ ღირებულება 2003 წლის 30 სექტემბრისათვის. პროექტი დასრულდა 2004 წლის ივლისში და მოსალოდნელია წამლების გაყიდვა დაიწყოს 2005 წლის იანვრიდან.

საცდელი სამუშაოებისათვის იყენებენ \$300,000-ის ღირებულების ტექნიკურ აღჭურვილობას (თვითღირებულება \$500,000, დაგროვილი ცვეთა \$200,000).

2004 წლის 30 სექტემბრის ბოლომდე შემდეგი დანახარჯები წარმოიქმნა:

პროექტი R პროექტის დასრულებისათვის \$250,000.

პროექტი S (სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები) \$140,000.

დამატებით შეიძინეს ტექნიკური აღჭურვილობის საცდელი ნაწილი კვლევაში გამოყენების მიზნით \$180,000-ად.

ყველა აღჭურვილობას აქვს 5 წლის სასარგებლო მომსახურების ვადა. ცვეთა ერიცხება შეძენის წელს წრფივი მეთოდით.

მოგეთხოვებათ:

გამოთვალეთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებასა და ბალანსში აღიარებული ციფრი 2004 წლის 30 სექტემბრის ბოლოს. მიუთითოთ სათაურები, რომლის ქვეშაც ეს ხარჯები გამოჩნდება.

ამოხსნა

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები

| არამატერიალური აქტივების მაჩვენებლები | ბალანსი ნაშთი 2003 წ. 1/X | 2004 | | 2004 მოგებისა და ზარალის ანგარიშგება | | ბალანსი ნაშთი 2004 წ. 30/IX |
|---------------------------------------|------------------------------------|---------------------------|------------------|---|-----------|--------------------------------------|
| | | კაპიტალიზებული ხარჯები | ამორტი- ზაცია | სამეცნიერო- კვლევითი | | |
| | | | | \$ | \$ | |
| პროექტი Q | 1,000,000 (200,000) | | (100,000) | | | 700,000 |
| R | 400,000 | 250,000 | | | | 650,000 |
| S | | | | | (140,000) | |
| ჯამი | 1,200,000 | 250,000 | 100,000 | 140,000 | | 1,350,000 |

ტექნიკური აღჭურვილობა

2004 წ.

| | ნაშთი 2003 წლის 1/X | კაპიტალიზებული ხარჯები | ცვეთა | ნაშთი 2004 წლის 30/IX |
|--------------------------------|------------------------------|---------------------------|-----------|--------------------------------|
| | \$ | \$ | \$ | \$ |
| პირვანდელი ღირებულება | 500,000 | 180,000 | | 680,000 |
| დაგროვილი ცვეთა | (200,000) | | (136,000) | (336,000) |
| წმინდა საბალანსო ღირებულება | 300,000 | 180,000 | (136,000) | 344,000 |

ქვესათაურები

ამორტიზაციის (\$100,000), სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების (\$140,000) და ტექნიკური აღჭურვილობის ცვეთის (\$136,000) ხარჯები \$376,000 გამოჩნდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, ხარჯების ნაწილში.

მთლიანი საცდელ-საკონსტრუქტორო ხარჯი \$1,350,000 გამოჩნდება ბალანსში, არამატერიალური გრძელვადიანი აქტივების ქვეშ.

I. მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში: \$'000

| | |
|---|-----|
| არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი | 100 |
| სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები | 140 |
| ტექნიკური აღჭურვილობის ცვეთის ხარჯი | 136 |

II. ბალანსში:

| | |
|-------------------------|-------|
| არამატერიალური აქტივები | 1,350 |
| ტექნიკური აღჭურვილობა | 344 |

შეამოწმე შენი ცოდნა 2

მიმდინარე წელს შპს Deep Blue-მ შექმნა ახალი მასალა, რომლისაგანაც საცურაო კოსტუმების მორიგ სერიას დაამზადებენ. ეს განსაკუთრებული მასალა იძლევა იმის გარანტიას, რომ მოცურავეები გაცილებით თბილად იგრძნობენ მასში თავს, ვიდრე ოდესმე. წარმოქმნილი დანახარჯები აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს და 20X5 წლის 31 დეკემბრის ბოლოს კაპიტალიზდა \$250,000.

მოსალოდნელია, რომ საცურაო კოსტუმების წარმოებით გამომუშავებს ამონაგები 5 წლის განმავლობაში 20X6 წლის 1 იანვრიდან, როცა მათი კომერციული წარმოება დაიწყება.

რა რაოდენობის ხარჯი დაერიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში 20X6 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს?

| | |
|---|-----------|
| ა | წული |
| ბ | \$250,000 |
| გ | \$100,000 |
| დ | \$50,000 |

2.2 განმარტებითი დანართი

როგორც ზემოთაა ნაჩვენები, ფინანსურ ანგარიშგებებს საცდელ-საკონტრუქტორო სამუშაოების კაპიტალიზებისათვის უნდა დაერთოს შემდეგი ინფორმაცია:

- ამორტიზაციის გამოყენებული მეთოდი და ამორტიზაციის მოსალოდნელი პერიოდი;
- პერიოდის საწყისი და საბოლოო ნაშთების შეჯერება, ახალი ხარჯების, ამორტიზაციისა და ჩამოწერილი რაოდენობის ჩვენებით (როცა ისინი აღარ აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს);
- პერიოდის განმავლობაში ამორტიზაციის ოდენობა.

დამატებით, ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს დანართს, სადაც ნაჩვენები იქნება მთლიანი საცდელ-საკონტრუქტორო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დანახარჯები, რომლებიც ხარჯად აღიარდა მიმდინარე პერიოდის განმავლობაში.



3. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (ბასს 10)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები შეიძლება განისაზღვროს როგორც ის არსებითი მოვლენები, რომლებიც ხდება ბალანსის შედგენის თარიღსა და იმ თარიღს შორის პერიოდში, როდესაც გაიცემა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ნებართვა.

3.1 მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მაკორმდტირებადი

მოვლენები, რომლებიც იძლევა დამატებით მტკიცებულებას ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებულ პირობებთან დაკავშირებით.

არამაკორმდტირებადი

მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ბალანსის შედგენის თარიღის დროს არსებული აქტივებისა და ვალდებულებების მდგომარეობაზე.

ფინანსური ანგარიშგების კორექტირება დამატებითი მტკიცებულების ასახვის მიზნით.

გავლენას ახდენს საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპზე.

გავლენას არ ახდენს ფუნქციონირებადობის პრინციპზე.

ფინანსური ანგარიშგების კორექტირება საწარმოო პროცესის შეწყვეტის ბაზაზე

ფინანსური ანგარიშგებები არ კორექტირდება

მომხმარებლებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია დანართში უნდა ჩაიწეროს.

3.2 მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენების მაგალითები

შემდეგი მაგალითები წარმოდგენილია ბასს 10-დან:

3.2.1 მაკორექტირებელი მოვლენები

- ბალანსის შედგენის შემდეგ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს წლის ბოლოს ვალდებულებას;
- ბალანსის შედგენის შემდეგ მიღებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აქტივი გაუფასურდა ბალანსის შედგენის თარიღით;
- ბალანსის შედგენის შემდეგ მყიდველის გაკოტრება, რის შედეგად წლის ბოლოს ვალი გახდება უიმედო;
- ბალანსის შედგენის შემდეგ მარაგის გაყიდვა თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად, რაც იწვევს საბოლოო მარაგის ნაშთის შეფასებული ღირებულების შემცირებას;

- ბალანსის შედგენის შემდეგ იმ აქტივების ღირებულების დადგენა, რომელთა შეძენა ან გაყიდვა მოხდა ბალანსის შედგენის თარიღით;
- თაღლითობის ან შეცდომის აღმოჩენა, რომელიც გეიჩვენებს, რომ ფინანსური ანგარიშგებები შეცდომითაა.

3.2.2 არამაკორექტირებელი მოვლენები

- გეგმის გამოცხადება ოპერაციის შეწყვეტის შესახებ;
- ძირითადი აქტივების შესყიდვა;
- ბალანსის შედგენის შემდეგ ხანძრის ან წყალდიდობის მიერ აქტივების განადგურება;
- მნიშვნელოვანი ან პირობითი ვალდებულების დაკისრება (იხილეთ მე-4 სექცია);
- სასამართლოს პროცესის დაწყება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ.



განვრცობილი ტექსტი

მაკორექტირებელი მოვლენები

ასეთი მოვლენები დამატებით მტკიცებულებას იძლევა ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული მდგომარეობის შესახებ. მაგალითად, უიმელო ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთ-ორ თვეში, დახმარებას გაგიწევთ ბალანსის შედგენის თარიღისათვის დებიტორული დავალიანების ანარიცხის ოდენობის განსაზღვრაში. ამგვარად, მაკორექტირებელი მოვლენები გაუელენას ახდენს თანხებზე, რომლითაც ასახულია ბალანსის მუხლები.

არამაკორექტირებელი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგი მოვლენებია, რომლებიც ზემოთ განხილული მოვლენებისგან განსხვავებით არ ეხება ბალანსის შედგენის თარიღით არსებულ მდგომარეობას. ამდენად, ასეთი მოვლენები გაუელენას არ მოახდენენ ბალანსზე, ან/და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახულ მუხლებზე. თუმცა, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ფინანსურ ანგარიშგებაში საწარმოს მდგომარეობის დამახინჯებული ასახვა, საჭიროა ამ მოვლენის შესახებ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, თუ აღნიშნული მოვლენების შედეგი არსებითია.

3.3 შეთავაზებული დივიდენდები

დაუშვებელია ბალანსის შედგენის შემდეგ გამოცხადებული დივიდენდების ბალანსში ასახვა ვალდებულების სახით.

თუ დივიდენდები გამოცხადდა წლის ბოლომდე, ის უნდა აისახოს საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში და დაერიცხოს ბალანსში.



შეამოწმე შენი ცოდნა 3

რომელი ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენა არის მაკორექტირებელი შპს BigCo-თვის? საანგარიშო პერიოდის დასასრულია 20X6 წლის 30 ივნისი და ანგარიშგება დამტკიცდა 20X6 წლის 18 აგვისტოს.

1. 20X6 წლის 2 აგვისტოს მარაგის გაყიდვა თვითღირებულებაზე ნაკლებად.
2. 20X6 წლის 4 ივლისს ახალი ჩვეულებრივი აქციების გამოშვება.
3. 20X6 წლის 8 ივლისს მთავარ საწყობში გაჩნდა ხანძარი. მთელი მარაგი განადგურდა.
4. 20X6 წლის 10 ივლისს კრედიტით ძირითადი მყიდველი გამოცხადდა გაკორტრებულად.
5. 20X6 წლის 21 ივლისს შეიძინეს კონკურენტის, შპს TeenyCo-ის მთელი სააქციო კაპიტალი.
6. 20X6 წლის 1 აგვისტოს, 20X6 წლის 13 თებერვლის სადაზღვევო მოთხოვნის საფუძველზე, მიიღეს \$500,000.

- ა 1, 4 და 6
- ბ 1, 2, 4 და 6
- გ 1, 2, 5 და 6
- დ 1, 4, 5 და 6

3.4 განმარტებითი დანართი

არსებითი არამაკორექტირებელი მოვლენების დროს, ფინანსური ანგარიშგების დანართში უნდა აიხსნას:

- მოვლენის შინაარსი;
- ფინანსური ეფექტის შეფასება.



განვრცობილი ტექსტი

ბალანსის შედგენის შემდეგ არსებითი არამაკორექტირებელი მოვლენა ზოგჯერ იძენად მნიშვნელოვანია, რომ მათი არ ასახვა განმარტებით დანართებში გაკლენას მოახდენს მომხმარებლების მიერ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაზე.

ყველა არამაკორექტირებელი მოვლენის ასახვისას ბალანსის შედგენის შემდეგ შემდეგი ინფორმაცია უნდა იყოს მოცემული ფინანსურ ანგარიშგების დანართში:

- ა) მოვლენის შინაარსი;

ბ) ფინანსური ეფექტის შეფასება, ან განცხადება, რომ ფინანსური შეფასების გაკეთება შეუძლებელია.

საწარმომ უნდა მიუთითოს თარიღი, როდესაც ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ნებართვა იქნა გაცემული, ნებართვის გამცემის ეინაობის მითითებით.

თუ მესაკუთრეებს ან სხვა ვინმეს გააჩნია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ კორექტირების უფლება, განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს ეს ფაქტი.



4. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და აქტივები (ბასს 37)

ანარიცხი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ვალდებულება, რომელიც გაურკვეველია დროსა და თანხაში.

პირობითი ვალდებულება შეიძლება განისაზღვროს, როგორც შესაძლო მოვალეობა, რომელიც წამოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად.

პირობითი აქტივი შეიძლება განისაზღვროს, როგორც შესაძლო აქტივი, რომელიც წარმოიქმნება ადრე მომხდარი მოვლენების შედეგად.



განვრცობილი ტექსტი

პირობითი ვალდებულება წარმოადგენს:

1. შესაძლო მოვალეობას, რომელიც წამოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და რომლის არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს; ან
2. მიმდინარე მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ არ არის აღიარებული, რადგან:
 - მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოს რესურსებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა; ან
 - შეუძლებელია ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება.

პირობითი აქტივი არის შესაძლო აქტივი, რომელიც წარმოიქმნება ადრე მომხდარი მოვლენების შედეგად და რომლის არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი ისეთი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს.

4.1 პირობითი ვალდებულებებისა და პირობითი აქტივების აღრიცხვა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ბასს 37-ში მოცემული მოთხოვნები პირობით ვალდებულებებსა და აქტივებთან დაკავშირებით:

| სიზუსტის ალბათობა | პირობითი ვალდებულებები | პირობითი აქტივები |
|--|--|--|
| ფაქტობრივად უეჭველი (ამდენად არ არის პირობითი) | ხდება ვალდებულების აღიარება | უნდა მოხდეს აქტივის აღიარება |
| მოსალოდნელია | ხდება ვალდებულების აღიარება | მოითხოვება ახსნა-განმარტებებში ასახვა |
| შესაძლოა | მოითხოვება ახსნა-განმარტებებში ასახვა | ახსნა-განმარტებებში ასახვა არ მოითხოვება |
| ნაკლებად სავარაუდოა | ახსნა-განმარტებებში ასახვა არ მოითხოვება | ახსნა-განმარტებებში ასახვა არ მოითხოვება |

- გაითვალისწინეთ, რომ სტანდარტში მითითებული არ არის, თუ რას ნიშნავს მარცხენა სვეტში მოცემული ტერმინები. ერთი შესაძლო ინტერპრეტაცია მოცემულია ქვემოთ:

| | |
|---------------------|--------------------------------|
| ფაქტობრივად უეჭველი | 95%-ზე მეტი ალბათობა |
| მოსალოდნელია | ალბათობა 51%-დან 95%-მდე |
| შესაძლოა | ალბათობა 5%-დან 50%-ის ჩათვლით |
| ნაკლებად სავარაუდოა | ალბათობა 5%-ზე ნაკლებია |

- პირობითი ვალდებულების ანარიცხად აღიარებისათვის შემდეგი პირობები უნდა არსებობდეს:
 - არსებობს წარსულის მოვლენების შედეგად წარმოქმნილი მიმდინარე მოვალეობა;
 - ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი გასვლა;
 - სათანადო თანხის გამოთვლა შესაძლებელია.



განვრცობილი ტექსტი

ანარიცხი იქმნება მაშინ, როცა ყველა შემდეგი პირობა სახეზეა:

- არსებობს წარსულის მოვლენების შედეგად წარმოქმნილი მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული);
- ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი გასვლა;
- სათანადო თანხის გამოთვლა შესაძლებელია.

იურიდიული მიმდინარე ვალდებულება მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება:

- კონტრაქტის პირობებიდან;
- კანონმდებლობიდან;
- კანონის სხვა ნორმატიული აქტებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება, საწარმოს საქმიანობიდან, როცა:

- საწარმო რაღაც დონეზე იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობას.
- საწარმო უქმნის მოლოდინს სხვა მხარეს, რომ იგი შესარულებს ამ მოვალეობებს.

შეამოწმე შენი ცოდნა 4

კომპანია Madras-ის 20X6 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების განხილვა მიმდინარეობს. შემდეგი საკითხები წამოიჭრა:

(i) კომპანიის ყოფილმა თანამშრომელმა, მისი სამსახურიდან უსამართლოდ დათხოვნის გამო, საქმე აღძრა კომპანიის წინააღმდეგ. კომპანიის იურიდიულმა გუნდმა დაასაბუთა, რომ ყოფილი თანამშრომელი წარმატებას ვერ მიაღწევდა. ამ საკითხებთან დაკავშირებით აღვოკატებმა შემდეგი შეფასებები გააკეთეს:

| | |
|---|-------------|
| ა) იურიდიული ხარჯები (წარმოიშობა ნებიმიერ შემთხვევაში სარჩელი წარმატებით დასრულდება თუ არა) | \$ 5,000 |
| ბ) თუ სარჩელი წარმატებით დასრულდება | 15,000 |
| სულ | 20,000 |

კომპანიას არ შეუქმნია ანარიცხი ფინანსურ ანგარიშგებაში.

(ii) კომპანიას აქვს პოლიტიკა, ფული დაუბრუნოს უკმაყოფილო მყიდველს გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებისას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს მისი იურიდიული მოვალეობა. საწარმოს ფულის უკან დაბრუნების პოლიტიკა ცნობილია. წლის ბოლოსათვის უკან დაბრუნებულია \$4,800-ის საქონელი.

(iii) კომპანიას უჩივლა კომპანიის მიერ შენობის მშენებლობის დროს დაზარალებულმა ფეხით მოსიარულემ. იურისტმა დაადასტურა, რომ კომპანიას მოუწევდა ზარალისათვის \$100,000-ის გადახდა, მაგრამ \$50,000-ის საპირისპირო სარჩელის აღძერა შენობის ქვეკონტრაქტორის მიმართ მოსალოდნელია წარმატებული იყოს.

ჩამოაყალიბეთ, რომელი კორექტირებების გაკეთება მოუწევს კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.2 ანარიცხების ბუღალტრული გატარებები

ანარიცხი თავდაპირველად უნდა აღირიცხოს მოსალოდნელი ფულის გასვლის შეფასების გათვალისწინებით:

ღებუტი შესაბამისი ხარჯის ანგარიში

კრედიტი ანარიცხი

4.2.1 ანარიცხების ცვლილება

ანარიცხები უნდა გადაისინჯოს ყოველი ბალანსის შედგენის დროს და გაკორექტირდეს იმისათვის, რომ მასში აისახოს მიმდინარე შეფასებები.

ანარიცხის გაზრდა ღებუტი შესაბამისი ხარჯის ანგარიში

კრედიტი ანარიცხი

ანარიცხის შემცირება ღებუტი ანარიცხი

კრედიტი შესაბამისი ხარჯის ანგარიში

4.3 ანარიცხის წარდგენა საბოლოო ანგარიშგებაში

ანარიცხები წარმოდგენილია ვალდებულების სახით. ისინი, საგნის არსის მიხედვით, შეიძლება იყოს მოკლევადიანი ან გრძელვადიანი.

4.4 განმარტებითი დანართი

- პირობითი ვალდებულების აღიარების აუცილებლობის შემთხვევაში, ეს ვალდებულება, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ მას ანარიცხი ეწოდება, რათა ხაზი გაესვას გაურკვეველ გარემოს.
- ყოველ წელს ანარიცხის ცვლილება აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.
- განმარტებითი დანართის მომზადებისას, მასში შემდეგი ინფორმაცია უნდა იქნეს მოცემული:
 - გაუთვალისწინებელი მოვლენის შინაარსი;
 - განუსაზღვრელი ფაქტორები, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს სამომავლო შედეგზე;
 - ფინანსური შედეგის სავარაუდო შეფასება, ან განცხადება, რომ ასეთი შეფასების გაკეთება შეუძლებელია.

5. სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები

სააღრიცხვო შეფასებაში და შეცდომები (ბასს 8)

ამ სტანდარტში განხილულია შემდეგი ძირითადი საკითხები:

- ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში;
- ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში;
- წინა პერიოდის არსებითი შეცდომების გასწორება.

5.1 ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში

- სააღრიცხვო შეფასებების შეცვლა იწვევს აქტივის ან ვალდებულების მიმდინარე ღირებულების შეცვლას. მაგალითად, გრძელვადიანი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლა ხუთი წლიდან შვიდი წლით.
- ნებისმიერი ცვლილება უნდა აისახოს მოცემული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმავე დასახლებით, რომლითაც წინა შეფასება იყო მოცემული, ხოლო შენიშვნაში მოცემული უნდა იყოს მომხდარი ცვლილების დეტალები, თუ ცვლილების შედეგი არსებითია.

5.2 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

- სააღრიცხვო პოლიტიკა არის სპეციფიკური პრინციპების, კონვენციების, წესებისა და პრაქტიკული საქმიანობის ნაკრები, რომელსაც საწარმო იყენებს ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენისას.
- თანმიმდევრულობის პრინციპი, როგორც წესი, გულისხმობს კომპანიის მიერ ერთი და იმავე სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებას წლიდან წლამდე. თუმცა, ზოგიერთი სიტუაციის დროს, საჭიროა მათი შეცვლა:
 - თუ ამას სტანდარტი ან ინტერპრეტაცია მოითხოვს;
 - თუ სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის შედეგად საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოვლენები ან სამეურნეო ოპერაციები უფრო საიმედოდ იქნება წარმოდგენილი.
- ცვლილება აისახება რეტროსპექტულად დაგროვილი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირებით. ეს ცვლილება აისახება საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებაში. წინა წლების შესადარისი ინფორმაცია ასევე უნდა შეიცვალოს.

5.3 ფუნდამენტური შეცდომები

- მაგალითად, წინა წლის მნიშვნელოვანი თაღლითობის აღმოჩენა;
- თუ წინა პერიოდის ფუნდამენტური შეცდომა ასახულია ანგარიშგებაში, ის უნდა გასწორდეს;
- გასწორება გულისხმობს შეცდომის კორექტირებას დაგროვილი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირებით. ეს ცვლილება აისახება საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებაში. წინა წლების შესადარისი ინფორმაცია ასევე უნდა შეიცვალოს, თუ ეს პრაქტიკულად შესაძლებელია.

6. ამონაგები (ბასს 18)

ბასს 18-ში ამონაგები – განმარტებულია, თუ როდის უნდა მოხდეს სხვადასხვა წყაროდან წარმოშობილი ამონაგების აღიარება.

მასში განხილულია სამი ტიპის სამეურნეო ოპერაციის ან მოვლენის შედეგად წარმოშობილი ამონაგები:

- საქონლის გაყიდვა;
- მომსახურების გაწევა;
- საწარმოს აქტივებიდან მიღებული პროცენტი, როიალტები და დივიდენდები.

6.1 საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- (ა) საწარმო საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს გადასცემს მყიდველს;
 - (ბ) გამყიდველი არ ინარჩუნებს ფაქტობრივი კონტროლის უფლებას გაყიდულ საქონელზე;
 - (გ) შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ შეფასება;
 - (დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
 - (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.
- (ა) და (ბ) პირობების დაკმაყოფილება, როგორც წესი, მაშინ ხდება, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა ხდება მყიდველისათვის, მაგრამ შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, როდესაც გამყიდველი ინარჩუნებს მნიშვნელოვან რისკს. ბასს 18-ში მოცემულია ასეთი შემთხვევების ოთხი მაგალითი:
- როდესაც საწარმო იღებს საქონლის არადაკმაყოფილებელ ხარისხთან დაკავშირებულ ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფილი არ არის ჩვეულებრივი გარანტიის ანარიცხებით;
 - როდესაც საწარმოში რომელიმე საქონლის რეალიზაციიდან ამონაგების მიღება დამოკიდებულია მყიდველის მიერ აღნიშნული საქონლის გაყიდვაზე და მისი გაყიდვიდან ამონაგების მიღებაზე;
 - როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული საქონლის დამონტაჟება ჯერ არ დასრულებულა;
 - როდესაც მყიდველს ხელშეკრულების გაუქმების უფლება აქვს.

ამონაგებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების აღიარება ხდება ერთდროულად, შესაბამისობის მეთოდის მიხედვით.

6.2 მომსახურების გაწევა

საქონლის რეალიზაციასა და მომსახურების გაწევას შორის ძირითადი განსხვავება ის გახლავთ, რომ საქონლის რეალიზაცია დროის რომელიმე მომენტში ხდება, ხოლო მომსახურების გაწევა – დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში.

ბასს 18-ში განმარტებულია, რომ მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგების აღიარება შეიძლება ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მოცემული სამეურნეო ოპერაციის დასრულების სტადიის მიხედვით.

როგორც საქონლის გაყიდვის შემთხვევაში, ამ შემთხვევაშიც დაკმაყოფილებული უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

- ა) შესაძლებელი უნდა იყოს ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- ბ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- გ) შესაძლებელი უნდა იყოს სამუშაოების დასრულების სტადიის საიმედოდ განსაზღვრა;
- დ) შესაძლებელი უნდა იყოს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

ნაწილობრივ გაწეული მომსახურების ადრეულ ეტაპზე ან მაშინ, როდესაც აღნიშნული სამეურნეო ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, ამონაგების აღიარება უნდა მოხდეს მხოლოდ მოცემული მომენტისთვის გაწეული ხარჯების ოდენობით; ამასთან, მოსალოდნელი უნდა იყოს, რომ საწარმო მის მიერ გაწეულ ხარჯებს ამონაგების სახით მაინც ამოიღებს.

როდესაც მოსალოდნელია, რომ სამეურნეო ოპერაციაზე გაწეული ხარჯების ამოღება არ მოხდება, ამონაგები საერთოდ არ უნდა აღიარდეს.

6.3 საწარმოს აქტივებიდან მიღებული პროცენტი, როიალტი და ღივიდენდები

თუ ამონაგები თანხის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია და მოსალოდნელია შემოსავლის მიღება, ზემოთ აღნიშნული მუხლების აღიარება უნდა მოხდეს შემდეგნაირად:


- პროცენტის აღიარება უნდა მოხდეს დროის პროპორციულად, აქტივის შემოსავლიანობის გათვალისწინებით;
- როიალტების აღიარება უნდა მოხდეს დარიცხვების საფუძველზე, შესაბამისი შეთანხმების მიხედვით;
- ღივიდენდების აღიარება უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც დადგინდება აქციონერების მიერ გადახდის სახით ღივიდენდების მიღების უფლება.

6.4 ახსნა-განმარტებები

- ამონაგების აღიარების სააღრიცხვო პოლიტიკა, მომსახურების გაწევის სამეურნეო ოპერაციების შესრულების ეტაპის განსაზღვრის მეთოდთან ერთად.
- ხუთივე კატეგორიიდან მიღებული, აღიარებული ამონაგები (საქონლის რეალიზაცია, მომსახურების გაწევა, პროცენტი, როიალტები და ღივიდენდები), როდესაც აღნიშნული ამონაგები არსებითია.
- იმ არსებითი თანხის ოდენობა თითოეული კატეგორიისათვის, რომელიც წარმოიქმნება საქონლის ან მომსახურების გაცვლით.

თავის რეზიუმე

ბუღალტრული აღრიცხვის სამართავორისო სტანდარტები



ბასს 38
არავატარია-
ლური აბტი-
ვები (სამც-
ნიერო-პლუ-
ვითი და
სადელ-საქონ-
სტრუქტორო
საფუძვალზე)

ბასს 10
საანგარიშგამო-
კერიოდის
შეფარვები
მოვლენები

ბასს 37
ანარიცხები,
პირობითი
ვალდებუ-
ლებები და
პირობითი
აბტივები

ბასს 8
სააღრიცხვო
პოლიტიკა,
ცვლილებები
სააღრიცხვო
შეფასებაში
და
შეცდომები

ბასს 18
ამონაგები

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები არის ორიგინალური და დაგეგმილი გამოკვლევები, რომლებიც განხორციელებულია ახალი სამეცნიერო ან ტექნიკური ცოდნის მისაღებად. საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები არის კვლევის შედეგების ან სხვა ცოდნის გამოყენება ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მასალების, მიწობილობის, საქონლის, პროცესების, სისტემების ან მომსახურების წარმოების დაგეგმვასა და პროგნოზირებაში, მათი კომერციული წარმოების ან გამოყენების დაწყებამდე.

ის არსებითი მოვლენები, რომლებიც ხდება ბალანსის შედგენის თარიღსა და იმ თარიღს შორის პერიოდში, როდესაც გაიცემა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ნებართვა.

ანარიცხი: ვალდებულებაა განუსაზღვრელი დროითა და თანხით. პირობითი ვალდებულება შესაძლოა მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად. პირობითი აქტივი შესაძლოა აქტივია, რომელიც წარმოიქმნება ადრე მომხდარი მოვლენების შედეგად.

სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა აისახება რეტროსპექტულად (ფინანსური ანგარიშგება ისე უნდა გასწორდეს, თითქოს ის ყოველთვის ასეთი იყო). ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში აისახება რეტროსპექტულად (ეი წინა წლებში შედეგები არ კორექტირდება). კორექტირდება საწყისი ნაშთი ფუნდამენტური შეცდომის გასაწორებლად.

- საქონლის გაყიდვა
- მომსახურების გაწევა
- საწარმოს აქტივებიდან მიღებული პროცენტი, როიალტი ან დივიდენდი.

აღიარების კრიტერიუმი დამოკიდებულია ამონაგების ტიპზე

მაკორექტირებელი მოვლენები: აკორექტირებს ფინანსურ ანგარიშგებებს დამატებითი მოვლენის ასახვას. არამაკორექტირებელი არ აკორექტირებს, სანამ ის საწარმოს ფუნქციონირებადობის კონსტრუქციას არ ახდენს გავლენას. განმარტებებში უნდა იქნეს მოხსენიებული.

კვლევის ხარჯები ერიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას საცდელ-საკონსტრუქტორო ხარჯები კაპიტალიზდება ბალანსში, თუ ის აქმაყოფილებს კრიტერიუმებს. თუ არ აქმაყოფილებს, ერიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას.

| | | |
|---|--------------------------------|---------------------------|
| ფაქტობრივად უშედეგო მოსალოდნელია შესაძლოა ნაკლებად სავარაუდოა | პირობითი ვალდებულება აღიარდება | პირობითი აქტივი აღიარდება |
| აღიარდება განმარტებებში არ აისახება | განმარტებებში არ აისახება | არ აისახება |

შეამოწმე შენი პასუხები

შეამოწმე შენი ცოდნა 1

სწორი პასუხია გ

1-ლი და მე-3 საკვლევე მასალას მოიცავს და კომერციული პროდუქციის წარმოება არ არის ჩაფიქრებული.

შეამოწმე შენი ცოდნა 2

სწორი პასუხია დ

ამორტიზაცია დაერიცხება ხუთი წლის განმავლობაში, სანამ ამონაგების გამომუშავება ხდება.

იმის გამო, რომ არ არის ამონაგების ზუსტი შეფასება, ამორტიზაცია დაერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით. შესაბამისად, ამორტიზაცია ყოველი წლის 31 დეკემბრის ბოლოსათვის 20X6 – 20X0 წლებში იქნება:

$$\frac{\$250,000}{5} = \$50,000$$

5 წელი

შეამოწმე შენი ცოდნა 3

სწორი პასუხია ა

1. წლის ბოლოს მარაგის გაყიდვა თვითღირებულებაზე ნაკლებად

მაკორექტირებელია

მარაგის საბოლოო ნაშთი უნდა შეფასდეს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წლის ბოლოს გაყიდვა გვიჩვენებს ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას. მარაგის საბოლოო ნაშთი უნდა გასწორდეს, რათა აღირიცხოს ღირებულების შემცირება.

2. აქციის გამოშვება

არამაკორექტირებელია

3. ცეცხლი საწყობში

არამაკორექტირებელია

ეს რომ BigCo-ს ერთადერთი საწყობი იყოს და ხანძარს ხელი შეეშალა საწარმოს ფუნქციონირებისათვის, მაშინ ეს მოვლენა კლასიფიცირდებოდა, როგორც მაკორექტირებელი.

| | | |
|--------------------------------|---------------------|---|
| 4. მთავარი მყიდველის გაკოტრება | მაკორექტირებელია | მყიდველის გაკოტრება იმის საფუძველია, რომ იგი ვეღარ გადაიხდის ვალს წლის ბოლომდე. მყიდველის ვალი 20X6 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, წლის ბოლოს ანგარიშებიდან უნდა ჩამოიწეროს. |
| 5. შპს TeenyCo-ს შექენა | არამაკორექტირებელია | |
| 6. ღაზღვევის ფულის მიღება | მაკორექტირებელია | ღაზღვევის ფულის მიღება აქტივის შემოსვლის დასტურია. ეს თანხა შესაბამისად უნდა აისახოს წლის ბოლოს ანგარიშებში. |



შეაოწმე შენი ცოდნა 4

- (i) ბასს 37 განმარტავს პირობით აქტივს ან ვალდებულებას როგორც მოვლენას, რომელიც წამოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და რომლის არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს. ანარიცხი უნდა შეიქმნას, თუ:
 - ა) არის ვალდებულება;
 - ბ) ფულის გადახდა მოსალოდნელია;
 - გ) არსებობს საიმედო შეფასების საშუალება.


თურიდული ზარჯი \$5,000 უნდა აღიარდეს, რადგან მისი გადახდა მოუწევს ორგანიზაციას საჩივრის შედეგის მიუხედავად. თუმცა, საჩივარი ალბათ წარმატებით არ დასრულდება და ანარიცხის შექმნა არ არის საჭირო. განმარტებით დანართებში უნდა ჩაიწეროს პოტენციური ზარალის \$15,000 შესახებ.
- (ii) ბასს 37-ის მიხედვით, ვალდებულება იურიდიული ან კონსტრუქციულია. ამ შემთხვევაში, ფულის უკან დაბრუნება კონსტრუქციული ვალდებულებაა. ასე, რომ \$4,800-ის ანარიცხი უნდა შეიქმნას.
- (iii) რადგან \$100,000 ღირებულების ზარალის გადახდა მოსალოდნელია, ის წარმოადგენს მიმდინარე ვალდებულებას, როგორც წარსული მოვალეობის შედეგს და შესაბამისად უნდა შეიქმნას ანარიცხი. \$50,000-ის ოდენობის საპირისპირო სარჩელი ასევე მოსალოდნელია წარმატებით დასრულდეს და ამგვარად, ის განმარტებებში უნდა ჩაიწეროს, როგორც მოსალოდნელი პირობითი აქტივი (ანაზღაურება, კომპენსაცია). პირობითი აქტივი რომ ფაქტობრივად უეჭველი ყოფილიყო, მხოლოდ მაშინ აღიარდებოდა ბალანსში როგორც აქტივი.



ფულადი ნაკადების ანგარიშგება თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- ახსნათ, რა განსხვავებაა მოგებასა და ფულად სახსრებს შორის;
- ახსნათ რა მნიშვნელობა აქვს მართვისათვის ფულადი ნაკადების კონტროლს;
- ახსნათ, რა მნიშვნელობა აქვს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის;
- ახსნათ და მაგალითზე აჩვენოს ფულადი ნაკადების შესვლა და გასვლა ტიპური კომპანიის მაგალითზე;
- გამოთვალეთ საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი ნაკადების რაოდენობა არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით;
- გამოთვალეთ საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი ნაკადების რაოდენობა პირდაპირი მეთოდის გამოყენებით;
- გამოთვალეთ საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული და გასული ფულადი ნაკადების რაოდენობა;
- გამოთვალეთ საფინანსო საქმიანობიდან შემოსული და გასული ფულადი ნაკადების რაოდენობა;
- მოამზადოთ ფულადი ნაკადების ანგარიშგება, მოცემული ინფორმაციის საფუძველზე.



1. ფულადი ნაკადების ანგარიშგების საჭიროება

1.1 მოგება და ლიკვიდობა

აქამდე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აქცენტი კეთდებოდა დარიცხვისა და შესაბამისობის სააღრიცხვო კონცეფციების მნიშვნელობაზე, რომელთა საშუალებით გამოითვლება მოგება, რომელიც წარმოადგენს სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში საწარმოს მესაკუთრეებისთვის შექმნილ დამატებით სიმდიდრეს. თუმცა, საწარმოსათვის მნიშვნელოვანია ფულადი სახსრების გენერაცია, ისევე როგორც მოგების მიღება. მოგების ზრდა არ განაპირობებს აუცილებლად ფულადი სახსრების ზრდას და პირიქით.

მოგება წარმოადგენს მოცემულ სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს ნეტო აქტივების ზრდას.

აღნიშნული ზრდა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ფულადი სახსრების ან სხვა აქტივების სახით:

- შეიძლება მოხდეს გრძელვადიანი აქტივების შეძენა;
- შეიძლება დებიტორული დავალიანება გაიზარდოს;
- შეიძლება მარაგში ინვესტიციის ზრდას ჰქონდეს ადგილი.

შესაძლოა საწარმოს ვალდებულებები შემცირდა, ანუ უფრო მეტი ოდენობით ფულადი სახსრები დაიხარჯა მოცემულ წელს მომწოდებლებისთვის უფრო სწრაფად გადასახდელად, ვიდრე გასულ წელს.

1.2 ფულადი ნაკადების ანგარიშგების უპირატესობა

მოგებასა და ფულად სახსრებს შორის ზემოთ აღწერილი განსხვავებების გამო, საჭიროა ფულადი ნაკადების ანგარიშგების მოშაღება. ის დახმარებას გაგვიწევს:

- საწარმოს საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღებაში;
- საწარმოს ლიკვიდობის მდგომარეობის შეფასებაში;
- ინფორმაციის მომხმარებლებისთვის საწარმოში ძირითადი ტაბის ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში;
- სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში;
- საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი და სხვა სახის ფულადი სახსრების ნაკადების განსაზღვრაში.

1.3 ფულადი ნაკადების ანგარიშგების ზარვეზი (ნაკლი)

- ფულადი ნაკადების ანგარიშგება აღრიცხავს წარსულის ინფორმაციას. ანგარიშის მომხმარებლებს აინტერესებთ მომავალი.
- ანგარიშგებში არ არის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინტერპრეტაცია. მომხმარებლებმა თავად უნდა გააკეთონ დასკვნა, მოცემული ციფრების შესაბამისობის შესახებ.
- არაფულადი ოპერაციები, მაგ., ბონუსური აქციების გამოშვება, არ აისახება ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში (მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ოპერაციები სხვა ანგარიშგებში მოიხსენიება). ანგარიშგების მომხმარებლები დაინტერესებულნი არიან ასეთი ოპერაციებით, რადგან ისინი მომავალი ფულადი ნაკადების მოძრაობაზე მოახდენენ გავლენას.

2. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ფორმა

ბასს 7-ით – ფულადი ნაკადების ანგარიშგება – მოითხოვება, რომ კომპანიებმა ფინანსურ ანგარიშგებაში ჩართონ ფულადი ნაკადების ანგარიშგება. ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა მოშაღდეს სტანდარტული ქვესათაურების გამოყენებით.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ... დასრულებული წლისათვის

| | \$'000 | \$'000 |
|---|----------------|--------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | 2,550 | |
| გადახდილი პროცენტი | (270) | |
| გადახდილი დივიდენდები | (300) | |
| გადახდილი მოგების გადასახადი | <u>(420)</u> | |
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | | 1,560 |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | (900) | |
| ამონაგები მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან | 20 | |
| მიღებული პროცენტი | 200 | |
| მიღებული დივიდენდები | <u>200</u> | |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები | | (480) |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან | | |
| ფულადი სახსრები აქციების გამოშვებიდან | 1,210 | |
| სესხის დაფარვა | <u>(2,000)</u> | |
| საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები | | <u>(790)</u> |
| ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა | | 290 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში | | <u>120</u> |
| ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს | | <u>410</u> |

განმარტებითი შენიშვნები:

- საოპერაციო საქმიანობები შეიცავს მოგებისმომტან საქმიანობებს. ეს განყოფილება იწყება ფულადი სახსრებით საოპერაციო საქმიანობიდან. ამ ციფრის გამოთვლა შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდებით.
- ფულადი სახსრების ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შეიცავს გრძელვადიან აქტივებზე დახარჯულ ფულად სახსრებს, გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებულ ფულად სახსრებსა და ინვესტიციებიდან მიღებულ მოგებას.
- ფულადი სახსრების ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან მოიცავს აქციების გამოშვებიდან მიღებულ ფულად სახსრებსა და გრძელვადიანი სესხების აღებას და/ან დაფარვას.
- ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა ან შემცირება არის მოცემული წლის განმავლობაში ფულისა და ფულის ეკვივალენტების საერთო ზრდა (ან შემცირება). მოცემული წლის დასაწყისში არსებული ფულისა და ფულის ეკვივალენტების მიმართების შემდეგ მიიღება ფულისა და ფულის ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი წლის ბოლოს.



- ფული ნიშნავს ფულად სახსრებს სალაროში და მოთხოვნამდე დეპოზიტებზე.
- ფულის ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციები, რომელთა განსაზღვრულ ფულად სახსრებად კონვერტაცია ადვილად შესაძლებელია და მათი ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკი ძალიან მცირეა (ამგვარად, ინვესტიციები არ წარმოადგენს ფულის ეკვივალენტებს, თუ ზემოთ აღნიშნული ორი მახასიათებელი არ გააჩნია: ადვილად კონვერტირებადობა და ღირებულების ცვლილების მცირე ან არავითარი რისკი).



განვრცობილი ტექსტი

ბასს 7-ით მოითხოვება ფულადი ნაკადების ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნის გაკეთება, რომელშიც აისახება ფულისა და ფულის ეკვივალენტების კომპონენტები:

| ფული და ფულის ეკვივალენტები | \$'000 | \$'000 |
|---|------------|------------|
| ფულადი სახსრები სალაროში და საბანკო ანგარიშებზე | 40 | 25 |
| მოკლევადიანი ინვესტიციები | 370 | 95 |
| | <u>410</u> | <u>120</u> |

3. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

არსებობს საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადების გამოთვლის ორი მეთოდი – პირდაპირი და არაპირდაპირი. თუ რომელ მეთოდს გამოიყენებთ, დამოკიდებულია იმ ინფორმაციაზე, რომელიც მოცემულია კითხვაში.

3.1 პირდაპირი მეთოდი

ეს მეთოდი საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადების გამოსათვლელად იყენებს ინფორმაციას კომპანიის საარღივცხო ჩანაწერებიდან:

| | \$ | \$ |
|---|----------|-----------------|
| გაყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით | | X |
| დებიტორებისაგან მიღებული ფულადი სახსრები | | <u>X</u> |
| მინუს: | | |
| შესყიდვა ნაღდი ანგარიშსწორებით | X | |
| კრედიტორებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები | X | |
| მომუშავეებისათვის და მათი სახელით გადახდილი | <u>X</u> | |
| ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | | <u>(X)</u> X |



განვრცობილი ტექსტი

გამოთვლების მაგალითი პირდაპირი მეთოდის გამოყენებით

მთლიანი ფულადი სახსრების ნაკადები, რომელიც საჭიროა პირდაპირი მეთოდის გამოყენებით საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი ნაკადების გამოსათვლელად, შეიძლება მიღებულ იქნეს:

1. საწარმოს სააღრიცხვო ჩანაწერებიდან, ფულადი სახსრების მიღებისა და გადახდის პირდაპირ დაჯამებით; ან
2. მოცემული წლის საწყისი და საბოლოო ნაშთებიდან და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებიდან, საკონტროლო ანგარიშების შექმნის გზით შემდეგი მონაცემების გამოსათვლელად:
 - გაყიდვები (მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრების დასადგენად);
 - შესყიდვები (მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრების დასადგენად);
 - ხელფასი (მომუშავეებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრების დასადგენად).

საკონტროლო ანგარიშების გამოყენების მაგალითი

მოცემულია საწარმოს ბალანსები:

| | გასული წლის \$ | მიმდინარე წლის \$ |
|----------------------------|-------------------|----------------------|
| გრძელვადიანი აქტივები | 153,364 | 149,364 |
| მარაგი | – | – |
| დებიტორული დავალიანება | 265,840 | 346,000 |
| ფულადი სახსრები | – | 165,166 |
| | <hr/> | <hr/> |
| | 419,204 | 660,530 |
| სააქციო კაპიტალი | 200,000 | 200,000 |
| რეზერვები | – | 141,640 |
| | <hr/> | <hr/> |
| | 200,000 | 341,640 |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | 219,204 | 318,890 |
| | <hr/> | <hr/> |
| | 419,204 | 660,530 |

მოცემულია ამონაწერი მიმდინარე წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებიდან:

| | \$ | \$ |
|---|-----------|-------------|
| ამონაგები გაყიდვებიდან | | 1,589,447 |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | | |
| შესყიდვები (მარაგის ნაშთი არ არის) | 1,021,830 | |
| ხელფასი და შრომის ანაზღაურება | 145,900 | |
| ცვეთა | 84,000 | |
| | | (1,251,730) |
| ადმინისტრაცია | | |
| შესყიდვები | 96,077 | |
| ხელფასები | 100,000 | |
| | | (196,077) |
| მოცემული წლის საოპერაციო მოგება და გაუნაწილებელი მოგება | | 141,640 |

დამატებითი ინფორმაცია

კრედიტორული დავალიანება მოიცავს:

| | გასული წლის \$ | მიმდინარე წლის \$ |
|---|----------------|-------------------|
| კრედიტორული დავალიანების ბუღალტრული წიგნი | | |
| გრძელვადიან აქტივებთან დაკავშირებით | | 46,000 |
| სხვა | 210,564 | 258,240 |
| დარიცხული ხელფასი | 8,640 | 14,650 |

2. გრძელვადიანი აქტივების შეძენასთან დაკავშირებული შესყიდვის ანგარიშ-ფაქტურები, \$80,000 მთლიანი თანხით, მოცემული წლის განმავლობაში ჩაიწერა კრედიტორული დავალიანების ბუღალტრულ წიგნში.

მოამზადეთ ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით.

| მოხსნა | \$ |
|---|-----------------|
| საოპერაციო საქმიანობა | |
| მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები (გ.1) | 1,509,287 |
| მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები (გ.2) | (1,070,231) |
| მომუშავეებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები (გ.3) | (239,890) |
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | 199,166 |
| გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფული | <u>(34,000)</u> |
| ფულადი სახსრების ზრდა | 165,166 |

განგარიშებები

(გ.1) დებიტორული დავალიანების საკონტროლო ანგარიში

| | \$ | | \$ | |
|------------------------|------------------|---------|---|------------------|
| ნაშთი პ/დ | 265,840 | 265,840 | ფულადი სახსრების მიღება (დამაბალანსებელი) | 1,509,287 |
| გაყიდვებიდან ამონაგები | 1,589,447 | | ნაშთი პ/ბ | 346,000 |
| | <u>1,855,287</u> | | | <u>1,855,287</u> |

(გ.2) კრედიტორული დავალიანების საკონტროლო ანგარიში (გრძელვადიანი აქტივების შესყიდვების გარეშე)

| | \$ | | \$ |
|---|------------------|---------------------------------------|------------------|
| გადახდილი ფულადი ხსრები (დამაბ. რიცხვი) | სა-1,070,231 | ნაშთი პ/დ შესყიდვები | 210,564 |
| ნაშთი პ/ბ | 258,240 | - რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | 1,021,830 |
| | <u>1,328,471</u> | - ადმინისტრაცია | <u>96,077</u> |
| | | | <u>1,328,471</u> |

განმარტებითი შენიშვნა: გრძელვადიან აქტივებთან დაკავშირებულ ინფორმაცია ასახული არ არის კრედიტორული დავალიანების საკონტროლო ანგარიშში, რათა გამოთვლილ იქნეს მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები საოპერაციო ხარჯებისათვის.

(გ.3) ხელფასის საკონტროლო ანგარიში

| | \$ | | \$ |
|--|----------------|-------------------------------------|----------------|
| წმინდა გადახდილი ხელფასი (დამაბ. რიცხვი) | 239,890 | ნაშთი პ/დ | 8,640 |
| ნაშთი პ/ბ | 14,650 | რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | 145,900 |
| | <u>254,540</u> | ადმინისტრაცია | <u>100,000</u> |
| | | | <u>254,540</u> |

დანახარჯები გრძელვადიან აქტივებზე

გრძელვადიანი აქტივებისათვის გადახდილი ფულადი სახსრებია: \$80,000 - \$46,000 = \$34,000. ანგარიშ-ფაქტურების თანხა, \$80,000, შესაბამისობაშია ბალანსში ასახული გრძელვადიანი აქტივების ცვლილებასთან.

3.2 არაპირდაპირი მეთოდი

არაპირდაპირი მეთოდი იწყება მოგებით დაბეგვრამდე (როგორც ეს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაშია მოცემული) და არა ფულადი სახსრებით. შემდეგ ხდება მისი შესწორება არაფულადი ხარჯის შემცირებით (ემატება მოგებას) და სამუშაო კაპიტალის ცვლილების გათვალისწინებით შემდეგნაირად:

| | |
|--|----------|
| | \$ |
| მოგება დაბეგვრამდე | X |
| პროცენტის ხარჯი | X |
| საინვესტიციო შემოსავალი | (X) |
| ცვეთის ხარჯი | X |
| ზარალი (მოგება) გრძელვადიანი აქტივის გაყიდვიდან | X/(X) |
| მარაგის ზრდა (შემცირება) | (X)/X |
| დებიტორული დავალიანების ზრდა (შემცირება) | (X)/X |
| კრედიტორული დავალიანების ზრდა (შემცირება) | X/(X) |
| ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | <u>X</u> |



განვრცობილი ტექსტი

ანგარიშგების ეს განყოფილება იწვება დაბეგვრამდე მოგებით, რომელიც მოცემულია მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. დანარჩენი რიცხვები წარმოადგენს მოგების თანხის მოცემული პერიოდის ფულადი სახსრების ნაკადებად გარდაქმნისათვის საჭირო კორექტირებებს.

| | |
|--|---|
| ცვეთა | ემატება მოგებას, რადგან არაფულადი ხარჯია |
| პროცენტის ხარჯი | ემატება მოგებას, რადგან იგი არ არის საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადების ნაწილი (ფაქტობრივად გადახდილი პროცენტის თანხა შემდეგ გამოაკლდება) |
| სავაჭრო დებიტორული დავალიანების ზრდა | აკლდება, რადგან იგი წარმოადგენს მოგების ნაწილს, რომელიც არ არის რეალიზებული ფულად სახსრებში და განითვებულია დებიტორულ დავალიანებაში |
| მარაგის შემცირება | ემატება, რადგან მარაგის შემცირების შედეგად ხდება დამატებითი ფულადი სახსრების გამოთავისუფლება |
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანების შემცირება | აკლდება, რადგან კრედიტორული დავალიანების შემცირება ამცირებს ფულად სახსრებს |

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მოსამზადებლად, ინფორმაცია მიიღება ან სააღრიცხვო ჩანაწერებიდან, ან სხვა ანგარიშგებიდან – მოცემული და წინა წლების ბალანსებიდან და მოცემული პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებიდან. „შეაშვებ შენი ცოდნა 1-ის“ მოთხოვნა 1-ში შემოთავაზებული ფინანსური ანგარიშგება გვაწვდის მონაცემებს, რომელიც საჭიროა ამ ამოცანის მოთხოვნების ამოსახსნელად :



შეამოწმე შენი ცოდნა 1

მოთხოვნა 1 – ფულადი სახსრების მონაცემები
კომპანია Geronimo-ს ბალანსი 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | 20X6 | 20X5 |
|---------------------------------|--------------|------------|
| | \$000 | \$000 |
| გრძელვადიანი აქტივები | 1,048 | 750 |
| დაგროვილი ცვეთა | (190) | (120) |
| | <u>858</u> | <u>630</u> |
| მოკლევადიანი აქტივები | | |
| მარაგი | 98 | 105 |
| სავაჭრო დებიტორული დავალიანება | 102 | 86 |
| მისაღები დივიდენდი | 57 | 50 |
| ფულადი სახსრები | 42 | 18 |
| | <u>299</u> | <u>259</u> |
| სულ აქტივები | <u>1,157</u> | <u>889</u> |
| კაპიტალი და რეზერვები | | |
| სააქციო კაპიტალი | 200 | 120 |
| საემისიო კაპიტალი | 106 | 80 |
| გადაფასების ნამეტი (რეზერვი) | 212 | 12 |
| დაგროვილი მოგება | 283 | 226 |
| | <u>801</u> | <u>438</u> |
| გრძელვადიანი ვალდებულება | | |
| სესხი | 200 | 300 |
| მოკლევადიანი ვალდებულება | | |
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანება | 47 | 52 |
| გადასახდელი დივიდენდი | 30 | 27 |
| დარიცხული პროცენტი | 3 | 5 |
| მოგების გადასახადი | 76 | 67 |
| | <u>156</u> | <u>151</u> |
| სულ კაპიტალი და ვალდებულებები | <u>1,157</u> | <u>889</u> |

კომპანია Geronimo-ს მოგებისა და ზარალის ანგარიშგება
20X6 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | |
|------------------------------------|-------|
| | \$000 |
| ამონაგები გაყიდვებიდან | 1,100 |
| რელიზებული საქონლის თვითღირებულება | (678) |
| საერთო მოგება | 422 |
| საოპერაციო ხარჯები | (309) |
| აოპერაციო მოგება | 113 |
| საინვესტიციო შემოსავალი – პროცენტი | 15 |
| – დივიდენდი | 57 |
| საფინანსო ხარჯი (პროცენტი) | (22) |
| მოგება დაბეგვრამდე | 163 |
| მოგების გადასახადი | (71) |
| წლის წმინდა მოგება | 92 |

- საოპერაციო ხარჯები შეიცავს გრძელვადიანი აქტივის გაყიდვისას მიღებულ ზარალს \$5,000.
 - წლის განმავლობაში შენობა, რომლის თვითღირებულება იყო \$80,000 და დაგროვილი ცვეთა \$15,000 გაიყიდა.
- გამოთვალეთ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით.

4. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

ფულადი სახსრების ნაკადები შეიძლება შეიცავდეს:

- გადახდილ პროცენტს;
- გადახდილ დივიდენდებს;
- გადახდილ მოგების გადასახადს.

4.1 გადახდილი პროცენტის/ მოგების გადასახადის გამოთვლა

ფულადი სახსრების ნაკადების გამოთვლა უნდა დაეფუძნოს:

- ხარჯებს მოგებაზე (რომელიც მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაშია მოცემული); და
- ნებისმიერ საწყის და საბოლოო გადასახდელ ნაშთებს, რომლებიც ბალანსშია მოცემული.

სასარგებლოა ქვემოთ მოცემული T-ანგარიშის ფორმით მოცემული გამოთვლა:

| მაგალითად, | გადასახდელი პროცენტი | |
|---|----------------------|----------|
| | \$ | \$ |
| გადახდილი ფულადი სახსრები (დამაბალანსებელი ციფრი) | X | X |
| პ/ბ დარიცხული პროცენტი | X | X |
| | <u>X</u> | <u>X</u> |

თუ არ არის მოცემული გადასახდელი თანხის საწყისი და საბოლოო ნაშთები, ეს ნიშნავს იმას, რომ დარიცხული ხარჯი მთლიანად გადახდილია.

4.2 გადახდილი დივიდენდის გამოთვლა

ფულადი სახსრების ნაკადების გამოთვლა კვლავ უნდა დაეფუძნოს ზარჯს მოგებაზე და ბალანსში მოცემული დივიდენდის საწყის ან საბოლოო ნაშთს. გაითვალისწინეთ, რომ მოგებაზე დივიდენდის ხარჯი მოცემული არ არის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ის შესაძლებელია დადგინდეს დაგროვილი მოგების T-ანგარიშის ფორმის გამოთვლების გამოყენებით.



შეაბოწმე შენი ცოდნა 1

მოთხოვნა 2
დაადგინეთ და გამოთვალეთ კომპანია Geronimo-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგების საოპერაციო საქმიანობის ქვესათურის ქვეშ დარჩენილი თანხები.

5. ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ფულადი სახსრების ნაკადების შემოდინება შეიძლება შეიცავდეს:

- მიღებულ პროცენტს;
 - მიღებულ დივიდენდებს;
 - მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებს;
- ფულის გადინება შეიძლება შეიცავდეს:
- ძირითადი საშუალებების შექმნას.

5.1 მიღებული პროცენტისა და დივიდენდის გამოთვლა

ფულადი სახსრების ნაკადების გამოთვლისათვის კვლავ გამოყენებულ უნდა იქნეს ორივე, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებასა და ბალანსებში მოცემული მისაღები საწყისი და საბოლოო ნაშთები.

სასარგებლოა ქვემოთ მოცემული T-ანგარიშის ფორმით მოცემული გამოთვლა:

მაგ., მისაღები პროცენტი

| | \$ | | \$ |
|---|----------|--|----------|
| პ/დ მისაღები პროცენტი | X | მიღებული ფულადი სახსრები (დამაბალანსებელი ციფრი)(β) | X |
| მოგებისა და ზარალის ანგარიშის მოცემული მისაღები პროცენტი | X | | |
| | <u>X</u> | პ/ბ მისაღები პროცენტი | <u>X</u> |
| | | | <u>X</u> |



შემაჯავრობე შენი ცოდნა 1

მოთხოვნა 3

დაადგინეთ და გამოთვალეთ მისაღები დივიდენდებისა და პროცენტის ოდენობა, რომელიც კომპანია Geronimo-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგების საინვესტიციო საქმიანობის ქვესათაურის ქვეშ უნდა აისახოს.

5.2 ძირითადი საშუალებების შესყიდვისა და მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან მიღებული ამონაგების გამოთვლა

ამ ციფრების გამოთვლა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ყველაზე რთულია. რეკომენდებულია T-ანგარიშის ფორმის გამოთვლების გამოყენება.

გრძელვადიანი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებით საჭირო იქნება სამი სამუშაო ბუღალტრული T-ანგარიშის შექმნა:

- გრძელვადიანი აქტივის თვითღირებულების ანგარიში;
- გრძელვადიანი აქტივის დაგროვილი ცვეთის ანგარიში;
- გრძელვადიანი აქტივის გასვლის ანგარიში (საკითხიდან გამომდინარე).

თითოეულ მათგანში ბალანსიდან უნდა გადაიტანოთ საწყისი და საბოლოო ნაშთები, შემდეგ კი შენიშვნებში მოცემული დამატებითი ინფორმაცია. მიაქ-

ციეთ ყურადღება, რომ ყველა დამატებითი ინფორმაციის ასახვისათვის უნდა გამოიყენოთ ორადი ჩაწერის პრინციპი – გატარება აისახება ან ორ სამუშაო ანგარიშში, ან ერთ სამუშაო ანგარიშსა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში (ანუ ფულად სახსრებში). ამ სამი სამუშაო ანგარიშის გამოყენებით ფაქტობრივად, აღადგენთ გრძელვადიანი აქტივების ანგარიშებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მოცემულ ინფორმაციას. დამატალანსებელი ციფრი იქნება ის, რაც მოითხოვება.

გახსოვდეთ, თუ ბალანსში მოცემულია აფასების ინფორმაცია, ჩასვით ეს აფასების ნამეტი გრძელვადიანი აქტივის თვითღირებულების T-ანგარიშის სადებეტო მხარეს.

ზოგ შემთხვევაში, მოცემული ინფორმაცია საკმარისი არ არის ცალკეული თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთის ანგარიშების შესადგენად. მათ ნაცვლად ნეტო საბალანსო ღირებულების ანგარიში უნდა იქნეს გამოყენებული:

ნეტო საბალანსო ღირებულება (ნსღ)

| | \$ | | \$ |
|-------------------------------|----------|----------------------|----------|
| პ/დ ნაშთი ნსღ-ით | X | | |
| შეძენა ნსღ-ით (= ფულის გადახ- | | გასვლა ნსღ-ით | X |
| და ძირითად საშუალებებში) | X | მიმდინარე წლის ბოლოს | |
| აფასება | X | დარიცხული ცვეთა | X |
| | | პ/ბ ნაშთი ნსღ-ით | X |
| | <u>X</u> | | <u>X</u> |

შეამოწმე შენი ცოდნა 1

მოთხოვნა 4

დაადგინეთ და გამოთვალეთ ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრებისა და მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან მიღებული ამონაგების ოდენობა, რომელიც კომპანია Geronimo-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგების საინვესტიციო საქმიანობის ქვესათაურის ქვეშ უნდა გამოჩნდეს.

6. ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

ფულადი სახსრების ნაკადების შემოსვლა შეიძლება შეიცავდეს:

- აქტივების გამოშვებიდან მიღებულ ამონაგებს;
- სასესხო თამასუქის/ ობლიგაციის გამოშვებიდან მიღებულ ამონაგებს.

ფულადი სახსრების ნაკადების გასვლა შეიძლება შეიცავდეს:

- სესხის/ თამასუქის გადახდას.

6.1 აქტივების ემისიიდან მიღებული თანხების გამოთვლა

ფულის ნაკადების შემოსვლის გამოთვლისათვის ერთმანეთს უნდა შეუდარდეს ორი ანგარიშის საწყისი და საბოლოო ნაშთების ჯამები:

- სააქციო კაპიტალის;
- საემისიო კაპიტალის.

6.2 სასესხო თამასუქის გამოშვებიდან მიღებული ამონაგების გამოთვლა / სესხების გადახდა

ამ ფულადი ნაკადების გამოთვლა მოხდება მარტივად, საწყისი და საბოლოო ნაშთების შეპირისპირებით.



შემოწმე შენი ცოდნა 1

მოთხოვნა 5

დაადგინეთ და გამოთვალეთ თითოეული თანხა, რომელიც კომპანია Geronimo-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგების საფინანსო საქმიანობის ქვესათაურის ქვეშ უნდა აისახოს.



შემოწმე შენი ცოდნა 1

მოთხოვნა 6

დაასრულეთ Geronimo-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგების ქვემოთ მოცემული ფორმა, რისთვისაც გამოიყენეთ შემოწმე შენი ცოდნა 1-ლის 1-5 მოთხოვნის გამოთვლები.

კომპანია Geronimo-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგება
20X6 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

\$'000 \$'000

| | |
|---|--|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | |
| ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | |
| გადახდილი პროცენტი | |
| გადახდილი დივიდენდები | |
| გადახდილი მოგების გადასახადი | |
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | |
| ამონაგები მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან | |
| მიღებული პროცენტი | |
| მიღებული დივიდენდები | |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები | |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან | |
| ფულადი სახსრები აქციების გამოშვებიდან | |
| სესხის დაფარვა | |
| საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები | |
| ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს | |

შემოწმე შენი ცოდნა 2

მოცემულია შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია Algemon-ის შემოკლებული ფინანსური ანგარიშგება 20X6 -20X7წწ.

| | 20X6 | | | 20X7 | | |
|--|----------------|---------------|----------------|----------------|---------------|----------------|
| | ბალანსი | | | ბალანსი | | |
| | თვითღირებულება | ცვეთა | ნაშთი | თვითღირებულება | ცვეთა | ნაშთი |
| | \$ | \$ | \$ | \$ | \$ | \$ |
| მანქანა-დანადგარები | 10,000 | 4,000 | 6,000 | 11,000 | 5,000 | 6,000 |
| შენობები | 50,000 | 10,000 | 40,000 | 90,000 | 11,000 | 79,000 |
| | <u>60,000</u> | <u>14,000</u> | <u>46,000</u> | <u>101,000</u> | <u>16,000</u> | <u>85,000</u> |
| ინვესტიციები, თვითღირებულებით | | | 50,000 | | | 80,000 |
| მიწის ნაკვეთი | | | 43,000 | | | 63,000 |
| მარაგი | | | 55,000 | | | 65,000 |
| დებიტორული დავალიანება | | | 40,000 | | | 50,000 |
| ბანკი | | | 3,000 | | | |
| | | | <u>237,000</u> | | | <u>343,000</u> |
| ჩვეულებრივი \$1-იანი აქციები | | | 40,000 | | | 50,000 |
| საემისიო კაპიტალი | | | 12,000 | | | 14,000 |
| გადაფასების რეზერვი (მიწის ნაკვეთი) | | | - | | | 20,000 |
| დაგროვილი მოგება | | | 45,000 | | | 45,000 |
| 10%-იანი თამასუქები | | | 100,000 | | | 150,000 |
| კრედიტორული დავალიანება | | | 40,000 | | | 60,000 |
| ბანკი | | | - | | | 4,000 |
| | | | <u>237,000</u> | | | <u>343,000</u> |

| მოგებისა და ზარალის ანგარიშგება | | |
|------------------------------------|----------------|---------------|
| | 20X6 | 20X7 |
| | \$ | \$ |
| ამონაგები გაყიდვებიდან | 200,000 | 200,000 |
| რელიზებული საჭონლის თვითღირებულება | (100,000) | (120,000) |
| | <u>100,000</u> | <u>80,000</u> |
| ზარჯები | (50,000) | (47,000) |
| | <u>50,000</u> | <u>33,000</u> |
| პროცენტი | (10,000) | (13,000) |
| | <u>40,000</u> | <u>20,000</u> |
| მოცემული წლის წმინდა მოგება | | |

შენიშვნა:

ღივიღნდები \$20,000 ბალანსის შედგენის თარიღამდე იქნა გადახდილი.

ა) მომზადლოთ Algemion-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგება 20X7 წლისათვის და ახსენით საბანკო ანგარიშის ცვლილება. ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა მომზადდეს პირდაპირი მეთოდით.

ბ) მოცემული შემოკლებული ანგარიშგებისა და თქვენ მიერ მომზადებული ანგარიშგების გამოყენებით კომენტარი გააკეთეთ Algemion-ის მდგომარეობაზე, პროგრესსა და მიმართულებაზე.



შეაოწმე შენი ცოდნა 3

კომპანიის ფულადი სახსრების ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების ნაწილი მოცემულია ქვემოთ:

| | |
|---------------------------------------|-------|
| | \$000 |
| საოპერაციო მოგება | 1,255 |
| ზარალი გრძელვადიანი აქტივის გასვლიდან | (455) |
| დებიტორული დავალიანების ზრდა | (198) |
| კრედიტორული დავალიანების ზრდა | 340 |

მოცემული ნაწყვეტის კრიტიკული გარჩევა გაკეთდა:

- გრძელვადიანი აქტივის გასვლიდან მიღებული ზარალი უნდა დაემატოს და არა გამოაკლდეს;
- დებიტორული დავალიანების ზრდა უნდა დაემატოს და არა გამოაკლდეს;
- კრედიტორული დავალიანების ზრდა უნდა დააკლდეს და არა დაემატოს.

რომელი კრიტიკული შენიშვნაა საფუძვლიანი?

- ა 1, 2 და 3
- ბ მხოლოდ 1-ლი
- გ მხოლოდ მე-2 და მე-3
- დ არც ერთი

შეამოწმე შენი ცოდნა 4

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი გამოჩნდება ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში?

1. შეთავაზებული დივიდენდი.
2. მიღებული დივიდენდი.
3. ბონუსური აქციების გამოშვება.
4. გრძელვადიანი აქტივების გადაფასების ნამეტი.

ა 1 და 2

ბ 1, 2 და 3

გ მხოლოდ მე-2

დ 2 და 3

შეამოწმე შენი ცოდნა 5

შპს Caddyshack-ის საოპერაციო მოგება 20X6 წლის 31 დეკემბრის ბოლოს შეადგენს \$469,850. ბუღალტერს მიაწოდეს კომპანიის შემდეგი ლეტალები:

1. ცვეთის ხარჯი \$37,400 დაერიცხა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში; ეს თანხა შეიცავდა გრძელვადიანი აქტივის გაყიდვიდან მიღებულ ზარალს \$7,600;
2. მოცემულია 20X5 და 20X6 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსების ნაწყვეტი:

| | 31 დეკემბერი 20X6 | 31 დეკემბერი 20X5 |
|---------------------|-------------------|-------------------|
| | \$000 | \$000 |
| მარაგი | 145 | 167 |
| საეაჭრო დებიტორული | | |
| დავალიანება | 202 | 203 |
| წინასწარგადახდა | 27 | 16 |
| საეაჭრო კრედიტორული | | |
| დავალიანება | 196 | 212 |
| დარიცხული პროცენტი | 6 | 28 |

რა იქნება ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან?

ა \$511,250

ბ \$510,850

გ \$501,250

დ \$503,250

თავის რეზიუმე

ფულადი ნაკადების ანგარიშგების საჭიროება

- ეხმარება კომპანიის ლიკვიდურობის დადგენაში
- ეხმარება მომავალი ფულადი სახსრების შეფასებაში
- მომხმარებელი ზედავს ფულის შედინებას და გადინებას.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ფორმა

ბასს 7-ის მოთხოვნის შესაბამისად, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აქვს სამი ქვესათაური:

- საოპერაციო საქმიანობა.
- საინვესტიციო საქმიანობა.
- საფინანსო საქმიანობა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადება

ფულის მოძრაობა მარტივად წინა და მიმდინარე წლების ბალანსების ნაშთებს შორის სხვაობაა.

ყურადღებით დააკვირდი რთულ განაყოფს, მაგალითად, როგორცაა მოგების გადასახადი და გრძელვადიანი აქტივები, რომელთა გამოანგარიშგებებიც შეიძლება გასაკეთებელია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების გამოყენების ინტერპრეტაცია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წარმოადგენს საჭირო ინფორმაციას, იმის შესახებ:

- როგორ ხარჯავს და იღებს საწარმო ფულად სახსრებს;
- საოპერაციო საქმიანობიდან მიიღება დადებითი ფულადი ნაკადები თუ არა;
- საწარმოს შეუძლია თუ არა ფულის მიღება მომავალში.

შეამოწმე შენი პასუხები

| შეამოწმე შენი ცოდნა 1 | | |
|---|------------|-------------------|
| მოთხოვნა 1 | | |
| | | \$000 |
| მოგება დაბეგვრამდე | | 163 |
| საპროცენტო ზარჯი | | 22 |
| საინვესტიციო შემოსავალი | | (72) |
| ცვეთა (გ 1) | | 85 |
| ზარალი გრძელვადიანი აქტივის გაყიდვიდან | | 5 |
| მარაგის შემცირება | | 7 |
| დებიტორული დავალიანების გაზრდა | | (16) |
| კრედიტორული დავალიანების შემცირება | | (5) |
| ფულადი სახსრებ საოპერაციო საქმიანობიდან | | <u>189</u> |
| (გ.1) დაგროვილი ცვეთა | | |
| | \$000 | \$000 |
| აქტივის გასვლა | 15 | პ/დ ნაშთი |
| პ/ბ ნაშთი | 190 | ცვეთის ზარჯი |
| | | (დამაბალანსებელი) |
| | <u>205</u> | <u>85</u> |
| | | <u>205</u> |

| შეამოწმე შენი ცოდნა 1 | | |
|--|------------|--|
| მოთხოვნა 2 | | |
| გადახდილი პროცენტის გამოთვლა | | |
| გადასახდელი პროცენტი | | |
| | \$000 | \$000 |
| გადახდილი ფულადი სახსრები (დამაბალანსებელი) | 24 | დარიცხული პროცენტის |
| დარიცხული პროცენტის | 3 | პ/დ ნაშთი |
| პ/ბ ნაშთი | | მოგებისა და ზარალის ანგარიშში |
| | <u>27</u> | საპროცენტო ზარჯი |
| | | <u>27</u> |
| გადახდილი ღირებულების გამოთვლა | | |
| დაგროვილი მოგება | | |
| | \$000 | \$000 |
| შესაძლო გადასახდელი ღირებულება (დამაბალანსებელი) | 35 | პ/დ ნაშთი |
| პ/ბ ნაშთი | | მოგებისა და ზარალის ანგარიშში მოცემული წლის მოგება |
| | <u>283</u> | <u>92</u> |
| | <u>318</u> | <u>318</u> |

| გადასახდელი დივიდენდი | | | |
|---|------------|---|------------|
| | \$000 | | \$000 |
| გადახდილი ფულადი სახსრები (დამაბალანსებელი) | 32 | გადასახდელი დივიდენდის ჰ/დ ნაშთი | 27 |
| გადასახდელი დივიდენდის ჰ/ბ ნაშთი | 30 | შესაძლო დივიდენდის გადახდა (დაგროვილი მოგებიდან) | 35 |
| | <u>62</u> | | <u>62</u> |
| გადახდილი მოგების გადასახადი | | | |
| გადასახდელი მოგების გადასახადი | | | |
| | \$000 | | \$000 |
| გადახდილი ფულადი სახსრები (დამაბალანსებელი) | 62 | გადასახდელი გადასახადის ჰ/დ ნაშთი | 67 |
| გადასახდელი გადასახადის ჰ/ბ ნაშთი | 76 | მოგებისა და ზარალის ანგარიშში მოგების გადასახადის ზარჯი | 71 |
| | <u>138</u> | | <u>138</u> |



შეამოწმე შენი ცოდნა 1

მოთხოვნა 3

მისაღები პროცენტის ნაშთი წლის დასაწყისში ან წლის ბოლოს არ არის მოცემული; ამგვარად, მიღებული პროცენტი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში მოცემული მისაღები პროცენტის ტოლი უნდა იყოს.

მიღებული პროცენტი \$15,000

მიღებული დივიდენდი

მისაღები დივიდენდი

| | \$000 | | \$000 |
|---|------------|--|------------|
| მისაღები დივიდენდის ჰ/დ ნაშთი | 50 | მიღებული ფულადი სახსრები (დამაბალანსებელი) | 50 |
| მოგებისა და ზარალის ანგარიშში მოცემული მისაღები დივიდენდი | 57 | მისაღები დივიდენდის ჰ/ბ ნაშთი | 57 |
| | <u>107</u> | | <u>107</u> |

შეამოწმე შენი ცოდნა 1

მოთხოვნა 4

(იხილეთ მოთხოვნა 1-ლის ამოხსნა დაგროვილი ცვეთის ანგარიშისათვის).

ძირითადი საშუალებების თვითღირებულება

| | \$000 | | \$000 |
|--------------------------------------|--------------|-----------|--------------|
| პ/დ ნაშთი | 750 | | |
| შეძენა (= გადახდილი ფულადი სახსრები) | 178 | გასვლა | 80 |
| გადაფასება | 200 | პ/პ ნაშთი | 1,048 |
| | <u>1,128</u> | | <u>1,128</u> |

ძირითადი საშუალებების გასვლა

| | \$000 | | \$000 |
|----------------|-----------|--|-----------|
| თვითღირებულება | 80 | დაგროვილი ცვეთა | 15 |
| | | ზარალი გასვლისას | 5 |
| | | მიღებული ფულადი სახსრები (დამაბალანსებელი) | 60 |
| | <u>80</u> | | <u>80</u> |

შეამოწმე შენი ცოდნა 1

მოთხოვნა 5

| | 20X6 | 20X5 | \$000 |
|----------------------------------|------------|------------|-------|
| სააქციო კაპიტალი | 200 | 120 | |
| საემისიო კაპიტალი | 106 | 80 | |
| | <u>306</u> | <u>200</u> | |
| ამონაგები გამოშვებული აქციებიდან | | | 106 |

სესხის გადახდა

- 20X5 წლის ბოლოს სესხის ნაშთი იყო \$300,000; 20X6 წლის ბოლოს კი \$200,000.
- ამგვარად, \$100,000 გადაიხადეს.



შეამოწმე შენი ცოდნა 1

მოთხოვნა 6

კომპანია Geronimo-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგება
20X6 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

| | \$000 | \$000 |
|---|-------|-------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | | |
| ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | 189 | |
| გადახდილი პროცენტი | (24) | |
| გადახდილი დივიდენდები | (32) | |
| გადახდილი მოგების გადასახადი | (62) | |
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | | 71 |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | (178) | |
| ამონაგები მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან | 60 | |
| მიღებული პროცენტი | 15 | |
| მიღებული დივიდენდები | 50 | |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები | | (53) |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან | | |
| ფულადი სახსრები აქციების გამოშვებიდან | 106 | |
| სესხის დაფარვა | (100) | |
| საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები | | 6 |
| ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა | | 24 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში | | 18 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს | | 42 |

შეამოწმე შენი ცოდნა 2.

ა) ფულადი ნაკადების ანგარიშგება
20X7 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

| | \$000 | \$000 |
|--|---------------|----------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | | |
| მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები (გ1) | 190,000 | |
| მომწოდებლებისა და მომუშავეებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები (გ3) | (155,000) | |
| ფულადი საოპერაციო საქმიანობიდან | 35,000 | |
| გადახდილი პროცენტი | (13,000) | |
| გადახდილი დივიდენდები | (20,000) | |
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | | 2,000 |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან | | |
| გრძელვადიანი მატერიალური აქტივის შეძენა (1,000 + 40,000) | (41,000) | |
| ინვესტიციების შეძენა | (30,000) | |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები | | (71,000) |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან | | |
| აქციების გამოშვება (10,000+2,000) | 12,000 | |
| სასესხო თამასუქი | 50,000 | |
| საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები | | <u>62,000</u> |
| ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა შემცირება | | (7,000) |
| ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში | | 3,000 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს | | <u>(4,000)</u> |

| ფული და ფულის ეკვივალენტები | | | |
|---|----------------|---|----------------|
| | | 31 დეკემბერი | |
| | | 20X6 | 20X7 |
| | | \$ | \$ |
| ნაშთი ბანკში | | 3,000 | (4,000) |
| განგარიშებები | | | |
| (გ1) გაყიდვებიდან მიღებული ფულადი სახსრები | | | |
| დებიტორული დავალიანების მკონტროლებელი ანგარიში | | | |
| | \$ | | \$ |
| პ/დ ნაშთი | 40,000 | მიღებული ფულადი სახსრები (დამაბალანსებელი) | 190,000 |
| გაყიდვებიდან ამონაგები | 200,000 | პ/ბ ნაშთი | 50,000 |
| | <u>240,000</u> | | <u>240,000</u> |
| (გ2) | | | |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | | | |
| | \$ | | \$ |
| მარაგის საწყისი ნაშთი | 55,000 | რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | 120,000 |
| ცვეთა | 2,000 | | |
| შესყიდვა და ხელფასი (დამაბალანსებელი) | 128,000 | მარაგის საბოლოო ნაშთი | 65,000 |
| | <u>185,000</u> | | <u>185,000</u> |

(გ3)

კრედიტორული დავალიანებისა და ზელფასების მაკონტროლებელი ანგარიში

| | \$ | | \$ |
|--------------------------------------|----------------|--|----------------|
| გადახდილი ფულადი სახსრები (დამაბალ.) | 155,000 | პ/დ ნაშთი | 40,000 |
| | | შესყიდვები რეალიზებული საქონლის თვითღირებულებიდან (გ2) | 128,000 |
| პ/ბ ნაშთი | 60,000 | ხარჯები | 47,000 |
| | <u>215,000</u> | | <u>215,000</u> |

შენიშვნა: მცირედი ინფორმაციაა მოცემული კომპანიის ხარჯების შესახებ; მაგ., არავითარი ინფორმაცია არაა მოცემული ზელფასებისა და ჰონორარების შესახებ. ამიტომ გადახდილი თანხა მოიცავს ყველა ფულადი ნაკადის გადინებას, რაც სავაჭრო საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

ცვეთა უნდა დაერიცხოს ან რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას, ან ხარჯებს და ეს ოპერაცია მოითხოვს გაანგარიშებების გაკეთებას. ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს, სად გაკეთდება კორექტირებები, კრედიტორული დავალიანების მაკონტროლებელ თუ რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ანგარიშებში.

ბ) **Algeron**-მა წლის განმავლობაში, ძირითადად, ფული დააბანდა შენობებში, ინვესტიციებში, მარაგსა და დებიტორულ დავალიანებებში. ფული შემოვიდა ნაწილობრივ ახალი აქციების გამოშვებიდან და ძირითადად სასესხო თამასუქიდან. თუმცა, კომპანიის კაპიტალის აქტივებთან შეფარდების კოეფიციენტი შემცირდა. საბრუნავი კაპიტალი დაფინანსდა იმავე ოდენობის სავაჭრო კრედიტორული დავალიანების გაზრდის ხარჯზე.

მოგება მთლიანად განაწილდა დივიდენდების სახით, მიუხედავად იმისა, რომ ამით შემცირდა წინა წლის მოგება. ჭკვიანური იქნებოდა, უკან დაებრუნებინათ დივიდენდები გაფართოების დროს იმ დრომდე, ვიდრე არ გამოჩნდებოდა ამ გაფართოებიდან მიღებული უფრო მაღალი მოგება.

შეამოწმე შენი ცოდნა 3

სწორი პასუხია ბ

გრძელვადიანი აქტივის გასვლისას წარმოქმნილი ზარალი უნდა დაემატოს მოგებას, რადგან ეს არაფულადი ხარჯია.



შეამოწმე შენი ცოდნა 4

სწორი პასუხია გ

დივიდენდის მიღება გულისხმობს ფულადი სახსრების მიღებას. სხვა ოპერაცია არ გულისხმობს ფულადი ოპერაციების განხორციელებას.



შეამოწმე შენი ცოდნა 5

სწორი პასუხია დ

| | \$ |
|---|----------|
| საოპერაციო მოგება | 469,850 |
| ცვეთა და აქტივის გაყიდვიდან მიღებული ზარალი | 37,400 |
| მარაგის შემცირება | 22,000 |
| დებიტორული დავალიანების შემცირება | 1,000 |
| წინასწარი გადახდების გაზრდა | (11,000) |
| კრედიტორული დავალიანების შემცირება | (16,000) |
| | 503,250 |


გაითვალისწინეთ, რომ პროცენტის დარიცხვის ოპერაცია არ არის შევცვრების ნაწილი, რადგან გაანგარიშება იწყება საოპერაციო მოგებიდან, რომლის გათვლაში არ მიუღია მონაწილეობა დარიცხულ პროცენტს. ის შესულია ფულადი ნაკადების ანგარიშგების პროცენტის გადახდის მუხლში.

მარეგულირებელი და სტრუქტურული (კონცეფციური) საფუძვლები თავის ძირითადი მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეძლებთ:

- ახსნათ მარეგულირებელი სისტემა:
 - ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი (ბასსკ);
 - ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (ბასს);
 - სტანდარტების საკონსულტაციო საბჭო (სსს); და
 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციების კომიტეტი (ფასსიკ);
- ახსნათ, როგორ გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესზე;
- ახსნათ ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლების მნიშვნელობა და განმარტოთ და გამოიყენოთ თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი:
 - შესაბამისობა (არსებითობის ჩათვლით);
 - სიმედიანობა (სამართლიანი წარდგენის, შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის, ნეიტრალობის, წინდახედულობისა და სისრულის ჩათვლით);
 - შესადარისობა;
 - აღქმადობა;
- მაგალითზე აჩვენოთ ხარისხობრივ მახასიათებლებს შორის შესაბამისობის მიღწევის პრობლემა;
- ახსნათ სააღრიცხვო კონცეფციების მნიშვნელობა და განმარტოთ და გამოიყენოთ თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი:
 - ფუნქციონირებადი საწარმო;
 - ღარიცხვები;
 - თანმიმდევრულობა;
 - არსებითობა;
 - შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა;
 - წინდახედულობა;
- ახსნათ პირვანდელი ღირებულების (პლ) უპირატესობა და ნაკლოვანება ფასების ცვალებადობის დროს;

- ახსნათ პირვანდელი ღირებულების ალტერნატიული პრინციპები:
 - ჩანაცვლების ღირებულება;
 - ნეტო სარეალიზაციო ღირებულება;
 - ეკონომიკური ღირებულება.



1. მარეგულირებელი საფუძვლები

1.1 რეგულირების აუცილებლობა

- რეგულირება უზრუნველყოფს იმას, რომ ანგარიშები საკმაოდ სანდო და გამოსადეგია და მომზადებულია ზედმეტი შეფერხების გარეშე.
- ფინანსური ანგარიშები გამოიყენება როგორც საწყისი პუნქტი დასაბეგრი მოგების გამოსაანგარიშებლად.
- წლიური ანგარიში და ბუღალტრული ანგარიშები ის მთავარი დოკუმენტებია, რომლებიც გამოიყენება აქციონერებისათვის ანგარიშის წარსადგენად, კომპანიის მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ.
- საფონდო ბირჟები დამოკიდებულია კომპანიების მიერ გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.
- საერთაშორისო ინვესტორები უპირატესობას ანიჭებენ, ინფორმაცია გამოქვეყნდეს მსგავსი და შესადარისობის გზით, იმის მიუხედავად, სად იმყოფება კომპანია.

1.2 ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების როლი

- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები წესებია, რომლებიც წარმართავენ განხორციელებული ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვას.
- მათ არა აქვთ კანონის ძალა. ისინი მაშინაა ეფექტური, თუ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების მიერ არიან აღიარებული.

2. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) როლი და სტრუქტურა

ბუღალტრული აღრიცხვის
საერთაშორისო სტანდარტების
კომიტეტის (ბასსკ) ფონდი

ბუღალტრული აღრიცხვის
საერთაშორისო
სტანდარტების საბჭო

სტანდარტების
საკონსულტაციო
საბჭო (სსს)


ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო
სტანდარტების ინტერარამ-
ტაციების კომიტეტი

- ბასსკ ფონდი არის მაკონტროლებელი ორგანო. მისი მიზანია:
 - საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, შეიმუშაოს ერთიანი, მაღალი ხარისხის ბუღალტრული სტანდარტები;
 - ზელი შეუწყოს ამ სტანდარტების სწორ გამოყენებას და განუხრელ დაცვას;
 - დაუახლოვოს ერთმანეთს ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტები და საერთაშორისო სტანდარტები მაღალი ხარისხის გადაწყვეტილებების მისაღებად.
- ბასსს პასუხისმგებელია ახალი ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოცემაზე.
- ფასსიკ გამოსცემს სახელმძღვანელოს, სადაც ბასს-ისა და ფასს-ის გამოყენების სხვადასხვა ინტერპრეტაციებია მოცემული;
- სსს რჩევას აძლევს ბასსს ახალი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებაზე.

განვრცობილი ტექსტი

მარეგულირებელი სტრუქტურა

ACCA-ის „ფინანსური აღრიცხვის“ გამოცდისათვის მარეგულირებელი წესების მთავარ წყაროს წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (ბასსს), რომელმაც გამოსცა ავტორიტეტული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს) და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ფასს).



ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკა

თქვენ სშირად შეგხედებათ გამოთქმა ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკა (ბასმპ). ეს არის ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკის ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება მოცემულ ქვეყანაში ან მოცემულ კონტექსტში. ცალკეული ქვეყნისათვის ბასმპ წარმოადგენს კანონმდებლობის, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების, საფონდო ბირჟის მოთხოვნათა ერთობლიობას, ხოლო იმ სფეროებში, რომელთათვისაც დეტალური წესები არ არსებობს - ბუღალტრული აღრიცხვის სხვა მისაღებ პრაქტიკას. ამდენად, შეიძლება ვისაუბროთ „გაერთიანებული სამეფოს ბასმპ“-ს ან „აშშ ბასმპ“-ს შესახებ. საერთაშორისო კონტექსტში ბასმპ ნიშნავს ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკას, რომელსაც განსაზღვრავს ბასს და ემატება ყველა ქვეყნის ადგილობრივი მოთხოვნები და პრაქტიკა.

3. სტრუქტურული საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებში მოცემულია პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს გარე მომხმარებლებისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებას. იგი განკუთვნილია იმისათვის, რომ:

- დაეხმაროს ბასს-ის საბჭოს ახალი სტანდარტების შექმნასა და არსებული სტანდარტების გადასინჯვაში;
- ხელი შეუწყოს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და პროცედურების დაახლოებას;
- დახმარება გაუწიოს ეროვნული სტანდარტების შემუშავებელ ორგანოებს ეროვნული სტანდარტების შემუშავებაში;
- დახმარება გაუწიოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებლებს ბასს-ის/ფასს-ის გამოყენებასა და ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის შეტანილი ბასს/ფასს-ებში;
- დახმარება გაუწიოს აუდიტორებს იმის შეფასებაში, ფინანსური ანგარიშგება ბასს-თან/ფასს-თან შესაბამისობაშია თუ არა;
- ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დახმარება გაუწიოს ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციაში;
- ბასსს-ის საქმიანობით დაინტერესებულ სუბიექტებს ინფორმაცია მიწოდოს იმის შესახებ, თუ რა მიდგომას იყენებს იგი ფასს-ის ფორმულირებისას.

3.1 სტრუქტურული საფუძვლების მოქმედების სფერო

სტრუქტურული საფუძვლები ეხება:

- ფინანსური ანგარიშგების მიზნებს;
- ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის სარგებლიანობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს;

- ფინანსური ანგარიშგების იმ ელემენტების განსაზღვრას, აღიარებასა და შეფასებას, რომლებიდანაც ფინანსური ანგარიშგებები მზადდება (ამ ეტაპზე არ შედის საგამოცდო კითხვებში);
- კაპიტალისა და კაპიტალის შენარჩუნების კონცეფციებს (ამ ეტაპზე არ შედის საგამოცდო კითხვებში).

3.2 სტრუქტურული საფუძვლების ძირითადი დაშვებები

სტრუქტურულ საფუძვლებში მოცემულია ორი ძირითადი დაშვება:

1. დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ფინანსური აღრიცხვა;
2. საწარმოს ფუნქციონირებადობა.

აღნიშნული განხილულია აგრეთვე ბასს I-ში.



4. ფინანსური ანგარიშგების მიზანია

ფინანსური ანგარიშგების მიზანია ინფორმაციის მიწოდება:

- საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე (ძირითადად, მოცემულია ბალანსში);
- სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე (ძირითადად, მოცემულია მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში); და
- ფინანსური მდგომარეობის ცვლილებებზე (მოცემულია საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებში), რომელიც გამოსადეგი იქნება მომხმარებელთა ფართო წრისათვის, ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით.



4.1 ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არიან:

- ინვესტორები (არსებული და პოტენციური);
- ფულის არსებული და პოტენციური გამსესხებლები;
- მუშაკები;
- საფონდო ბირჟის ანალიტიკოსები და მრჩეველები;
- ბიზნესკავშირები მყიდველების ჩათვლით;
- მომწოდებლები და კონკურენტები;
- მთავრობა, საგადასახადო ორგანოების ჩათვლით;
- საზოგადოება.

5. ფინანსური ანგარიშგების ზარისზობრივი მახასიათებლები

ზარისზობრივი მახასიათებლები წარმოადგენს მახასიათებლების ერთობლიობას, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას მისი მომხმარებლისთვის გამოსადეგს ხდიან.

**გამოსაღები ფინანსური
ინფორმაციის ხარისხობრივი
მახასიათებლები**

შესაბამისობა

- მომხმარებელს ეხმარება საქმიანობის შედეგების შეფასებაში.

საიმედოობა

- შეიძლება იყოს საიმედო
- თავისუფალი შეცდომებისაგან
- ნეიტრალური
- სრული
- წინდახედული

შესაღარიზობა

- სხვა საწარმოსთან
- წინა წლების შედეგებთან.

აღქმადობა

- წარმოდგენილი უნდა იყოს მომხმარებლისათვის გასაგებად.

5.1 ხარისხობრივ მახასიათებლებს შორის წონასწორობის მიღწევის პრობლემა

დროის ნებისმიერ მონაკვეთში შეუძლებელია ყველა ხარისხობრივი მახასიათებლის დაკმაყოფილება და მათ შორის წინააღმდეგობა წარმოიშობა. განვიხილოთ ქვემოთ მოცემული მაგალითები:

- **შესაბამისობა და დროულობა** – ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, თითოეული მომხმარებლის მოთხოვნა რომ დააკმაყოფილოს, უფრო მეტი დრო დასჭირდება.
- **აღქმადობა და სისრულე** – საწარმოს ყველა ასპექტის ჩვენება რომ მოხერხდეს, ამან შეიძლება ფინანსური ანგარიშგება ნაკლებად გასაგები გასაღოს.
- **შესაბამისობა და საიმედოობა** – ხანდახან შესაბამისი ინფორმაცია არ არის საიმედო და პირიქით. ასეთი წინააღმდეგობის არსებობისას უნდა გამოვიყენოთ ყველაზე მეტად შესაფერისი ინფორმაცია მოცემული საიმედო ინფორმაციიდან. ეს წინააღმდეგობა ასევე შეიძლება წარმოიშვას ინფორმაციის დროულობის გამო. მაგალითად, დაგვიანებით წარმოდგენილი ინფორმაცია შეიძლება ვადაგასული იყოს და, ამგვარად, იგი შესაბამისობაზე მოახდენს გავლენას. მაგრამ გაურკვეველობის მოგვარებამდე განხორციელებული ოპერაციების შესახებ ანგარიშის წარდგენამ შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ინფორმაციის საიმედოობაზე. ინფორმაცია არ უნდა იქნეს წარდგენილი, სანამ ის საიმედო არ იქნება.
- **ნეიტრალობა და წინდახედულობა** – ნეიტრალობა მოითხოვს, ინფორმაცია იყოს მიუკერძოებელი და თავისუფალი უზუსტობისაგან მაშინ, როცა წინდახედულება პოტენციურად მიკერძოებული კონცეფციას გადაჭარბებული მოგების, აქტივების, შემცირებული ზარალის ან ვალდებულებების მიმართ. ნეიტრალობისა და წინდახედულების შეჯერება ხდება მათ შორის ბალანსის მოპოვებით, რაც იმის გარანტიაა, რომ უზუსტობა და აქტივებისა და მოგების სისტემატურად გადაჭარბებული შეფასება და ზარალისა და ვალდებულებების შემცირება არ წარმოიშობა.




განერცობილი ტექსტი

ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები

ხარისხობრივი მახასიათებლები წარმოადგენს მახასიათებლების ერთობლიობას, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას მისი მომხმარებლისთვის გამოსადგეს ხდის. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში ნაჩვენებია აღნიშნული მახასიათებლები. იგი აღებულია არა ბასსს-ის სტრუქტურული საფუძვლებიდან, არამედ მისი მსგავსი დოკუმენტიდან, რომელიც გამოცემულია გაერთიანებულ სამეფოში ბასსკ-ის ანალოგიური “ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს” მიერ.

ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები

არაარსებითი ინფორმაციის გამოყენებისას შეიძლება სხვა ინფორმაცია გაუფასურდეს და უსარგებლო გახდეს.



გამოსადეგი ფინანსური ინფორმაციის მახასიათებლები ქვემოთ მოკლედ არის განხილული:

არსებითობა

როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, იგი წარმოადგენს „ზღვრულ“ ხარისხობრივ მაჩვენებელს. თუ ინფორმაცია გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, მაშინ ინფორმაცია არსებითია. მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლი მიიჩნევა არსებითად და, ამდენად, აუცილებელია მისი წარდგენა, თუ დაბეგვრამდელი მოგების ჩვეულებრივი დონის 5%-ზე მეტს წარმოადგენს, თუმცა არსებითობის მხოლოდ პროცენტული განსჯა შეუძლებელია.

შესაბამისობა

შესაბამისობა ერთ-ერთია იმ ორი საბაზისო პირობიდან, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებას უნდა გააჩნდეს (მეორე გახლავთ საიმედოობა). ფინანსური ინფორმაცია შესაბამისია, თუ მას შეუძლია მომხმარებელს დახმარება გაუწიოს გადაწყვეტილების მიღებაში წარსული, აწმყო და სამომავლო მოვლენების შეფასების ან არსებული შეფასებების დადასტურების ან კორექტირების საშუალებით.

შესაბამის ინფორმაციას შეიძლება წინასწარგათვლითი, ან მტკიცებულებითი მნიშვნელობა გააჩნდეს. ანუ, იგი მომხმარებლებს ეხმარება საწარმოს მომავლის განჭვრეტაში ან წარსულში გაკეთებული პროგნოზების დადასტურებაში.

საიმედოობა

ინფორმაციის ვარგისიანობა შეზღუდულია, თუ იგი არ არის საიმედო. ინფორმაცია საიმედო რომ იყოს, იგი არ უნდა იქნეს მიკერძოებული და არ უნდა მოიცავდეს შეცდომებს. ზოგიერთი პირობითი მუხლი, თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება არასაიმედო იყოს. ბასს 37-ში მოცემულია მითითებები, თუ რამდენად უნდა მოხდეს მსგავსი მუხლების აღიარება ან განმარტებით შენიშვნებში ასახვა.

დამატებითი ხარისხობრივი მახასიათებლები, რომელთა შედეგად ინფორმაციის საიმედოობა მიიღწევა, გახლავთ შემდეგი:

- **სამართლიანი წარდგენა**

ინფორმაცია სამართლიანად უნდა ასახავდეს სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენების ზეგავლენას.

- **შინაარსის ფორმაზე აღმატებულება**

ზოგიერთი სამეურნეო ოპერაციის რეალური შინაარსი განსხვავდება მისი იურიდიული ფორმისგან. მაგალითად, იჯარა გამოსყიდვის უფლებით. იჯარა გამოსყიდვის უფლებით შეთანხმებისას შექმნილი აქტივის საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება მანამ, სანამ არ მოხდება საბოლოო გადახდა. მაგრამ ბალანსმა, რომელშიც მსგავსი აქტივები არ აისახება შესაბამისი კონტრაქტის ვადის დასრულებამდე, შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ინფორმაციის მომხმარებელი.

როდესაც ეს იურიდიულად დაშვებულია, ოპერაციის რეალურ არსს უპირატესობა ენიჭება მის ფორმასთან შედარებით.

• **ნეიტრალობა**

ფინანსური ანგარიშგების მრავალი მუხლის განსაზღვრისას აუცილებელია მსჯელობისა და განსჯის გამოყენება. მაგალითად, ცვეთის განაკვეთის დადგენის, მარაგის შეფასების, დებიტორული დავალიანების ანარიცხების მოცულობის განსაზღვრის დროს და სხვ. ნეიტრალობა ნიშნავს, რომ განსჯისას მიკერძოებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

• **წინდახედულება**

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და გაურკვეველი მოვლენების შედეგების განსაზღვრისას საჭიროა სიფრთხილე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მეტისმეტი სიფრთხილით უნდა მიუღვეთ საკითხს. მთავარი მიზანია, სავარაუდო შედეგის წარდგენა მოხდეს, მცირედი სიფრთხილის გამოჩენით, რათა ფინანსური ანგარიშგება არ მომზადდეს ყველაზე უფრო პესიმისტურ საფუძველზე. ამან შეიძლება სერიოზულად დაამახინჯოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული რეალური მდგომარეობა.

• **სისრულე**

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია უნდა იყოს სრული, არსებობისა და ღირებულებაზე მკაცრად დაქვემდებარებული.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენა

სტრუქტურულ საფუძვლებში მოცემულია ინფორმაციის წარდგენის დამატებითი ზარისხობრივი მახასიათებლები, რომელთა საშუალებით ფინანსური ანგარიშგება გამოსადეგი ხდება:

შესადარისობა

შესადარისობა ნიშნავს, რომ ფინანსური ანგარიშგება შესადარისი უნდა იყოს სხვა საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებასთან და იმავე საწარმოს ადრინდელი სააღრიცხვო პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებთან.

შესადარისობის მისაღწევად საჭიროა თანმიმდევრულობის მეთოდის დაცვა და სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებში ასახვა. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები ხელს უწყობს შესადარისობის გაუმჯობესებას საწარმოს სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის არჩევანის შემცირების საშუალებით. ბასს 1-ში მოცემული მოთხოვნა, რომ საწარმოებმა განმარტებით შენიშვნებში ასახონ მათ მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პრაქტიკა, ხელს უწყობს კორექტირების შეტანას სხვადასხვა საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შესადარისობის მიღწევისათვის. ამასთან, როდესაც საწარმო ცვლის თავის სააღრიცხვო პოლიტიკას, გამოწვეული ცვლილება სრულად უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში.

აღქმადობა

საწარმოები დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან იმ ძალისხმევის თვალსაზრისით, რომელსაც ისინი ახორციელებენ მომხმარებლების მიერ ფინანსური ანგარიშგების აღქმადობის გაუმჯობესებისათვის. აღქმადობა დამოკიდებულია მომხმარებლების უნარზე. ამიტომ *სტრუქტურულ საფუძვლებში* შემოთავაზებული დაშვება გულისხმობს, რომ მომხმარებლებს ბიზნესისა და ფინანსური აღრიცხვის ცოდნის გარკვეული დონე გააჩნიათ.

შემზღუდავი ფაქტორები

როგორც ხედავთ, ზემოთ მოცემული ზოგიერთი მახასიათებელი სხვა მახასიათებლებს ეწინააღმდეგება. უფრო საიმედო ინფორმაცია შეიძლება ნაკლებად შესაბამისი იყოს და პირიქით.

სხვა სიტყვებით, უნდა მოხდეს აღნიშნული მახასიათებლების დაბალანსება. დროულობა კიდევ ერთი შემზღუდავი ფაქტორია. შესაძლოა, აუცილებელი გახდეს ფინანსური ანგარიშგების მომზადება მანამ, სანამ ამა თუ იმ სამეურნეო ოპერაციის თაობაზე ყველა ასპექტი იქნება ცნობილი. საჭიროა დროულობისა და საიმედოობის დაბალანსება, რათა გამოიძენოს საუკეთესო კომპრომისი, მომხმარებელთა მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით.

დასასრულ, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სარგებელი და დანახარჯები. შეძლებისდაგვარად, ინფორმაციის წარდგენიდან მიღებული სარგებელი უნდა აჭარბებდეს ინფორმაციის მიწოდების ხარჯებს.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტები

საგნის — ფინანსური აღრიცხვა — შესწავლისათვის აუცილებელი არ არის ბასსკ-ის სტრუქტურული საფუძვლების ამ ნაწილის დეტალური ცოდნა. თუმცა, მასში მოცემულია სამი მნიშვნელოვანი განმარტება, რომლებიც უნდა იცოდეთ. ესენია აქტივის, ვალდებულებისა და საკუთარი კაპიტალის განმარტებები.

აქტივი არის საწარმოს განკარგულებაში არსებული რესურსი, რომელიც წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგია და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

საჭიროა ამ ზოგადი განმარტების ახსნა. პირველი, რასაც უნდა მიექციოთ ყურადღება, ის გახლავთ, რომ საკუთრება აუცილებელი არ არის. რაკი საწარმო აკონტროლებს მას, მისი აქტივის სახით აღიარება შესაძლებელია. ამასთან, შესაძლებელი უნდა იყოს მისი თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება.

მეორე, ნახსენებია სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. როდესაც მუხლს არ გააჩნია რაიმე სამომავლო სარგებელი (მაგალითად, მოგება), მას, როგორც აქტივს, ღირებულება არ გააჩნია.

დასასრულ, განმარტებაში ნახსენებია წარსულში მომხდარი მოვლენა. ყველაზე გავრცელებული წარსულში მომხდარი მოვლენა, რის შედეგად წარმოიშობა აქტივი, არის აღნიშნული აქტივის შექმნა.

ვალდებულება საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიშვა წარსული სამეურნეო მოვლენების შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განითვებული რესურსების გასვლას საწარმოდან.

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. წინა თავებში გამოყენებული იყო ტერმინი მესაკუთრის კაპიტალი.

6. სხვა სააღრიცხვო კონცეფციები

ჩვეულებრივ, ამ აღიარებულ პრინციპებს ეფუძნება ბუღალტრული და საფინანსო ანგარიშგება.

| | |
|----------------------------------|---|
| ფუნქციონირებადი საწარმო | საწარმოს ფუნქციონირებადობის დაშვება ნიშნავს, რომ საწარმო სამეურნეო საქმიანობას განაგრძობს პროგნოზირებად მომავალში ისე, რომ მნიშვნელოვნად არ შეზღუდოს (შეამციროს) საქმიანობა. |
| დარიცხვები / შესაბამისობა | პერიოდის მოგების გამოსათვლელად აუცილებელია ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღიარება მოხდეს მათი წარმოქმნისთანავე და არა მამინ, როდესაც მოხდება ფულადი სახსრების ან მისი ეკვივალენტების მიღება ან გადახდა. დარიცხვის მეთოდი ისეა განსაზღვრული, რომ მოიცავს შესაბამისობასაც, რაც იმას ნიშნავს, რომ ხარჯების დაპირისპირება უნდა მოხდეს იმ ამონაგებთან, რომლის მიღებისთვისაც მოხდა აღნიშნული ხარჯების გაწევა. |
| თანმიმდევრულობა | ფინანსური ანგარიშგების მუხლების წარდგენა და კლასიფიკაცია არ უნდა იცვლებოდეს სააღრიცხვო პერიოდების მიხედვით (შესაბამისად ის გვაძლევს შესადარისობის საშუალებას), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ხასიათის მნიშვნელოვან ცვლილებას, ან საწარმოს ფინანსური ანგარიშგების განხილვის შედეგად აშკარაა, რომ უფრო შესაბამისი ინფორმაცია იქნება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი, თუ მასში ასახული მუხლები სხვა სახით იქნება წარმოდგენილი, ან თუ რაიმე ცვლილება მოითხოვება ახალი ბასს-ით. |

| | |
|--|---|
| <p>არსებითობა</p> | <p>არსებითობა „ზღვრული“ ხარისხობრივი მაჩვენებელია, რაც ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციას მოეთხოვება, ე.ი. არსებითი ინფორმაცია უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო არაარსებითი ინფორმაციის ასახვა საჭირო არ არის.</p> <p>ინფორმაცია არსებითია, თუ მისი აუსახაობა ან არასწორად წარმოდგენა გავლენას მოახდენს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. არსებითობა დამოკიდებულია ამ მუხლის სიდიდესა და შინაარსზე და საწარმოს სიდიდეზე.</p> |
| <p>შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა</p> | <p>განხორციელებული ოპერაციის ეკონომიკური ფორმის აღრიცხვას უპირატესობა ენიჭება მის იურიდიულ ფორმასთან. მაგ., ლიზინგის ხელშეკრულებით შექმნილი გრძელვადიანი აქტივი უნდა აღირიცხოს როგორც საკუთარი. ეს ასეთი სიტუაციის კომერციული ფორმაა მაშინაც კი, თუ ეს არ არის იურიდიულად დადგენილი.</p> |
| <p>წინდახედულება</p> | <p>წინდახედულება ნიშნავს სიფრთხილის ზომების მიღებას, როცა შეფასებები კეთდება გაურკვეველ პირობებში. იგი იმის გარანტიაა, რომ აქტივები და მოგება არ არის გადაჭარბებული და ვალდებულებები და ხარჯები არ არის შემცირებული.</p> |



| |
|---|
| <p>შეამოწმე შენი ცოდნა 1</p> <p>ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი სიტუაციაა სწორი?</p> <ol style="list-style-type: none"> 1. არსებითობა ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ მატერიალური აქტივები უნდა აღიარდეს როგორც აქტივები. 2. შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა ნიშნავს იმას, რომ განხორციელებული ოპერაციის კომერციული ეფექტი ყოველთვის უნდა აღირიცხოს ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინაც კი, თუ მისი იურიდიული ფორმა განსხვავებულია. 3. საწარმოს შეუძლია მხოლოდ შეცვალოს სააღრიცხვო პოლიტიკა სამართლიანი წარდგენის მისაღწევად. <p>ა მხოლოდ მე-2 და მე-3.</p> <p>ბ ყველა.</p> <p>გ მხოლოდ 1-ლი და მე-2.</p> <p>დ მხოლოდ 1-ლი და მე-3.</p> |
|---|

7. პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის კონცეფცია

7.1 პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის შეზღუდვები

პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის პრინციპის მიხედვით, ბალანსში აქტივები მათი შესყიდვის თარიღით არსებული შესყიდვის ფასით, ან საბაზრო ღირებულებით აისახება.

ვალდებულება აისახება იმ ამონაგებით, რაც ამ ვალდებულების სანაცვლოდაა მიღებული. აღრიცხვის ამ მეთოდს უპირატესობა აქვს, მაგრამ ამავე დროს აქვს სერიოზული ნაკლოვანებაც.

7.2 პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის უპირატესობა

1. აღრიცხვა ეფუძნება ობიექტურად შემოწმებულ თანხას.
2. მარტივია და იაფი.
3. მოგების კონცეფცია კარგად აღქმადია.
4. ლიმიტის ფარგლებში, პირვანდელი ღირებულებით აღრიცხული თანხები წარმოადგენს სხვა კომპანიის შედეგებთან შედარების ბაზას, ასევე იმავე კომპანიის წინა წლების შედეგებთან და ბიუჯეტთან.
5. მისაღები ალტერნატივების ნაკლებობა.

7.3 პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის ნაკლოვანება

1. ინფლაციის დროს, როცა ფასები ზევით იწევს, მოგება გადაჭარბებულია.
2. იგი ინარჩუნებს ფინანსურ კაპიტალს, მაგრამ არ ინარჩუნებს ფიზიკურ კაპიტალს.
3. ბალანსი არ აჩვენებს საწარმოს ღირებულებას.
4. საქმიანობის შედეგების შესაფასებლად მცირე ბაზას იძლევა.
5. ფასების ზრდისას, იგი არ აღიარებს ზარალს, რომელიც ფულადი აქტივების ფლობისას მიიღება.

7.4 პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის ალტერნატიული მეთოდები

- ფასების ჩანაცვლებით მეთოდი აქტივებს აღრიცხავს ჩანაცვლებული ფასებით. ამ მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის უფრო ახალაა მიმდინარესთან, ვიდრე პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვა.

- ნეტო სარეალიზაციო ღირებულება აქტივებს და ვალდებულებებს აღრიცხავს გაყიდვის დროს მიმდინარე ღირებულებით. აქტივები აღრიცხება იმ თანხით, რომელიც დარჩება მოსალოდნელი გასაყიდი ხარჯების გამოკლებით. ვალდებულებები აღრიცხება მათი გადასახდელი ფასით.
- ეკონომიკური ღირებულება აქტივებს და ვალდებულებებს აღრიცხავს იმ ღირებულებით, რაც საწარმოში შენარჩუნებული, ე.ი. არა გასაყიდი ფასით. ამგვარად ასახული აქტივები ჩვეულებრივ გადატანილი იქნება მომავალი ფასდაკლებით მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების ახლანდელი ღირებულებით. ვალდებულებები აღრიცხება მათი ფასდაკლებული წმინდა ახლანდელი ღირებულებით.

განვრცობილი ტექსტი

პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის შეზღუდვები

შესავალი

ფაქტობრივად, ყველაფერი, რაც ამ წიგნში შეისწავლეთ, ეფუძნებოდა პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვას. პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის პრინციპის მიხედვით, ბალანსში აქტივები მათი შესყიდვის თარიღით არსებული შესყიდვის ფასით, ან საბაზრო ღირებულებით აისახება.

ვალდებულება აისახება იმ ამონაგებით, რაც ამ ვალდებულების სანაცვლოდაა მიღებული. აღრიცხვის ამ მეთოდს აქვს უპირატესობა, მაგრამ ამავე დროს აქვს სერიოზული ნაკლოვანებაც.

პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის უპირატესობა

1. აღრიცხვა ეფუძნება ობიექტურად შემოწმებულ თანხებს (აქტივების მიმდინარე ღირებულება, და ა.შ).
2. მარტივია და იაფი.
3. მოგების კონცეფცია კარგად აღქმადია.
4. ლიმიტის ფარგლებში, პირვანდელი ღირებულებით აღრიცხული თანხები წარმოადგენს სხვა კომპანიის შედეგებთან შედარების ბაზას, ასევე იმავე კომპანიის წინა წლების შედეგებთან და ბიუჯეტთან.
5. მისაღები ალტერნატივების ნაკლებობა.

პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის ნაკლოვანებები

1. ინფლაციის დროს, როცა ფასები ზევით იწევენ, მოგება გადაჭარბებულია. რამდენიმე ფაქტორი ამას ხელს უწყობს. მაგალითად, თუ აქტივები შენარჩუნებულია მათი თავდაპირველი ღირებულებით, ცვეთა ერიცხება ამ ღირებულებას. გრძელვადიანი აქტივის მიმდინარე ღირებულება, ინფლაციის გამო, მის პირვანდელ ღირებულებაზე მაღალია, ცვეთის ხარჯი ნაკლები იქნება იმ სარგებელზე, რომელიც მიიღება წარმოების პროცესში მოცემული აქტივის გამოყენების შედეგად. მოგება ისევ გადაჭარბებით იქნება ნაჩვენები. ამ ნაკლოვანების აღმოფხვრა შესაძლებელია აქტივის გადაფასებით. ბასს 16-ის მიხედვით ცვეთა დაერიცხება გადაფასებულ თანხას.

2. იგი ინარჩუნებს ფინანსურ კაპიტალს, მაგრამ არ ინარჩუნებს ფიზიკურ კაპიტალს.

თუ საწარმოს მოგება აქვს, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს მეტი ნეტო აქტივები. თუ კომპანია ამ მოგებას მთლიანად გაანაწილებს დივიდენდების სახით, ან ინდემწარმე ამოიღებს, საწარმოს წლის ბოლოს დარჩება იგივე კაპიტალი, რაც მას წლის დასაწყისში ჰქონდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ინარჩუნებს ფინანსურ კაპიტალს. თუმცა იგი ვერ შეინარჩუნებს ფიზიკურ კაპიტალს, თუ ინფლაციის გამო ფასები აიწვევა წლის განმავლობაში. ფინანსური კაპიტალი ვერ შეძლებს იყიდოს იმავე რაოდენობის მარაგი და სხვა აქტივები, რაც საწარმოს საშუალებას მისცემს გააგრძელოს საქმიანობა იმავე დონეზე.

3. ბალანსი არ აჩვენებს საწარმოს ფასს. ბალანსი აჯამებს საწარმოს აქტივებსა და ვალდებულებებს, მაგრამ არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც საწარმოს რეალური ღირებულების ჩვენება ვერ ხერხდება. ერთი მიზეზია ის, რომ პირვანდელი ღირებულებით აქტივის აღრიცხვა ნიშნავს აქტივების აღრიცხვას თავდაპირველ ღირებულებას მინუს მასზე დარიცხული ცვეთა (ცვეთა ერიცხება თავდაპირველ და არა მიმდინარე ღირებულებას). მეორე მიზეზი, რა თქმა უნდა, არის ის რომ ყველა აქტივი ბალანსში არ აღირიცხება, მაგ., მემკვიდრეობით მიღებული გუდვილი.

4. საქმიანობის შედეგების შესაფასებლად მცირე ბაზას იძლევა. მოგება გადაჭარბებულია, როგორც ეს ახსნილია 1-ლში, მაშინ, როცა აქტივები შემცირებულია ისე, როგორც ეს განხილულია ზემოთ მე-3-ში. ინფლაციის პირობებში უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე შეიძლება მნიშვნელოვნად დამახინჯდეს, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, რადგან მოგება გადაჭარბებით იქნება ნაჩვენები, ხოლო გამოყენებული კაპიტალის ღირებულება (რომელიც დამოკიდებულია აქტივების ღირებულებაზე) კი შემცირებული იქნება.

5. ფასების ზრდის დროს, იგი არ აღიარებს ზარალს, რომელიც ფულადი აქტივების ფლობისას მიიღება. საწარმო, რომელსაც აქვს ფულადი სახსრები ან დებიტორული დავალიანება ინფლაციის პერიოდში, ზარალდება, რადგან მისი მსყიდველობითი უნარი ეცემა.

ფასების ცვალებადობის გავლენა

ფასები თუ არ იცვლება, პირველადი ღირებულებით აღრიცხვა (პლა) აკურატულად და ფაქტობრივად აჩვენებს საწარმოს მოგებასა და აქტივებს მინუს ვალდებულებების ღირებულებას. ფასების ცვლილების დროს იწყება პრობლემები.

ცვეთა

პირველადი ღირებულებით აღრიცხვის (პლა) სისტემის მიხედვით, ცვეთის მიზანია გრძელვადიანი აქტივის თავდაპირველი ღირებულების განაწილება (მინუს ნარჩენი ღირებულება) სასარგებლო მომსახურების პერიოდზე. თუ ცვეთა ერიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას და შეეცირებულია შესაძლო გასაცემი თანხა დოვიდენდის სახით, მაშინ კაპიტალი, აქციონერებზე გაცემის ნაცვლად, კომპანიაში გროვდება. როცა საქმე აქტივის ჩანაცვლებას შეეხება, მმართველმა უნდა უზრუნველყოს ამ ფონდის შესაძლო ლიკვიდური ფორმით გამოყენება.

ინფლაციის გათვალისწინებისას უნდა გვახსოვდეს, რომ:

1. ცვეთა ერიცხება აქტივის თვითღირებულებას, რომელიც განისაზღვრება თავდაპირველი ღირებულების პირობებით მაშინ, როცა ამონაგები, რომელსაც ცვეთა უპირისპირდება, განისაზღვრება მიმდინარე ღირებულების პირობებით. გამოთვლილი მოგების თანხა არ არის მრავალმნიშვნელოვანი, რადგან ის უგულებელყოფს ფასების ცვალებადობას, რომელსაც აქტივის შეძენის შემდეგ ჰქონდა ადგილი.
2. თუმცა, ცვეთის კონცეფცია გარანტიას იძლევა, რომ საწარმოს კაპიტალი უცვლელადაა შენარჩუნებული ფულადი ერთეულის პირობებით, ის არ იძლევა იმის გარანტიას, რომ საწარმოს კაპიტალი უცვლელადაა შენარჩუნებული, რეალური პირობებიდან გამომდინარე (იხილეთ ქვემოთ მოცემული მაგალითები).

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს დაგროვილი ცვეთა მისი ჩანაცვლების ღირებულებაზე ნაკლები იქნება.

1-ლი მაგალითი

საწარმო იწყებს საქმიანობას \$1000 ფულადი სახსრებით და ყიდულობს ორ მანქანას, თითოეულს \$500-ად. მოგება მთლიანად განაწილდა მფლობელებს შორის. ათი წლის ბოლოს კომპანიას აღარ აქვს მანქანები, მაგრამ აქვს \$1000 ფულადი სახსრები. ამგვარად, საწარმოს კაპიტალი უცვლელი რჩება ფულადი ერთეულის პირობებით. ვივარაუდოთ, რომ ერთი მანქანის მიმდინარე ჩანაცვლების ფასია \$1000. ამიტომ \$1000 ფულადი სახსრები 10 წლის შემდეგ იყიდის მხოლოდ ერთ მანქანას. რეალური პირობებიდან გამომდინარე, პერიოდის ბოლოს არსებული კაპიტალი პერიოდის დასაწყისის კაპიტალის ნახევარს შეადგენს.

მოგება ზედმეტად განაწილდა. მოგება რომ რეალური ნამეტი იყოს, შესაკუთრებები შეძლებდნენ მთელი მოგების ამოღებას და, ამავე დროს, რეალური პირობებიდან გამომდინარე, კაპიტალის თავდაპირველ სიტუაციაში შენარჩუნებას.

მარაგი და გაყიდული საქონლის თვითღირებულება

დავუშვათ, კომპანია აფასებს მარაგს პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის ბაზაზე, ფიფო მეთოდის გამოყენებით. ინფლაციის დროს ამ მეთოდის ეფექტია საწარმოს რეალური მოგების გადაჭარბება, მას შემდეგ, რაც გაყიდებიდან ამონაგები (მიმდინარე პირობებით) უპირისპირდება გაყიდული საქონლის თვითღირებულებას (თავდაპირველი პირობებით). თუ კომპანია განაწილებს თავდაპირველი ღირებულების ბაზაზე მიღებულ მოლიან მოგებას, იგი უცვლელად კერ შენარჩუნებს საწარმოს კაპიტალს რეალურ პირობებში.

მე-2 მაგალითი

საწარმო საქმიანობას იწყებს 20X7 წლის 1 იანვარს \$1000 ფულადი სახსრებით (მესაკუთრის მიერ დაფინანსებული). იმავე დღეს იგი ყიდულობს 500 ძრავას თითოეულს \$2-ად. ძრავები გაიყიდა 20X7 წლის 31 მარტს \$1,650-ად. ამ თარიღით იდენტური თითოეული ძრავის ჩანაცვლების ფასია \$2.20.

პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის დროს, სამი თვის მოგებაა \$650 (\$1,650 - \$1,000). თუ მესაკუთრე ამოიღებს ამ მოგებას, 31 მარტს ბალანსის საბოლოო ნაშთი გვიჩვენებს \$1,000 კაპიტალის ოდენობას, რაც \$1000 ფულადი სახსრებითაა წარმოდგენილი.

თუმცა კაპიტალი უცვლელია ფულადი ერთეულის პირობებიდან გამომდინარე (1 იანვარს იყო \$1,000), რეალური პირობებით კაპიტალი არ შენარჩუნებულია. 31 მარტს \$1000 ფულადი სახსრები იყიდის მხოლოდ 455 (დაახლოებით) ძრავს.

მონაცემთა შესადარისობა დროთა განმავლობაში

მე-3 მაგალითი

წინა მაგალითებში ნაჩვენებია, რომ მოშხმარებლები დაინტერესებულნი არიან ანგარიშგებებიდან შეძლონ საწარმოს სხვადასხვა წლების საქმიანობის შედეგების შედარება, ისე, რომ შესაძლებელი იყოს მიმართულებების გარკვევა. ამიტომ, თუ გაყიდვებიდან ამონაგები 4 წლის წინ იყო \$100,000 და მიმდინარე წელს არის \$130,000, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაყიდვებიდან ამონაგები გაიზარდა 30%-ით. მიუხედავად ამისა, მოგება რეალურად შეიძლება არ იყოს აძლენი პროცენტი, რადგან ფასები შესაძლებელია შეიცვალოს წინა 4 წლის განმავლობაში. თუ ფასები ბოლო 4 წლის განმავლობაში გაიზარდა 40%-ით, მაშინ გაყიდვებიდან ამონაგები მიმდინარე წელს უნდა იყოს \$140,000, რათა შენარჩუნებული იყოს გაყიდვების რეალური ღირებულება. ამიტომ, რეალურად ადგილი აქვს შემცირებას.



შეამოწმე შენი ცოდნა 2

ფასების აწვეის დროს, რა გავლენა ექნება კაპიტალის, მოგებასა და აქტივების ღირებულებაზე პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის კონცეფციის გამოყენებას?

- ა ორივეს, მოგებისა და აქტივების, ღირებულება შემცირებულია.
- ბ მოგება შემცირებულია და აქტივების ღირებულება გადაჭარბებულია.
- გ მოგება გადაჭარბებულია და აქტივების ღირებულება შემცირებულია.
- დ ორივეს, მოგებისა და აქტივების, ღირებულება გადაჭარბებულია.

თავის რეზიუმე

მარეგულირებადი და სტრუქტურული საფუძვლები

მარეგულირებელი საფუძვლები:

- ბასსს კმნის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს
- სსს და ფასსიკ ეხმარება სტანდარტების დანერგვის პროცესში.

სტრუქტურული საფუძვლები

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები.

სხვა ბუღალტრული პრინციპები

- ფუნქციონირებადი საწარმო
- ღარიცხვა
- თანმიმდევრულობა
- არსებითობა
- შინაარსის ფორმალზე აღმატებულობა
- წინდახედულობა.

ფინანსური ანგარიშგების მიზნები

- ანგარიშგების მიზანია საწარმოს ფინანსური პოზიციისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მომზადება.

თავდაპირველი ღირებულებით აღრიცხვა

- უპირატესობა
- ნაკლოვანებები
- ალტერნატივები.

ფინანსური ანგარიშგების ზარისხობრივი მახასიათებლები

- შესაბამისობა
- საიმედოობა
- შესაღარიცხობა
- აღქმადობა.

შეამოწმე შენი პასუხები



შეამოწმე შენი ცოდნა 1

სწორი პასუხია ა



შეამოწმე შენი ცოდნა 2

სწორი პასუხია გ

კ ი თ ხ ვ ე ბ ი

მრავალვარიანტული კითხვები

დავიწყებული ბალანსი და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

1

1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია ბუღალტრული ტოლობა

ა აქტივებს - ვალდებულებები - კაპიტალი = ამოლება + მოგება

ბ აქტივები = ვალდებულებებს - კაპიტალი + მოგება - ამოლება

გ აქტივებს - ვალდებულებები - კაპიტალი = მოგება - ამოლება

დ აქტივებს + ვალდებულებები = კაპიტალს + მოგება - ამოლება

(2 ქულა)

2

2. ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი სიტუაციაა სწორი?

ა მოგებისა და ზარალის ანგარიშგება გვიჩვენებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას.

ბ მოგებისა და ზარალის ანგარიშგება შეიცავს გადახდილ დივიდენდებს.

გ მოგებისა და ზარალის ანგარიშგება გვიჩვენებს საწარმოს ფინანსური საქმიანობის შედეგს.

დ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას მოუწევს ასახოს ერთი წლის შედეგები.

(2 ქულა)

3

3. რას შეიცავს საწარმოს ბალანსი?

ა კაპიტალს, ამოლებას, აქტივებს და ვალდებულებებს.

ბ კაპიტალს, გადახდილ დივიდენდებს, გაყიდვებიდან ამონაგებსა და აქტივებს.

გ აქტივებს, ვალდებულებებს, გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებულ მოგებასა და ჩადებულ კაპიტალს.

დ გადახდილ დივიდენდებს, აქტივებს, ფასდათმობებსა და ვალდებულებებს.

(2 ქულა)

4

4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია არასწორი?

ა ბალანსი და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებების ნაწილს შეადგენენ.

ბ ბალანსი გვიჩვენებს ბუღალტრულ ტოლობას.

გ მოგებისა და ზარალის ანგარიშგება გვიჩვენებს ბუღალტრულ ტოლობას.

დ ბალანსი და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება გვიჩვენებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგს.

(2 ქულა)

ქ

5. ქვემოთ ჩამოთვლილი სიტუაციიდან, რომელი არ არის სწორი?
- ა მარაგი ნაჩვენებია ბალანსსა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.
 - ბ ხარჯები უნდა აღირიცხოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.
 - გ მარაგი უნდა აღირიცხოს მხოლოდ ბალანსში.
 - დ დებიტორული დავალიანება აღირიცხება ბალანსში მოკლევადიან აქტივებში.
- (2 ქულა)

თავი 23 ბუღალტრული აღრიცხვის ორადი გატარება

ქ

6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია სწორი?
- ა სადებეტო გატარება გაზრდის გრძელვადიან აქტივებს.
სადებეტო გატარება გაზრდის ამოღებას.
სადებეტო გატარება გაზრდის მოგებას.
 - ბ საკრედიტო გატარება გაზრდის ბანკის ოვერდრაფტს.
სადებეტო გატარება გაზრდის კრედიტორულ დავალიანებას.
საკრედიტო გატარება გაზრდის დებიტორულ დავალიანებას.
 - გ სადებეტო გატარება გაზრდის მოგებას.
სადებეტო გატარება გაზრდის დებიტორულ დავალიანებას.
სადებეტო გატარება ამცირებს კრედიტორულ დავალიანებას.
 - დ სადებეტო გატარება გაზრდის დებიტორულ დავალიანებას.
საკრედიტო გატარება შეამცირებს გრძელვადიან აქტივებს.
საკრედიტო გატარება გაზრდის მოგებას.
- (2 ქულა)

ქ

7. საკრედიტო ნაშთი ბუღალტრულ ანგარიშებში ნიშნავს:
- ა აქტივის ან ხარჯს;
 - ბ ვალდებულებას ან ხარჯს;
 - გ თანხას, რომელიც ორგანიზაციის მართებთ;
 - დ ვალდებულებას ან ამონაგებს.
- (2 ქულა)

ქ

8. ბუღალტრული ანგარიშების ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი ნაშთია ბუღალტრული აღრიცხვის ორადი გატარების სისტემის შედეგი?

| საღებულო ნაშთი | საკრედიტო ნაშთი |
|--|--------------------------------------|
| ა აქტივები და ამონაგები | ვალდებულებები, კაპიტალი და ხარჯები |
| ბ ამონაგები, კაპიტალი და ვალდებულებები | აქტივები და ხარჯები |
| გ აქტივები და ხარჯები | ვალდებულებები, კაპიტალი და ამონაგები |
| დ აქტივები, ხარჯები და კაპიტალი | ვალდებულებები და ამონაგები |

(2 ქულა)

ქ

9. ბუღალტრული აღრიცხვის მთავარი მიზანია:

- ა შეინარჩუნოს ყოველი აქტივისა და ვალდებულების ბუღალტრული ანგარიში
- ბ ფინანსური ინფორმაცია მიაწოდოს ამ ინფორმაციის მომხმარებლებს
- გ მოამზადოს საცდელი ბალანსი
- დ აღრიცხოს ცალ-ცალკე ყოველი ფინანსური ოპერაცია

(2 ქულა)

ქ

10. საღებულო გატარებამ შეიძლება გამოიწვიოს:

- ა აქტივების გაზრდა ან ხარჯების შემცირება;
- ბ გაყიდვებიდან ამონაგების გაზრდა ან ვალდებულებების გაზრდა;
- გ გაყიდვებიდან ამონაგების შემცირება ან აქტივების შემცირება;
- დ ვალდებულებების შემცირება ან ხარჯების გაზრდა.

(2 ქულა)

ქ

11. საკრედიტო გატარებამ შეიძლება გამოიწვიოს:

- ა აქტივების გაზრდა ან ვალდებულებების გაზრდა;
- ბ ხარჯების გაზრდა ან სააქციო კაპიტალის გაზრდა;
- გ ვალდებულებების გაზრდა ან სააქციო კაპიტალის გაზრდა;
- დ ვალდებულებების გაზრდა და გაყიდვებიდან ამონაგების შემცირება.

(2 ქულა)

თავი 4 მარაგი

ქ

12. საწარმო ყიდის სამი სახის პროდუქტს – A, B და C. წლის ბოლოს ხელმისაწვდომია შემდეგი ინფორმაცია:

| | A | B | C |
|---------------------------------|---------|---------|---------|
| | \$ | \$ | \$ |
| | ერთეული | ერთეული | ერთეული |
| თავდაპირველი ღირებულება | 7 | 10 | 19 |
| დადგენილი გასაყიდი ფასი | 15 | 13 | 20 |
| გაყიდვისა და კომერციული ხარჯები | 2 | 5 | 6 |
| მარაგის რაოდენობა | 20 | 25 | 15 |

მარაგის ღირებულება წლის ბოლოს იქნება:

ა \$675

ბ \$670

გ \$795

დ \$550

(2 ქულა)

ქ

13. მარაგის ანგარიშზე ჩანაწერები გვიჩვენებს შემდეგ მონაცემებს:

თარიღი რაოდენობა ერთეულის ღირებულება

1 იანვარი ნაშთი 50 \$10

4 იანვარი შესყიდვა 90 \$15

10 იანვარი გაყიდვა 65

20 იანვარი შესყიდვა 30 \$20

26 იანვარი გაყიდვა 40

რა იქნება მარაგის ღირებულება 31 იანვარს FIFO მეთოდის გამოყენებით?

ა \$1,125

ბ \$725

გ \$975

დ \$1,000

(2 ქულა)

ჰ

14. საწარმოს მოგების გამოთვლისას გათვალისწინებულია თვითღირებულებით შეფასებული მარაგი. რა გავლენას მოახდენს საწარმოს მოგებაზე იმის აღმოჩენა, რომ, \$7,500 თვითღირებულების ერთ-ერთი მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებაა \$8,500?

ა გაიზრდება \$8,500

ბ გაიზრდება \$1,000

გ გავლენას არ მოახდენს

დ შემცირდება \$1,000

(2 ქულა)



15. ბასს 2-ის „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები“- მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მონაცემებიდან, რომელი ღირებულება უნდა შევიდეს გადამამუშავებელი კომპანიის მარაგის შეფასებაში?

- 1) საწარმოდან ტვირთის გატანა.
- 2) ქარხნის მანქანა-დანადგარების ცვეთა.
- 3) ტვირთის საწარმოში მიტანა.
- 4) საერთო აღმინისტრაციული ზედნაღებები.

- ა ოთხივე
- ბ მხოლოდ 1, 3 და 4
- გ მხოლოდ 1 და 2
- დ მხოლოდ 2 და 3

(2 ქულა)



16. X-ის მარაგის საბოლოო ნაშთია \$116,400, ქვემოთ მოცემული ორი სახის მარაგის გარეშე:

- 400 ერთეული, თითოეულის თვითღირებულებაა \$4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ ყოველი მათგანი გაიყიდა \$3-ად, ხოლო გაყიდვის ხარჯებმა შეადგინა \$200.
- 200 ერთეული, თითოეულის თვითღირებულებაა \$30. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული საქონელი წუნდებული გახლდათ ბალანსის შედგენის თარიღისათვის. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ განხორციელებული გამოსასწორებელი სამუშაოების ღირებულება იყო \$1,200, რის შემდეგ თითოეული მათგანი \$35-ად გაიყიდა, ხოლო გაყიდვის ხარჯებმა შეადგინა \$300.

რომელი თანხით უნდა აისახოს მარაგი X-ის ბალანსში?

- ა \$122,300
- ბ \$121,900
- გ \$122,900
- დ \$123,300

(2 ქულა)

თავი 5 ბრუნვის გადასახადი (დღე)



17. ინდემწარმე გეილის ყველა გაყიდვების ღირებულება შეიცავს სტანდარტულ 17,5% ბრუნვის გადასახადს და ყველა შესყიდვისა და ხარჯების ღირებულება შეიცავს სტანდარტული განაკვეთის ბრუნვის გადასახადს. 2005 წლის 31 მარტს დასრულებულ სამი თვის განმავლობაში საერთო გაყიდვების ღირებულებამ შეადგინა \$23,500,

შესყიდვებმა \$12,000 (ნეტო) და ხარჯებმა \$800(ნეტო).

რამდენი ბრუნვის გადასახადია გადასახდელი ბიუჯეტში კვარტალის განმავლობაში?

ა \$1,260

ბ \$1,400

გ \$1,594

დ \$1,873

(2 ქულა)

ქ

18. გაყიდვების ბუღალტრული ანგარიში არის:

ა დაკრედიტებული გაყიდვების მთლიანი რაოდენობა დღგ-ის ჩათვლით;

ბ დაკრედიტებული გაყიდვების მთლიანი რაოდენობა დღგ-ის გარეშე;

გ დადებუებული გაყიდვების მთლიანი რაოდენობა დღგ-ის ჩათვლით;

დ დადებუებული გაყიდვების მთლიანი რაოდენობა დღგ-ის გარეშე.

(2 ქულა)

ქ

19. თუ გაყიდვებიდან ამონაგები (დღგ-ის ჩათვლით) არის \$27,612.50 და შესყიდვები (დღგ-ის გარეშე) ტოლია \$18,000 და დავეუშვებთ, რომ ყველა მუხლის დღგ-ის განაკვეთია 17,5%, დღგ-ის ანგარიშის ნაშთი იქნება:

ა \$962.50 დებეტი

ბ \$962.50 კრედიტი

გ \$1,682.10 დებეტი

დ \$1,682.10 კრედიტი

(2 ქულა)

ქ

20. საწარმო დაარსდა კაპიტალით \$1,000 ნაღდი ფულით. \$800 ნეტო შესყიდვის ღირებულების მარაგი შეიძინეს კრედიტით. შემდეგ ამ მარაგის ნახევარი გაიყიდა \$1,000-ად პლუს დღგ -17.5%, რომლის ღირებულება მყიდველმა წინასწარ გადაიხადა ნაღდი ანგარიშსწორებით. ბუღალტრული ტოლობა ამ ოპერაციების განხორციელების შემდეგ იქნება:

ა აქტივებს \$1,775 მინუს ვალდებულებები \$175 უდრის კაპიტალს \$1,600

- ბ აქტივებს \$2,775 მინუს ვალდებულებები \$975 უდრის კაპიტალს \$1,200
- გ აქტივებს \$2,575 მინუს ვალდებულებები \$800 უდრის კაპიტალს \$1,775
